

საბუნებისმეტყველების  
ქართვლური ენათმეცნიერება

V

COLLECTED SCIENTIFIC WORKS  
KARTVELIAN LINGUISTICS

საბუნებისმეტყველების კრებული  
ქართვლური ენათმეცნიერება

V

COLLECTED SCIENTIFIC WORKS  
KARTVELIAN LINGUISTICS

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities  
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
Educational and Research Institute of the Georgian Language

## **სამეცნიერო შრომების კრებული**

**ქართველური ენათმეცნიერება**

**V**

## **COLLECTED SCIENTIFIC WORKS**

### **KARTVELIAN LINGUISTICS**

ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავს

Dedicated to 100<sup>th</sup> anniversary of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

*კრებულში შესულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველური ენათმეცნიერების და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო ნაშრომები.*

*კრებული ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავს.*

**რედაქტორები:** პროფ. დარეჯან თვალთვაძე  
პროფ. რამაზ ქურდაძე

**პასუხისმგებელი მდივანი** ასოც. პროფ. რუსუდან ზეკალაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

ISSN 2346-8106

## შინაარსი

### **ბაბუნია კახა**

ზმნა-შემასმენლის სტაბილური და ლაბილური კონსტრუქციები თანამედროვე ქართულში .....	5
<b>დათუბიშვილი ქეთევან</b>	
თანდებულისა და ნაწილაკის საკითხი თანამედროვე ქართული ენის მეტყველების ნაწილთა სისტემაში .....	24
<b>ზეძაღვაძე რუსუდან</b>	
ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა მეტყველების შესახებ .....	29
<b>თვალთვაძე დარეჯან, კვიციანი ეკა</b>	
სვანეთის მუზეუმში დაცული სახარების ტექსტის შემცველი ხელნაწერების ფრაგმენტები .....	41
<b>მარტოვიანი ქეთევან, ლომია მარია</b>	
ევიდენციალურ იმპერფექტულ ფორმათა სეგმენტაციისა და მარკირების საკითხი მეგრულსა და სვანურში .....	56
<b>ნიკოლაიშვილი მერი, ბაბრატიონ-დავითაშვილი ნინო</b>	
პერფექტული სემანტიკის ზმნებისა და მესამე სერიის ფორმათა საკითხისათვის ქართულში .....	64
<b>ომიანი სალომე</b>	
ცნობები გლუტონიმა შესახებ აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ .....	72
<b>სანიძე ინგა</b>	
ილიას ენობრივი მსოფლხედვა და მისი ორატორული ტექსტის სტილისტიკა .....	80
<b>ჭურჭავაძე რამაზ</b>	
ერთი არაბული სიტყვის შესახებ ქართულ გვარსახელებში .....	90
<b>შარაშენიძე ნინო</b>	
მოდალობა, დრო, ასპექტი და კილო ქართულში .....	94

## დოქტორანტიები და მაგისტრანტიები

### **ბებეჯორი სალომე, შონია ლიკა**

არაკანონიკურ თანხმობანთკომპლექსთა დაძლევის დინამიკა მეგრულ არსებით სახელებში .....	107
<b>მაღუაშვილი მარია</b>	
ევიდენციალური პერფექტი ძველ ქართულ ენაში .....	111
<b>ღამბაშიძე მაგალი</b>	
დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი „შედება“ ზმნა და მასთან დაკავშირებული უკუთქმითი ნაწილაკები ქართულ სამწერლობო ენაში .....	115
<b>ჩანჭავაძე თამარ</b>	
შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაცვალსახელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურ ენაში .....	131
<b>ჯღარბაძე გიორგი</b>	
უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ლაზურ ანდაზებში ქართულ-მეგრულ მონაცემებთან შედარებით .....	137

## ABSTRACTS

### **GABUNIA KAKHA**

The verbs with stable and labile Constructions in Modern Georgian ..... 149

### **DATUKISHVILI KETEVAN**

The Role of Postpositions and Particles in the  
Contemporary Georgian Part of Speech System ..... 150

### **ZEKALASHVILI RUSUDAN**

Towards the Speech Peculiarities of the Characters of Ilia Chavchavadze Prose ..... 151

### **TVALTVADZE DAREJAN, KVIRKVELIA EKA**

The Fragments of the Manuscripts Containing the  
Text of the Gospel Preserved in Svaneti Museum ..... 153

### **MARGIANI KETEVAN, LOMIA MAIA**

The Issue of Segmentation and Marking of Evidential  
Imperfect Forms in Megrelian and Svan Languages ..... 155

### **NIKOLAISVILI MERI, BAGRATION-DAVITASHVILI NINO**

For the Issues of the Perfect Semantics  
Verbs and Forms of the III Series in Georgian ..... 156

### **OMIADZE SALOME**

References to Gluttonyms in Akaki Shanidze's "Basics of the Georgian Grammar" ..... 157

### **SANIKIDZE INGA**

Ilia's linguistic world outlook and the stylistics of His oratorical Text ..... 158

### **KURDDAZE RAMAZ**

On one Arabic Word in Georgian Surnames ..... 159

### **SHARASHENIDZE NINO**

Modality, Tense, Aspect and Mood in Georgian ..... 160

## DOCTORANTS AND MAGISTRANDS

### **GEGECKKORI SALOME, SHONIA LIKA**

The Dynamics of Overcoming the Non-Canonical  
Complexes of Consonants in Megrelian Nouns ..... 163

### **MADUASHVILI MAIA**

Evidential Perfect in the Old Georgian Language ..... 164

### **CHANKSELIANI TAMAR**

The Structural-Semantic Analysis of Svan  
Pronouns Expressing the Negation of Possibility ..... 165

### **GHAMBASHIDZE MAGULI**

Dynamic modal "Shedzleba" and its connection to the  
Negative Particles in Georgian Script Language ..... 166

### **JGHARKAVA GIORGI**

The Linguistic Means of Expressing Negation in  
Laz Proverbs as Compared to Georgian and Megrelian Data ..... 168

**ზმნა-შემასმენლის სტაბილური და  
ლაბილური კონსტრუქციები ქართულში**

წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ მოძღვრება განეკუთვნება **სტრუქტურის** შესახებ მოძღვრებას. ამ ცნებათა განსაზღვრა გულისხმობს სინტაქსის საგნის, მიზნისა და მეთოდის გარკვეულ გაგებას (ჩიქობავა 1968: 231).

მორფოლოგიისგან განსხვავებით, სინტაქსური ანალიზის უმცირესი ერთეული არის არა **სიტყვა**, არამედ, მინიმუმ, ორი სიტყვის ერთობა. ტრადიციულ სინტაქსში სიტყვათა ამგვარ ერთობას „სინტაქსურ წყვილს“ უწოდებენ. *მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზი ერთმანეთისგან აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს: სინტაქსისთვის სიტყვათა შორის ურთიერთობის წესებია საინტერესო, მორფოლოგია კი სიტყვის ფარგლებს არ სცილდება.*

ამ მხრივ ქართული ენა გარკვეულ სირთულეს ქმნის. ქართული აფიქსებით მდიდარი ენაა, აფიქსები მონაწილეობენ როგორც მორფოლოგიური, ასევე ლექსიკოლოგიური და სინტაქსური სფეროს ფარგლებში განსახილველ სინტაგმატურ და პარადიგმატურ ურთიერთობებში (ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები სახელებში, პირისა და რიცხვის ნიშნები ზმნებში... – ერთი მხრივ, ეს აფიქსები მორფოლოგიურ სისტემას ქმნიან, მეორე მხრივ, მონაწილეობენ ორ სიტყვას შორის სინტაქსურ ურთიერთობებში; აფიქსები ქართულში აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე ახალი სიტყვის ფუძის აგებაში, რაც, თავის მხრივ, ლექსიკოლოგიის სფეროს განეკუთვნება).

საზოგადოდ, მეცნიერული კვლევის სახელმძღვანელო პრინციპად მიგვაჩნია ჰომოგენურობის პრინციპი, როგორც საფუძველი მეთოდოლოგიური იმანენტიზმისა: **ცნება უნდა შეიცავდეს ნიშნებს, რომლებიც იმანენტურია აღსაწერი ობიექტისათვის, შესასწავლი ობიექტისათვის შინაგანადაა დამახასიათებელი** (ჩიქობავა 1968, გვ. 010).

მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპის გათვალისწინებით, სინტაქსი შეისწავლის **შესიტყვებას** შედგენილობისა და მექანიზმის თვალსაზრისით... ანუ რა სახის სინტაქსურ ურთიერთობას აქვს ადგილი შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა შორის (ჩიქობავა 1968, გვ. 231).

მკვლევართა ერთი ნაწილისთვის მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის ზღვარი, პრაქტიკულად, წაშლილია. მაგალითად, თ. უთურგაიძე გვთავაზობს მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ანალიზის უაღრესად ორიგინალურ სისტემას ქართული ენისათვის (უთურგაიძე 2009). წინამდებარე სტატიის ფარგლებში ამ სისტემის დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბარი საკითხს ძალიან დაგვაშორებდა; შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ჩვენთვის ამოსავალია ე. ბენვენისტისეული ლინგვისტიკური ანალიზის დონეთა ცნობილი იერარქია (ბენვენისტი 1965: 434-449),

რომელიც ეფუძნება ჰომოგენურობისა და მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპებს.

რასაკვირველია, წინადადების ფუნქციონალური ანალიზი ისევე აუცილებელია, როგორც სემანტიკურ კატეგორიათა აღწერითი ანალიზი, მაგრამ ასეთი ანალიზი ცალკე უნდა ჩატარდეს. **სინტაგმის სტრუქტურის ანალიზის მაგიერობას იგი ვერ გასწევს** (ჩიქობავა 1968, გვ. 011). რას გამოხატავს თავისთავად წინადადების ესა თუ ის წევრი, მისი კლასიფიკაცია სემასიოლოგიური ნიშნების მიხედვით – საჭირო და მნიშვნელოვანია; მეტიც, სრულყოფილი ანალიზი შეუძლებელიცაა, თუკი მხოლოდ ფორმობრივ ანალიზს ჩავატარებთ (იხ. მაგ., ჩიკოიძე 2015, გვ. 35-59). საუბარია იმაზე, რომ კონკრეტული სინტაქსური ცნებისა თუ კატეგორიის განსაზღვრისთვის **მთავარი საკლასიფიკაციო ნიშანი სინტაქსური უნდა იყოს** და არა მორფოლოგიისა თუ სემასიოლოგიის სფეროდან „გადმოტანილი“.

სინტაქსური დამოკიდებულების სამი სახე – **შეთანხმება, მართვა და მირთვა** – ცალმხრივი (სუბორდინაციული) ურთიერთობის ასპექტში განიხილება ინდოევროპულ ენებში: წინადადების რომელიმე წევრი მმართველია, მოითხოვს დაქვემდებარებულისგან გარკვეულ ფორმას (ან მართავს დაქვემდებარებულ წევრს, ან ითანხმებს, ან მხოლოდ სემასიოლოგიურად „შეიწყობს“ (ე.წ. მირთვა), ამ უკანასკნელის ფორმაცვალების დეფიციტის გამო), თუმცა წინადადების სინტაქსური სტრუქტურა ქართულ ენაში ყოველთვის ასეთი „მარტივი“ არ არის: ინდოევროპული ენებისგან განსხვავებით, ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში გვაქვს საურთიერთო დაქვემდებარება, ანუ ისეთი ურთიერთობა წინადადების ორ (ან მეტ) წევრს შორის, როცა ერთი იქვემდებარებს მეორეს რაიმე ნიშნის მიხედვით (მართავს/ითანხმებს), ხოლო მეორე პირველს სხვა ნიშნის / ნიშნების მიხედვით ითანხმებს ან მართავს; ასეთი ურთიერთობა **კოორდინაციადაა** სახელდებული.

ეს ტერმინი საურთიერთო დაქვემდებარების დახასიათების მიზნით პირველად ა. ჩიქობავამ გამოიყენა; ჩიქობავა აქცენტს აკეთებდა საურთიერთო მართვაზე, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი სახელი **პირში მართავდა** ზმნას, მაგრამ **ითანხმებდა რიცხვში** (ჩიქობავა 1968: 215).

ა. ჩიქობავამ მთელი მონოგრაფია მიუძღვნა კოორდინაციის მოვლენას ქართულში, მისი აზრით, სწორედ კოორდინაციის მექანიზმი განასხვავებს ქართულ (ქართველურ) ენებს ინდოევროპული ენებისგან; ამ სპეციფიკურობის გამო, განსხვავებულია კვლევის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტებიც (მათ შორის, საბაზისო სინტაქსური ცნებებიც კი). უნდა ითქვას, რომ მარტივი წინადადების ჩიქობავასეული ანალიზი დაედო საფუძვლად, მაგალითად, ქართული ენისათვის წინადადების 4 მთავარი წევრის გამოყოფას (შდრ. კლასიკური „ევროპული“ სინტაქსის ფარგლებში წინადადების მთავარი წევრებია მხოლოდ შემასმენელი და ქვემდებარე). კოორდინაციის მექანიზმის კვლევა ჩიქობავამ მხოლოდ ძველი ქართული ენის მაგალითზე ჩაატარა, თუმცა ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მისეული კვლევის პრინცი-

პებისა და მეთოდოლოგიის გამოყენება არანაკლებ საინტერესოა თანამედროვე ქართულისა და სხვა ქართველური ენებისთვის, რასაკვირველია, გარკვეული მოდიფიკაციით – ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძველიდან თანამედროვე ქართულამდე, 15-საუკუნოვანი განვითარების პერიოდში, ქართულმა სინტაქსმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე (მაგალითად, პირდაპირი დამატების მრავლობითობის აღნიშვნა სავალდებულო იყო ძველ ქართულ ზმნაში; თანამედროვე ქართულში კი ზმნაში მესამე პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობა არასოდეს აისახება); მეორე – ა. ჩიქობავას ხედვა მთლიანობაში უაღრესად მწყობრივ და ლოგიკურია, თუმცა, ჩვენი აზრით, გარკვეული შეუსაბამობანი მაინც არსებობს, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

კოორდინაციის სინტაქსური მექანიზმის არსის გარკვევისთვის აუცილებლად მიგვაჩნია ა. ჩიქობავას მიერ წარმოდგენილი ზმნათა კლასიფიკაციის პრინციპების კრიტიკულ ასპექტში განხილვა:

ჩიქობავა ქართულში სამი ტიპის მარტივ წინადადებას გამოყოფს, ამ ტიპებს განასხვავებს ზმნა-შემასმენელი:

პირველი ტიპი – ზმნის პირიანი ფორმა პლუს ერთი სახელი სახელობით ბრუნვაში (MS):

*„კაც-ი (სახ.) დგას“; „ბავშვ-ი (სახ.) იმალება“*

მეორე ტიპი – ზმნის პირიანი ფორმა პლუს ერთი სახელი სახელობით ბრუნვაში (MS) და მეორე სახელი მიცემით ბრუნვაში (MO):

*„ბავშვ-ი (სახ.) დედა-ს (მიც.) ემალება“*

მესამე ტიპი 3 სახეობას იძლევა (გარდამავალი ზმნის 3 განსხვავებული კონსტრუქცია სერიების მიხედვით):

*კაც-ი (სახ.) სახლ-ს (მიც.) აშენებს*

*კაცმა (მთხ.) სახლ-ი (სახ.) ააშენა*

*კაც-ს (მიც.) სახლ-ი (სახ.) აუშენებია*

(ჩიქობავა 1968: 212).

ზმნა, რომელსაც მხოლოდ ერთი პირის ფორმა აქვს, იქნება აბსოლუტური (ჩიქობავა 1968: 139). ძველი ქართულის მაგალითზე, ა. ჩიქობავა ამ ჯგუფში აერთიანებს როგორც სტატიკურ ზმნებს (*დგას, ზის, წევს*), ასევე – ერთპირიან ვნებითებს (*დგების, წყდების, ნათლდების*) და მედიოაქტივებს (*მეფობს, გორავს...* – ჩიქობავა 1968: 139).

ზმნასთან დაკავშირებული სახელის ზმნურ ფორმაში ასახვის თვალსაზრისით, ამგვარი კლასიფიკაცია, რასაკვირველია, მისაღებია და ადეკვატურად ასახავს MS-ის (მორფოლოგიური სუბიექტის) მხრიდან ზმნა-შემასმენლის მართვა-შეთანხმების სურათს, თუმცა, მხოლოდ ამ ნიშნით ზმნა-შემასმენლის კლასიფიკაცია სრულად ვერ ხსნის ზმნურ შესიტყვებათა სინტაქსურ მექანიზმს: გარკვეული ტიპის აბსოლუტურ ზმნებთან ზმნა-შემასმენელი **სტაბილურ კონსტრუქციას** აკებს დრო-კილოთა (სერიების და მწკრივთა მიხედვით) ცვლილების მიუხედავად (*დგას ის; იდგა ის, მდგარა ის; იმალება ის, დაიმალა ის, დამალულა ის...*); თუმცა, აბსოლუტური



ზმნების სხვა ჯგუფთან კონსტრუქცია განსხვავებულ დრო-კილოთა პირველ სერიაში MS სახელობით ბრუნვაში ფორმდება, მეორე სერიაში – მოთხრობითში...

ამის შემდგომ ა. ჩიქობავა გვთავაზობს ზმნა-შემასმენლისა და მასთან დაკავშირებული ყველა ტიპის აქტანტის (ქვემდებარე, ანუ, მისი ტერმინოლოგიით, MS, დამატებები – MO) კოორდინაციული დაქვემდებარების კანონზომიერებებს:

1. **ზმნა მართავს ბრუნვაში როგორც MS-ს, ისე MO-ს.** დამოკიდებულება MS-ისა და MO-ისა ზმნაზე სრულიად ერთნაირია: ორივე თანაბრად მართულია ზმნის მიერ (ჩიქობავა 1968, გვ. 214).
2. ისევე, როგორც ინდოევროპულ ენებში, ზმნაში აღინიშნება ქვემდებარის რიცხვი, მაგრამ **ქართულისთვის სპეციფიკური ისაა, რომ, MS-ის გარდა, ზმნაში MO-ს რიცხვიც აისახება** (ჩიქობავა 1968, გვ. 215).<sup>1</sup>
3. ზმნის პირის ცვლა, ინდოევროპული ენებისგან განსხვავებით, დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვემდებარის პირზე (я чита-ю, ты чита-ешь, он / она чита-ет), არამედ ორივე სახელზე – MO-ზე ისევე, როგორც MS-ზე. **როგორც MS, ისე MO მართავს<sup>2</sup> ზმნას პირში** (ჩიქობავა 1968, გვ. 214).

ზმნა მართავს სახელთა ბრუნვას, სახელი მართავს (სხვა მოსაზრებით, ითანხმებს – კ.გ.) ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვში (ჩიქობავა 1968, გვ. 214).

ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ საურთიერთო მართვას, ჩვენ ვუწოდებთ **კოორდინაციას** (ჩიქობავა 1968, გვ. 215), **თუმცა, „...მხოლოდ გარდამავალზმნიანი წინადადების მექანიზმს ქმნის „კოორდინაცია“**<sup>3</sup> (ჩიქობავა 1968: 215).

ჩიქობავა გარდამავალზმნიან კონსტრუქციებს ქართულისთვის მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევს. მისი აზრით, მოთხრობითი და სახელობითი ბრუნვით აღნიშნული კოორდინატები მეტ ცვლილებებს იწვევენ ზმნაში, მეტ როლს თამაშობენ წინადადებაში, ვინემ მიცემითი ბრუნვით აღნიშნული კოორდინატი. საჭიროა ამ ორგვარი კოორდინატის გარჩევა: პირველი – **დიდი** და მეორე – **მცირე** კოორდინატი (ჩიქობავა 1968: 215).

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში შეინიშნება ტენდენცია, უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელის რიცხვი გარკვეული ტიპის ზმნებთან არ აისახოს: „*ხეები დგას*“, „*ღრუბლები ჩანს*“...

<sup>2</sup> როგორც ზემოთ ითქვა, ჩიქობავა სახელის მიერ ზმნურ ფორმაში პირის ნიშნის სავალდებულო მოთხოვნას მართვას უწოდებს (ჩვენ დაქვემდებარების ამ სახეს შეთანხმებად მივიჩნევთ).

<sup>3</sup> მიუხედავად ამ განაცხადისა, ჩიქობავა კოორდინაციის მექანიზმის ფარგლებში განიხილავს რელატიურ-გარდაუვალზმნიანი წინადადებების სტაბილურ კონსტრუქციებს, რაც აშკარა შეუსაბამობაა: შდრ.: „სინტაქსური მექანიზმის თვალსაზრისით ახალს ის არაფერს იძლევა; იგივე საფუძველი – კოორდინაცია“ (ჩიქობავა 1968: 219).

გარდამავალზმნიანი კონსტრუქციის პირდაპირი ობიექტი მეორე სერიაში გაცილებით ნაკლები სინტაქსური ძალის მქონე იყო ძველ ქართულში: ის მხოლოდ რიცხვში ითანხმებდა ზმნა-შემასმენელს. ამიტომ ამ კოორდინატს ჩიქობავა **უმცირესს** უწოდებს (ჩიქობავა, 1968, გვ. 216). პირველი სერიის ზმნურ კონსტრუქციებთან ეს ობიექტი მცირე კოორდინატი ხდება, მესამე სერიაში – დიდი (*ხუთხოვიეს მას იგი*) (ჩიქობავა 1968: 216).

რომ შევაჯამოთ, ჩიქობავასეული კოორდინატთა სისტემა შემდეგ სახეს იღებს:

**დიდია კოორდინატი**, რომელიც თავად მართულია ზმნა-შემასმენლისგან, მართავს (ანუ ითანხმებს – კ.გ.) ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს.

**მცირეა კოორდინატი**, რომელიც, ასევე, მართულია ზმნა-შემასმენლისგან, მართავს (/ ითანხმებს – კ. გ.) ზმნის პირს, მაგრამ არ ითანხმებს რიცხვში.

**უმცირესია კოორდინატი**, რომელიც მართულია ზმნა-შემასმენლისგან, ითანხმებს ზმნის რიცხვს, მაგრამ არ მართავს პირს (ჩიქობავა 1968: 216).

ჩიქობავას კლასიფიკაციით, გარდა კოორდინატებისა, მარტივი წინადადების სტრუქტურის აგებაში მონაწილეობენ: თავად ზმნა-შემასმენელი (მეკოორდინაციე **ზმნა**. იგია კოორდინაციის ცენტრი, **პირითადი კოორდინატი**), **ქვემდებარე** (მხოლოდ აბსოლუტურზმნიან კონსტრუქციაში) და **დამატება**.

საინტერესოა ა. ჩიქობავას ხედვა აბსოლუტურზმნიან კონსტრუქციებთან დაკავშირებით. მისი აზრით, ერთპირიან ზმნებსა და სახელს შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც ევროპულ ენებში, ანუ, **აქ არ გვაქვს კოორდინაცია; მართვა ცალმხრივია და ზმნა-შემასმენელი იმართვის** სახელისგან (ჩვენი ხედვით, ეთანხმება სახელს – კ.გ.) ოდენ პირში... ა. ჩიქობავას არგუმენტი ის არის, რომ **ქვემდებარის ბრუნვა არ იცვლება** – ის ყოველთვის სახელობითშია (ჩიქობავა 1968: 221).

იმავე ნაშრომში (ჩიქობავა 1968) ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან სახელობითში დასმულ ქვემდებარეს ჩიქობავა უკვე კოორდინაციის მექანიზმში ჩართულ წევრად მიიჩნევს (შდრ. დგას **ის** – ხუდგას **ის** მას): „ზმნა აქაც მართავს სახელთა ბრუნვებს; არ შეიძლება **მან ხუდგას იგი** ან: **მას ხუკუდების იგი**... სახელები მართავენ ზმნას პირში ... იმართვიან ზმნის მიერ ბრუნვაში, ესე იგი, არიან კოორდინატები“ (ჩიქობავა 1968: 220).

აშკარად ლოგიკური შეუსაბამობაა: ერთსა და იმავე სინტაქსურ ოდენობას (შდრ.: დგას **ის**; უდგას **ის** მას...) ეძლევა რადიკალურად განსხვავებული ინტერპრეტაცია, რაც, მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპის გათვალისწინებით, დაუშვებელია. უნდა ითქვას, რომ შეუსაბამობას, როგორც ჩანს, თავად ა. ჩიქობავაც ამჩნევდა და სქოლიოში ამ ტიპის კომენტარიც აქვს გაკეთებული: „**რაკი სხვა ტიპის ზმნები ... მართავენ სახელის ბრუნვას, აბსოლუტურ ზმნაში შეიძლებოდა დაგვენახა მართვის ნოლსაფეხური**“ (ჩიქობავა 1968: 220, სქოლიო №2). ჩიქობავას კონცეფციაში ამ შეუსაბამობის მიზეზი, ვფიქრობთ, არის მცდელობა, სახელობითი ბრუნვა გაუთანაბრდეს ინდოევროპული ენების ნომინატივს, რაც მართლაც საკამა-

თო საკითხია და მრავალ კითხვას აჩენს; აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ **პრინციულად შეუძლებელია ქართული სახელობითისა და ინდოევროპული ნომინატივის გაიგივება / გათანაბრება**: სახელობითი არ არის „პირდაპირი ბრუნვა“ (ქართული სინტაქსი საერთოდ არ ცნობს „პირდაპირი ბრუნვის“ გაგებას!), რის გამოც მრავალი მკვლევარი ევროპული ენებისთვის დამახასიათებელ კონსტრუქციებთან აიგივებს სპეციფიკურ და არაორდინარულ ქართულ სინტაქსურ სტრუქტურებს.

ქართულმა ენამ საკმაოდ დიდი ცვლილებები განიცადა ე.წ. „ძველი“ და „საშუალი“ საფეხურების გავლით, მე-5 საუკუნიდან დღემდე. შესამჩნევია ეს ცვლილებები სინტაქსშიც, კერძოდ, ზმნა-შემასმენელსა და კოორდინატებს შორის ურთიერთობა მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სურათს გვაძლევს:

**ა. აბსოლუტურ-გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის კონსტრუქციების კოორდინაციული მექანიზმი თანამედროვე ქართულში**

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე იმართვის ზმნისგან ბრუნვაში (სტატიკური მართვის სახეობა: დრო-კილოთა სამსავე სერიაში სუბიექტი ბრუნვაუცვლელია<sup>1</sup>); თავად ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში; ის ყოველთვის (პირთა და სერიების მიხედვით უღვლილებისას) **დიდი კოორდინატია**:

**I სერია:**

**მხ.რ.** „კაც-ი (სახ.) დგა-ს“; „ბავშვი-ი (სახ.) იმალება-ა“ (შდრ.: **მე ვ-დგავარ; მე ვ-იმალები; შენ 0-დგა-ხარ; შენ 0-იმალები...**)

**მრ.რ.** „კაც-ები (სახ.) დგა-ნ-ან“; „ბავშვი-ები (სახ.) იმალები-ან“ (შდრ.: **ჩვენ ვ-დგავართ; ჩვენ ვ-იმალებით; თქვენ 0-დგა-ხართ; თქვენ 0-იმალებით...**).

**II სერია:**

**მხ.რ.** „კაც-ი (სახ.) იდგა-ა“; „ბავშვი-ი (სახ.) დაიმალა-ა“ (შდრ.: **მე ვ-იდექი; მე და-ვ-იმალე; შენ 0-იდექი; შენ და-0-იმალე...**)

**მრ.რ.** „კაც-ები (სახ.) იდგა-ნენ“; „ბავშვი-ები (სახ.) დაიმალა-ნენ“ (შდრ.: **ჩვენ ვ-იდექით; ჩვენ და-ვ-იმალეით; თქვენ 0-იდექით; თქვენ და-0-იმალეით...**).

**III სერია:**

**მხ.რ.** „კაც-ი (სახ.) მდგარ-ა“; „ბავშვი-ი (სახ.) და-0-მალულა-ა“ (შდრ.: **მე ვ-მდგარ-ვარ; მე და-ვ-მალულ-ვარ; შენ 0-მდგარ-ხარ; შენ და-0-მალულ-ხარ...**)

**მრ.რ.** „კაც-ები (სახ.) მდგარ-ან“; „ბავშვი-ები (სახ.) დამალულ-ან“ (შდრ.: **ჩვენ ვ-მდგარ-ვართ; ჩვენ და-ვ-მალულ-ვართ; თქვენ 0-მდგარ-ხართ; თქვენ და-0-მალულ-ხართ...**).

<sup>1</sup> პირველსა და მეორე პირებში S „უბრუნველი“ ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი, თუმცა, ასეთ შემთხვევებში მაინც არის შესაძლებელი ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში მართვის შესახებ საუბარი: ა. დავითიანი დაქვემდებარების სპეციფიკურ ქვეტიპს, ე.წ. „პოტენციურ მართვას“ მიაკუთვნებს ამგვარ ურთიერთობას (დავითიანი 1973: 284).

ანალოგიური ვითარებაა იმ ერთპირიან ინვერსიულ ზმნებთან, რომლებიც წარმომავლობით ორპირიანი გარდაუვალი ზმნებია და სუბიექტი „დაკარგული აქვთ“ (იხ. მაგ., მელიქიშვილი 1978, v. 81-93); სინქრონიულ დონეზე ამ ტიპის ზმნათა სუბიექტი მიცემითშია და იგი ბრუნვაუცვლელია ზმნა-შემასმენლის დრო-კილოთა მიხედვით ცვლისას სამსავე სერიაში (სტატიკური მართვა); თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის ზმნათა უმრავლესობა მწკრივნაკლია (შანიძე 1980: 231) და, ძირითადად, პირველი სერიის მწკრივები მოეპოვება: *ეშინია / ეშინოდა მას, სცივა / სციოდა მას...*

მიცემით ბრუნვაში მართული ქვემდებარე მართულია ზმნისგან ბრუნვაში (ასევე, სტატიკური მართვის სახეობა), თავად ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში; ის ყოველთვის **დიდი კოორდინაცია** (იხევე, როგორც აბსოლუტურ ზმნასთან შეწყობილი სახელობითში მდგარი MS):

**მხ. რ.:** *მე მ-ცივა; შენ გ-ცივა, მას ს-ცივა;*

**მხ. რ.:** *ჩვენ გვ-ცივა; თქვენ გ-ცივა-თ, მათ ს-ცივა-თ<sup>1</sup>.*

### **ბ. რელატიურ-გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის კონსტრუქციების კოორდინაციული მექანიზმი**

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე იმართვის ზმნისგან სახელობით ბრუნვაში (სტატიკური მართვის სახეობა) დრო-კილოთა სამსავე სერიაში; თავად ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში; აქედან გამომდინარე, ის ყოველთვის (პირთა და სერიების მიხედვით უღვლილებისას) **დიდი კოორდინაცია** (გარდა პირველი და მეორე პირების კომბინაციათა სპეციფიკური კონსტრუქციებისა):

#### **I სერია:**

**მხ.რ.** *ემალეზ-ა ის მას (შდრ.: ვ-ემალეზი მე მას, 0-ემალეზი შენ მას);*

**მრ.რ.** *ემალეზი-ან ისინი მას (შდრ.: ვ-ემალეზი-თ ჩვენ მას, 0-ემალეზი-თ თქვენ მას).*

#### **II სერია:**

**მხ.რ.** *და-ემალ-ა ის მას (შდრ.: და-ვ-ემალე მე მას, და-0-ემალე შენ მას);*

**მრ.რ.** *და-ემალ-ნენ ისინი მას (შდრ.: და-ვ-ემალე-თ ჩვენ მას, და-0-ემალე-თ თქვენ მას).*

#### **III სერია:**

**მხ.რ.** *და-მალვი-ა ის მას (შდრ.: და-ვ-მალვი-ვარ მე მას, და-0-მალვი-ხარ შენ მას);*

**მრ.რ.** *და-მალვი-ან ისინი მას (შდრ.: და-ვ-მალვი-ვარ-თ ჩვენ მას, და-0-მალვი-ხარ-თ თქვენ მას);*

<sup>1</sup> განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელი მაგალითი: **მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ზმნა-შემასმენელს ითანხმებს რიცხვში**; ეს მოვლენა ცალკე განხილვის საგანია და, სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ქვესახეობას ქმნის მარტივი წინადადების კოორდინაციულ სტრუქტურაში.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ირიბი დამატება იმართვის ზმნისგან მიცემით ბრუნვაში (სტატიკური მართვის სახეობა); თავად ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში; იგი პირველსა და მეორე პირში **დიდი კოორდინაცია**, ხოლო მესამე პირში ვერ ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში და, შესაბამისად, **მცირე კოორდინაცია**:

*მ-ემალეა ის მე გვ-ემალეა ის ჩვენ*  
*გ-ემალეა ის შენ გ-ემალეა-თ ის თქვენ*  
*ო-ემალეა ის მას ო-ემალეა ის მათ.*

საინტერესოა პირველი და მეორე პირების კომბინაციებში წარმოდგენილი სურათი:

*მ-ემალეა შენ მე გვ-ემალეა შენ ჩვენ*  
*მ-ემალეა-თ თქვენ მე გვ-ემალეა-თ თქვენ ჩვენ*  
*გ-ემალეა მე შენ გ-ემალეა-თ მე თქვენ*  
*გ-ემალეა-თ ჩვენ შენ გ-ემალეა-თ ჩვენ თქვენ*

ამ კომბინაციებში ქვემდებარე უმცირესი კოორდინაცია (იმართვის ზმნა-შემასმენლისგან, ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში, მაგრამ ვერ ითანხმებს პირში); ირიბი დამატება სინტაქსური ძალით „სჯაბნის“ ქვემდებარეს და ხსნებულ კომბინაციებში **დიდი კოორდინაცია** (იმართვის ზმნა-შემასმენლისგან, ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში).

ქართულში სულ რამდენიმე 3-პირიანი გარდაუვალი ზმნა გვაქვს, რომლებიც, კოორდინატა გადანაწილების თვალსაზრისით, პრაქტიკულად, ისეთსავე სურათს გვიჩვენებენ, როგორც 2-პირიან გარდაუვალ ზმნებთანაა: ქვემდებარე მუდამ **დიდი კოორდინაცია** (გარდა ზემოთ დასახელებული I და II პირთა კომბინაციებისა), ერთ-ერთი დამატება მესამე პირში – **მცირე კოორდინაცი**, პირველსა და მეორე პირებში – **დიდი კოორდინაცი**... რაც შეეხება მეორე ირიბობიექტურ პირს, ის ვერც პირში ითანხმებს ზმნა-შემასმენელს და ვერც – რიცხვში. მაშასადამე, კოორდინაციის მექანიზმიდან ამოვარდნილია და სტატიკურ სუბორდინაციულ მართვასთან გვაქვს საქმე (მხოლოდ მის ფორმას განსაზღვრავს ზმნა-შემასმენელი – მოითხოვს მისგან მიცემით ბრუნვას):

*გ-ვეედრება მე მას მას გ-ვეედრება-თ ჩვენ მას მას*  
*ვეედრება შენ მას მას ვეედრება-თ თქვენ მას მას*  
*ვეედრება-ა ის მას მას ვეედრება-ან ისინი მას მას*

*მ-ვეედრება ის მე მას გვ-ვეედრება ის ჩვენ მას*  
*გ-ვეედრება ის შენ მას გ-ვეედრება-თ ის თქვენ მას*  
*ო-ვეედრება ის მას მას ო-ვეედრება ის მათ მას*

ორპირიან გარდაუვალ ზმნათა ერთი წყება (გრამატიკულ ლიტერატურაში ცნობილი, როგორც **ინვერსიული ზმნები**) „შებრუნებულ“ წყობას გვიჩვენებს: ინვერსიული ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე მუდამ მიცემით

ბრუნვაშია, ხოლო დამატება (დამატების სტატუსი არ სახელდება: ის არც პირდაპირი დამატებაა, არც ირიბი)<sup>1</sup> – ყოველთვის სახელობითში.

**ინვერსიულ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე დიდი კოორდინატია** – იმართვის ზმნისგან ბრუნვაში, ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში:

*მ-იყვარ-ს მე ის გვ-იყვარ-ს ჩვენ ის*  
*გ-იყვარ-ს შენ ის გ-იყვარ-თ თქვენ ის*  
*ო-იყვარ-ს მას ის უყვარ-თ მათ ის*

დიდი კოორდინატია ქვემდებარე პირველი და მეორე პირების კომბინაციაშიც:

*მ-იყვარ-ხარ მე შენ გვ-იყვარ-ხარ ჩვენ შენ*  
*გ-იყვარ-ვარ შენ მე გ-იყვარ-ვართ თქვენ მე*

რაც შეეხება ინვერსიული ზმნა-შემასმენლის „გაუდიფერენცირებელ“ დამატებას, ის პირთა ნებისმიერ კომბინაციაში ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირში (*გ-იყვარ-ვარ შენ მე; მ-იყვარ-ხარ მე შენ; ვ-უყვარ-ვარ (მას) მე; უყვარ-ხარ (მას) შენ..*), ასევე, ითანხმებს რიცხვში ზმნა-შემასმენელს პირველი და მეორე პირების კომბინაციაში – მაშასადამე, **დიდი კოორდინატია**:

*ვ-უყვარ-ვარ მას მე ვ-უყვარ-ვართ მას ჩვენ*  
*ო-უყვარ-ხარ მას შენ ო-უყვარ-ხართ მას თქვენ*

მაგრამ მესამე პირში იგი ვერ ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში და, შესაბამისად, მცირე კოორდინატია:

*უყვარ-ს მას ის / ისინი*

### **გ. რელატიურ-გარდამავალი ზმნა-შემასმენლის კონსტრუქციების კოორდინაციული მექანიზმი**

ორპირიანი გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე დინამიკური მართვის სინტაქსურ დაქვემდებარებაშია ზმნა-შემასმენელთან: დრო-კილოთა პირველ სერიაში იმართვის ზმნა-შემასმენლისგან სახელობით ბრუნვაში, მეორე სერიაში – მოთხრობითში, მესამეში – მიცემითში:

**I სერია:** *ხატავს კაც-ი (მას)*  
**II სერია:** *დახატა კაც-მა (ის)*  
**III სერია:** *დაუხატავს კაც-ს (ის)*

გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში უმეტეს შემთხვევაში და **დიდი კოორდინატია** (გარდა პირველსა და მეორე პირებში სპეციფიკური კონსტრუქციებისა, სადაც ქვემდებარე უმცირესი კოორდინატია; იხ. ქვემოთ, აქვე):

<b>მხ.რ.</b>	<b>მრ.რ.</b>
<i>ვ-ხატავ მე მას</i>	<i>ვ-ხატავ-თ ჩვენ მას</i>
<i>ო-ხატავ შენ მას</i>	<i>ო-ხატავ-თ თქვენ მას</i>
<i>ხატავ-ს ის მას</i>	<i>ხატავ-ენ ისინი მას</i>

<sup>1</sup> ინვერსიულ ზმნათა შესახებ იხ. მელიქიშვილი 1978: 81-93.

გარდამავალი ზმნა-შემასმენლის პირდაპირი დამატება, ასევე, დინამიკური მართვის სინტაქსურ დაქვემდებარებაშია ზმნა-შემასმენელთან: დრო-კილოთა პირველ სერიაში იმართვის ზმნისგან მიცემით ბრუნვაში, მეორე და მესამე სერიაში – სახელობითში:

**I სერია:** *ხატავს ის მეგობარ-ს*

**II სერია:** *დახატა მან მეგობარ-ი*

**III სერია:** *დაუხატავს მას მეგობარ-ი*

პირდაპირი დამატება პირველსა და მეორე პირში ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში და **დიდი კოორდინატია**; მესამე პირში მხოლოდ პირში შეთანხმება გვაქვს და ამიტომ **მცირე კოორდინატია**:

**მხ.რ.**

*მ-ხატავს ის მე*

*გ-ხატავს ის შენ*

*ო-ხატავს ის მას*

**მრ.რ.**

*გვ-ხატავს ის ჩვენ*

*გ-ხატავთ ის თქვენ*

*ო-ხატავ-ს ის მათ*

პირველი და მეორე პირების კომბინაციებში პირდაპირი დამატება ქვემდებარეზე „დომინირებს“: მისი პირიცა და რიცხვიც აისახება ზმნაში (დიდი კოორდინატია), ქვემდებარე კი მცირე კოორდინატად გვევლინება:

**მხ.რ.**

*მ-ხატავ შენ მე*

*გ-ხატავ მე შენ*

შდრ.:

*მ-ხატავ შენ მე*

*გ-ხატავ მე შენ*

**მრ.რ.**

*გვ-ხატავ შენ ჩვენ*

*გ-ხატავ-თ მე თქვენ*

*მ-ხატავ-თ თქვენ მე*

*გ-ხატავ-თ ჩვენ შენ*

უკანასკნელ 2 მაგალითში ქვემდებარე პირში ვერ ითანხმებს ზმნა-შემასმენელს, მაგრამ რიცხვი ყოველთვის აისახება; მაშასადამე, იგი **უმცირესი კოორდინატია**.

\* \* \*

სამპირიანი გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე ისეთსავე დაქვემდებარებაშია ზმნა-შემასმენელთან, როგორც ორპირიანი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე: დრო-კილოთა პირველ სერიაში იმართვის ზმნისგან სახელობით ბრუნვაში, მეორე სერიაში – მოთხრობითში, მესამეში – მიცემითში:

**I სერია:** *აჩვენებს კაც-ი (მას მას)*

**II სერია:** *აჩვენა კაც-მა (ის მას)*

**III სერია:** *უჩვენებია კაც-ს (ის მისთვის)*

როგორც ორპირიანი, ასევე სამპირიანი გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე უმეტეს შემთხვევაში ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში და **დიდი კოორდინატია** (გარდა პირველსა და მეორე პირებში სპეციფიკური კონსტრუქციებისა, სადაც ქვემდებარე უმცირესი კოორდინატია):

**დიდი კოორდინატია:**

**მხ.რ.**

**მრ.რ.**

*გ-ახვენებ მე მას მას გ-ახვენებ-თ ჩვენ მას მას  
0-ახვენებ შენ მას მას 0-ახვენებ-თ თქვენ მას მას  
ახვენებ-ს ის მას მას ახვენებ-ენ ისინი მას მას*

**უმცირესი კოორდინატია:**

*მ-იხვენებ შენ მე მას მ-იხვენებ-თ თქვენ მე მას  
გ-იხვენებ მე შენ მას გ-იხვენებ-თ ჩვენ შენ მას*

პირდაპირი დამატება, ისევე, როგორც ორპირიან ზმნებთან, 2 ბრუნვაში იმართვის ზმნა-შემასმენლისგან: პირველ სერიაში – მიცემითში, მეორესა და მესამეში – სახელობითში:

- I სერია:** *ახვენებს (ის მას) ნახატ-ს*
- II სერია:** *ახვენა (მან მას) ნახატ-ი*
- III სერია:** *უხვენებია (მას მისთვის) ნახატ-ი*

ანალოგიური ვითარებაა პირსა და რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით: პირველსა და მეორე პირში პირდაპირი დამატება ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში და **დიდი კოორდინატია**<sup>1</sup>; მესამე პირში მხოლოდ პირში შეთანხმება გვაქვს და ამიტომ **მცირე კოორდინატია**:

**მხ.რ.**

**მრ.რ.**

*მი-მ-აკრა მან მე მას მი-გვ-აკრა მან ჩვენ მას  
მი-გ-აკრა მან შენ მას მი-გ-აკრა-თ მან თქვენ მას  
მი-აკრა მან ის მას მი-აკრა მან ისინი მას*

**პირველი და მეორე პირების კომბინაციები:**

**მხ.რ.**

**მრ.რ.**

*მი-მ-აკარი შენ მე მას მი-გვ-აკარი შენ ჩვენ მას  
მი-გ-აკარი მე შენ მას მი-გ-აკარი-თ მე თქვენ მას*

სპეციფიკური კონსტრუქციებით გამოირჩევა გარდამავალი სამპირიანი ზმნა-შემასმენელი ირიბი დამატების „ქცევის“ თვალსაზრისით: **გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ირიბი დამატება პრინციპულად განსხვავებულია გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის დამატებისგან; ისინი არაა ტოლფასი სინტაქსური ოდენობები**: გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ირიბი დამატება მხოლოდ პირველსა და მეორე სერიებშია ბრუნვაუცვლელი (მიცემით ბრუნვაშია – როგორც გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ირიბი დამატება); მესამე სერიაში კი საერთოდ გადის ზმნური კოორდინაციის სტრუქტურიდან და თანდებულებიანი სახელით გადმოიცემა:

- I სერია:** *სწერს (ის მას) მეგობარ-ს*
- II სერია:** *მისწერა (მან ის) მეგობარ-ს*
- III სერია:** *მიუწერია (მას ის) მეგობარ-ის-თვის*

<sup>1</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ პირველსა და მეორე პირებში პირდაპირი დამატება უაღრესად იშვიათია და მხოლოდ სპეციფიკური სემანტიკური სტრუქტურის მქონე ზმნებთან შეუძლია პირთა მიხედვით ცვლა.



პირველსა და მეორე სერიაში ირიბი დამატების ურთიერთობა ზმნა-შემასმენელთან იდენტურია რელატიური გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ირიბი დამატებისა; **მესამე სერიაში განსხვავებული სინტაქსური ურთიერთობის სახე ყალიბდება:**

შდრ.:

<b>გარდამავალი 3-პირიანი ზმნა</b>			<b>გარდაუვალი 2-პირიანი ზმნა</b>		
<b>I სერია:</b>	<i>ახვენებს ის მას მას</i>		<i>ეჩვენება ის მას</i>		
<b>II სერია:</b>	<i>ახვენა მან ის მას</i>		<i>მოეჩვენა ის მას</i>		
<b>III სერია:</b>	<i>უჩვენებია მას ის მისთვის</i>		<i>მოსჩვენებია ის მას</i>		

გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ირიბი დამატება პირველსა და მეორე სერიებში ზმნურ კოორდინაციაში მონაწილე აქტანტია: დამატება, ისევე, როგორც ორპირიან ზმნებთან, მიცემით ბრუნვაში იმართვის ზმნა-შემასმენლისგან:

- I სერია:** *ახვენებს (ის მას) მეგობარ-ს*  
**II სერია:** *ახვენა (მან ის) მეგობარ-ს*

ანალოგიური ვითარებაა პირსა და რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით: პირველსა და მეორე პირში ირიბი დამატება ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში და **დიდი კოორდინაცია**; მესამე პირში მხოლოდ პირში შეთანხმება გვაქვს და ამიტომ **მცირე კოორდინაცია**:

<b>მს.რ.</b>		<b>მრ.რ.</b>
<i>მ-ახვენა მან მე ის</i>		<i>გვ-ახვენა მან ჩვენ ის</i>
<i>გ-ახვენა მან შენ ის</i>		<i>გ-ახვენა-თ მან თქვენ ის</i>
<i>ახვენა მან მას ის</i>		<i>ახვენა მან მათ ის</i>

**პირველი და მეორე პირების კომბინაციები:**

<b>მს.რ.</b>		<b>მრ.რ.</b>
<i>მ-ახვენე შენ მე ის</i>		<i>გვ-ახვენე შენ ჩვენ ის</i>
<i>გ-ახვენე მე შენ ის</i>		<i>გ-ახვენე-თ მე თქვენ ის</i>

ა. ჩიქობავამ ძველი ქართული ენისათვის შემოგვთავაზა ზმნა-შემასმენლისა და მასთან დაკავშირებული ყველა ტიპის აქტანტის (ქვემდებარე, ანუ, მისი ტერმინოლოგიით – MS, დამატებები – MO) კოორდინაციული დაქვემდებარების კანონზომიერებები; ჩიქობავას მიხედვით:

1. ზმნა მართავს ბრუნვაში როგორც MS-ს, ისე MO-ს (როგორც პირდაპირს, ასევე – ირიბს).
2. ზმნაში აღინიშნება არა მხოლოდ ქვემდებარის (MS-ის), არამედ დამატებების (MO-ს) რიცხვიც.
3. ზმნის უღვლილება პირთა მიხედვით დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვემდებარის პირზე, არამედ ორივე სახელზე – როგორც MS-ზე, ასევე MO-ზე (ჩიქობავა 1968, გვ. 214).

ზმნა მართავს სახელთა ბრუნვას, სახელი მართავს (/ ითანხმებს – კ.გ.) ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვში (ჩიქობავა 1968, გვ. 214).

ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ საურთიერთო მართვას, უწოდებს ა. ჩიქობავა **კოორდინაციას**, თუმცა იქვე

აღნიშნავს, რომ „მხოლოდ გარდამავალზმნიანი წინადადების მექანიზმს ქმნის „კოორდინაცია“ (ჩიქობავა 1968: 215). როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მონოგრაფიაში – „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ – ა. ჩიქობავამ კოორდინაციულ დამოკიდებულებად მიიჩნია გარდაუვალ ორპირიან ზმნათა სინტაქსური კონსტრუქციებიც, რითაც საკუთარ მოსაზრებას თავადვე დაუპირისპირდა. ასევე, ვფიქრობთ, ჩიქობავასეული მეთოდოლოგიური მიდგომა მოითხოვს გარკვეულ კორექტივებს ერთპირიან აბსოლუტურ ზმნებთან მიმართებით: თუ ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან სტატიკური მართვაა, ანალოგიური დამოკიდებულებაა სახელობითში გაფორმებულ ქვემდებარესა და ზმნა-შემასმენელს შორის ერთპირიან გარდაუვალ ზმნებთანაც!). შესაბამისად, **კოორდინაციას ქართულში** (როგორც ძველ, ასევე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში) ქმნის როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნა – როგორც ერთ-, ისე ორ- თუ სამპირიანი.

ზემოთ წარმოვადგინეთ ყველა შესაძლებელი კონსტრუქცია, რომელიც დასტურდება თანამედროვე ქართულში; თუმცა, ვფიქრობთ, აუცილებელია მოცემული კონსტრუქციების პარადიგმატული დაჯგუფება. პარადიგმატული ერთეულები, როგორც ცნობილია, ჰომოგენურ ელემენტა მაკროსისტემებად განიხილება და, ამდენად, საჭიროდ მიგვაჩნია ზმნურ კონსტრუქციათა პარადიგმატული რიგების გამოწველილვითი ანალიზი.

ა. ჩიქობავას აზრით, „პირის აღნიშვნის თვალსაზრისით, ზმნები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახეობისად: აბსოლუტური სახეობისად და რელატიური სახეობისად... ზმნა, რომელსაც მხოლოდ ერთი პირის ფორმა აქვს, იქნება აბსოლუტური სახეობისა... ზმნა, რომელსაც ორი პირის ფორმა აქვს, იქნება რელატიური...“ (ჩიქობავა 1968, გვ. 159).

გარდა მოცემული კლასიფიკატორისა, ა. ჩიქობავა გვთავაზობს გარდამავლობა / გარდაუვალობის დიქოტომიას. შესაბამისად, ზმნათა (მათთან დაკავშირებულ სინტაქსურ კონსტრუქციათა ტიპების) დაჯგუფებას მხოლოდ ამ კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს:

1. აბსოლუტური გარდაუვალი;
2. რელატიური გარდამავალი;
3. რელატიური გარდაუვალი.

ვფიქრობთ, შემოთავაზებული კლასიფიკატორები არ არის საკმარისი ზმნურ კონსტრუქციათა ტიპების სრული სპექტრის წარმოსაჩენად, რისთვისაც აუცილებლად მიგვაჩნია ლაბილური / სტაბილური კონსტრუქციების დიქოტომიის შემოტანა.

სტაბილურ სინტაქსურ კონსტრუქციად განვიხილავთ დრო-კილოთა სამსავე სერიაში ბრუნვაუცვლელ აქტანტებს (შესაძლებელია, სტაბილური კონსტრუქცია მოეპოვებოდეს როგორც აბსოლუტურ-ერთპირიან, ასევე ორპირიან და სამპირიან ზმნა-შემასმენელს); ლაბილური კონსტრუქციის მქონეა ზმნა-შემასმენლები, რომელთაც ბრუნვაუცვლელადი (დრო-კილოთა სერიების მიხედვით) აქტანტები მოეპოვებათ: სტაბილური კონსტრუქციის მქონეა ერთპირიანი არის, დგას, ჩნდება, იმალება, წერია; ორპირიანი უწ-

ნდება, ემალება, ხვდება; სამპირიანი ჰპირდება, ეკითხება ... ლაბილური კონსტრუქციის მქონეა ერთპირიანი მეფობს, გორავს, ცურავს; ორპირიანი აშენებს, აკეთებს, ხატავს; სამპირიანი სწერს, უშენებს, აწერინებს...

**ა. სტაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნა-შემასმენელი**

აბსოლუტური გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა-შემასმენელი ნომინატიური კონსტრუქციის მქონეა; ქვემდებარე სამივე სერიის ფორმებთან სახელობით ბრუნვაშია:

ის (კაც-ი, ბიჭ-ი, მგელ-ი) არის, დგას, იმალება... (I სერია)

ის (კაც-ი, ბიჭ-ი, მგელ-ი) იყო, იდგა, დაიმაღლა... (II სერია)

ის (კაც-ი, ბიჭ-ი, მგელ-ი) ყოფილა, მდგარა, დამაღულა... (III სერია)

ანალოგიური სტაბილური ნომინატიური კონსტრუქციის მქონეა ზმნები: ზის, მიდის, იწერება, იბერება, დნება, გდია და მრავალი სხვა.

სტაბილურ კონსტრუქციათა განსხვავებულ ტიპს ქმნიან ე.წ. „ინვერსიული“ ერთპირიანი ზმნები (იხ. მაგ., მელიქიშვილი 1978 გვ. 81-93). ამ შემთხვევაში იცვლება ქვემდებარის ბრუნვა: სამსავე სერიაში იგი მიცემითშია (სძინავს, ღვიძავს, სცხელა, სცივა, ეშინია და ა.შ.). ამ ტიპის ზმნათა რაოდენობა შეზღუდულია და, მკვლევართა აზრით, ეს ფორმები მიღებულია ორპირიანი ზმნების სემანტიკური სტრუქტურის ისტორიული ცვლილების შედეგად (იხ. მაგ., უთურგაიძე 2002, გვ. 89-103).

პრაქტიკულად, ერთპირიანი ზმნების კონსტრუქციები აწმყოსა და პირველი სერიის სხვა მწკრივებში ამ 2 ბრუნვით ამოიწურება; სახელობით ბრუნვაშია დასმული ერთპირიანი მედიოაქტიური ზმნების სუბიექტიც დრო-კილოთა პირველი სერიის ფორმებთან (იდვიძებს, ისვენებს, სწავლობს, თამაშობს, მგზავრობს, მუშაობს...), თუმცა, მათი კონსტრუქცია ლაბილურია და სხვა სერიებში განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს.

სტაბილური კონსტრუქციის მქონეა რელატიური ზმნების საკმაოდ დიდი ჯგუფი: ეს არის სხვადასხვაგვარი წარმოების, სრულიად განსხვავებული მორფოლოგიური აგებულების ზმნათა ერთობლიობა, რომელთაც აერთიანებს ერთადერთი (სინტაქსური) ნიშანი: მათთვის დამახასიათებელია სტაბილური ზმნური კონსტრუქცია დრო-კილოთა სამსავე სერიაში: სახელობითი + მიცემითი (ნომინატიურ-დატიური კონსტრუქცია). ამ კონსტრუქციის მქონე ზმნათა რაოდენობა ქართულში საკმაოდ დიდია:

ეხმარება	დაეხმარა	დახმარებია	ის მას
ეფერება	მოეფერა	მოჰფერებია	ის მას
ემშვიდობება	დაემშვიდობა	დამშვიდობებია	ის მას
ხვდება	შეხვდა	შეხვედრია	ის მას

სტაბილური კონსტრუქცია ახასიათებს ასევე ორპირიან ინვერსიულ ზმნათა რიგს, რომლებიც, სრულიად განსხვავებული წარმოებისა და მორფოლოგიური სტრუქტურის მქონეა, მაგრამ გამოირჩევა სინტაქსური კონსტრუქციის „მდგრადობით“ (აქტანტთა სტაბილური ბრუნვებით):

ჰყავს	მას ის
აქვს	მას ის
ენატრება	მას ის
უხდება	მას ის

ინვერსიის საკითხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტაბილური სინტაქსური კონსტრუქციის ამ ქვესახეობის ჩამოყალიბებაში: ინვერსია არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ დიაქრონიულ ჭრილში: სწორედ ინვერსიის პროცესი გახდა ერთ-ერთი მიზეზი და საფუძველი ქართული ენის სინტაქსში იმ პრინციპული ძვრებისა, რომლებმაც ენის სისტემაში, სხვა ცვლილებებთან ერთად, გამოიწვია მიცემით ბრუნვაში გაფორმებული პირის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის მოპოვება; ერთი მხრივ, დარჩა ყველგან სტაბილური კონსტრუქცია სახელობითბრუნვიანი ქვემდებარით, მეორე მხრივ, ჩამოყალიბდა სტაბილური კონსტრუქცია მიცემით-ბრუნვიანი კონსტრუქციით (დაწვრილებით იხ. ჯორბენაძე 1981; მელიქიშვილი 1978; მელიქიშვილი 2001: 337, 344).

დასახელებულ ზმნა-შემასმენელთა სინტაქსური კონსტრუქცია დატიურ-ნომინატიურია (მიცემითი + სახელობითი).

სტაბილურ კონსტრუქციას გვიჩვენებს დრო-კილოთა სამსავე სერიაში სამპირიან ზმნათა ერთი უაღრესად მცირე ჯგუფი:

ელაპარაკება,	ჰპირდება	ის	მას	მას
დაელაპარაკა,	შეჰპირდა	ის	მას	მას
დალაპარაკებია,	შეჰპირებია	ის	მას	მას

### **ბ. ლაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნა-შემასმენელი**

როგორც ზემოთ ითქვა, ქართული ენისათვის ურთულეს უბნადაა მიჩნეული ერგატიული კონსტრუქცია. თუმცა, ვფიქრობთ, სირთულე, ზოგადად, პოლიპერსონალური ზმნური კონსტრუქციების ლაბილურობიდან მომდინარეობს: ერგატივი მხოლოდ დრო-კილოთა II სერიის ფორმებთან გვხვდება (გამონაკლისია „ვიცი“ ზმნის წარმოება, არქაულ „უწყის“ ფორმასთან ერთად, რომელიც აწმყოსა და აწმყოს წრის სხვა ნაკვეთებში მოთხრობითბრუნვიან სუბიექტს შეიწყობს: იცის, იცოდა, იცოდეს მან; უწყის, უწყოდა, უწყოდეს მან..., სხვა შემთხვევაში მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციები მხოლოდ მეორე სერიის გარდამავალი ზმნის კონტექსტში განიხილება), პირველსა და მესამე სერიებში, შესაბამისად, წარმოდგენილია სახელობითი და მიცემითი ბრუნვები; სხვაგვარად – მეორე სერიაში ერგატიული კონსტრუქციის არსებობა აუცილებლად გულისხმობს პირველ სერიაში – ნომინატიური კონსტრუქციის, ხოლო მესამე სერიაში დატიური კონსტრუქციის პოზიტივობას. ეს გახლავთ გარდამავალი ზმნა-შემასმენლისთვის დამახასიათებელი *ლაბილური სინტაქსური კონსტრუქციების* ფორმულა.

ლაბილური კონსტრუქციის მქონეა აგრეთვე ერთპირიან ზმნათა ჯგუფი, რომელთაც მედიოაქტივებს (სხვაგვარად – საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებს) უწოდებენ.

მედიოაქტივთა შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა, გასაზიარებელი ჩანს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ამ ტიპის, ოდინდელ ორპირიან ზმნებს პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვთ:

**ღაიბინა მან [ძილი]**

სამსავე სერიაში ამ ტიპის ზმნებთან შეწყობილი ქვემდებარე იმავე პრინციპით იცვლის ბრუნვის ფორმას, როგორც გარდამავალზმნიან სინტაქსურ კონსტრუქციებში: პირველ სერიაში სახელობითშია (ნომინატიური კონსტრუქცია), მეორეში – მოთხრობითში (ერგატიული კონსტრუქცია), მესამეში – მიცემითში (დატიური კონსტრუქცია):

იღვიძებს	მეფობს	ხოხავს	–	ის
გაიღვიძა	იმეფა	იხოხა	–	მან
გაუღვიძია	უმეფია	უხოხია	–	მას

სქემატურად, ერთპირიანი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნების ლაბილური კონსტრუქციების ფორმულა ასე წარმოდგება:

**ქვემდებარის ბრუნვა**

- I სერია სახელობითი
- II სერია მოთხრობითი
- III სერია მიცემითი

ორპირიანი ლაბილური კონსტრუქციის ზმნები ქართულში დიდ ჯგუფს ქმნის; ლაბილური კონსტრუქციების ფორმულა სქემატურად ასე წარმოდგება:

**ქვემდებარის ბრუნვა**

**პირდ. დამატების ბრუნვა**

I სერია	სახელობითი	მიცემითი
II სერია	მოთხრობითი	სახელობითი
III სერია	მიცემითი	სახელობითი

შდრ. 2-პირიანი სტაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნური კონსტრუქციების განსხვავებული პარადიგმა:

ემალება	ის მას	–	მაღავეს	ის მას
დაემალა	ის მას	–	დამალა	მან ის
დამალვია	ის მას	–	დაუმაღავეს	მას ის

კიდევ უფრო გართულებული კონსტრუქციით გამოირჩევა სამპირიანი გარდამავალი ზმნები: აქ რამდენიმე თავისებურება იჩენს თავს:

- ა. გარდა იმისა, რომ ორპირიანი ლაბილური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნების ფორმულა მეორდება, ემატება მესამე (ირიბობიექტური) პირი, რომელიც, სტაბილური კონსტრუქციების მქონე ზმნების მსგავსად, პირველ და მეორე სერიაში მიცემითში ფორმდება.
- ბ. გასათვალისწინებელია ამ ირიბი ობიექტის განსხვავებული ქცევა მესამე სერიის ფორმებთან: მესამე სერიაში ირიბობიექტური პირი კარგავს ორმხრივ კავშირს ზმნა-შემასმენელთან და თანდებულისანი ფორმით გვევლინება (იხ. ზემოთ): უშენებს ის **მეგობარს** სახლს – აუშენა მან **მეგობარს** სახლი – აუშენებია მას **მეგობრისთვის** სახლი)...

სამპირიანი გარდამავალი ზმნის კონსტრუქციების სქემატური ჩანაწერი:

- I. აწმყო / მყოფადი / უწყვეტელი – სახ. მიც. მიც.  
უშენებს / აუშენებს / აუშენებდა კაც-ი სახლ-ს მეგობარ-ს
- II. წყვეტილი – მოთხრ. სახ. მიც.  
აუშენა კაც-მა სახლ-ი მეგობარ-ს
- III. თურმეობითი – მიც. სახ. [თანდებულიანი ნათ.]  
აუშენებია კაც-ს სახლ-ი მეგობარ-ისთვის...

### ლიტერატურა:

- ბენვენისტი 1974 – Бенвенист Э., *Общая лингвистика*, 1974.
- გაბუნია 2016 – მარტივი წინადადების ანალიზის პრინციპები თანამედროვე ქართულში, თბილისი, 2016.
- გაბუნია 1991 – კ. გაბუნია, ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში: *კავკასიოლოგთა I საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები*, თბილისი, 1991.
- გაბუნია 1992<sup>2</sup> – კ. გაბუნია, წინადადების წევრთა განსაზღვრის სინტაქსური კრიტერიუმებისათვის ქართველურ ენებში: *მაცნე, ენისა და ლიტ. სერია*, თბილისი, 1992., №2.
- გაბუნია 1996 – კ. გაბუნია, აღდგება თუ არა ზმნური ტიპის ნომინატიური სისტემა ქართველურ ფუძე-ენაში?: *საენათმეცნიერო ძიებანი*, V, თბილისი, 1996.
- გაბუნია 2007 – კ. გაბუნია, *ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში*, თბილისი, 2007.
- დავითიანი 1973 – ა. დავითიანი, *ქართული ენის სინტაქსი*, თბილისი, 1973.
- იაკობსონი 1985 – Якобсон Р., К общему учению о падеже (Общее значение русского падежа): *Избранные работы*, Москва, 1985.
- კვაჭაძე 1977 – ლ. კვაჭაძე, *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი* თბილისი, 1977.
- კიზირია 1974 – ა. კიზირია, ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა ქართული ენის დასავლური დიალექტების მიხედვით: *ქესს*, I თბილისი, 1974.
- კიზირია 1982 – ა. კიზირია, *მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში*, თბილისი, 1982.
- კლიმოვი 1962 – Климов Г. А., *Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте*, Москва, 1962.
- კლიმოვი 1973 – Климов Г. А., *Очерк общей теории эргативности*, Москва, 1973.
- კლიმოვი 1977 – Климов Г. А., *Типология языков активного строя*, Москва, 1977.
- კურილოვიჩი 1962 – Курилович Е., *Очерки по лингвистике*, Москва, 1962.

**მარი 1908** – Марр Н. Я., *Грамматика древнелитературного грузинского языка*, Ленинград, 1925.

**მელიქიშვილი 1978** – „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი: *ქელს*, თბილისი, 1978.

**მელიქიშვილი 2001** – *ქართული ზმნის უღლების სისტემა*, თბილისი, 2001.

**ნებიერიძე 1987** – გ. ნებიერიძე, არსებობს თუ არა ერგატიული და დატიური კონსტრუქციები ქართულში?: *მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, თბილისი, 1987, №3*.

**ონიანი 1989** – ა. ონიანი, *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია)*, თბილისი, 1989.

**როგავა 1975** – გ. როგავა, ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: *იკეწ, ტ. II*, თბილისი, 1975.

**ტენიერი 1988** – Теньер Л., *Основы структурного синтаксиса*, Москва, «Прогресс», 1988.

**უთურგაიძე 2002** – თ. უთურგაიძე, *გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში*, თბილისი, 2002.

**უთურგაიძე 2009** – თ. უთურგაიძე, *ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში*, თბილისი, 2009.

**ფეიქრიშვილი 1996** – ჟ. ფეიქრიშვილი, *ქართული ენის სინტაქსი*, ქუთაისი, 1998.

**შანიძე 1942** – ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის: *სმამ, ტ. III, №2-3*, თბილისი, 1942.

**შანიძე 1948** – ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკა, II*, თბილისი, 1948.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები: *შრომები, ტ. III*, თბილისი, 1980.

**შტერლინგი 1959** – Штерлинг Д. А., О неоднородности грамматических категорий: *Вопросы языкознания, 1959, №1*.

**ჩიკოიძე 2016** – გ. ჩიკოიძე, *წინადადების სტრუქტურის განმსაზღვრელი ერთეულების სემანტიკა*, თბილისი, 2015.

**ჩიქობავა 1934** – ა. ჩიქობავა, *ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები: ქართული სალიტერატურო ნორმათა დადგენისათვის*, თბილისი, 1934.

**ჩიქობავა 1939** – ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: *თსუ შრომები, X*, თბილისი, 1939.

**ჩიქობავა 1942** – ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის, ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები: *ენიკის მოამბე, XII*, თბილისი, 1942.

**ჩიქობავა 1948** – ა. ჩიქობავა, *ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I*, თბილისი, 1948.

**ჩიქობავა 1950** – ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: *ქეგლ, ტ. I*, თბილისი, 1950.

**ჩიქობავა 1952** – ა. ჩიქობავა, *ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი, 1952.

**ჩიქობავა, 1961** – ა. ჩიქობავა, *ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II*, თბილისი, 1961.

**ჩიქობავა 1968** – ა. ჩიქობავა, *მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში*, თბილისი, 1968.

**ჩიქობავა 1979** – ა. ჩიქობავა, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი, 1979.

**ჯორბენაძე 1981** – ბ. ჯორბენაძე, ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში, *იკეწ, VIII*, თბილისი, 1981.



**თანდებულისა და ნაწილაკის საკითხი თანამედროვე ქართული ენის მეტყველების ნაწილთა სისტემაში**

როგორც ცნობილია, სიტყვათა ტრადიციულ დაყოფას მეტყველების ნაწილებად გარკვეული ნაკლოვანებები ახლავს, რის შესახებაც ხშირად მიუთითებენ მკვლევრები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა ის, რომ ამგვარი დაყოფა არ არის თანამიმდევრული: არ არსებობს ერთი საკლასიფიკაციო ნიშანი. კლასიფიკაცია ეფუძნება სიტყვათა როგორც გრამატიკულ, ისე სემანტიკურ მახასიათებლებს, როგორც ფორმას, ისე ფუნქციას.

ჩვენ განვიხილავთ თანდებულისა და ნაწილაკის საკითხს მეტყველების ნაწილთა სისტემაში თანამედროვე ქართული ენის მონაცემების მიხედვით.

თანდებულსა და ნაწილაკს ფორმაუცვლელ, დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ მეტყველების ნაწილებს მიაკუთვნებენ.

ქართულში განიხილავენ თანდებულთა ორ სახეობას:

1. ცალკე მდგომი თანდებულები: **მიერ** (კაცის მიერ), **შესახებ** (საკითხის შესახებ), **შორის** (მეგობრებს შორის)...

2. სიტყვასთან შერწყმული თანდებულები: **-ზე** (თაფ-ზე), **-ში** (სახლ-ში), **თან** (კაც-თან), **-გან** (ხის-გან)...

ნაწილაკებშიც ორი სახეობა გამოიყოფა:

1. ცალკე მდგომი ნაწილაკები: **ხომ**, **ნუთუ**, **კი**, **არა**, **ვერ...**

2. სიტყვასთან შერწყმული ნაწილაკები: **-ც** (ბავშვი-ც), **-ვე** (ორი-ვე), **-და** (ჩვენ-და), **-ო** (დაბრუნდა-ო)...

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არის გამოთქმული განსხვავებული თვალსაზრისები სიტყვასთან შერწყმული თანდებულების შესახებ. ა. შანიძე ზოგიერთ მათგანს ბრუნვის ნიშნის კვალიფიკაციას აძლევს და გამოყოფს სამ ლოკალურ ბრუნვას: გამოსვლითი (-იდან, -დან), მიწვევითი (-ამდე//ამდის, -მდე//მდის) და სადაობითი (-ში, -ზე) (შანიძე 1980: 73-75). არნ. ჩიქობავა არ იზიარებს ამ მოსაზრებას და წარმოადგენს საწინააღმდეგო არგუმენტებს (ჩიქობავა 1961: 200-204). ლოკალური ბრუნვების გამოყოფა საკამათოა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ა. შანიძემ სიტყვასთან შერწყმული თანდებულების ნაწილი (-იდან, **-დან**, **-მდე**, **-მდის**, **-ზე**, **-ში**) ბრუნვის ნიშნებად, ანუ აფიქსებად, მიიჩნია.

საინტერესოა ბ. ფონხუას მოსაზრება სიტყვასთან შერწყმული თანდებულებისა და ნაწილაკების შესახებ. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამგვარი ერთეულები მორფემებია და არა სიტყვები: „თანდებულთა მეტი წილი სრულმნიშვნელოვან სიტყვას მიუერთდება და, ამრიგად, უკვე მორფემას წარმოადგენს და არა სიტყვას (-კენ, -ში, -თვის, -მდის, -ზე...), ასევე ნაწილაკებიც (-მე, -ვე, -და, -ცა, -ოდე...)“ (ფონხუა 1974: 127).

„ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ (ჯორბენაძე, 1988) როგორც ცალკე მდგომი, ისე შერწყმული თანდებულები კვალიფიცირებულია, როგორც თანდებული-მორფემოიდები, ხოლო

ნაწილაკები – როგორც ნაწილაკი-მორფემოიდები. სხვა ნაშრომში ბ. ჯორბენაძე თანდებულებსა და ნაწილაკებს მორფემებად მიიხსენებს: „ტრადიციულად ქართულში გამოყოფენ ფორმაცვალებად და ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებს. ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებად მიიხსენიება ზმნიზება, კავშირი და შორისდებულები. ასევე თანდებულები, ნაწილაკი და ნაწევარი. ამათგან თანდებულები და ნაწილაკი არსებითად არის მორფემა, ნაწევარი – მორფემოიდი“ (ჯორბენაძე, 1995: 23).

ტ. ფუტკარაძეს **-ზე, -თან** და მსგავსი ერთეულები აფიქსებად მიიხსნია: „-ზე ტიპის მორფემები რელატიურ აფიქსებად უფრო ჩაითვლებიან, ვიდრე დამხმარე სიტყვებად“ (ფუტკარაძე 2016, გვ. 162). ავტორი აღნიშნავს: „თანამედროვე ქართულშიც, სახელური მორფემების ანალიზისას, უფრო ლოგიკურია, ბრუნვის ნიშანს მირთული თუ შერწყმული „თანდებული“ შედგენილი მორფემის ნაწილად განვიხილოთ, ვიდრე გავათანაბროთ ცალკე მდგომ თანდებულთან თუ ზმნისართთან“ (ფუტკარაძე 2016, გვ. 171).

მაშასადამე, მკვლევრები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ სიტყვასთან შერწყმული თანდებულების შესახებ. ზოგ ავტორს ისინი თანდებულად მიიხსნია, ზოგს – მორფემად. ჩვენ საკითხი გვიანტერესებს სხვა კუთხით: შეიძლება თუ არა შერწყმული თანდებულები (**-ზე, -ში** და ა.შ.) მივიჩნიოთ მეტყველების ნაწილად?

როგორც ცნობილია, მეტყველების ნაწილებად დაყოფა ძველი ბერძნული გრამატიკებიდან მომდინარეობს და გულისხმობს სიტყვების კლასიფიკაციას გარკვეული ნიშნით. მაშასადამე, მეტყველების ნაწილები არის სიტყვები. ამ თვალსაზრისით თუ შევაფასებთ ქართული ენის მონაცემებს, უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაში ცალკე მდგომი თანდებულები და ნაწილაკები (როგორც სიტყვები) მეტყველების ნაწილთა სისტემის წევრებია, სიტყვასთან შერწყმული თანდებულები და ნაწილაკები კი სიტყვის შემადგენელი ნაწილები, ანუ აფიქსებია, ამიტომ მათ მეტყველების ნაწილთა სისტემაში ვერ განვიხილავთ.

ჩვენს თვალსაზრისს მხარს უჭერს მოსაზრება, რომელიც წარმოდგენილია მონოგრაფიულად გამოცემულ მორფოლოგიის კურსში: „თანდებულისა და ნაწილაკის მეტყველების ნაწილად გამოყოფა ვერ ეგუება სიტყვის ენათმეცნიერულ განსაზღვრას; ფაქტობრივ, თანდებული და ნაწილაკი (და ძველი ქართულისათვის – ნაწევარი) არსებითად არის მორფემა (ნაწევარი კი – მორფემოიდი) (გოგოლაშვილი 2012: 37).

ფუნქციური თვალსაზრისით ორივე სახის თანდებულების (როგორც ცალკე მდგომის, ისე სიტყვასთან შერწყმულის) განხილვა ერთ ჯგუფში შესაძლებელია, რადგან ისინი გამოხატავენ ერთგვარ მნიშვნელობებს: საგნის მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებასა და მისთ. ასეთივე ვითარებაა ნაწილაკებთანაც ფუნქციური კუთხით. მაგრამ გრამატიკული თვალსაზრისით ცალკე მდგომი და სიტყვასთან შერწყმული თანდებულების (ანდა ნაწილაკების) ერთ ჯგუფში განხილვა გაუმართლებელია, რადგან საქმე ეხება ორ სრულიად განსხვავებულ ერთეულს: ერთი მხრივ,

სიტყვებს (მიერ, **შესახებ, შორის, ხომ, ნუთუ, კი...**) და მეორე მხრივ, ავიქსებს (-ზე, -ში, -გან, -ც, -ვე, -და...).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ საკითხს განვიხილავთ მხოლოდ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების მიხედვით, სინქრონიულ დონეზე. დიაქრონიული კვლევისას ამ მონაცემებს სხვა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. როგორც ცნობილია, წარმოშობით ცალკე მდგომი და შერწყმული თანდებულები ერთი ოდენობაა. ეს უკანასკნელი თანდებულებიც თავდაპირველად ცალკე სიტყვებს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, ისინი სიტყვას შეეზარდნენ და ავიქსის სახე მიიღეს. ამგვარად, საქმე გვაქვს გრამატიკალიზაციის პროცესთან: თავსა **ზედა** > თავ-ზე, სახლსა **შინა** > სახლ-ში, კაცსა **თანა** > კაც-თან და ა.შ. მსგავსი პროცესი უცხო არ არის ქართულისათვის. როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართული ენის სახელობით და მოთხრობით ბრუნვათა ნიშნები სწორედ დამოუკიდებელი სიტყვებიდან (ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან) მომდინარეობს.

ჩვენი აზრით, ენის განვითარების სხვადასხვა დონეზე განსხვავებულად უნდა აღიწეროს ზემოთ დასახელებული ერთეულები. კერძოდ: დიაქრონიული კვლევისას **სახლსა შინა** და **კაცსა თანა** შესიტყვებებში **შინა** და **თანა** მეტყველების ნაწილთა რანგში უნდა განვიხილოთ, ხოლო **სახლ-ში** და **კაც-თან** ფორმებში **-ში** და **-ზე** ავიქსებად უნდა იყოს კვალიფიცირებული.

თანდებულების აღწერისას დიაქრონიული და სინქრონიული მონაცემების გამიჯვნა მნიშვნელოვანია სწავლების პროცესშიც. ამის შესახებ მითითებს მ. კობაიძე. იგი პრაქტიკული თვალსაზრისით (სწავლების კუთხით) აფასებს თანდებულებს და წერს: „ამ შემთხვევაში მთავარი ამ მორფემების კვალიფიკაციის საკითხი კი არ არის, არამედ მთავარია, რომ ენის შემსწავლელამდე სისტემა მარტივი სახით მივიტანოთ და არ ვაიძულოთ მოსწავლე თუ სტუდენტი, რომ რამდენიმე საუკუნის წინ მომხდარი პროცესები გააანალიზოს ყოველი -ში -თუ -დან თანდებულიანი ფორმის აღწერისას“ (კოხ-კობაიძე 2007: 162-163).

ვფიქრობთ, სიტყვასთან შერწყმული თანდებულებისა და ნაწილაკების განხილვა მეტყველების ნაწილთა ჯგუფში გარკვეულ პრობლემებს ბადებს სხვადასხვა კუთხით. ერთგვარ უხერხულობას ქმნის ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართული ენის გრამატიკებში (შანიძე 1980; კვაჭაძე 1981; ფეიქრიშვილი 2010...) ერთსა და იმავე მონაცემებს (სიტყვასთან შერწყმულ თანდებულებსა და ნაწილაკებს) განიხილავენ ორჯერ, სხვადასხვა კონტექსტში: ერთი მხრივ, ისინი განხილულია სახელებთან, თანდებულიანი სახელებისა და ნაწილაკიანი სახელების ანალიზისას, მეორე მხრივ კი იგივე მონაცემები აღწერილია ცალკე მეტყველების ნაწილებად (თანდებულებისა და ნაწილაკების სახით) (ჟ. ფეიქრიშვილი განიხილავს მხოლოდ თანდებულიან სახელებს, ნაწილაკიან სახელებზე კი იგი არ მსჯელობს).

თუ სიტყვასთან შერწყმულ თანდებულებსა და ნაწილაკებს მეტყველების ნაწილებად მივიჩნევთ, მაშინ კიდევ ერთი პრობლემა იჩენს თავს: **სახ-**

**ლ-ში, ხეს-თან, ბავშვი-ც, კაცი-და** და ა.შ. ფორმების ანალიზისას ორი მეტყველების ნაწილი უნდა გამოვყოთ: არსებითი სახელი და თანდებული. უფრო მეტიც: გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთ სიტყვაფორმაში თანდებულებაც არის წარმოდგენილი და ნაწილაკიც. ამ შემთხვევაში სამი მეტყველების ნაწილი გვექნება: **სახლ-ში-ც**. გამოდის, რომ ერთ სიტყვაფორმაში ორი ან მეტი მეტყველების ნაწილი გვაქვს. ამგვარი რამ შესაძლებელია მხოლოდ კომპოზიტებში. დასახელებული ფორმების კომპოზიტებად მიჩნევა კი გამორიცხულია.

ამგვარივე წინააღმდეგობა ახლავს სიტყვაფორმასთან შერწყმული ნაწილაკების ცალკე მეტყველების ნაწილად მიჩნევას. ცნობილია, რომ რიცხვით სახელებზე **-ვე** და **-ოდე** ნაწილაკების დართვისას ეს უკანასკნელნი უხორცდებიან სახელს და ვიღებთ შემდეგ ფორმებს: ორივე-მ, ორივე-ს, სამიოდე-მ, სამიოდე-ს და ა.შ. თუ **-ვე** და **-ოდე** მეტყველების ნაწილებია, მაშინ გამოდის, რომ ერთ მეტყველების ნაწილს (რიცხვით სახელს) მეორე მეტყველების ნაწილი (ნაწილაკი) უერთდება და მერე ბრუნვის ნიშანი დაერთვის. აქაც ერთ სიტყვაფორმაში (ერთ ფუძეში) ორი მეტყველების ნაწილი უნდა განვიხილოთ, რაც მიუღებელია.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: თანამედროვე ქართულ ენაში ცალკე მდგომი თანდებულები და ნაწილაკები არის სიტყვები და მათ, ბუნებრივია, მეტყველების ნაწილებად განვიხილავთ. შერწყმული თანდებულები (**-ზე, -ში** და მისთ.) და შერწყმული ნაწილაკები (**-ც, -ვე** და მისთ.) კი სიტყვაფორმის შემადგენელი ნაწილები, ანუ მორფემებია, ამიტომ მათ მეტყველების ნაწილთა რიგში ვერ განვიხილავთ. ისინი ფლექსიური აფიქსებია და სახელთა ფლექსიურ სისტემაში უნდა იქნეს წარმოდგენილი.

### **ლიტერატურა:**

**გოგოლაშვილი 2012** – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა (რედაქტორი გ. გოგოლაშვილი), თბილისი, 2012.

**კვაჭაძე 1981** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბილისი, 1981.

**კოხ-კობაიძე 2007** – მ. კოხ-კობაიძე, ქართული ბრუნებისა და უღლების სისტემის ზოგი საკითხის სწავლების გამარტივების შესახებ, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბილისი, 2007.

**ფეიქრიშვილი 2010** – ქ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 2010.

**ფუტკარაძე 2016** – ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ბრუნვები (მანქანური თარგმანის პროგრამისათვის), საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VI, თბილისი, 2016.

**ფოჩხუა 1974** – ბ. ფოჩხუა, *ქართული ენის ლექსიკოლოგია*, თბილისი, 1974.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თხზ., ტ. III, თბილისი, 1980.

**ჩიქობავა 1961** – არნ. ჩიქობავა, თანდებულის ბრუნვათა საკითხებისათვის ქართულში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II*, თბილისი, 1961.

**ჯორბენაძე 1995** – ბ. ჯორბენაძე, *ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი*, თბილისი, 1995.

**ჯორბენაძე 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, *ქართული ენის ფორმანტებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი*, თბილისი, 1988.

## ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა მეტყველების შესახებ

### მწერლის ენა და პერსონაჟთა მეტყველება

მწერალი თავის ნაწარმოებებში ძერწავს მოქმედ პირთა სახეებს ყოველდღიური ადამიანური ურთიერთობების აღწერით. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათს სამეტყველო ქცევასა და მეტყველების თავისებურებებს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. გამოჩენილი ლინგვისტი ვ. ვინოგრადოვი, რომელმაც ბევრი ნაშრომი მიუძღვნა მხატვრული ლიტერატურისა და პერსონაჟის ენას, წერდა: „მხატვრული ნაწარმოებების მეტყველება იქმნება მონოლოგისა და დიალოგის განსხვავებული ტიპებით, ზეპირი და წერითი მეტყველების მრავალფეროვან ფორმათა შერევით“ (ვინოგრადოვი 1980, 70).

ლიტერატურის თეორიასა და ლინგვისტიკაში დიდი ყურადღება ექცევა პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის შექმნის საშუალებებს. სახის ჩამოყალიბებისთვის გამოყოფენ სამეტყველო დახასიათების ორ ძირითად ხერხს: **ირიბს** – ავტორისეულ რემარკებსა და დიალოგებს და **პირდაპირს** – უშუალოდ პერსონაჟთა მეტყველებას (იხ. ჩერნიშოვა 2014), რა დროსაც მკითხველი იღებს ინფორმაციას მოქმედ პირთა სოციალური სტატუსის, განათლების, კულტურის, ხასიათისა თუ ღირებულებათა სისტემის შესახებ.

როგორც ყოველდღიურ კომუნიკაციაში, მხატვრულ ნაწარმოებშიც დიალოგების ნაწილი ფატიკური ანუ რიტუალიზებულია, ხშირად არ შეიცავს რელევანტურ ინფორმაციას, მაგრამ მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანია პერსონაჟის სახის ჩამოყალიბებისთვის.

### პერსონაჟის მეტყველების ლექსიკური დახასიათება

პერსონაჟის მეტყველება, გარდა სხვა ენობრივი საშუალებებისა, შეიძლება დახასიათდეს ლექსიკურადაც. ამისთვის გამოდგება დიალოგებში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები: კნინობითი თუ აღერსობითი სიტყვები მიმართვებში, არქაიზმები, უცხოური ლექსიკა, სიტყვა-პარაზიტები, დიალექტიზმები, ბარბარიზმები, ჟარგონიზმები, კანცელარიზმები და სხვ. (იხ. ჩერნიშოვა 2014). მნიშვნელოვანია ისიც, რამდენად იცავს მოქმედი პირი სამეტყველო ეტიკეტს:<sup>1</sup> როგორ მიმართავს, ესაღმება ან ემშვიდობება სხვას, როგორ მოიკითხავს უცნობსა თუ ნაცნობს, როგორ იხდის მადლობას ან ბოდიშს, ულოცავს ან ლოცავს ვინმეს და ა.შ. (იხ. ზექალაშვილი 2013).

ლინგვისტურ პორტრეტს ავსებს ავტორისეული რემარკები პერსონაჟის საუბრის მანერის, მეტყველების თანმხლები საშუალებების, გამოყენებული პარალინგვიზმების შესახებ (იხ. ომიადე 1998): ღიმილი, უესტ-მიმიკა, ლაპა-

<sup>1</sup> სამეტყველო ეტიკეტის შესახებ აღსანიშნავია ნ. ფორმანოვსკაიას ნაშრომები (ფორმანოვსკაია 1989 და სხვ.).

რაკის მანერა, მეტყველების ხარვეზი, სიტყვაუხვობა, სიტყვაძუნწობა და სხვ. ყველა ეს ვერბალური, პარა- თუ არავერბალური საშუალება ეხმარება მკითხველს მოქმედი პირის სახის გააზრებასა და მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის სწორად გაგებაში.

### **პერსონაჟები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში**

ილია ჭავჭავაძის პროზაული ნაწარმოებები ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამორჩეულია არა მარტო იდეური თვალსაზრისით, არამედ მაღალმხატვრულობითა და პერსონაჟთა მრავალფეროვნებით: ყველა მოქმედი პირი საოცრად ცოცხალი და კოლორიტულია. მათი ლინგვისტური პორტრეტისთვის ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დიალოგებს<sup>1</sup>, პერსონაჟთა მეტყველებას, ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებსა და საუბრის მანერას: რამდენად გულწრფელი და ალაღმართალი, ყალბი ან მლიქვნელურია, როგორ ესაღმება სხვას, ლოცავს ან წყევლის ვინმეს და სხვ.

ამ თვალსაზრისით დავახასიათებთ რამდენიმე პერსონაჟს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან: „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია, ადამიანი?“, „გლახის ნამბობი“ და „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“.

### **2. ოთარაანთ ქვრივი**

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი სცილდება ყოველდღიურობის დადგენილ ჩარჩოებს და უარს ამბობს რიტუალიზებული ეტიკეტის წესებზე. ის პირდაპირი და მართალია, ღარიბ-ღატაკთა გამკითხავი და შემბრალები. ერთი შეხედვით, მისი მკვახე ლაპარაკი გამაღიზიანებელიც კი ჩანს, მაგრამ შეიძლება ესეც სხვაგვარად აიხსნას. ამ მხრივ საინტერესოა მ. ჯალიაშვილის მოსაზრება, რომ ქვრივი „სიკეთეს ღვთის და არა ადამიანთა დასანახავად აკეთებს. პირიქით, არიდებს კაცთა თვალს. ამ შემთხვევაში, ის პირდაპირ იცავს სახარებისეულ მცნებებს. მისმა დამამცირებელმა სიტყვებმა უნდა შეძრან გლახას გული, დაობებული და მიძინებული, გამოადვიდონ მასში ღირსების გრძნობა“ (ჯალიაშვილი 2016).

ოთარაანთ ქვრივისთვის მხოლოდ თავაზიანობისთვის რამის თქმა მიუღებელია, სიყალბე და უაზრო პირობითობაა.<sup>2</sup> მწერალი ირჩევს მოულოდნელ ხერხს: გმირი უგულუბელყოფს „ტკბილ სიტყვას“, ფერუმარილიან ლაპარაკს (ანუ თავაზიან სიტყვას) და თავის კეთილ საქმეს, მადლს თავისებურ „პილპილს“ (მწარე სიტყვას) აყრის. ოთარაანთ ქვრივის მკვახე სიტყვები აღიქმება თავისებურ პროტესტად ფორმალობის, პირფერობის, სიცრუისა და უგულობის წინააღმდეგ. სწორედ მათგანაა, რომ თავაზიანობაზე ამბობს ქვრივი: „ტკბილი სიტყვა რა არისო!.. ამ გამწარებულს წუთის-სოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი

<sup>1</sup> დიალოგის შესახებ ყოველდღიურობასა და ლიტერატურაში საინტერესოა როლფ კლიოპფერის მოსაზრებები (იხ. კლიოპფერი 1981).

<sup>2</sup> ოთარაანთ ქვრივის ხასიათის ამ შტრიხს ყურადღება მიაქცია ი. დემეტრაძემაც (დემეტრაძე 1977).

სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის-ფხანა რაღა დარღუბაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, – მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს“. ტკბილი სიტყვა ქერივისთვის მხოლოდ გულის ფხანაა, ეს კი „უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევენებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“ (ილია 1977, 470-471).

აშკარაა ქალის პოზიცია: თავაზიანი სიტყვა თვალის ახვევა, პირფერობა და უაზრო ნუგეშია. ამას ადასტურებს მისი ყოველდღიური ქცევა, საუბარი და დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან. როცა გაჭირვებულ მეზობელს ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს გადაუტანდა, გამოლანძღავდა და ქოქოლასაც დააყრიდა, მწარე სიტყვითაც მიმართავდა: „შე პირშაო, შენა, შე არ-დასაცალეებლო; დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა; მეზობლის წვრილშვილ ქალს ეტყოდა: „აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!“ გლახა-მათხოვარს დაეხმარებოდა, მაგრამ თან დაამატებდა: „აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს?.. შე ოყრაყო, აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი, რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, ფუ, შენს ნამუსსა!“ მათხოვარს ღვინოსაც დააღვევინებდა, მაგრამ „თავისებურ ქება-დიდებას“ არ აკლებდა. ქალს თითქოს ერცხვინება საკუთარი სიკეთისა, მაგრამ ფეხებდახეთქილი კაცის დანახვაზე გული არ მოუთმენს, შოთის პურებს საქალამნე ტყავში გადაცვლის და ამ მკვახე სიტყვებით მისცემს: „დამაცა, შე არ-დასაცალეებლო, შე ადრე და მალე დასამარხავო! შე არ-დასარჩენო, შე დასაღუპავო“ (ილია 1977, 471-472).

ოთარაანთ ქერივს სწორედ ეს თვისებები გამოარჩევს სხვათაგან: თავაზიანი სიტყვებს არ იყენებს და არც სხვის მადლობას იღებს: „მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქერივისათვის, ო შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია – მუქთაა თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...“ (ილია 1977, 471-472).

თავადები, არჩილი და კესო, დიდი რიდით ეპყრობიან ქერივს: ნათლი-დედას ეძახიან, თავაზიანად ესალმებიან, მოიკითხავენ, ჩაიზე მიიპატიუებენ. ამ დიალოგში ქალი თითქოს არღვევს საკუთარ პრინციპებს და კესოს მოიკითხავს: „ქალო, როგორ გიკითხო? ხომ მშვიდობით ბძანდებით?“, მაგრამ ზრდილობიან პასუხს („ვართ შენის ღოცვითა და კურთ...“) უხეშად აწყვეტინებს: „მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი“. არადა, კესოს ფრაზა ხომ თავაზიანობისთვის, სიტყვის მასალად იყო ნათქვამი. თავადის ასულის კალთაზე შინაუ-



რული ხელის დაკვრაც არ მოეწონება ქვრივს: „ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლ-ამხანაგური ქცევა ახალგაზრდა ქალისაგან: მე ვინა და ეს გუშინდელი ძუძუთა ვინაო“ (ილია 1977, 498).

ოთარაანთ ქვრივის აზრით: „ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა“ (ილია 1977, 498). ზრდილობიანი ნათქვამი პირფერობად მიაჩნია და ცხოვრებისგან გამოწრთობილ-გაუხეშებულები, ამიტომაც ვერ იტანს „მიხვეულ-მოხვეულად“ საუბარს. მას წყენასაც ვერ უბედავენ, აკი არჩილიც შემცბარი ეტყვის: „ნათლიდედა სიტყვას მარტო ეკლავა ჰხმარობს“ (ილია 1977, 500).

ასეთი დიალოგებით მწერალი ხაზს უსვამს ოთარაანთ ქვრივის გამორჩეულობას, პირდაპირობას, ალაღმართლობას. მ. ჯალიაშვილის აზრით, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი „არ წარმოდგენენ მხოლოდ იმ სოციალური ჯგუფის ზნეობრივ ღირებულებებს, რომელშიც ცხოვრობენ. მათ გააჩნიათ ინდივიდუალური წარმოდგენები ყოფიერების უმთავრეს საკითხებზე, ამიტომაც მათი ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან არის გაუცხოებული, ხშირად დაპირისპირებული და კონფლიქტური“ (ჯალიაშვილი 2016). ამ გაუცხოების ერთ-ერთი მიზეზი კი ქვრივის მოურიდელები, თუმცა მართალი საუბარიცაა. ამიტომაც ხშირად ვერ უგებდნენ მას, ეშინოდათ კიდევ, უცხოობდნენ, ერიდებოდნენ, გაუგებარი იყო ეს დაუფარავი მხილება და „სოფლის ფასადურ სიკეთეს უპირისპირდება ქვრივის დაფარული, არა თვალშისაცემი, ხშირად დაუნახავი, მწარე სიტყვებს ამოფარებული სიკეთე“ (ჯალიაშვილი 2016).

ოთარაანთ ქვრივს არ მოსწონს პირფერობა, მლიქვნელობა, შენიღბული მზაკვრობა, ზურგს უკან ვინმეს გაკილევა, ფორმალური ლაპარაკი, მისთვის უმთავრესია საკუთარი პრინციპების ერთგულება, მადლი, შეუღამაზებელი და მწარე სიმართლე. ქალი გაურბის ყოველგვარ ტრაფარეტულობასა და აზრდაცლილ რიტუალობას, გარეგნულად უხეში და მკვახე საუბრის მიღმა ალაღმართალი და კეთილი პიროვნება ჩანს.

### **3. „კაცია-ადამიანი?!“**

#### **3.1. ლუარსაბი და დარეჯანი**

სრულიად საპირისპირო სურათი დახატა მწერალმა „კაცია-ადამიანი-ში?!“ ლუარსაბი და დარეჯანი თავადები არიან, ერთი შეხედვით, თავაზიანებიც ჩანან, იცავენ გარკვეულ სამეტყველო ეტიკეტს, მაგრამ მათი ყოველდღიურობა აღსავსეა პირფერობითა და მლიქვნელობით. ეს სიყალბე იგრძნობა როგორც სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელთა, ისე ახლო ნათესავთა და ცოლ-ქმარს შორისაც. გარეგნული თავაზიანობა ხშირად მხოლოდ მათი შინაგანი სიცარიელის საფარია.

ილია ჭავჭავაძე საალერსო სიტყვებსაც ირონიით ათქმევინებს ცოლ-ქმარს. მეუღლეები ოჯახშიც ეპირფერებიან და აქებენ ერთმანეთს, აღტა-

ცბულნი არიან: ხან „ჩემო სულიკოსა“ და „ტურფას“ ეძახიან, ხან – „შენი ჭირიმესა“ და „გეთაყვანეს“:

„სად იყავ, შენი ჭირიმე, – ჰკითხა მერე კნენასა, – რომ ეგრე დაიდალე?

– როგორ თუ სადა, შენი ჭირიმე? ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, – მიუგო კნენამ.

– ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე გეთაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის და“ (ილია 1977, 365).

ასე ესიყვარულებიან მეუღლეები ერთმანეთს ბუხების თვლის ეპიზოდშიც: „შემცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

– აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! – მიატანა ღმილითვე კნენამა.

– ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

– შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა“ (ილია 1977, 367).

მწერლის ირონიული მათრახი საკმაოდ მწარეა: დარეჯანის სააღერსო სიტყვებზე კინაღამ განაწყენდება ლუარსაბი, გოშიაობა არ მოეწონა, მაგრამ ვეღარ შეეწინააღმდეგა მეუღლეს: „პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილისშვილი, – სთქვა თავის გულში ლუარსაბმა, – მოლექსესავით რა ღამაზად მოაწყო ჩემი გოშიობა... რა ენის პატრონია!.. როგორ იხერხა?!“ (ილია 1977, 368). თვითონაც მოინდომებს საპასუხოდ სასიამოვნო სიტყვები უთხრას დარეჯანს, თუმცა სხვას ვერაფერს მოიფიქრებს, რადგან გონებაში მხოლოდ მწვანილეულის სახელები უტრიალებს. ქათინაურების თქმის ეშში შესული თავადი ასე ამკობს დარეჯანს: „შენ იცი, ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების, აბა რა ვთქვა? – თუნდა მარილი იყოს. კარგად არ ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?“ (ილია 1977, 368). ამ სიტყვებში ვლინდება პერსონაჟის უშნო თვითკმაყოფილება, სიტყვათა მწირი მარაგი, უწიგნურობა და გონებაშეზღუდულობა.

ბუხების თვლის ეპიზოდში ლუარსაბი ხშირად იფიცება, რომ მეუღლის თვალში სიტყვებს მეტი დამაჯერებლობა მიანიჭოს: „შენც არ მამიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია“ (ილია 1977, 366). მსგავსი ფიცილი ანდა სხვისგან დაფიცების მოთხოვნა ფუჭი ჭარბსიტყვაობაა, ვითომდა მიაღერსება და მოჩვენებითი თავაზიანობა. მაგ.: უწინამც დღე გამქრობია, თუ ღმერთი გწამს, თქვენზედ მიწა არ მენახოს, მამა-ჩემი ნუ წამიწყდება, თქვენმა სიცოცხლემ, თქვენი ჭირიმეთ, გეთაყვა, თქვენმა მზემ და სხვ.

### 3.2. რძლების დამოკიდებულება – თავაზიანი სიყალბე

მიუხედავად იმისა, რომ მკითხველმა კარგად იცის დამოკიდებულება რძლებს შორის, შეხვედრისას მწერალს სააშკარაოზე გამოაქვს მათი არა-გულწრფელობა, საუბრის ფორმალური რიტუალიზება:

„დარეჯანი ფეხზედ წამოდგა.

– მობძანდით, ჩემო რძალო! – მიაგება სიტყვა ელისაბედსა, – ძლივს არ მოგვიგონეთ!

– შენმა სიცოცხლემ, მოცლა არა მაქვს

– აქეთ მობძანდით, აქეთ უფრო ნიავია, – მოიპატიუა დარეჯანმა – სხვა, როგორა ბძანდებით, ჩემო რძალო? ჩემი მაზლი დავითი ხომ კარგად სუფევს, – დაიწყო ისევ დარეჯანმა.

– კარგად გახლავთ, – მიუგო ელისაბედმა“ (ილია 1977, 377-378).

ილია ჭავჭავაძე ამით გვაჩვენებს, რომ სამეცნიერო ეტიკეტი და თავაზიანობა შეიძლება იქცეს თვალთმაქცობად და სიცრუედ, პერსონაჟის სულიერი სიცარიელის დასტურად. მწერალი მხატვრულ დიალოგებს იშველიებს, როგორც ხერხს, რომ დახატოს პერსონაჟები ყოველდღიურ გარემოში და ამ სიყალბით წარმოაჩინოს მათი სულიერი სიცარიელე.

### 3.3. გლეხის ქალი ბაბაღე – პირმოთნეობა

საინტერესოა გლეხის ქალ ბაბაღესა და დარეჯანის დიალოგი, რომელშიც ლუარსაბის მეუღლეს არ ავიწყდება თავისი უპირატესობის ხაზგასმა: „აი, ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბაბაღე!.. რასა იქ, ხომ კარგადა ხარ? – მოიკითხა თავის რიგზედ დარეჯანმა, მაგრამ ისე კი, რომ პატივი კნენობისა სრულიად არ დაუმცირებია“ (ილია 1977, 374).

ბაბაღე საკმაოდ ცბიერი და მოხერხებულია, იცის, რით ასიამოვნებს ქალბატონს: ქრთამს მიართმევს, ლოცავს, წინასწარ მადლობას უხდის, თავის მოსაქონი სიტყვებით ემლიქვნელება: „ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა; შენი სახელის ჭირიმე; აგრემც ჩვენი ნათელ-მირონობა დღეგრძელობას მოგიმატებს, შენი კვნესამე! აგრემც ღმერთი ბატონის თავს გიდღეგრძელებს; ღმერთი და თქვენი წყალობა თუ კიდევ შეგვაძლებინებს – კიდევაც თქვენი ყურმოჭრილი ყმანი ვართ“ (ილია 1977, 374). პირფერობისა და ჭარბსიტყვაობის ნიმუშია მისი დალოცვაც: „აი, აგრემც ღმერთი მაგაზედ უფრო მეტს დიდებას და პატივს მოგცემს, აგრემც გაგაპატიოსნოს ღმერთმა, და ერთი კაი ვაჟიშვილი მოგცეს და მე ძუძუ მაწოებინოს, შენი კვნესამე, შენი, ბატონო და ქალბატონო!“ (ილია 1977, 375).

დარეჯანის გულის მოსაგებად ბაბაღე ლანძღავს ლუარსაბის ძმასა და რძალს: „აბა, შენი კვნესამე, იმათ ფეხი სად მოუწვდებათ თქვენამდინ, ელისაბედიც მითამ თავადის-შვილის ცოლია და თქვენცა?.. უი, უწინამც დღე გაუქრება! გუშინ მეზობლიანთას გახლდი, იმათი გოგოც იქ მოვიდა. რაც იმან იმათზედ ილაპარაკა, ადამიანისაგან არ გაგონილა“ (ილია 1977, 375).

დარეჯანს სიამოვნებს ეს პირმოთნეობა, თვითონაც იჯერებს, რომ გლეხებზე მზრუნველი და მათი მწყალობელია, ბაბაღეც არ აკლებს მლიქვნელურ სასიამოვნო სიცრუეს: „თქვენისთანა მწყალობელი რომ კაცს სადმე ეგულებოდეს, იქ ვიღასი უნდა ეშინოდეს... მართალია, გლეხები გახლავართ, მაგრამ ჩვენც გვესმის ეგენი. ვისი უნდა მეშინოდეს, თქვენ აქა მყევხართ!“ (ილია 1977, 376).

ამ დიალოგებში ირონიულად გამოაშკარავებულია მოქმედ პირთა ფორმალური თავაზიანობა, სიცრუე, თვალთმაქცობა, პირფერობა. ამ მხრივ საინტერესოა ჩითმერდინის ეპიზოდი, გლეხების ქცევა ჯადოს ძებნისას, ლამაზისეულისა და მკითხავის შეხვედრა და სხვ.

### 3.4. მოსე გპელაძე

ერთ-ერთი პერსონაჟის, თავად მოსე გპელაძის, დახასიათებას შესანიშნავად ახერხებს მწერალი სიძისთვის გაგზავნილი წერილით („წიგნი ნამდვილი თავის ღირსებით და შეცდომებით“), რომელიც გამორჩეულია ფუჭი მაღალფარდოვანი ფრაზებითა და დაღვლარჭნილი სტილით. მოსე აქებს და ადიდებს სიძეს და გამოხატავს უზომო სიხარულს ლუარსაბთან დანათესავების გამო, თუმცა საკმაოდ ძნელია აზრის გაგება:

„ჩემო აღმატებულთ ბედნიერო გვაროვანო სიძეო:..

„თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით ადავსე ნეტართა სიძობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისევე გაზაფხული მუხთაღისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ“.

ამის შემდეგ მოსე თვალთმაქცობს, ვითომ ავადაა, რომ აირიდოს ბევრი სტუმარი: „ჩემო აღმატებულთ გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატივი და მასლაათი და ქეიფი რომელიცა აწ მე აღარ ძალმიძს რომელიცა ფრიად შეაწუხებენ ქორწილში რომელიც თქვენ იქნებით ჩემს სახლში მასპინძელი დიად დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად შევეყაროთ ისე როგორათაც შეჭფურის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლკარიანობასა ჩემსა“.

მოსე წერილს ასე ამთავრებს:

„სხვებრ ბძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას რომელიცა რომა მსურს ნახვა თქვენი თქვენი. სიმამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანის ძე გპელაძე:“ (ილია 1977, 408).

ეს წერილი ნათლად წარმოაჩენს მოსეს პირფერ, სულმდაბალ, ქედმაღალ და გაიძვერა ხასიათს, თავმოწონებას დიდგვაროვნებით, ამას გარდა, უწიგნურობას, რადგან აზრის გამართულად ჩამოყალიბება არ შეუძლია.

### 4. „გლახის ნაამბობი“ – გაბრიელი და მღვდელი

მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ გაბრიელის მეტყველებაში ვლინდება მისი სულიერი ღირსებები, მოკრძალებულობა, თავმდაბლობა, ერთგვარი თვითდამცრობაც. ცხოვრებისგან გათელილი და განადგურებული გაბრიელი მორიდების გამო თავს დამცრობილად წარმოაჩენს: „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია“, „მე მაშინ

ბრიყვსა, წიგნი მარტო სათავადო ხელობა მეგონა“, „ჩვენისთანა საწყალ კაცის შეფერებაც სცოდნია წიგნს“, „აქამდინ მე სულელი კიდევ რაღასაც ველოდი: მეგონა ღვთის სამართალი კიდევ გაიდვიძებს-მეთქი“, „ყბედობაში ნუ ჩამომართმევ, შენი ჭირიმე“, „თუ მოგაწყინე თავი, ნუ გამკიცხავ და მაპატივე“ (ილია 1977, 275-356). ავტორის მიერ გამოყენებული ლიტოტესი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ყმა გლეხის უუფლებობას, მწარე ბედისგან ჩაგვრას.

გაბრიელი მღვდელს დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით ელაპარაკება, ყოველთვის მოწიწებით მოიხსენიებს: „ამისთანა კეთილი იყო ის კურთხეული“, „ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრონი იყო“.

სასულიერო პირის შთამბეჭდავი, მადლით, გულწრფელობითა და კეთილშობილებით აღსავსე საუბარი დაუვიწყარია მკითხველისთვის. ის ასე ემშვიდობება გაბრიელს: „მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! მართალი იყავ და სიმართლეს სდიე. გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია. მშვიდობით“ (ილია 1977, 317).

## 5. გლახა ჭრიაშვილი – ფუჭი ჭარბსიტყვაობა

„გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში“ (1865წ.), როგორც ჩანს, ილიამ ასახა ვითარება, რომლის მსგავსი ნანახი ექნებოდა დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის დროს. ამ ეპიზოდში წარმოდგენილია გლეხი გლახა ჭრიაშვილი, რომელიც დაბარებულია სასამართლოში. ის, მართალია, უკვე თავისუფალია ბატონყმობის უღლისაგან, მაგრამ გადაჩვეულია ადამიანურ მოპყრობას, გამართულად მეტყველებას, აზრის ჩამოყალიბებას, თხოვნის გამოთქმასაც კი, რადგან მამა-პაპის მსგავსად მთელი სიცოცხლე ბატონის მონური სამსახურისთვის შეუღლევი.

ილიამ შეძლო დაეხატა დაბეჩავებული, პიროვნებადაკარგული პერსონაჟი, რომელსაც დალაგებული მეტყველების უნარი არა აქვს. გაუთავებლად იმეორებს ერთსა და იმავეს, მიედ-მოედება, სულ ბოდიშს იხდის, ლოცავს მოსამართლეს, მაგრამ თავს ვერ აბამს სათქმელს, გულს უწყალებს შუამავალს და სათხოვარს ვერ აგებინებს.

ჭრიაშვილი საოცრად დასამახსოვრებელი და კოლორიტული პერსონაჟია, რასაც მწერალი აღწევს სწორედ მისი მეტყველების მანერით. გლეხი გულის გამაწვრილებლად ლაპარაკობს და არც აზრია მის საუბარში და არც ლოგიკა. საწყალმა მოკრძალება და თავაზიანობაც იცის, ზოგიერთი ანდაზაც გაუგონია, მაგრამ ამ რიტუალური ფრაზების იქით აუცილებელს ვერ ამბობს: „მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ. პაპჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიღამ მეცოდინება. დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მაგარი ესა, რომ არა ვარ დიდი ხნისა. ბატონჩემი – აი, დამლახვრა ღმერთმა, – სულ არ მავიწყდება, რომ ეხლა ბატონი აღარ არის, მაგრამ – ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, – კიდონ ბატონი წამცდება ხვალმე. ნუ შემრისხამთ, შენი ჭირიმე“ (ილია 1977, 541).

მოსამართლე თავიდან მოთმინებით უსმენს ამ გაჭიანურებულ და მომბეზრებულ ლაპარაკს, მაგრამ მერე ვედარ მოითმენს და ეკითხება, რა გინდაო, პასუხად მხოლოდ ამას იღებს: „მენა? შენი მშვიდობა და დღეგრძელობა, შენი ჭირიმე“, შემდეგ კიდევ: „ღმთისა და ხელმწიფის წყალობა“ (ილია 1977, 542).

აშკარაა, რომ გლეხი, მუდამ თავდახრილი, დაბეჭავებული, მუხლჩაუსრელად შრომობდა, იძულებული იყო, ყოველთვის ბოდიში ან მადლობა ეხადა, დაელოცა ბატონი და ჩვეულებას ახლაც ვერ დალატობს. რამდენჯერაც იწყებს ლაპარაკს, აზრი ბოლომდე ვერ მიჰყავს, ღობე-ყორეს ედება: „არა, შენი ჭირიმე, მენაც მოსახსენებელი მაქვს. აგრემც ღმერთი დიდ დღეს მოგცემს, პატარა მომისმინე. ამათთვის დიდი ბედენა არ არის, რომ ცოტა კიდონ მოიცადონ. მოგახსენო, შენი ჭირიმე?“ (ილია 1977, 542). მერე ხელახლა იმავეს იწყებს: „მენა? ეს მინდა, შენი ჭირიმე, რომ პაპაჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთავის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა რა ვიცი? დიდი ხნის კაცი არა ვარ, რომ ნუგზარ ერისთავი მხსომებიყო. ეს კი ვიცი, რომ სისხლის წვიმების დრო ყოფილა“ (ილია 1977, 542).

როცა ჭრიაშვილი მიხვდება, რომ მოსამართლეს თავი ძალიან მოაბეზრა, მაგრამ ვერაფერი გააგებინა, ისევ მობოდიშებას იწყებს: „არა, ნუ გამიწყრები, შენი ჭირიმე, ერთი დალაგებით მომახსენებინე ჩემი გულის დარდი, როგორც ზაკონის კანონია... მოსამართლე ხელმწიფის ყურია. უნდა ყველაფერი თავიდან ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სათავეშივე აიძვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის. ამიტომაც მინდა ისევ თავიდან დალაგებით მოგახსენო, იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავი-დამევე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა ამაების არა მეცოდინება? ერთი რეგვენ გლეხკაცი ვარ, ჩემს დღეში სამართლის კარი არც-კი დამინახავს, რაფერია: წითელია, თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს, ვინ იცის? მენა ის თვალითაც არ მინახავს, მაღალი ღმერთის ღმთის-რისხვა და თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, მართაღს მოგახსენებ“ (ილია 1977, 542-543).

საწყალ გლეხს ვერ მოუხერხებია, რომ ბოლომდე თქვას საწუხარი, დალაგებულად გადმოსცეს, ავიწყდება, რით დაიწყო, რაზე გაჩერდა, აზრი უწყდება, თავმოუბმელად ერთსა და იმავეს იმეორებს, ერთი აზრიდან მეორეზე გადახტება, ხან საკუთარ ასაკზეც გააბამს ლაპარაკს: „კაცმა შემომხედოს – ასის წლისა ვეგონები. ჯაფამ და ბატონის სამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ, აკი მოგახსენე, ის საყდარი ხუთის წლით ჩემზედ წინ არის აშენებული-მეთქი“ (ილია 1977, 542-543). სიმწრის ოფლს იწურავს გლახა ჭრიაშვილი და მაინც ვერ აყალიბებს სათქმელს. როცა მოსამართლე შესთავაზებს, მოგვიანებით გვითხარო, გახარებული შევებით ამოისუნთქავს და მადლიერი ღოცავს: „უჰ, დღეგრძელობა მოგცეს ღმერთმა, ეგ ძრიელ კარგად ბძანე. დიად, კარგი გახლდებით. გულის ყურს მოვიკრებ და უფრო დალაგებით მოგახსენებ“ (ილია 1977, 545).

გლეხი იმასაც წაიტრაბახებს, კარგი სიტყვა-პასუხი მაქვსო: „ახლა ხომ მოგეხსენება, გლეხკაცი ვარ. მართალია, ჩვენს სოფელში სიტყვაპასუხიანს კაცს მეძახიან, მაგრამ მაგარი ესა, რომ მაინც კიდევ თქვენი საკადრისი სიტყვა-პასუხი სად მეცოდინება, – ერთი ბეჩავი გლეხი ვარ. ასე რომ, ჩვენობაში სიტყვა-პასუხს კარგად გამოვიყენებ, თქვენთან კი მოვიქრება სჯობია. ეგ კაი სიტყვა ბძანე; ჩემთვის ღამაზად გულისყურს მოვიკრებ, ახლა, გლეხკაცი ვარ, ბევრი რამ მავიწყდება, ასე რომ, ნახევრის ნახევარიც ვერ მოგახსენე. რომ მოვიფიქრებ და მოვისაზრებ კი, ყველაფერს ზღაპარსავით მოგახსენებ, ასე რომა, თქვენ“ (ილია 1977, 545).

გლახა ჭრიაშვილის სახით მწერალმა დაგვიხატა ბატონყმობისგან დაბეჩავებული, გადაგვარებული, აზრდაკარგული ყოფილი ყმა, რომელიც გონებრივადაც დაჩლუნგებულა და ჩამოყალიბებულად ღაპარაკი არ შეუძლია.

ზემთო ჩამოთვლილ პერსონაჟთა მეტყველებას მწერალი ავსებს პარავერბალური და არავერბალური საშუალებების (ჟესტების, მიმიკის, გამომეტყველების) აღწერითაც<sup>1</sup>.

## დასკვნები

ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოქმედ პირთა სამეტყველო ქცევას მხატვრული სახეების ჩამოსაყალიბებლად. როგორც ვხედავთ, პერსონაჟების დახასიათებისთვის მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დიალოგებს, საუბრის წარმართვის მანერას, სამეტყველო ეტიკეტის სხვადასხვა საშუალების გამოყენებას ან უგულებელყოფას საკომუნიკაციო სიტუაციებში.

ყოველდღიურ დიალოგებში არეკლილია მოქმედ პირთა ღირებულებები, დამოკიდებულება სხვა სოციალური წრის ადამიანებთან, რაც დამატებითი შტრიხებით ავსებს მათს სახეებს. პერსონაჟთა მეტყველებაში ვლინდება მათი ხასიათი, ღირებულებები, ცხოვრებისეული შეხედულებები, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება.

ოთარაანთ ქერივის გამოსაძერწად მწერალი ირჩევს მოულოდნელ ხერხს: „ტკბილი სიტყვის“ უგულებელყოფას (ანუ სამეტყველო ეტიკეტის ნორმების რღვევას), მისი მაღლიც კი „პილპილმოყრილია“. ესაა მშრომელი, აღალ-მართალი, ქერივ-ობოლთა და გაჭირვებულთა გამკითხავი დედაკაცი, რომელიც მკვახე სიტყვებით გამოთქვამს პროტესტს რიტუალური ფორმულების, პირფერობის, სიცრუისა და უგულობის წინააღმდეგ ადამიანურ ურთიერთობებში, ცდილობს სხვების ღირსებაც გამოაფხიზლოს.

„კაცია, ადამიანის?!“ სატირულ დიალოგებში გამოაშკარავებულია მოქმედ პირთა უვიცობა, თვალთმაქცობა, პირფერობა და სიცრუე, იგრძნობა სიყალბე როგორც სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელთა, ისე ოჯახის წევრთა შორის. ხშირად გარეგნული თავაზიანობა მხოლოდ საფარია და შინაგან სიცარიელეს მალავს (ლუარსაბი, დარეჯანი, ელისაბედი,

<sup>1</sup> ამ საშუალებების შესახებ ამჯერად აქ არ გვექნება საუბარი.

ბაბაღე). მოსე გძელაძის წერილით კი მწერალს სააშკარაოზე გამოჰყავს გაიძვერა, თვალთმაქცი, უწიგნური და გონებაშეზღუდული თავადი.

„გლახის ნაამბობში“ საინტერესოა გაბრიელისა და მღვდლის პორტრეტები. გლახას მეტყველებაში ვლინდება მისი სულიერი ღირსებები, მოკრძალებულობა, ცხოვრების დაუნდობლობით გათელილი ადამიანის თავმდაბლობა. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე სასულიერო პირის შთამბეჭდავი, სიკეთითა და გულწრფელობით აღსავსე საუბრები.

თავისი ფუჭი ჭარბსიტყვაობითა და უაზრო ლაპარაკით დასამახსოვრებელი სახეა გლახა ჭრიაშვილი, რომელიც განასახიერებს ბატონყმობით დათრგუნვილ-განადგურებულ, აზრწართმეულ ადამიანს.

ილია ჭავჭავაძე პერსონაჟთა სახეების დასახატავად იშველიებს მათს სამეტყველო ქცევას სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში: მისაღმება ან დამშვიდობება, უცნობისა თუ ნაცნობის მოკითხვა, მიმართვის ფორმები, სამეტყველო ეტიკეტის წესების დაცვა თუ დარღვევა.

ყველა ამ სამეტყველო საშუალების სწორად აღქმა და ინტერპრეტაცია მკითხველისგან მოითხოვს საკომუნიკაციო სიტუაციისა და მოქმედ პირთა ურთიერთდამოკიდებულების გააზრებას, საბოლოოდ კი ხელს უწყობს მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის სწორად გაგებას.

### ლიტერატურა:

**დემეტრაძე 1977** – ირ. დემეტრაძე, *ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფითი განსხვავებანი*, ფილოლ. მეცნ. კანდ. დისერტ. (ხელნაწერი), 1997.

**ვინოგრადოვი 1980** – Виноградов, В.В. *О языке художественной прозы*: Избранные труды, Москва: Наука, 1980, с. 316-358. <http://e-heritage.ru/ras/view/publication/general.html?id=46382865>

**ზექალაშვილი 2013** – რ. ზექალაშვილი, ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი პერსონაჟთა მეტყველებაში (დავით კლდიაშვილის პიესებისა და მოთხრობების მიხედვით): *კავკასიოლოგიური ძიებანი*, N5, 2013, გვ. 57-88.

**კლიოპფერი 1981** – R.Kloepfer, *Das Dialogische in Alltagssprache und Literatur: Dialogforschung: Jahrbuch 1980 des Instituts für deutsche Sprache* (Hrs.: H. Steger, P. Schröder), Düsseldorf: Schwann, 1981, S.313-333.

**მიხალჩუკი 2002** – Михальчук, Т.Г. Речевой этикет в произведениях Виктории Токаревой: *Zmogus in Zodic, Vilniaus pedagoginis universitetas*. 2002, 4t, Nr3. S. 33-38.

**ომიაძე 1998** – თ. ომიძე, *პარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში*: ფილოლ. მეცნ. კანდ. დისერტ. (ხელნაწერი), თბილისი, 1998.

**ფორმანოვსკაია 1989** – Формановская Н.И., *Речевой этикет и культура общения*, Москва: Высшая школа, 1989, 159 с.



**ჩერნიშოვა 2004** – Чернышова, Т.В. Фатическая речь как социальный символ коммуникации (на материале текстов печатных СМИ): *Известия Алтайского Государственного Университета (Барнаул)*, 2004, N4, с. 046-051.

**ჯალიაშვილი 2016** – მ. ჯალიაშვილი, მარგინალები – ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივის“ სწავლებისათვის: *ინტერნეტგაზეტი „მასწავლებელი“*, 2016, 9 თებერვალი. <http://mastsavlebeli.ge/?p=7905>

### **ტექსტები**

**ილია 1977** – ი. ჭავჭავაძე, *თხზულებანი ორ ტომად, ტომი I*, თბილისი: გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1977.

**სვანეთის მუზეუმში დაცული სახარების  
ტიპის შემცველი ხელნაწილების ფრაგმენტები**

სახარების ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიის კვლევისას გადამ-  
წვევტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენამდე მოღწეული თითოეული ხელნაწერის  
შესწავლასა და მასში დაცული ტექსტის მიმართებების დადგენას ოთხთა-  
ვის ქართული თარგმანის რედაქციებთან.<sup>1</sup> დღემდე მოღწეულ სახარება-ოთხ-  
თავის 300-მდე სრულ და ფრაგმენტულ ხელნაწერთაგან ნაწილი გამოცემუ-  
ლი და გამოკვლეულია, ნაწილი კი ამ დრომდე შესწავლილი არ არის.

ახალი აღთქმის ტექსტოლოგიური მეცნიერებისათვის მეტად მნიშვნე-  
ლოვან საგანძურს წარმოადგენს მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთ-  
ნოგრაფიის მუზეუმში (სიემ) დაცული ოთხთავის ხელნაწერები, რადგან  
ისინი, კოდიკოლოგიური და ტექსტუალური თვალსაზრისით, ძალიან საინ-  
ტერესო სურათს იძლევა. ზოგიერთი მათგანი შესწავლილია, ნაწილი კი ამ  
დრომდე სამეცნიერო ინტერესს მიღმა დარჩა.

იმთავითვე აღვნიშნავთ, რომ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის  
მუზეუმში დაცული ხელნაწერების სრული აღწერილობა დღემდე არ არსე-  
ბობს. იქ დაცული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა-კატალოგი გასული  
საუკუნის 70-იან წლებში აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა შეადგინა, რო-  
მელიც დღეს ხელნაწერი და ნაბეჭდი სახით ინახება კორნელი კეკელიძის  
სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მეცნიერის  
პირად არქივში, ნომრით 369 (მეტრეველი 2007). სვანეთში დაცული ხელნა-  
წერები, რომელთაც ახლავს მინაწერი საისტორიო საბუთები, აღწერა და  
1986 წელს გამოსცა ვალერი სილოგავამ (სილოგავა 1986). უკანასკნელ  
წლებში სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ხელ-  
ნაწერები ხელახლა გადაინომრა და მათი ამჟამინდელი ნუმერაცია ელენე  
მეტრეველის კატალოგის ნუმერაციას აღარ ემთხვევა. 2015 წელს გამოიცა  
საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგი,  
რომელშიც სვანეთში დაცული სახარების ხელნაწერებიც მოხვდა (საქარ-

<sup>1</sup> ოთხთავის ქართული ტექსტის შემცველი ხელნაწერების ნაწილისა და გამოვლენილი  
პალიმფსესტების შესწავლის შედეგად დღეისათვის დადგენილია, რომ ქართულმა  
ოთხთავმა თარგმან-რედაქტირების სამი ძირითადი ეტაპი განვლო: წინათონური (V-X  
სს.), ათონური (X საუკუნის ბოლო – XI საუკუნის შუა წლები) და ელინოფილური  
(XI საუკუნის ბოლო – XII საუკუნის დასაწყისი). ხანმეტრების პერიოდში (VII საუ-  
კუნემდე) უნდა არსებულიყო ქართული ოთხთავის ორი რედაქცია: ხანმეტური და სა-  
ბაწმიდური. XI საუკუნეში ამის შესახებ წერს გიორგი მთაწმინდელი თავის ანდერძში:  
*„ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად ხან-  
მეტნიცა და საბაწმიდურნიცა (K-76, 310r). ოთხთავის საბოლოო, ქართული კვლევის  
მიერ შეწყნარებული, ათონური რედაქციის ტექსტი შეიქმნა XI საუკუნის 50-იან წლებ-  
ში გიორგი ათონელის (1009-1065) მიერ. მისი დიდი ავტორიტეტის წყალობით, ათონუ-  
რი რედაქცია ფართოდ გავრცელდა. დღემდე მოღწეულ ოთხთავის ქართული თარგმა-  
ნის შემცველ ხელნაწერთა უმეტესობაში, დაახლოებით 200-მდე ხელნაწერში, სწორედ  
ათონური რედაქციის ტექსტია დაცული.*

თველოს... 2015). ქვემოთ, სახარების ხელნაწერებისა და ფრაგმენტების შემცველი ხელნაწერების შესახებ მსჯელობისას, ელენე მეტრეველის მიერ შედგენილ მოკლე აღწერილობასთან ერთად, ვიყენებთ ამ კატალოგში მოცემულ ინფორმაციასაც, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ სტატიაში წარმოდგენილი ხელნაწერთა ფრაგმენტების ვრცელი აღწერილობანი ძირითადად იმ სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად მოპოვებულ მასალებს ეყრდნობა, რომელიც სვანეთში დაცული სახარების ფრაგმენტული ხელნაწერებისა და პალიმფესტების შესასწავლად 2016 წლის 4-10 აპრილს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის „ლუკას სახარების ძველი ქართული თარგამანის აკადემიური გამოცემის მომზადება“ (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი 31/64) ფარგლებში სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ჩატარდა.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ოთხთავის რამდენიმე ხელნაწერია დაცული,<sup>1</sup> რომლებიც სახარება-ოთხთავის ტექსტს თითქმის სრულად შეიცავს. მათ შორის: ყველაზე ცნობილი სახარების უძველესი თარიღიანი ნუსხა,<sup>2</sup> 897 წელს შატბერდში გადაწერილი ადიშის ოთხთავი,<sup>3</sup> ასევე თარიღიანი, 1033 წელს ოშკში გადაწერილი მესტიის ოთხთავი,<sup>4</sup> XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული მდიდრულად შემკული ლაბსყაღდის სახარება,<sup>5</sup> შედარებით გვიანდელი, XIII საუკუნის ნუსხად მიჩნეული იენაშის ოთხთავი,<sup>6</sup> XIV საუკუნეში იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში გადაწერილი და ლაპილის ეკლესიისთვის შეწირული სახარება –

<sup>1</sup> სახარების რამდენიმე ხელნაწერი ინახება სვანეთის სოფლებში, კერძოდ: ეწერში, ქურაშის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში – ქურაშის ოთხთავი, რომელშიც საინტერესო ტექსტია დაცული. სოფ. ლახუშტის ეკლესიაში – ლახუშტის ლექციონარი, რომელშიც მათეს, ლუკასა და იოანეს სახარებების საკითხავებია წარმოდგენილი, ხოლო სოფ. ლახამულაში – ლახამულას ოთხთავი. ამ ხელნაწერების დეტალური შესწავლა და მათში დაცული სახარების ტექსტის რედაქციული კუთვნილების დადგენა მომავალი კვლევის საგანია.

<sup>2</sup> სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცულ ხელნაწერებს ვუთითებთ მათი ახალი და ძველი ნუმერაციით: პირველ რიგში მითითებულია ხელნაწერის ახალი შიფრი (N), ნომერი, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა მუზეუმის ძველ კატალოგში, აღნიშნულია ლიტერით კ, ხოლო სიტყვა *მეტრეველით* მიგვანიშნებს აღნიშნული ხელნაწერის რიგით ნომერზე ელ. მეტრეველის მიერ შედგენილ კატალოგში.

<sup>3</sup> ადიშის ოთხთავი (N478, კ-82, მეტრეველით 22) საფუძვლიანად არის შესწავლილი და მრავალჯერ გამოცემულიც. ტექსტის გამოცემების შესახებ იხ. მისი ბოლო პუბლიკაციის წინასიტყვაობა წიგნში: ადიშის ოთხთავი 2003.

<sup>4</sup> მესტიის ოთხთავი (N1, კ-70, მეტრეველით 1) გადაწერილია ოშკის იოანე ნათლისმცემლის ლავრაში, ტექსტი წინათონური ე.წ. ოპიზური რედაქციისაა.

<sup>5</sup> ლაბსყაღდის ოთხთავი (N482, კ-71, მეტრეველით 26) – ეტრატზე ნუსხურით ნაწერი მდიდრულად შემკული ხელნაწერი. მასში დაცულია ტექსტი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა. ახლავს კიდევ გიორგი მთაწმინდლის ცნობილი ანდერძი (257v).

<sup>6</sup> იენაშის ოთხთავი (N483, კ-72, მეტრეველით 27) ტექსტოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ნუსხას წარმოადგენს. მასში დაცულია გიორგი მთაწმინდლის მიერ ქართული ოთხთავის ბერძნულ დედანთან ორგზის შედარების საფუძველზე მიღებული ვერსია, როდესაც მესამე და საბოლოო შედარება ჯერ არ არის განხორციელებული. მსგავსი ტექსტია დაცული ალავერდის ოთხთავსა (A-484) და Ath. 62-ის ქვედა ფენაში (კვირკველია 2012).

ლაპიდის ოთხთავი.<sup>1</sup> სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერებიდან ორი თავბოლონაკლული ნუსხაა. ესენია ე. წ. ტვიბერის ოთხთავი (XI ს.)<sup>2</sup> და XIII საუკუნით დათარიღებული ერთი ხელნაწერი სახარება ნომრით 3381 (ძველი ნომერი კ-64), რომელიც 76 ფურცელს შეიცავს. მუზეუმში ასევე ინახება ოთხთავის ხელნაწერების რამდენიმე ფრაგმენტი, კერძოდ: N8 – XII-XIII საუკუნეების ნუსხის 10 ფურცელი; N491 – ე. წ. ჩვაბიანის ოთხთავის 4 ფურცელი (XII ს.); N13<sup>1</sup> პალიმფესტური ფურცელი (XIV-XV სს.); N13<sup>2</sup> – პალიმფესტური ფურცელი (XIII-XIV სს.). გარდა ოთხთავის ფრაგმენტებისა, მესტიის მუზეუმში დაცულია სახარების საკითხავების 20-ფურცლიანი ფრაგმენტი – N10, რომელიც XV-XVI საუკუნეებში გადაწერილი ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს.

ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტი სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული სახარების ტექსტის შემცველი 6 ფრაგმენტია (N3381; N8; N491, N13<sup>1</sup>, N13<sup>2</sup> და N10), რომელთაგან 5 – ოთხთავის ხელნაწერის (N3381; N8; N491, N13<sup>1</sup>, N13<sup>2</sup>) ნაწილს, ხოლო ერთი (N10) სახარების საკითხავების ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს, კვლევის მიზანი კი აღნიშნული ფრაგმენტული ხელნაწერების სტრუქტურულ-კოდიკოლოგიური ანალიზი და მათში დაცული ტექსტის რაობის დადგენაა.

ანალიზს N3381 ოთხთავის ფრაგმენტით დავიწყებთ. მართალია, მასში 76 ფურცელია დაცული და შესაძლებელი იყო, იგი ფრაგმენტულ ხელნაწერებს შორის საერთოდ არ განგვეხილა, თუმცა მის შესახებ მსჯელობა აქ ორი მიზეზის გამო ჩავთვალეთ მიზანშეწონილად: ერთი, რომ იგი აქამდე მეცნიერულად არ შესწავლილა, მათ შორის, სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებით, არ უნახავს და არ აღუწერია ელენე მეტრეველს, და მეორე, მისი და N8 ფრაგმენტის ერთიანობა პირველად სწორედ ჩვენ მიერ იქნა შენიშნული. მათი ერთიანობის დამადასტურებელ არგუმენტებს ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგში (საქართველოს... 2015) N3381 ოთხთავი (კ-64) XIII საუკუნით არის დათარიღებული. როგორც აღინიშნა, იგი 76 ფურცელს შეიცავს, შესრულებულია ქაღალდზე (სურ. 1). ზომა: 29,5×22,5 სმ. გადაწერილია ნუსხუ-

<sup>1</sup> ლაპიდის ოთხთავი (N620, კ-75, მეტრეველით 52) – 198 ფ. გადაწერილია იერუსალიმის ადღგომის ეკლესიაში, შეწირული ლაპიდის მუხერის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე აგებული ეკლესიისათვის.

<sup>2</sup> ტვიბერის ოთხთავი (N548, კ-73, მეტრეველით 41) თავბოლონაკლული და მეტად დაზიანებული ხელნაწერია. მასში ფრაგმენტულად არის დაცული მათეს, თითქმის სრულად – მარკოზის სახარებათა ტექსტები. ლუკასა და იოანეს სახარებები დღეს დაკარგულია. ტვიბერის ოთხთავში დაცულ ტექსტს ელენე მეტრეველი ეფთჳმე ათონელის რედაქციად მიიჩნევდა. უახლესმა კვლევებმა (თვალთვაძე 2010; სარჯველაძე, თვალთვაძე 2011) ცხადყო, რომ ხელნაწერში შემორჩენილი მათეს სახარების დიდი წილი და მარკოზის სახარების აქ დაცული ტექსტი მთლიანად ოპიზური რედაქციისაა. მათეს სახარებაში არის მცირე ჩანართი (მათე 14,19–15,24), რომელიც ნარევი რედაქციისაა. მასში ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია ადიშური, ოპიზური და ორიგინალური წაკითხვები. ტვიბერის ოთხთავში ჩანს ხანმეტობისა და ჰამეტობის კვალიც.

რით, კიდევ შემოცვეთილი, გაფორმებულია საზედაო ასოებით. რესტავრაციის შემდეგ ჩასმულია მუყაოს ყდაში.

ოთხთავი იწყება მათეს სახარების მე-8 თავის 25-ე მუხლით: „...მას მოწაფენი მიხნი და აღადგინეს იგი და ეტყოდეს: უფალო, მივსნენ ჩვენ, რამეთუ წარვწყმდეთ“ (1r). ხელნაწერი რესტავრაციამდე ძალიან დაშლილი იქნებოდა, შესაბამისად, მას ფურცლები აკლია. არცერთი სახარება სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, მაგ., მათეს სახარებას აკლია მე-17, მე-18, მე-19, მე-20 თავები. მთლიანად დაკარგულია ტექსტი მათეს სახარების 21-ე თავის 44-ე მუხლის შემდგომ: „და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუხროს, და, რომელსა ზედა დაეცეს, განანქროს იგი“ (15v).

მარკოზის სახარება 16r-ზე მე-7 თავის მე-5 მუხლით იწყება: „...ფარისეველთა მათ და მწიგნობართა: რადხათვს მოწაფენი შენნი არა ვლენან მოძურებისაებრ ხუცესთაჲსა, არამედ უბანელითა ჳელითა ჳამენ პურსა?“ მარკოზის სახარება ამის შემდგომ სრულად არის წარმოდგენილი. ახლავს ტრადიციული მინაწერი 33r-ზე: „დაესრულა მარკოზის თავი სახარებაჲ, თავი სწზ, მუხლი ჩჳჳ, მეთორმეტესა წელსა აღიწერა ბრძანებითა პეტრესითა, ხოლო იკითხვის წმიდათა მარხვათა დიდებაჲ და მადლობაჲ ღმერთსა“.

33v-35r-ზე წარმოდგენილია ლუკას სახარების თავთა საძიებელი, ხოლო 35r-74v-ზე – ლუკას სახარება. 48v-ზე ლ. 17:33 მუხლი აშიაზება მიწერილი. როგორც ჩანს, გადამწერს გამოჩნა და შემდეგ მიამატა: „რომელსა უნდეს სულისა წმიდისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვროს იგი“: 75r-v უჭირავს იოანეს თავთა საძიებელს. 75v-ზე იწყება იოანეს სახარება, რომელიც სულ სამ გვერდზეა წარმოდგენილი. 76v-ზე, რომელიც ამ ხელნაწერის ბოლო გვერდია, იოანეს სახარება წყდება 1-ლი თავის 30-ე მუხლზე: „ესე არს, რომლისათვის-[იგი ვ]თქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი], რომელი პირველ ჩემსა იე[ო, რამეთუ უპირატეს ჩემსა [არს]“.

რაც შეეხება N3381 ოთხთავში (კ-64) დაცული ტექსტის რედაქციულ კუთვნილებას, შედარებამ აჩვენა, რომ იგი ცალსახად არის გიორგი მთაწმინდლის რედაქციისა.

ოთხთავის ფრაგმენტი N8 (კ-37, მეტრეველით 8) ელენე მეტრეველს XIII-XIV საუკუნეებით აქვს დათარიღებული. იგი 10 ფურცელს შეიცავს და უყდოა. საწერ მასალად გამოყენებულია ქაღალდი, დაზიანებული. სავარაუდოდ, ხელნაწერი, რომლის ნაწილიც იყო აღნიშნული ფრაგმენტი, დიდი ზომის იქნებოდა. დარჩენილ ფურცლებს შემოგლეჯილი აქვს ზემო ნაწილი და მარჯვენა კიდე (სურ. 2). რესტავრირებული ფურცლის ზომებია: 29,5×21 სმ. აშიების ზომების გამოთვლა რთულია, რადგან არც ერთი არ არის სრულყოფილად შემორჩენილი. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად. სავარაუდოდ, 24-25 სტრიქონი (სავარაუდოდ იმიტომ, რომ ყველა ფურცელს აკლია ზედა ნაწილი). ხელნაწერი გადაწერილია კუთხოვანი ნუსხურით, საშუალო ზომის, მარჯვნივ გადახრილი ასოებით. გამოყენებულია ღია ყავისფერი მელანი, მთავრული ასოებისათვის – შედარებით მუქი სინგური. მარცხენა აშიებზე და სვეტებს შორის მიწერილია მუხლების ძველი სათ-

ვალავი. ყველა ფურცელზე კარგად ჩანს განკანონების კვალი. სათანხმებელი ქვედა აშიაზე არ ჩანს, სავარაუდოდ, არც უნდა ჰქონოდა. ხელნაწერში გამოყენებული ე. წ. ბუნის მსგავსი ნიშანი ზოგიერთ ადგილას ყავისფერი მელნით არის შესრულებული, ზოგან – სინგურით, ზოგიერთ ადგილას კი ორჯერ წერია ორივე ფერის მელნით (3v, 4v). სინგურითაა დაწერილი ქანწილი, რომელიც თითქმის ყველა ფურცელზე გვხვდება. ჩვენი დაკვირვებით, ის გადამწერის ხელითვე უნდა იყოს დაწერილი, გვიან ჩამატებულს არ ჰგავს და წერია იქ, სადაც იესო ქრისტეა ნახსენები. ფრაგმენტში დაცულია ნაწივეტი იოანეს სახარებიდან.

რესტავრაციის შედეგად, ხელნაწერის 10 ფურცელი ერთ რვეულად არის აკინძული, მაგრამ ფურცლებზე დაცული იოანეს სახარების ტექსტი თანმიმდევრულად არ გრძელდება. 1r-v იწყება მე-3 თავის მე-5 მუხლით (*„ჰელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა...“*) და მთავრდება მე-3 თავის 36-ე მუხლით (*„... რომელსა პრწმენეს ძმ, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“*). 2r არ არის 1v-ს გაგრძელება. იგი იწყება იოანეს სახარების მე-6 თავის 26-ე მუხლით (*„მე არა თუ რამეთუ იხილენით სასწაულნი...“*). ამის შემდეგ ტექსტი თანმიმდევრულად გრძელდება 3v-ს ჩათვლით. გვერდი მთავრდება მე-7 თავის მე-17 მუხლით (*„...ღმრთისაგან არს, ანუ მე თავით თვისით ვიტყვ“*). 4r-ზე დაცული ტექსტი ისევ არ არის 3v-ს გაგრძელება. აქ დაახლოებით ერთი ფურცელი უნდა აკლდეს. 4r იწყება მე-7 თავის 52-ე მუხლით (*„მიუგეს მათ და პრქუეს მას...“*) და 9v-ზე მთავრდება მე-11 თავის 50-ე მუხლით (*„არცა განვიზ...“*).

რაც შეეხება ბოლო, მეათე ფურცელს (10r-v), მასზე დაცულია იოანეს სახარება მე-2 თავის მე-4 მუხლიდან (*„...პრქუა მას იესუ: რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა მოწევენულ არს ჟამი ჩემი...“*) მე-3 თავის მე-4 მუხლამდე (*„...პრქუა მას ნიკოდიმოს: ვითარ ჰელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობ...“*). როგორც ვხედავთ, აკინძვისას მომხდარა შეცდომა, მე-10 ფურცელი რეალურად უნდა იყოს პირველი ფურცელი, ვინაიდან სწორედ მე-10 ფურცელზე იწყება იოანეს სახარება მე-2 თავის მე-4 მუხლით და მთავრდება მე-3 თავის მე-4 მუხლით და, შესაბამისად, წინ უსწრებს პირველ ფურცელს, რომელიც მე-3 თავის მე-5 მუხლით იწყება.

როგორც ხელნაწერში დაცული იოანეს სახარების ფრაგმენტული ტექსტის ტექსტოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, ის გიორგი მთაწმინდლის მიერ ნარედაქტირებ, ანუ ათონური რედაქციის ტექსტს შეიცავს.

რაც შეეხება ამ ფრაგმენტის წარმომავლობას, ის, როგორც ზემოთაღნიშნულთ, ჩვენი დაკვირვებით, ნაწილია 3381-ე ნომრით (კ-64) დაცული ოთხთავის ხელნაწერისა. N3381 (კ-64) ოთხთავი არ უნახავს ელენე მეტრეველს, ხოლო N8 (კ-37) კი ნანახიც აქვს და აღწერილიც. როგორც ჩანს, N3381 (კ-64) ოთხთავი მოგვიანებით შევიდა მუზეუმში. სხვა შემთხვევაში ელენე მეტრეველი შენიშნავდა, რომ ისინი ერთი დაშლილი ხელნაწერის ნაწილია. N3381 (კ-64) ხელნაწერში დაცულია მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებები, ხოლო ფრაგმენტ N8-ში (კ-37) კი – იოანეს სახარება და იგი

არის გაგრძელება N3381-ში (კ-64) შეწყვეტილი იოანეს სახარების ტექსტი-სა. კერძოდ, N3381 დასრულდა იოანეს სახარების 1-ლი თავის 30-ე მუხლით (*„ესე არს, რომლისათვის-[იგი ვითქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი], რომელი პირველ ჩემსა იყ[ო, რამეთუ უპირატეს ჩემსა [არს]“*), ხოლო N8 და-იწყო იოანეს სახარების მე-2 თავის მე-4 მუხლით (*„...პრქუა მას იესუ: რად არს ჩემდა და შენდა, დედაკაციო? არღა მოწვენულ არს ჟამი ჩემი...“*). როგორც ჩანს, მათ შორის ერთი ფურცელი უნდა იყოს დაკარგული.

N3381-ის და N8-ის ერთიანობას სხვა არგუმენტებიც ამყარებს, კერძოდ, იდენტური ნუსხური კალიგრაფია, სახედაო ასოები, რომლებიც ორივე ხელნაწერში ზოგი ყავისფერი მეღვინით არის დაწერილი, ზოგი – წითლით. აგრეთვე, იდენტურია ე.წ. ბუნის მსგავსი ნიშნები, ზოგჯერ ორმაგი, ყავისფერი და წითელი ფერის მეღვინით შესრულებული; ქანწილი, რომელიც წითელი ფერის მეღვინითაა დაწერილი და მეტისმეტად ჩამოგრძელებულია, ორივე ხელნაწერში ერთნაირად გვხვდება; ორივე ხელნაწერს აქვს მსგავსი ლინირების სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს გამოცემულ საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგში (საქართველოს... 2015), რომელიც სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ხელნაწერების შესახებ ყველაზე ახალი ნაშრომია, N3381 და N8 ხელნაწერი ცალ-ცალკეა გატარებული და მათი ერთიანობის შესახებ მინიშნებული არ არის. N8-ის თარიღად XII-XIII საუკუნეებია მითითებული, ხოლო N3381 ხელნაწერი კი XIII საუკუნის ნუსხად არის მიჩნეული, ცხადია, ორივე ფრაგმენტი, რომელიც ერთი ხელნაწერის ნაწილია, ერთნაირად უნდა დათარიღდეს, სავარაუდოდ, XII-XIII საუკუნეებით.

შემდეგი ფრაგმენტი, რომელიც ოთხთავის ტექსტს შეიცავს, არის მუზეუმში 491-ე ნომრით (კ-8, მეტრეველით 35) დაცული ერთეული, ე. წ. ჩვაბიანის ოთხთავის 4-ფურცლიანი ფრაგმენტი, რომელიც XII საუკუნით თარიღდება. ხელნაწერის ზომა: 21×15 სმ. ფრაგმენტი უყდოა. ტექსტი დაწერილია ნუსხურით, ორ სვეტად, სვეტში 22 სტრიქონია (სურ. 3). საწერ მასალად გამოყენებულია ეტრატი, რომელიც ძალიან დაზიანებული და დაღაქავებულია. 1r იკითხება, 1v და 2r გადარეცხილია და ამოკითხვა მხოლოდ ალაგ-ალაგ არის შესაძლებელი, 2v და 3r შედარებით კარგად იკითხება, შუა ნაწილის გარდა, რომელიც ისეა გაშავებული, რომ ნაწერის ამოკითხვას შეუძლებელს ხდის. სოფ. ჩვაბიანის ტაძარში (მულახის თემი), რომელშიც ეს ხელნაწერი მუზეუმში მოხვედრამდე ინახებოდა, სახურავიდან წყალი ჩადიოდა. ეს გვერდები, სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს დასველდა და დაღაქავდა. 3v და 4r ძლიერ დაჩრეტილია და ნაწერის გარჩევა ჭირს. 4v შედარებით კარგად იკითხება.

ხელნაწერი გადაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით, შავი ფერის მეღვინით. სახედაო ასოები სინგურით არის შესრულებული. ზოგიერთი განსაკუთრებით ღამაზად არის მოხატული. რამდენიმე ადგილას სახედაო ასო გვიან უნდა იყოს სინგურით გაცხოველებული. ერთგან წითელი ფერის მეღვინით გვხვდება ქანწილიც. მარცხენა აშიებზე და სვეტებს შორის

მიწერილია მუხლების ძველი სათვალავი. ყველა ფურცელზე კარგად ჩანს განკანონების კვალიც. აღსანიშნავია, რომ ქვედა აშიებზე მოთავსებულია სათანხმებელი, რაც, ელენე მეტრეველის აზრით, სიძველის ნიშანი უნდა იყოს. მახარებლების სახელები სინგურით არის შესრულებული, ხოლო რიცხვები – შავი ფერის მეღნით.

ოთხთავის ამ ფრაგმენტში დაცულია იოანეს სახარება, კერძოდ, 1r-ზე იწყება მე-16 თავის მე-13 მუხლი („თავით თვსით, არამედ რაოდენი-რად ეს-მეს, იტყოდის და მომაგალი ვითხრას თქუნ...“), 1v-2r-v-ზე ტექსტი თანმიმდევრულად გრძელდება და 2v-ზე წყდება იოანეს სახარების მე-17 თავის მე-6 მუხლზე („...გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე სოფლისა ამისგან“). 2v-სა და 3r-ს შორის ტექსტს აკლია (სავარაუდოდ, უნდა აკლდეს 2 ფურცელი) და 3r-დან გრძელდება იოანეს სახარების მე-18 თავის 35-ე მუხლიდან და („შენ ჩემდა. რად ვიქმნიეს?...“) 4v-ზე სრულდება მე-19 თავის მე-20 მუხლზე („...ადგილი იგი, სადა ჯუარს-აც...“).

ყველა ის ადგილი, რომლის ამოკითხვაც იყო შესაძლებელი, შევადარეთ ოთხთავის ქართული თარგმანის არსებულ რედაქციებს, აღნიშნული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფრაგმენტში წარმოდგენილი ტექსტი მისდევს გიორგი მთაწმინდლისეულ რედაქციას.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება 2 პალიმფესტური ფურცელი, რომლებზედაც დაწერილი ტექსტი ოთხთავის ფრაგმენტებს წარმოადგენს. ესენია N13<sup>1</sup> (კ-4, მეტრეველით 14ბ), რომელიც XIV-XV საუკუნეებით თარიღდება და N13<sup>2</sup> (კ-4, მეტრეველით 14ა), რომელიც XIII-XIV საუკუნის ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს. პირველი N13<sup>1</sup>, რომლის ეტრატის ფურცლის ზომა 28,5×26 სანტიმეტრია, დაზიანებულია, გადაწერილია ნუსხურით. ფრაგმენტს ახლავს ანდერძიც. გადამწერია ანტონი. სახედაო ასოები შავით და სინგურით არის შესრულებული, დეკორის გარეშე. ზედა ფენის ტექსტი არაკალიგრაფიული ნუსხურით არის დაწერილი, შავი ფერის მეღნით, მსხვილი ასოებით. ქვედა ფენა კი წვრილი ასომთავრულითაა დაწერილი ყავისფერი მეღნით, ჩანს სახედაო ასოების კვალიც. ელენე მეტრეველის მიხედვით, ქვედა ფენა X ს-ის მთავრულით უნდა იყოს შესრულებული.

N13<sup>1</sup> (კ-4, მეტრეველით 14ბ) – პალიმფესტურ ფურცელზე დაწერილი ოთხთავის ფრაგმენტი – ლუკას სახარების სულ 9 მუხლს შეიცავს. იწყება 24-ე თავის მე-15 მუხლიდან და მთავრდება 23-ე მუხლზე: (1r) „15. ზრახვასა მას მათსა და გამოძიებასა, და თავადი იესუ მიეახლა მათ და თანაუვიდოდა. 16. ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რადთა ვერ იცნან იგი. 17. და პრქუა მათ: რად არიან სიტყუანი ესე, რომელსა იცილობოთ ურთიერთარს სლვასა შინა და ხართ თქუნ მწუხარე? 18. მიუგო ერთმან მათგანმან, რომლისა სახელი კლეოპა, და პრქუა მას: შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჴმს და არა სცნა, რად-ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა? 19. ხოლო მან პრქუა მათ: რომელი? ხოლო მათ პრქუეს: იესუდსთვს ნახარვევლისა, რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელი, ძლიერი საქმითა და სიტყუთა



მისითა წინაშე ღმრთისა და ყოვლისა ერისა; 20. ვითარ-იგი მისცეს მღვდელთმოდღუართა და მთავართა ჩუენთა სასჯელსა სიკუდილისასა და ჯუარს-აცუეს იგი. 21. ხოლო ჩუენ ვესავთ, ვითარმედ იგი არს, რომელმან იკხნა ისრაჴლი; და ამას ყოველსა თანა ესე მესამე დღე არს, ვინა თგან ესე იქმნა. 22. არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკვრუნეს ჩუენ, და ვითარ-იგი მივიდეს ცისკარსა საფლავსა მას 23. და არა პოვეს გუქამი მისი. და მოვიდეს [და თქუეს, ვითარმედ] ხილვა ცა ანგელოზთად იხილეს, რომელთა პრქუეს მათ, ვითარმედ: ცხოველ არს იგი“.

შემდეგი აბზაცი მოულოდნელად არის მარკოზის სახარების ბოლო მუხლი, კერძოდ, მე-16 თავის მე-20 მუხლი: „და გამოვიდოდეს და ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა უფლისა შეწევნითა და სიტყუსა მის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი-იგი შეუდგეს მას სასწაულნი. ამენ“. შემდეგ კი ებმის ანდერძი: „უფალო ღმერთო, შეუნდვენ ყოველნი ცოდუქანი ამისსა მწერალსა ანტონის და მეუღლესა მისსა მარიამს და შვილთა მათთა დემეტრეს და მარკოზს, ამენ. (Iv) სახელითა ღმრთისაჲთა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა სრულ იქმნა წმიდაჲ სახარებაჲ დღესა წმიდასა კვირიაკესა ამაღლებისა მეოთხესა დღესა: დიდებაჲ სრულყოველსა ყოველთა (...)“ სახარების ტექსტი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა.

მეორე პალიმფსესტურ ფურცელზეც – N13<sup>2</sup> (კ-4, მეტრეველით 14ა) – ოთხთავის ფრაგმენტი (1 ფურცელი) წარმოდგენილი. ფურცლის ზომაა 25,6×20,4 სმ. ეტრავტი დაზიანებულია, ზემო ნაწილი მეორე სვეტისა მოხეულია და სამი სტრიქონი აკლია, გარშემო აშიები თითქოს შემომწვარია (სურ. 4). გადაწერილია 2 სვეტად, სვეტში 27 სტრიქონია. შემორჩენილი ფრაგმენტი არის დიდი ხელნაწერის იზ (მე-17) – რვეულის უკანასკნელი ფურცელი (Iv), გადაწერილია საშუალო ზომის კალიგრაფიული ნუსხურით, ყავისფერი მეღნით, საზედაო ასოები ზოგი სინგურით, ზოგი ყავისფერი მეღნით. პალიმფსესტური ფურცლის ზედა ფენა, რომელიც სახარების ტექსტს წარმოადგენს, თარიღდება XIII-XIV საუკუნეებით. ელენე მეტრეველის კატალოგში აღნიშნულია, რომ ხელნაწერი ჩამოტანილია, მაგრამ კონკრეტულად საიდან, მითითებული არ არის. Iv-ზე მიწერილია: *ვასილ კორძია*. გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელნაწერი იფარიდან უნდა იყოს. ორივე გვერდზე რუსულად არის მიწერილი შავი ფერის მეღნით: «Прочитана». მუხლების ძველი სათვალავი გაცხოველებულია ზოგიერთ ადგილას. Ir-ზე არის მხედრული მინაწერი, რომლის ამოკითხვა ბოლომდე ვერ შევძელით: „1909 წელსა ხელსუა (?)...“

ტექსტი იწყება ლუკას სახარების 22-ე თავის მე-2 მუხლიდან და 28-ე მუხლზე მთავრდება. (Ir) „2. და ეძიებდეს მას მღვდელთმოდღუარნი იგი და მწიგნობარნი, რაჲთამცა მოკლეს იგი, ხოლო ეშინოდა ერისა მის. 3. და შეუკდა ეშმაკი იუდას, რომელსა ერქუა ისკარიოტელი. და იყო იგი რიცხვსაგან ათორმეტთაჲსა. 4. და მივიდა, ეზრახა მღვდელთმოდღუართა და მწიგნობართა და ერისა წინამძღუართა, ვითარმცა იგი მისცა მათ. 5. ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად. 6. და აღუარა მათ

და ეძიებდა ჟამსა მარჯუშსა, რა თა მისცეს იგი მათ თვნიერ ერისა. 7. მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქად იგი დაკლვად. 8. და წარავლინნა პეტრე და იოვანე და პრქუა მათ: წარვედით და მომიზადეთ ჩუენ პასქად, რადითა ვჭამოთ. 9. ხოლო მათ პრქუეს: სადა გნებავს, და მოვიმიზადოთ? 10. ხოლო თავადმან პრქუა მათ: აჰა, ეგერა, შესლვასა ოდენ თქუენსა ქადაქად შეგემთხ ოს თქუენ კაცი, რომელსა ლავჯნი წყლითა ზეედვას; შეუდევით მას სახლად, ვიდრეცა შევიდეს. 11. და არქუთ სახლისა უფალსა მას: გეტყვს შენ მოძღუარი: სადა არს სავანე, რომელსა პასქად ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო? 12. და მან გიხუშნოს თქუენ ქორი დაგებული დიდი; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ. 13. და წარვიდეს და პოვეს ეგრე, ვითარცა-იგი პრქუა მათ, და მოუმიზადეს პასქად იგი. 14. და ოდეს იყო ჟამი, დაჯდა, და ათორმეტნი მოციქულნი მის თანა. 15. და პრქუა მათ: გულის-სიტყვთ (1v) [გული მითქუმიდა პასექქსა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა. 16. ხოლო გეტყვ თქუენ: არღარა ვჭამო ამიერითგან, ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა შინა ღმრთისასა. 17. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და თქუა: მიიღეთ და განიყავთ თავისა თქუენისა. 18. ხოლო გეტყვ თქუენ: ამიერითგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაჯისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისად მოვიდეს. 19. და მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჳორცი ჩემი თქუენთვის მიცემული, ამას პყოფდით მოსაჯსენებულად ჩემდა. 20. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისად და თქუა: ესე სასუმელი – ახალი სჯული სისხლისა ჩემისად თქუენთვის დათხეული. 21. ხოლო, აჰა, ჳელი განმცემელისა ჩემისად ჩემ თანა ტაბლასა ზედა. 22. ძე სამე კაცისა წარვალს მსვავსად განჩინებულისა მისისა, ხოლო ვად არს მის კაცისა, ვის მიერ მიცემის იგი! 23. ხოლო მათ იწყეს გამოძიებად ურთიერთას: ვინმე არს მათგანი, რომელსა ეგულებს ესე ყოფად? 24. და იყო ცილობადაცა მათ შორის, ვითარმედ: ვინმე იყოს დიდ მათ შორის? 25. ხოლო თავადმან პრქუა მათ: მეფენი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და რომელთა ჳელმწიფებად აქუს მათ ზედა, ქველისმოქმედ პრქვან. 26. ხოლო თქუენ არა ეგრე იყვნეთ, არამედ უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღუარი იგი – ვითარცა მსახური. 27. ვინ არს უფროდსი: რომელი ინაკით-ზის ანუ რომელი ჰმსახურებს? ანუ არა, რომელ-იგი ინაკით-ზის? ხოლო მე ვარ შორის თქუენსა, ვითარცა მსახური. 28. და თქუენ ხართ, რომელნი დაადგერთ“.

ფრაგმენტში დაცული სახარების ტექსტი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა.

როგორც აღვნიშნეთ, გარდა ოთხთავის ფრაგმენტებისა, მესტიის მუზეუმში დაცულია ერთი ფრაგმენტი სახარების საკითხავებიდან – N10 (კ-43, მეტრეველით 10). აღნიშნული ფრაგმენტი შეიცავს სულ 20 ფურცელს და XIV-XVI საუკუნეებით თარიღდება. ხელნაწერი შედარებით პატარა ზომისაა – 15,5×11სმ. საწერ მასალად გამოყენებულია სქელი, ტლანქი ეტრატი, რომელიც კარგად არ არის დამუშავებული (სურ. 5). ფურცლები დაზიანებულია და გაყვითლებული. აქვს ტყავადაკრული ხის ყდა, რომელიც მო-

ცილებულია ხელნაწერს. 4 არასრული რვეული დაშლილია, მეოთხე რვეული სწორად არ არის აკინძული. გადაწერილია მსხვილი და ნაჩქარევი ნუსხურით, არ უნდა იყოს კალიგრაფის ხელი. ხელნაწერი გადაწერილია შავი ფერის მეღვინით, საკითხავების დასაწეისები გამოყოფილია სინგურით. გადაწერილია ერთ სვეტად, თითოეულ გვერდზე 10-12 სტრიქონია. სასვენიშნებად გამოყენებულია ერთწერტილი და სამწერტილი. 12r-ზე არის მინაწერი: „*მღრდელსა პეტრეს ფრღენსა (?) შეუნდოსა ღმერთმან, ამენ. რომელმან შენდობა უბრძანოთ, თქვენცა შევინდოს ღმერთმან, ამენ*“.

ხელნაწერში დაცულია მათეს, ლუკასა და იოანეს სახარების საკითხავების ფრაგმენტები. ამჟამად შემორჩენილია რვა საკითხავი. ჩვენი ვარაუდით, ხელნაწერი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. პირველი საკითხავი იწყება 1r-ზე ლუკას სახარებიდან, კერძოდ, 24-ე თავის 37-ე მუხლი („...და შეეშინა, ეგონა, ვითარმედ სული რადმე იხილეს“). პირველ საკითხავს აკლია დასაწყისი, შესაბამისად, არ აქვს სინგურით გამოყოფილი სათაური. საკითხავი თანმიმდევრულად გრძელდება 1v, 2r-v, 3r-v, 4r-ზე და 4r-ზე მთავრდება ლუკას სახარების 24-ე თავის 53-ე მუხლით, ანუ 24-ე თავი ბოლომდეა წარმოდგენილი.

მეორე საკითხავი იწყება 4r-ზე. ეს არის საკითხავი იოანეს სახარებიდან, კერძოდ, მე-20 თავის 1-ლი მუხლი („*ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდალენელი განთიად...*“), თანმიმდევრულად გრძელდება 4v, 5r-v, 6r-ზე და მთავრდება 6r-ზე იოანეს სახარების მე-20 თავის მე-10 მუხლით („*წარვიდეს უკუე კუალად თვსაგან მოწაფენი იგი*“).

მესამე საკითხავი იწყება 6r-ზე ისევ იოანეს სახარების მე-20 თავის მე-11 მუხლიდან („*ხოლო მარიამ დვა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა...*“). რეალურად ეს მესამე საკითხავი წინა საკითხავის გაგრძელებაა. 6v, 7r-v-ზე იგი უწყვეტად გრძელდება და მთავრდება 7v-ზე იოანეს სახარების მე-20 თავის მე-18 მუხლით („*რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას*“).

მეოთხე საკითხავი იწყება 7v-ზე ისევ იოანეს სახარების მე-20 თავის მე-19 მუხლით („*და ვითარცა შემუხრდა დღე იგი ერთშაბათისად მის, და კარნი იგი დაკშულ იყვნეს*“). იგი მესამე საკითხავის გაგრძელებაა. უწყვეტად გრძელდება 7v, 8r-v, 9r-v, 10r-v-ზე და მთავრდება 10v-ზე, წარმოდგენილია იოანეს სახარების ტექსტი მე-20 თავის მე-19 მუხლიდან ბოლომდე, 31-ე მუხლის ჩათვლით („*და ცხორებდა გაქუნდეს სახელითა მისითა*“).

მეხუთე საკითხავი იწყება 10v-ზე იოანეს სახარების 21-ე თავის მე-1 მუხლით („*ამისა შემდგომად კუალად გმოუცხადა...*“). იგი მეოთხე საკითხავის გაგრძელებას წარმოადგენს. ტექსტი უწყვეტად დაცულია 10v, 11r-v, 12r-v, 13r-ზე და მთავრდება 13r-ზე იოანეს სახარების 21-ე თავის მე-14 მუხლით („*ესე სამგზის გამოეცხადა იესუ მოწაფეთა თვსთა, აღ-რად-დვა მკვდრეთით*“).

13v-ზე იწყება მეექვსე საკითხავი იოანეს სახარების 21-ე თავის მე-15 მუხლიდან („*ოდეს ისაღილეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ...*“) და წყდება 14v-ზე იოანეს სახარების 21-ე თავის მე-20 მუხლზე („*მოიქცა პეტრე და*

იხილა მოწაფს იგი, რომელი უყვარდა იესუს, მისდევდა რაჲ, რომელი-იგი მიეყრდნა“). თუმცა ეს არ არის ამ საკითხავის დასასრული, 14v-სა და 15r-ს შორის ფურცლები უნდა აკლდეს.

15r-დან ახალი, მეშვიდე საკითხავია, რომელსაც დასაწყისი არ აქვს. გამოვარკვეით, რომ იგი იწყება იოანეს სახარების 1-ლი თავის მე-6 მუხლიდან (*„მოვლინებული ღმრთისა მიერ და სახელი მისი იოვანე...“*) და მთავრდება 16v-ზე იოანეს სახარების 1-ლი თავის მე-16 მუხლზე (*„და სახელებისაგან მისისა“*). თუმცა ეს არ არის საკითხავის დასასრული, რადგან 17r არ არის 16v-ს გაგრძელება.

17r-ზე იწყება ახალი, მერვე საკითხავი უკვე მათეს სახარებიდან, კერძოდ, 28-ე თავის მე-2 მუხლიდან (*„მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა“*). ოღონდ მას არ აქვს დასაწყისი, აღნიშნული წითელი ფერის მეღნიტით. საკითხავი მთავრდება 17v-ზე მათეს 28-ე თავის მე-7 მუხლით (*„და ადრე წარვედით და უთხარო მოწაფეთა მისთა, ვითარმედ; აღდგა მკდრეთით და, აჰა, წინა გ...“*). ეს საკითხავიც არ არის დასრულებული, რადგან 18r არ არის 17v-ს გაგრძელება.

18r-ზე იწყება იოანეს სახარების 1-ლი თავის მე-16 მუხლი (*„ხუენ ეოველთა მოვიდეთ, და მადლი მადლისა წილ“*). ეს მე-18 ფურცელი არის მე-16 ფურცლის გაგრძელება. ხელნაწერი არასწორად არის აკინძული. შესაბამისად, ამ გვერდზეა მეშვიდე საკითხავის დასაწყისი.

18r-ზე იწყება სინგურით აღნიშნული ახალი საკითხავი მათეს სახარებიდან, კერძოდ, 28-ე თავის 1-ლი მუხლი (*„ხოლო მწუხრი შაბათთასა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად...“*). რეალურად ეს არის 17r-ზე დაწყებული მერვე საკითხავის დასაწყისი. 18v მთავრდება 28-ე თავის მე-2 მუხლით: *„...ლოდი იგი კარისა მი...“*.

19r-ზე გრძელდება მერვე საკითხავი, რომელიც 17v-ზე ბოლომდე არ იყო დასრულებული, მათეს სახარების 28-ე თავის მე-7 მუხლიდან (*„...გოდღეს თქვენ გალილეას. მუნ იხილოთ იგი“*) და მთავრდება 20v-ზე მათეს სახარების 28-ე თავის მე-15 მუხლზე: (*„...განითქუა სიტყუე ესე ჰურიათა შორის ვიდრე დღნდელად დღედმდე“*).

ბოლო მეოცე ფურცელი ნახევრად მოხეულია, თუმცა ნამდვილად წარმოადგენს მე-19 ფურცლის გაგრძელებას.

სულ აღნიშნულ ფრაგმენტში ოთხთავის ტექსტის შემდეგი მუხლებია დაცული: მათეს სახარებიდან 28,2-15, ლუკას სახარების 24,37-54 და იოანე სახარების 1,6-16, 20,1-31, და 21,1-20 მუხლები. რაც შეეხება სახარების ტექსტის რედაქციულ კუთვნილებას, ერთი შეხედვით, ის მიჰყვება ათონურ რედაქციას, თუმცა ზოგიერთ ადგილას გადამწერი გვაძლევს ისეთ თავისუფალ ინტერპრეტაციებს, რომელიც არ დასტურდება არც ადიშურ, არც ჯრუჭ-პარხლის და არც ათონურ რედაქციაში. დაზუსტებით იმის თქმა, თუ რომელი რედაქციის ტექსტი გვაქვს სახარების საკითხავის ამ ფრაგმენტულ ხელნაწერში დაცული, მხოლოდ მისი გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

## ლიტერატურა:

**ადიშის ოთხთავი 2003** – ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მახხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბილისი, 2003.

**თვალთვაძე 2010** – დ. თვალთვაძე, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის 41 ხელნაწერში დაცული მათეს სახარების ტექსტისათვის, *თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული*, I, თბილისი, 2010, 50-64;

**კვირკველია 2012** – იენაშის ოთხთავი (XIII ს.), *თსუ ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები*, №1, თბილისი, 2012, გვ. 82-92.

**მეტრეველი 2007** – ე. მეტრეველი, *მესტიის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*. ელენე მეტრეველის პირადი არქივის აღწერილობა, საქმე 369, თბილისი, 2007.

**საქართველოს... 2015** – *საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგი*, შემდგენლები: გრიგოლ გაგნიძე, შალვა გლოველი, დარეჯან გოგაშვილი, მაია კარანაძე, თამარ ოთხმეზური, ნესტან ჩხიკვაძე, შალვა გლოველის რედაქციით, თბილისი, 2015, გვ. 279-298.

**სარჯველაძე, თვალთვაძე 2011** – ს. სარჯველაძე, დ. თვალთვაძე, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერი, *Folia Caucasica, იოსტ ვიპერტის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, ფრანკფურტი მაინზე-თბილისი, 2011, გვ. 99-118.

**სილოგავა 1986** – ვ. სილოგავა, *სვანეთის წერილობითი ძეგლები, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები*. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბილისი, 1986.



სურ. 1, ოთხთავი N3381 (კ-64), 51v-52r




სურ. 2, ოთხთავის ფრაგმენტი N8 (კ-37, მეტრეველით 8), 4v-5r



სურ. 3, ჩვაბიანის ოთხთავი XII ს., N491 (კ-8, მეტრეველით 35) 3v-4r



სურ. 5, სახარების საკითხავები, XIV-XVI სს. (N10, კ-43, მეტრეველით 10), 5v-6r



სურ. 4, პალიმფესტური ფრაგმენტი, XIV-XV სს., N13<sup>2</sup>, 1r



**ევდენციალურ იმპერფექტულ ფორმათა  
სემანტიკისა და მარკირების საკითხი  
მეგრულსა და სვანურში<sup>1</sup>**

ევდენციალობა უნივერსალური კატეგორიაა. იგი ყველა ენაში დასტურდება, თუმცა გამოხატვის ენობრივი საშუალებები შესაძლოა თვით მონათესავე ენებშიც კი, ცალკეულ შემთხვევებში მაინც, განსხვავებული იყოს. ქართველურ ენებში დასტურდება როგორც ერთნაირი (III სერია: I თურმეობითისა და II თურმეობითის მწკრივები), ასევე განსხვავებული ევიდენციალური ზმნური ფორმები, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დამატებით გაჩენილი ევიდენციალური მწკრივები. თავის მხრივ, ევიდენციალური ზმნური ფორმები ორგვარია: პერფექტული და იმპერფექტული. პერფექტული ფორმები უფრო გავრცელებულია, იმპერფექტული კი იშვიათია. ყველა ქართველურ ენაში დადასტურებული ევიდენციალური ზმნური ფორმები პერფექტულია, ხოლო მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დამოუკიდებლად განვითარებული – იმპერფექტული. ქართველურ ენებში ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა მარკერის გამოყოფაზე როცა ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, იმპერფექტული ფორმები მეგრულსა და სვანურში, რადგან ლაზურში ამ ტიპის ფორმები აღწერითი წარმოებისაა; ამიტომ წინამდებარე სტატიაში მხოლოდ მეგრულ და სვანურ ემპირიულ მასალებს განვიხილავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ იმპერფექტულმა ფორმებმა უმწვერლობო ქართველურ ენებში ჩასახვისა და განვითარების გზებიც განსხვავებულად გაიარეს (ვგულისხმობთ იმპერფექტულ ზმნურ ფორმათა სტრუქტურას), ამიტომ მეგრულ და სვანურ ფორმებს ცალ-ცალკე გავაანალიზებთ.

მეგრულში ორი იმპერფექტული მწკრივი დასტურდება. ჩვენი ტერმინოლოგიით<sup>2</sup>, ესენია:

*ევდენციალური იმპერფექტი I*

(1) ნოჭარუენ) „წერს თურმე“; (2) ნოჯოროფუენ) „უყვარს თურმე“, შდრ: დიალექტ. ნაყვარება.

*ევდენციალური იმპერფექტი II<sup>3</sup>:*

(3) ნოჭარუედუ „წერდა თურმე“; (4) ნოჯოროფუედუ „უყვარდა თურმე“.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად აკად. ვარლამ თოფურიასადმი მიძღვნილ ტრადიციულ გაფართოებულ საჯარო სხდომაზე თსუ-ში 2019 წლის 8 იანვარს; დამუშავებულია №217300 სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

<sup>2</sup> ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ქართველურ ენათა ევიდენციალური ზმნური ფორმების სახელდებისა და მათი რეინტერპრეტაციის საკითხები გაანალიზებულია პროექტის ფარგლებში მომზადებულ შემდეგ ნაშრომებში: Kurdadze and al. 2018; Kurdadze and al. 2017.

<sup>3</sup> ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა ახლებური ტერმინოლოგია თანაბრად ეხება ყველა ქართველური ენის მონაცემებს.

რაც შეეხება იმპერფექტულ მწკრივებს მეგრულში, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, იმის მიხედვით, რომელი ავტორი რას ანიჭებდა უპირატესობას: ფორმას თუ შინაარსს. ყველაზე გავრცელებულია გ. როგავას კლასიფიკაცია და კვალიფიკაცია. მან ცალკე – IV სერიად გამოყო იმპერფექტული ევიდენციალური ზმნური ფორმები (**ნო-** პრეფიქსიანები), მათ საერთო სახელი – „აწმყოს თურმეობითის ნაკვთები“ უწოდა, რადგან საყრდენი აწმყოს თემაა, ხოლო ცალ-ცალკე მწკრივებს, არსებული ტრადიციის გათვალისწინებით, ეწოდა *III თურმეობითი* და *IV თურმეობითი* (როგავა 1953: 17-18). რამდენადაც IV სერიის ფორმები აწმყოს თემას ეყრდნობა, იხ. ქობალავას აზრით, ისინი უნდა იყოს გაერთიანებული I სერიაში, რადგან აწმყოს წრის მწკრივები და **ნო-** პრეფიქსიანები ერთმანეთს მხოლოდ ნახული და უნახავი მოქმედების გამოხატვით უპირისპირდებიან; იხ. ქობალავამ თავად მწკრივებს უწოდა *აწმყოს თურმეობითი* და *ნამყო უწყვეტლის თურმეობითი* (ქობალავა 2001:132).

მეგრულში ევიდენციალური იმპერფექტული ზმნური ფორმები (**ნო-** პრეფიქსიანები) სხვა მწკრივებთან შედარებით ახალი წარმოქმნილია. **თავიდან მათი სტრუქტურა იყო აღწერითი**, კერძოდ, **ნო – უ** კონფიქსით ნაწარმოებ მიმდევობას (\***ნო-ჭკირ-უ** „**ნა-ჭკერ-**“) დაერთო მეშველი ზმნა *ყოფნა* აწმყოსა და უწყვეტლის ფორმებით: ორე(ნ) „არის“, ორდუ „იყო“.

(5) \***ნო-ჭკირ-უ** + ორე(ნ) = „**ნა-ჭკერ-ი** არის“, (6) \***ნო-ჭკირ-უ** + \***ორე-დ-უ** = „**ნა-ჭკერ-ი** იყო“ (როგავა 1953 : 23). **ნო – უ** კონფიქსის ბოლოკიდური **-უ** „იგივეა, რაც მასდარს ახასიათებს საერთოდ ზანურში: (7) **ო-ხაჩქ-უ** „**თოხნა**“, (8) **ო-ჭარ-უ** „**წერა**“ და სხვა (ჩიქობავა 1936:177). თანამედროვე მეგრულ მეტყველებაში „შემონახულია **ნო-** პრეფიქსიანი მიმდევობის ფორმა გასუბსტანტივებული სახით: (9) **ნო-ჭკერი** „**ნაჭკერი**“; ასევე, **ნო-** აწარმოებს ნამყო დროის მიმდევობას: (10) **ნო-ხაჩქ-უ-ერ-ი** „**თოხნის გასამრჯელო**“ (როგავა 1953:23).

ევიდენციალური იმპერფექტული ზმნური ფორმების სტრუქტურულ-სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგი:

(11) \***ნო-ჭკირ-უ** + ორე(ნ) = „**ნა-ჭკერ-ი** არის“ > **ნო-ჭკირ+უ-ე**<sup>1</sup> „**თურმე ჭრის/ჭრიდა** ის მას“ (ევიდენციალური იმპერფექტი I).

(12) \***ნო-ჭკირ-უ** + \***ორე-დ-უ**<sup>2</sup> = „**ნა-ჭკერ-ი** იყო“ > **ნო-ჭკირ+უ-ე-დ-უ**<sup>3</sup> „**თურმე ჭრიდა** ის მას“ (ევიდენციალური იმპერფექტი II).

ტრანსფორმირებული ფორმები ორგანული წარმოებისაა. ტრანსფორმაცია იწვევს როგორც ფორმის, ასევე შინაარსის შეცვლას. სინქრონიულ დონეზე ევიდენციალურ იმპერფექტულ ზმნებში გამოიყოფა **ნო-ე** კონფიქ-

<sup>1</sup> მეგრულში აღნიშნული მეშველი ზმნა ცვდება მარცხნიდან მარჯვნივ, ე. ი. იკარგება თავკიდური ბგერები, რის შედეგადაც რჩება მხოლოდ **-ე** ხმოვანი.

<sup>2</sup> \* **ორე-დ-უ** → **ორ-დ-უ**.

<sup>3</sup> **-დ-უ** მიმდევრობაში **-დ-** უწყვეტლის საერთობია, **-უ** კი S3 პირის ნიშანი.

სი, როგორც **ევიდენციალობის მარკერი**<sup>1</sup>. ამგვარი გააზრების სასარგებლოდ არსებობს რამდენიმე არგუმენტი: 1. ნო- პრეფიქსი წარსულის სემანტიკისაა (იხ. მსჯელობა ზემოთ ნო- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობის შესახებ, მაგალითები: (9), (10): „მოქმედების დროის უკან გადატანას, როგორც ჩანს, ხელს უწყობს ნო- (<ნა-) პრეფიქსი, რომელიც წინავითარების სახელებისა და ნ[ამყო] დროის მიმღეობის ერთ-ერთ წარმოებაშია გამოყენებული“ (ქობაღავა 2001:134 (სქოლიო)); 2. ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სემანტიკას განსაზღვრავს წარსული დრო; შდრ: პერფექტიდან თურმეობითის სემანტიკის განვითარების პროცესი, რომელიც საერთოდ უნივერსალურადაა მიხნეული და ყველა ქართველურ ენაშიც ერთგვაროვნად წარმართა (ჩიქობავა 1962; არაბული 1984; ბერიძე 2009; ქურდაძე და სხვები 2017, Topadze Gäumann 2011); 3. მეგრული ორე(ნ) > -ე ტრანსფორმაციის პროცესი შდრ: ქართული არის > -ა პროცესს იმ განსხვავებით, რომ ქართულში მეშველი ზმნის ნაშთი – -ა სუფიქსი S3 პირის ნიშნად იქცა, ხოლო მეგრულში -ე ნო- 'სთან ერთად ქმნის ევიდენციალობის გამომხატველ კონფიქსს, S3 პირის ნიშანი (-ნ) კი შენარჩუნებულია; 4. აწმყოსა და უწყვეტლის ფორმები ევიდენციალური იმპერფექტი I-ისა და ევიდენციალური იმპერფექტი II-ისაგან მხოლოდ ნახული და უნახავი მოქმედების გადმოცემით სხვაობენ სემანტიკურად, ხოლო ფორმალურად ნო-ე კონფიქსი განასხვავებს მათ.

შდრ: ჭარუნს „წერს“ (აწმყო) ————— ნო-ჭარუ-ე „წერს თურმე“/„ნაწერავა“.  
 ჭარუნდუ „წერდა“ (უწყვეტ.) ————— ნო-ჭარუ-ე-დ-უ „წერდა თურმე“.

4. -უმ ვერ მოიპოვა ევიდენციალობის მარკერის ფუნქცია, რადგან სემანტიკა, რომელმაც ორგანულ ფორმას შესძინა ევიდენციალობის (ამ შემთხვევაში უნახაობის) გაგება, იყო **წარსული დროის გამომხატველი ნო-პრეფიქსი**. -უ-ს არ ჰქონდა დროის გაგება. იგი, როგორც აღინიშნა, მასდარული წარმოშობის იყო; სინქრონიულ დონეზე, მართალია, შემორჩათ იმპერფექტულ ზმნებს, თუმცა ამ ეტაპისთვის -უ ფუნქციისაგან დაცლილია.

რა მნიშვნელობა აქვს სპეციალური მარკერის გამოყოფას? იგი გრამატიკული კატეგორიის ავთენტურობაზე მიუთითებს.

აღნიშნულ არგუმენტებს ამყარებს სვანურის მონაცემები, სადაც ევიდენციალობის მორფოლოგიური გამოხატვა უფრო შორს წასული და სრულყოფილი პროცესია.

ს ვ ა ნ უ რ ი ენის ცნობილი სპეციალისტი ვარლამ თოფურია აღნიშნავს: „ქართულ-მეგრულ ზმნასთან შედარებით სვანური ზმნა უფრო რთულია“ (თოფურია 1967:18). სირთულის საფუძველად მკვლევარი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიასა და ზოგ სხვა მოვლენასთან ერთად, განსხვავებულ მწკრივთა წარმოებასაც ასახელებს. თურმეობითი სვანური ზმნის უღლებაში განსაკუთრებით რთული დროა როგორც წარმოების, ისე სემანტიკური ნიუანსების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ვარლამ თოფურია

<sup>1</sup> პირველად ეს თვალსაზრისი გამოთქმულია საერთაშორისო კონფერენციაზე, იხ. Kurdadze and al. 2017<sup>1</sup>.

სპეციფიკურ, საკუთრივ სვანურისთვის დამახასიათებელ მწკრივებს I და II თურმეობითს უწოდებს და I სერიაში ათავსებს. ა. ონიანისთვის კი ამ მწკრივების ადგილი, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულების მსგავსად (გ. როგავა, ზ. ჭუმბურიძე), ცალკეა – IV სერიაში (ონიანი 1998:205). სვანურში I სერიის ევიდენციალური ზმნური ფორმები – I და II თურმეობითები იგივეა, რაც ჩვენი სახელდებით არის *ევიდენციალური იმპერფექტი I* და *ევიდენციალური იმპერფექტი II* (იხ. სქოლიო (18), გვ. 46).

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, ევიდენციალობა (ამ შემთხვევაში უნახაობა) ორივე ზემოდასახელებულ საანალიზო მწკრივში მარკირებულია და მისი ნიშანი არის **-უნ/-ინ** სუფიქსი<sup>1</sup>. საანალიზო სუფიქსისთვის ამ კვალიფიკაციის მინიჭება თავიდან გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდა, ვინაიდან, ტრადიციული მოსაზრებით, მას ძირითადად ფუძის კუთვნილებად მიიჩნევდნენ (თოფურია 1967, ონიანი 1998). სათანადო არგუმენტაციისთვის აუცილებელია განვიხილოთ ამ მწკრივთა სტრუქტურა მთლიანობაში:

სვანურ ენაში I თურმეობითის ფორმა<sup>2</sup> შედგება აწმყოს საზედაო ქცევა + ბალსქვემოურში **-უნ-ა**, ბალსზემოურ-ქვემოსვანურში **-ინ-ა** სუფიქსებისაგან. ითარგმნება ნამყოუსრულის ფორმა + თურმე (თოფურია 1967: 130):

მაგალითები:

(13) ხაბმ-ინ-ა (ბზ.), ხაბმ-უნ-ა (ბქ.) – „აბამდა/უბამდა თურმე“ (შდრ: ხაბამ-და „აბამდა“).

(14) ხაგმ-ინ-ა (ბზ.), ხაგმ-უნ-ა (ბქ.) – „აშენებდა(ზედ)/უშენებდა თურმე“ (შდრ: ხაგამ-და „აშენებდა, ადგამდა“).

(15) ხადგარ-ინ-ა (ბზ.), ხადგარ-უნ-ა || ხადგარ-ინ-ა (ბქ.) „აკლავდა/უკლავდა თურმე“ (შდრ: ადგარ-და „კლავდა“)

(16) ხაირ-ინ-ა (ბზ.), ხაირ-უნ-ა (ბქ.) – „აწერდა/უწერდა თურმე“.

(17) ხაფკჷ-ინ-ა (ბზ.), ხაფკ-უნ-ა (ბქ.) – „აშრობდა (ზედ)/უშრობდა თურმე“.

ვ. თოფურია აღნიშნავდა, რომ **-ინა**, **-უნა** ბოლოსართები შეიძლება დაიშალოს **-ინ-ა**, **-უნ-ა** ელემენტებად, სადაც **-ა** შესაძლოა ნამყო დროის მაწარმოებელი იყოს. **-უნ-** და **-ინ-** ელემენტების შესახებ კი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან **-ინ-** წინა ხმოვანს აუშლავს (ბზ. (18) ხამწრ-ინ-ა „უმზადებდა თურმე“, (19) ხატწბინა „უთლიდა, ათლიდა თურმე“), **-უნ-** კი ამ მხრივ უძღურია (ბქ. (20) ხამარ-უნ-ა, (21) ხატაბ-უნ-ა), ისინი ერთმანეთის ნასუბსტიტუციევა<sup>3</sup> (ერთი მეორისგან მიღებულიად ან პირუკუ) ვერ ჩაითვლებიან; საკითხს ამ სუფიქსთა წარმომავლობის შესახებ (სხვადასხვა

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. მარგიანი 2008, მარგიანი 2012 და Kurdadze and al. 2017<sup>1</sup>.

<sup>2</sup> იგივე: *ევიდენციალური იმპერფექტი I*.

<sup>3</sup> ტერმინი ეკუთვნის ვ. თოფურიას.

ამოსავლიდან მომდინარეობენ თუ ერთი ფორმანტის სხვადასხვა სახეა) მკვლევარი ღიად ტოვებს. ასევე არაფერს ამბობს მათი ფუნქციის შესახებ. საკითხს ეხება ა. ონიანიც, რომელიც გამოთქვამს ვარაუდს, რომ საანალიზო სუფიქსი შესაძლოა ფუძის კუთვნილება იყოს.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ამ სუფიქსის ფუნქცია ინფორმაციის ევიდენციალურობის ჩვენებაა, რის თქმის საფუძველსაც იძლევა რამდენიმე ფაქტორი:

1. ეს ზმნები ოპოზიციას ქმნიან უწყვეტელთან, საოპოზიციო სემანტიკური ნიშანია **უნახაობა**, ფორმალურად კი ისინი სწორედ აღნიშნული სუფიქსით განსხვავდებიან (იხ. მაგალითები: (13), (14), (15)).

2. იგივე სუფიქსი დასტურდება როგორც II თურმეობითში<sup>1</sup>, ასევე სხვა, ეპისტემიკური მნიშვნელობის, ევიდენციალურ მწკრივებშიც.

*ევიდენციალური იმპერფექტი II* განსაკუთრებით თავისებურია სტრუქტურულად:

**ლგ + მა+აწმყოს ფუძე+უნ-ე.** ამ მწკრივის მნიშვნელობას უფრო ზუსტად გამოხატავს დასავლურ ქართულში დადასტურებული დიალექტური ფორმა: **ნა-** პრეფიქსიანი მიმდებარეობა + მეშველი ზმნა:

(22) **ლგ-მ-გამ-უნ ლი** (ბზ.), (23) **ლგ-მ-გემ-ქუნ-ე ლი** (ბქ.) „აშენებდა თურმე, ნაშენება“.

(24) **ლგ-მ-ვან-ჟინ/ლგ-მ-ვან-ინ** „ხნავდა თურმე“, „ნახნავა“.

ამ მწკრივის წარმოებისას პრეფიქსები ყოველთვის წარმოდგენილია, **ლგ-** ხშირად კუმშავს მომდევნო ფორმანტს: **-მა > -მ** (ეს უკანასკნელი ყოველთვის დაცულია ლენტესურში:

**ლგმაგემლი** „აშენებდა თურმე“. რაც შეეხება სუფიქსს **-უნ-ე**, მასში **-ე** ხშირადაა მოკვეცილი და ამიტომაც გაუმლაუტებელია (**-უნ-ე > -უნ**) წინა ხმოვანი, ან შეკუმშულია (**-უნ-ე > - ჟინ-ე**). ფონეტიკურ ნიდაგზე ეს ფორმანტი იცვლება **-ჟინ-ად**, ზოგჯერ ბილაბიალობას კარგავს და გვევლინება **-ინ-ად** (**-უნ-ე > -უნ > ჟინ > -ინ**), **-ე** მოკვეცილი ფორმები III პირში ხშირად მეშველი ზმნის გარეშეა:

(25) **ლგ-მგ-დაგრ-უნ-ე ლი > ლგ-მ-დაგრ-უნ > ლგ-მ-დაგრ-ინ** „კლავდა თურმე“, „ნაკლავა“.

(26) **ლგ-მ-ვან-ჟინ/ ლგ-მ-ვან-ინ** „ხნავდა თურმე“, „ნახნავა“.

ვარლამ თოფურია II თურმეობითის (resp. ევიდენციალური იმპერფექტი II-ის) აფიქსებში (**ლგ-მა-...+-...-უნ-ე**) **ლგ-**ს ნამყოს მიმდებარეულ პრეფიქსთან აიგივებს. ამის საფუძველს მას აძლევს აღწერით ფორმათა (**ლგ-გე ლი** „აშენებუღია/აშენებუღი არის“, **ლგ-ხჭრელ-ე ლი** „აკრეფიღია, შეგროვებუღია“) მახასიათებლების გამოვლენა საანალიზო მასალაში. მკვლევარი II თურმეობითის მაწარმოებელთა შესახებ აღნიშნავს, რომ **მა-**, **-უნ-**

<sup>1</sup> იგივე: *ევიდენციალური იმპერფექტი II*.

აფიქსთა ფუნქცია სარკვევია (თოფურია 1967:135). მოკლედ წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებას **მა**- პრეფიქსის შესახებ. როგორც ითქვა, სემანტიკურად მწკრივს ქართულ უღლებაში ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება, აღწერი- თად კი მისი ბადალი იქნება უწყვეტელი + „თურმე“. ცნობილია, რომ **უწყ- ვეტელი**, ჩვეულებრივ, დაუსრულებელ, განგრძობით მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს. ამდენად, ეს მწკრივი, მიუხედავად გარდამავლობა- გარდაუვლობისა თუ ზმნის სემანტიკისა (მოქმედება-მდგომარეობა), ასა- ხავს პროცესს წარსულში, აჩვენებს დინამიკას, აქტივობას. როგორც დამა- ნა მელიქიშვილი აღნიშნავს, „წერდა თუ იწერებოდა – ორივე პროცესია, რომელიც არ დასრულებულა“. ჩვენი აზრით, სწორედ ამ აქტივობას, დინა- მიკას ასახავს **-მე** (< **-მა**) პრეფიქსი სვანურის II თურმეობითში (resp. ევი- დენციალური იმპერფექტი II-ში), რომელიც, სავარაუდოდ, კვლავ მიმდევო- ბურია, კერძოდ, სასუბიექტო მიმდევობისა. ქართულში „აქტივის კონვერსიუ- ლი კონსტრუქციის ზმნები, რომლებიც **პასივად** იწოდებიან, ევროპული პა- სივისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი გრამატიკული სუბიექტი (იგივე აქტივის პირდაპირი ობიექტი) ხშირად მოქმედების აგენსია (რეალურად მოქმედი პირია) და არა პაციენსი (ანუ მოქმედების, ვნების განმცდელი)“ (მელიქიშვილი 2001:177). ჩვენი აზრით, სწორედ ეს ასპექტია წინ წამოწეუ- ლი სვანურის II თურმეობითში; ამით აიხსნება ის, რომ „ვნებითი გვარის თურმეობითი I და II მოქმედებითის თურმეობითისაგან მხოლოდ **-ოლ/-ოლ** ფორმანტით განსხვავდება“ (თოფურია 1967:191). ეს უნდა იყოს ახსნა, რომ გარდაუვალი ზმნებიც, გარდამავლების კვალობაზე, აგენსის დაფიქსირე- ბას იმავე **მე-(მა-)** პრეფიქსით ახერხებენ. მართალია, სვანური ენის (ისევე, როგორც ქართულის) უწყვეტელში აქტივობა, დინამიკა მუდამ სუფიქსითაა გამოხატული, მაგრამ II თურმეობითს (რომელიც აღწერთია), დინამიკუ- რობასთან ერთად, უნახაობაც უნდა გამოეხატა, რისთვისაც მან სუფიქსა- ცია გამოიყენა, ხოლო აქტივობის, დინამიკურობის გამოსახატავად (სემან- ტიკიდან გამომდინარე) **-მ** (< **-მა**) პრეფიქსი დაურთო არა მხოლოდ გარდა- მავალ, არამედ გარდაუვალ ზმნებსაც:

(27) **ლგ-მ-შინ-ჟინ-ხუი** „კწავადი თურმე“, (28) **ლგ-მ-შინ-ოლ-ინ-ხუი** „ვი- წვოდი თურმე“,

(29) **ლგ-მ-სგურ-ოლ-ნე ხუი** „გჯდებოდი თურმე“, (30) **ლგ-მ-სგუირ ხუი** „ვიჯექი თურმე“.

რაც შეეხება სუფიქს **-უნ-ე**ს, რომელიც ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის უშუ- ალო საგანია, მის შესახებაც ვარლამ თოფურია, I თურმეობითის მსგავ- სად, სამართლიანად შენიშნავს, რომ **-ე -უნ-** ელემენტის კუთვნილება არ უნდა იყოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, **-უნ-** სუფიქსი სვანურში წარმოდგე- ნილია I თურმეობითში და სხვა ევიდენციალურ, უფრო ზუსტად, ეპისტემი- კურ-ევიდენციალურ მწკრივებში. სვანურში ასეთი მწკრივებია:

*ინფერენციული აწმყო*

(30) აღაშუნი „აღბათ თესავს“/„თესავდეს იქნება“.

პირობითი

(31) ალშუნრლ „აღბათ თესავდა“/„თესავდა იქნება“/„რომ ეთესა“.

-უნ სუფიქსის არქაულობას *ინფერენციული აწმყოს* (ტრადიციული ტერმინოლოგიით, *მეოვადუსრულის*) ანალიზისას გივი მაჭავარიანიც ვარაუდობს: „საფიქრებელია, -უნ || -ინ (< -ენ) სუფიქსები წარმოშობით აწმყოს ფუძის საწარმოებელი ფორმანტები იყვნენ. კაუზატივის -უნ || -ენ (>-ინ) სუფიქსებიც ამავე წარმოშობისა ჩანან“ (მაჭავარიანი 1974:131). ეს მოსაზრება ამყარებს ჩვენს თეორიას იმის შესახებ, რომ აღნიშნული აფიქსი უძველესია, არქაულია და მომდინარეობს ოდენ სემანტიკური ჯგუფების არსებობის დროიდან, მისი ფუნქციის დიფერენციაცია მწკრივთა მიხედვით მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, ხოლო მნიშვნელობა, რომელსაც ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს სუფიქსი ანიჭებს სხვადასხვა მწკრივის, იკვეთება ერთგან – ეს არის **მოქმედების დაუდასტურებლობა, ვეიდენციალობა (უნახაობა ან საეჭვოობა-სავარაუდოობა)**.

მეგრული და სვანური ენების მონაცემთა ანალიზი – ვეიდენციალურ ზმნურ ფორმათა სეგმენტაცია და სპეციალური მორფოლოგიური მარკერის გამოყოფა – ვფიქრობთ, აბათილებს უცხოელ ლინგვისტთა (ზლობინი, აქსუ კოჩი...) უსაფუძვლო მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ვეიდენციალობის კატეგორია თურქულის გავლენით ჩამოყალიბდა ჯერ მეგრულში, საიდანაც შევიდა სვანურში. ჩვენი აზრით, ვეიდენციალობის განვითარების გზა ქართველურ ენათა სისტემაში შინაგანი ტენდენციებით აიხსნება და არა უცხო ენის გავლენით ან სხვა გარეგანი ფაქტორებით.

### ლიტერატურა:

**არაბული 1984** – ა. არაბული, *მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება ძველ ქართულში*, თბილისი.

**ბერიძე 2009** – მ. ბერიძე, პერფექტულობის გამოხატვის ზოგი საკითხისათვის ქართულში, *სამეცნიერო წერილების კრებული „გურამ კარტოზია-75“*, თბილისი.

**დანელია 2006** – კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, წიგნში: *კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა*, თბილისი.

**თოფურია 1967** – ვ. თოფურია, *შრომები, I, სვანური ზმნა*, თბილისი.

**კარტოზია და სხვები, 2010** – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, თბილისი.

**მარგიანი 2008** – ქ. მარგიანი, *ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი*, თბილისი.

**მარგიანი 2012** – ქ. მარგიანი, *ვეიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში*, თბილისი.

**მარგველაშვილი 2000** – მ. მარგველაშვილი, მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება მეგრულში, *ენათმეცნიერების საკითხები, II*, თბილისი.

**მაჭავარიანი 1974** – გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV*, თბილისი.

**მელიქიშვილი 2001** – დ. მელიქიშვილი, *ქართული ზმნის უღლებების სისტემა*, თბილისი.

**ონიანი 1998** – ა. ონიანი, *სვანური ენა*, თბილისი.

**როგავა 1953** – გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვეთები ქართველურ ენებში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. V, თბილისი.

**ქირია და სხვები, 2015** – ჭ. ქირია, ღ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, *ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია*, თბილისი.

**ქობაღავა 2001** – იზ. ქობაღავა, კავშირებითი კილო მეგრულში, *ენათმეცნიერების საკითხები*, №4, თბილისი.

**ჩიქობავა 1962** – არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის, *იკე*, XIII, თბილისი.

**ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*, ტფილისი.

**ჭუმბურიძე 1986** – ზ. ჭუმბურიძე, *მყოფადი ქართველურ ენებში*, თბილისი.

**Boeder 2005** – W. Boeder, *The South Caucasian languages*, *Lingua*, 115.

**Boeder 2000** – W. Boeder, *Evidentiality in Georgia*, Berlin.

**Кипшидзе 1914** – И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*, СПб.

**Kurdadze and al. 2018** – R. Kurdadze, M. Lomia, K. Margiani, *The Issues of Naming and Translation of Evidential Verb Forms in the Kartvelian Languages*, წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო კონფერენციაზე: „საერთაშორისო ტერმინოლოგია: თარგმნა და სტანდარტიზაცია“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 5-7 ოქტომბერი, 2018.

**Kurdadze and al. 2017** – R. Kurdadze, M. Lomia, K. Margiani, *On the Reinterpretation of the Terms Denoting Evidential Tenses in the Kartvelian Languages* (ავტორები: რ. ქურდაძე, მ. ლომია, კ. მარგიანი), *ლინგვისტთა V საერთაშორისო კონფერენცია*, ლუბლინის იოანე პავლე II-ის სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტი, პოლონეთი, 18-19.10.2017: <http://lingbaw.webclass.co>; სტატია დაბეჭდილია საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალში MULTILINGUAL EDUCATION, # 10, p. 69-77: <http://multilingualeducation.org/en/article/37>

**Kurdadze and al. 2017<sup>1</sup>** – R. Kurdadze, M. Lomia, K. Margiani, *Category of Evidentiality in the Kartvelian languages: Problems, Research History, Perspectives*, წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო კონფერენციაზე: *Historical Linguistics of the Caucasus*, სორბონის უნივერსიტეტი, პარიზი, საფრანგეთი; 12-14.04. 2017: <http://immocal.ifeaistanbul.net/conf2017-participants/> მოხსენება დაბეჭდილია საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალში MULTILINGUAL EDUCATION, # 9, p.63-73 : <http://multilingualeducation.org/en/article/33>

**Topadze Gäumann 2011** – M. Topadze Gäumann, *The Expression of evidentiality between lexicon and grammar. A case study from Gorgian*. *Linguistic Discovery* 9, 2, Dartmouth.



**პერფექტული სემანტიკის ზმნებისა და მესამე  
სერიის ფორმატა საპითხისათვის ქართულში<sup>1</sup>**

ქართული ზმნური სისტემა პიროვანი უღვლილების საუკეთესო ნიმუშია. ზმნური ფორმა შეიწყობს გარკვეული რაოდენობის სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ სახელებს, რომლებიც წარმოჩენილია სათანადო ნიშნებით.

პირველ ყოვლისა, წარმოგიდგენთ სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშანთა ცხრილებს:

სუბიექტური პირის ნიშნები:

მხოლობითი რიცხვი

I. ვ-, Ø -----

II. ხ-, ღ -----

III. ----- -ს, -ა, -ო

მრავლობითი რიცხვი

I. ვ-, Ø ----- თ

II. ხ-, ღ ----- თ

III. ----- ეს, -ნენ, -ან, -ენ, -ნ

ობიექტური პირის ნიშნები:

პირდაპირი და ირიბი ობიექტი I და II პირში

მხოლობითი რიცხვი

I. მ -----

II. გ -----

მრავლობითი რიცხვი

I. გვ -----

II. გ ----- თ

III პირში მხოლოდ ირიბი ობიექტია წარმოდგენილი (პირდაპირ ობიექტს ახალ ქართულში მესამე პირში ნიშანი არ აქვს, გარდა რამდენიმე შემთხვევისა)

მხოლობითი რიცხვი

III. ჰ-, ხ-, Ø -----

მრავლობითი რიცხვი

ჰ-, ხ-, ღ ----- (თ), Ø

შესაძლებელია, წერს ა. შანიძე, ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის ფორმა ერთ შემთხვევაში ერთი ფუნქციით გვევლინებოდეს, სხვა შემთხვევაში მეორე ფუნქციით, მაგალითად, „მომიკლავს“ ზმნას ორი პირის ნიშანი აქვს: მ- პირველი ობიექტური პირის ნიშანი, -ს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი. წინადადებაში, ბიძაჩემი სანადიროდ წავიდა და უთუოდ

<sup>1</sup> სტატია მომზადდა გრანტის („პერფექტის სემანტიკა და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულ ენაში“) ფარგლებში.

კურდღელს მომიკლავს. მომიკლავს -ის, მე მას. ის მოქმედია, პირის ნიშან-თა თვალსაზრისით, აღნიშნულ მაგალითში ყველაფერი რიგზეა.

ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მომიკლავს კურდღელი. მომიკლავს მე ის. მე – მოქმედი პირია, რომელსაც ობიექტური პირის ნიშანი აქვს, უმოქმედოა ის, რომელსაც სუბიექტური პირის ნიშანი აქვს.

ამრიგად, თუ პირველი წინადადების „მომიკლავს“ ზმნაში პირის ნიშან-თა მნიშვნელობას ნორმად მივიჩნევთ, მეორე წინადადების იმავე ბგერითი შედგენილობის ფორმაში პირის ნიშანთა მნიშვნელობა ინვერსიული იქნება.

ამრიგად, ასკენის ავტორი, ქართულში აღგილი აქვს პირის ნიშანთა ინვერსიას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ვინის რიგის ნიშნები სუბიექტური პირის აღმნიშვნელად გვევლინებიან, სხვა შემთხვევაში კი – ობიექტურ პირისად. პირუკუ, მანის რიგის ნიშნები ობიექტური პირების ამსახველებია, სხვა შემთხვევაში კი – სუბიექტური პირებისა (შანიძე 1980: 196).

პირის ნიშანთა ინვერსია გვხვდება მარტო მესამე სერიის ფორმებში და ისიც გარდამავალ ზმნებში, გარდაუვალმა ზმნებმა, საზოგადოდ, ინვერსია არ იცის. პირთა რაოდენობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ინვერსიული ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ ორპირიანი (შანიძე 1980: 180).

განსხვავებული აზრი აქვს ავტორს გრძობის და ქონა-ყოლის ცნებების გამომხატველ გარდაუვალ ზმნებთან დაკავშირებით. ის თვლის, რომ მიყვარს, მაქვს, მყავს ტიპის ზმნებში ინვერსია არ არის. მიცემითში შეწყობილი სახელი ირიბი ობიექტია და სახელობითში შეწყობილი – სუბიექტი. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი მაგალითი: გარეთ ძალიან ცივა. ცივა იხმარება მესამე პირში სახელის შეუწყობლად და ინპერსონალურია. თუ ჩვენ ამას ორპირიანად გადავაკეთებთ, წერს ავტორი, მოქმედი პირი მაინც არ მიემატება. ეს პირი იქნება ირიბი ობიექტი. მცივა ზმნის ფორმა მაინც აბსოლუტური იქნება. აქ არავინ მოქმედებს. ასეთი ტიპის ზმნებში თუ გამოჩნდა სახელობითში დასმული სახელი, ის იქნება სუბიექტი. მაგალითად: სწყურია – ბავშვს წყალი სწყურია. სადაც წყალი სუბიექტია, ბავშვს – ირიბი ობიექტი (შანიძე 1980:197-8).

სრულიად განსხვავებული აზრი აქვს არნ. ჩიქობავას, რომელიც ამგვარ ზმნებს აწმყოშივე შებრუნებულს, ინვერსიულს, უწოდებს. მას შემოაქვს ტერმინი რეალური სუბიექტი და რეალური ობიექტი. შებრუნებული წყობის ზმნებში, წერს ავტორი, მიყვარს მე ის. რეალური სუბიექტი არის მე, რომელიც მ- ობიექტური პირის ნიშნით არის გადმოცემული და ის კი არის რეალური ობიექტი, რომელიც -ს სუბიექტური პირის ნიშნით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება მესამე სერიის გარდამავალი ზმნის ფორმებს, ავტორი მათაც ინვერსიულად მიიჩნევს (ჩიქობავა 2008: 057-8).

საინტერესოა დ. მელიქიშვილის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ინვერსიის, ანუ გრამატიკული ობიექტის ლოგიკურ სუბიექტად გააზრება, როგორც ისტორიული ფაქტორის, შესაძლებელია შემდეგი არგუმენტებით:

პერფექტულ-რეზულტატიური შინაარსის ფორმებიდან ჩამოყალიბდა დრო-კილოთა ახალი ჯგუფი, მესამე სერია, რაც დაკავშირებულია რელატიურ სტატიკურ ზმნებში მიცემითბრუნვიან პერსონალურ პირთა სუბიექტად გააზრებასთან, რასაც ზმნის დინამიკურად გაგება და სათანადო აქტიურ დინამიკურ ზმნათა პარადიგმებში მოქცევა მოჰყვა, ე.ი. პერფექტული შინაარსიდან ახალი, დინამიკური შინაარსის (დამატებითი სემანტიკური ნიუანსებით, როგორცაა: თურმეობითობა, უნებლიობა...) ფორმების ჩამოყალიბება, პერსონალური მიცემითის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის მოპოვება (რაც, თავის მხრივ, არის სუბიექტის განმსაზღვრელი უნივერსალური სინტაქსური ნიშანი) და, შესაბამისად, პირდაპირი ობიექტის სახელობითის მიერ ამ უნარის დაკარგვას შედეგად მოჰყვა რიცხვში შეთანხმების ფორმალური პრინციპიდან სემანტიკურ პრინციპზე გადასვლა და, ზოგადად, გადააზრებული სემანტიკის მქონე ფორმების არსებობის ფაქტი ავტორს აფიქრებინებს, რომ ინვერსიას, როგორც ისტორიულ პროცესს, საფუძველი აქვს სტატიკურ, უფრო ზოგადად, პასიური მორფოლოგიური სუბიექტის მქონე ზმნებში, სადაც ზმნაში პირის ნიშნით გამოხატული მიცემითი, როგორც პერსონალური პირი, რეალურად, ფუნქციურად სუბიექტად გაიგება და შედეგად გარკვეული პერიოდიდან უკვე სათანადო რიცხვის ნიშანსაც მოითხოვს ზმნაში.

ამრიგად, ისტორიული თვალსაზრისით, აქტიურ სუბიექტიან ზმნებში ინვერსია, პრინციპში, გამორიცხებულია, ხოლო ინვერსიულ ზმნათა დიათეზა ისტორიულად მეორეული, წარმოქმნილი, ფუნქციური ცვლილებების შედეგად მიღებული კონსტრუქციისაა (მელიქიშვილი 2001: 226-7).

ბ. ჯორბენაძეს მნიშვნელოვან მახასიათებლად მიაჩნია სტატიკურობა. იგი აღნიშნავს, რომ ყველა ის ფორმა, რომელიც ამოსავალი ფუძის სემანტიკით არის ორპირიანი და იმავდროულად სტატიკურობის ფუნქციას გამოხატავს, ინვერსიული წყობისაა. მისი აზრით, ყველა ინვერსიული ფორმა ქართულში სტატიკურობის ფუნქციის გამომხატველია და ასეთი კონსტრუქციები მრავალსახოვანია ენაში. კერძოდ:

გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმები;

მიყვარს, მომწონს ტიპის ზმნები;

მოქმედებითი გვარის ზოგიერთი ზმნა, რომელიც გამოხატავს ნატვრას, სურვილს: ნეტავი მამდერა მე ის, ნეტავი გამაკეთებინა მე ის ... ;

მემდერება, მეპატარავება ტიპის ვნებითი გვარის ზმნები;

მოქმედებითი გვარის მაცახცახებს, მაჟრჟოლებს ტიპის ზმნები (ჯორბენაძე 1980: 374).

თ. უთურგაიძე ინვერსიის საკითხის განხილვის დაწყებამდე საუბრობს სუბიექტისა და ობიექტის დეფინიციის არაერთგვარობაზე. მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ ცნებათა მკაფიოდ ჩამოყალიბება, რათა გასაგები გახდეს პირთა ინვერსიის შესახებ შემდგომი მსჯელობა. ტრადიციულად მიღებულია სუბიექტი მოქმედად და ობიექტი სამოქმედოდ, მაგრამ ისეთი მრავალი გრამატიკული კატეგორიის მქონე ზმნაში, როგორცაა ქართული ზმნა, ასეთი განმარტება ვერ იქნება სრულფასოვანი. მაგა-

ლითად, ქართულში არსებობს შუალობითი კონტაქტის ფორმები, სადაც რეალურად მოქმედებს არა ერთი პირი, არამედ – ორი. ერთი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს მოქმედებას, და მეორე პირი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს და ასრულებს ხელმძღვანელის დავალებას. ისმის კითხვა: ამ ორი პირიდან რომელია სუბიექტური პირი, მოქმედების ჩამდენი, თუ ქმედების ორგანიზატორი? რეალურად მოქმედ პირს ობიექტური ნიშანი აქვს, ხოლო სუბიექტურ პირად ის პირია წარმოდგენილი, რომელიც მოქმედების ჩადენას ხელმძღვანელობს.

მაგალითად: დედა შვილს აწერინებს დავალებას.

ამ წინადადებაში სუბიექტურია ის პირი, რომელსაც ზმნით გამოხატული ქმედება მიეწერება, როგორც უშუალოდ მოქმედს, თუ მეორე – ქმედების ორგანიზატორი? წარმოდგენილ მაგალითში მოქმედების ჩამდენი სუბიექტის განსაზღვრებად ვერ გამოდგება, რადგან სუბიექტური პირის ნიშნით წარმოდგენილია ქმედების ორგანიზატორი, ხოლო ქმედების შემსრულებელი – ობიექტური ნიშნით:

დედამ მე დავალება დამაწერინა.

ამ წინადადების მიხედვით, დედა არის ქმედების ორგანიზატორი, ანუ ინიციატორი და გამოხატულია -ა ნიშნით და მ- არის ობიექტური პირის ნიშანი.

ამიტომ უმჯობესია, სუბიექტი განიმარტოს მოქმედების ორგანიზაციის გათვალისწინებით. ავტორის აზრით, ქმედების ინიციატორი არის სუბიექტი და სწორედ ამის გათვალისწინებით მსჯელობს *მიყვარს, მომწონს* ტიპის ზმნებზე და გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებზე.

ასეთი შემთხვევა ქართულ ზმნას კიდევ ბევრი აქვს.

ზმნით გამოხატული ქმედებისა და უბნობის მომენტთა მარტივი მიმართების გვერდით ენაში არსებობს რთული მიმართებაც, როდესაც ზმნის ფორმით მითითება ხდება იმაზე, რომ წარმოდგენილი ქმედება დამოკიდებულია რაღაც სხვა ზმნის გარეშე არსებულ მოვლენაზე ან ქმედებაზე. ქართულ ენაში ეს სხვა რეალიზებულია ობიექტით – ეს არის წინა მოვლენის დამადასტურებელი აქტანტი, კერძოდ: *უყვარს, სძულს, ჰყავს...* ტიპის ზმნებში (გრძნობათა და ქონების ზმნები), რომელთაც ე. ბენვენისტმა „ლექსიკური პერფექტი“ უწოდა, ქმედებისა და უბნობის შეფარდების გარდა, არსებითია რაღაც ან ვიღაც, რომლის არსებობაც ზმნით გამოხატულ მოქმედებამდე ივარაუდება. უფრო ზუსტად, ის ხდება მიზეზი მოცემული ზმნით გამოხატული ქმედების წარმოქმნისა. აქ იქმნება აქტანტთა თავისებური ურთიერთობა: ის აქტანტი, რომლის გარეშეც გრძნობასა და ქონებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, ვის გამოც წარმოიქმნება გრძნობის ან ქონების გამომხატველი ქმედება, ზმნით გამოხატული ქმედების ინიციატორად გვევლინება და, მაშასადამე, სუბიექტის ნიშანიც მას ექნება, ხოლო ზმნის ფორმაში წარმოდგენილი სხვა პირი – ობიექტს მიესადაგება (უთურგაიძე, 2016: 93).

აქტივთა მესამე სერიის ფორმებთან დაკავშირებით ავტორი წერს, რომ მესამე სერიის ფორმებში წარმოდგენილია რთული დროული კატეგორია-

პერფექტულობა, ანუ წარსული აწმყოში – პირველი თურმეობითი და წარსული წარსულში, ანუ მეორე თურმეობითი. ამ ტიპის ზმნებში აუცილებელია პირდაპირი ობიექტის წარმოჩენა, როგორც წარსულში ჩადენილი ქმედების შედეგისა. ასეთივეა პასივის მესამე სერიის ფორმებიც – დაწერილ არს. ეს არის წარსულში ჩადენილი ქმედების შედეგი (წარსული დროის მიმდევობა). არს კი მიუთითებს შედეგის არსებობაზე. მეორე თურმეობითში – დაწერილ იყო, არის მითითება წარსულში ჩადენილი ქმედების შედეგზე წარსულშივე. მესამე სერიის პერფექტული ფორმები პირველი მეორე სერიის ფორმებთან შედარებით გვიან ჩამოყალიბებულად ივარაუდება. პირველი თურმეობითის ფორმათა წარმომავლობა ორპირიან გარდაუვალ სტატიკურ ზმნათა აწმყოს უკავშირდება, ხოლო მეორე თურმეობითისა – მეორე სერიის მწკრივთა ფორმებს (უთურგაიძე 2016: 95).

ნ. ნათაძე თავის სტატიაში „მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში“ სრულყოფილად წარმოგვიდგენს მესამე სერიის ზმნის ფორმათა ანალიზს. მესამე სერია, წერს ავტორი, დამახასიათებელია სამივე ქართველური ენისათვის და ამ სერიის ნაკეთა წარმოება ქართველურ ენებში სრულ იგივეობას გვიჩვენებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მესამე სერია არცთუ ისე ახალი წარმონაქმნია.

გარდამავალი ზმნის დატიური კონსტრუქცია ახასიათებს სამივე ქართველურ ენას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქცია უფრო ძველ კონსტრუქციად ითვლება, ვიდრე დატიური. ხოლო დატიური კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან უძველესია (ჩიქობავა 1948: 5).

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ავტორი აღნიშნავს, არსებობს გარკვეული კითხვები: რა კავშირშია გარდამავალი ზმნის დატიური კონსტრუქცია გარდაუვალი ზმნის დატიურ კონსტრუქციასთან, უკავშირდებიან გენეტიურად ისინი ერთმანეთს თუ არა? თუ უკავშირდებიან, მაშინ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ გარდაუვალი ზმნის ინვერსიული ფორმებიდან გარდამავალი ზმნის დატიური კონსტრუქციის განვითარების მექანიზმი, როგორ უნდა ავხსნათ ინვერსიის წარმოშობა გარდამავალი ზმნის ფორმებში?

გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითი, როგორც აღნიშნავენ სხვა მეცნიერებმაც, გარდაუვალი სტატიკური ზმნების აწმყოს უკავშირდება.

სტატიკური ვნებითი:	პირველი თურმეობითი:
უგდია	დაუგდია
უნთია	აუნთია
უწყვია	დაუწყვია

-ავ თემისნიშნიანი:	
სტატიკური	პირველი თურმეობითი
ხურავს	დაუხურავს
უჭირავს	დაუჭირავს

სტატიკურ ზმნათა დიდი ნაწილი აწმყოში იმავე ფუძით არის წარმოდგენილი, როგორც ფუძითაც წარმოდგენილია პირველ თურმეობითში მათი შესატყვისი მოქმედებითი. ამდენად, პირველი თურმეობითი და სტატიკური ზმნის აწმყო მსგავსია არა მარტო სუფიქსაციით, არამედ ფუძითაც. ანალოგიური მდგომარეობაა ქართველურ ენებშიც: სვანურსა და მეგრულში (ნათაძე 1955: 56).

ისმის კითხვა, რატომ ემთხვევა ეს ფორმები ერთმანეთს, როდესაც ერთი აწმყოს გულისხმობს და მეორე – წარსულს? ავტორის აზრით, თურმეობითი პირველი გარდამავალი ზმნისა ისტორიულად არის არა წარსული, არამედ აწმყო. შეიძლება ვთქვათ, რომ „აწმყოს სრული“ ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც მნიშვნელობაც აქვს პერფექტს თანამედროვე ევროპულ ენებში. მისი ფუნქციაა აღნიშნოს დასრულებული მოქმედების ფაქტი, რომ მოქმედება მოხდა (სულერთია როდის), და მოცემულ მომენტში უკვე დასრულებულია (ნათაძე 1955:82).

ნიკოს აუშენებია სახელი.

გიორგის გაუკეთებია მანქანა.

ძველი ქართულის და ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით, პირველი თურმეობითის პირვანდელი მნიშვნელობა სწორედ „აწმყო სრულის“ გამოხატვა იყო, ხოლო მისი სხვა სემანტიკური ნიუანსები შემდეგ არის განვითარებული. მაგალითად, კითხვითსა და უარყოფით წინადადებაში თურმეობითის გამოყენება და სხვა. მაგალითად, ეს სურათი გინახავს? დაკლება არ დამიწერია...

ავტორი ბოლოს ასკვნის, რომ გარდამავალი ზმნის მესამე სერია ქართველურ ენებში მიღებული ჩანს სტატიკური ვნებითის აწმყოსა, ნამყოსა და კავშირებითისაგან მხოლოდ მნიშვნელობის ევოლუციის შედეგად. უკანასკნელმა ასახვა ვერ პოვა ფორმაში რომელიმე მაწარმოებლის სახით, თუ არ ჩავთვლით, ერთი მხრივ, პრეფერბის დართვას სამსავე ქართველურ ენაში, რაც არსებითი არ არის, და, მეორე მხრივ, სხვაობას ქცევის აღნიშვნაში სვანურში, რაც აგრეთვე ფუძეს არ ეხება (ნათაძე 1955: 98).

აღნიშნული მასალის გაცნობის შემდეგ ჩვენი აზრით, ე.წ. ინვერსიული ფორმები, რომლებიც გვაქვს აწმყოში ორპირიან გარდაუვალ გრძნობისა და ქონა-ყოლის გამომხატველ ზმნებში (მიყვარს, მომწონს, მცივა..) და გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებში, გრამატიკულად ერთგვარ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს. უძველესად მივიჩნევთ, როგორც მრავალი სხვა მეცნიერი, გარდაუვალი ზმნების ორპირიან ფორმებს (მიყვარს, მომწონს...), რომლებსაც ვუწოდებთ „პერფექტული სემანტიკის“ ზმნებს. რაც შეეხება ინვერსიულ ფორმებს, სავსებით ვიზიარებთ თედო უთურგაიძის მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ამგვარი ზმნების სემანტიკაში ავტორი ძირითად ფაქტორად მიიჩნევს მოცემული ზმნით გამოხატული ქმედების წარმოქმნის მიზეზს, რასაც იგი ქმედების ინიციატორს უწოდებს, რომელიც გამომხატულია სუბიექტის ნიშნით, ხოლო მეორე პირი – შესაბამისი ობიექტური პირის ნიშნით. ეს არის ყალიბი პერფექტული სე-

მანტიკის ზმნებისა. მისი კონსტრუქცია არის დატიური, რაც გულისხმობს მიცემითს სახელობითთან ერთად.

რაც შეეხება გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებს, კერძოდ, პირველ თურმეობითს, სტატიკური ზმნის სრულ ანალოგიას წარმოადგენს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზმნისწინს). ეს არის ფორმა, რომელიც ქართულ ენას დასჭირდა ევროპული ენებიდან ტექტების თარგმანის დროს. საჭირო გახდა ევროპული ენების პერფექტის დროების შესაბამისი ფორმის გამოსატყა. ენამ აიღო ყალიბად ის ფორმა, რომელიც ჰქონდა ორპირიან გარდაუვალ „პერფექტული სემანტიკის“ ზმნებს აწმყოში. დაურთო ზმნისწინი, გახდა დინამიკური, რომელსაც თანდათანობით დაემატა პერფექტისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი: თურმეობითობა, ნებელობა, ვეიდენციანობა, კითხვითი და უარყოფითი ფორმების წარმოება და სხვა.

ხოლო მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი ემთხვევა რელატიური ვნებითის მეორე სერიის ფორმებს.

ჩვენი აზრით, ე.წ. პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი, ანუ მესამე სერია, არ წარმოადგენს პირველი და მეორე სერიის გაგრძელებას. ეს არის ზმნათა სისტემის ცალკე რგოლი, კერძოდ, პერფექტული ჯგუფი, როგორც ევროპულ ენებშია წარმოდგენილი.

ასევე საინტერესოა ა. ონიანის მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. იგი მესამე სერიის ფორმებს მიიჩნევს არამოქმედებითად და არავნებითად. არამოქმედებითად იმის გამო, რომ პირდაპირი ობიექტი არ აქვს, არავნებითად იმ მიზეზით, რომ მათი ვნებითად მიჩნევა შეუძლებელია, თუ კონვერსიულ აქტივს ვერ დავუყენებთ გვერდზე. აღნიშნულ დებულებათა საფუძველზე, აქტივთა მესამე სერიის ფორმებს მიიჩნევს „მაქვს“ ტიპის ფორმებად და მიცემითის კონსტრუქციის ზმნებად (ონიანი 1978: 65), ისევე, როგორც ამის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი, თუმცაღა აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

### ლიტერატურა:

**მელიქიშვილი 2001** – დ. მელიქიშვილი, *ქართული ზმნის უღლების სისტემა*, თბილისი, 2001.

**ნათაძე 1955** – ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. 7, თბილისი, 1955.

**ონიანი 1978** – ა. ონიანი, *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*, თბილისი, 1978.

**უთურგაიძე 2016** – თ. უთურგაიძე, *ქართული ენობრივი სისტემის საკითხები*, თბილისი, 2016.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თხზულებანი ტ. 3, თბილისი, 1980.

**ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, *ქეგლ, ტ. 1*, 2008.

**ჩიქობავა 1948** – არნ. ჩიქობავა, *ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში*, თბილისი, 1948.

**ჯორბენაძე 1980** – ბ. ჯორბენაძე, *ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები*, თბილისი, 1980.



**ცნობები გლუტონიზმთა შესახებ აკაკი შანიძის  
„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“**

აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ენობრივ მოვლენათა საანალიზოდ თუ დასამოწმებლად მოხმობილი მაგალითები საინტერესო ცნობებს შეიცავს არაერთი გლუტონიზმის შესახებ.

სახელთა ბრუნებაზე მსჯელობისას ბრუნების სამ ტიპს შორის განაწილებულ თავისთავად სახელებში გლუტონიზმები ჭარბობს, სახელდობრ, გვხვდება **საკვები პროდუქტების, კერძებისა და მათი ინგრედიენტების სახელწოდებები: ჭარხალი, ლობიო, ნიორი, პამიდორი (პამიდურის წვენი / პამიდორის წვენი), ტყემალი, რძე, მაწონი, ერბო, დო, ატამი, ჭერამი, მსხალი, ყურძენი, მაცვალი, ფორთოხალი, წვენი, წყალი, ვეძა, ჩაი, მაჭარი, ღვინო, ხინკალი და სხვ.; გლუტონიასთან დაკავშირებული ქრონოტოპული ერთეულები: ვახშამი, ბოსტანი, ბუხარი, თონე, ფურნე, მარანი, დუქანი, ბაზარი; ჭურჭლეულობა და სამზარეულოს სხვა ნივთები: ჭიქა, დანა, სტაქანი, სამოვარი, ქოთანნი, საცერი, კოკა, სურა, ლიტრა, ჯაგანი, კიდობანი, გოდორი, წალო; გემოს მახასიათებლები: მწარე, მლაშე, ცხარე და სხვ.**

ცხადია, დასახელებული ერთეულები გრამატიკული თვალსაზრისით არის შერჩეულ-განხილული, კერძოდ, ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით თითოეული მოქცეულია ბრუნების ამა თუ იმ ტიპში. მაგრამ, თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ კონკრეტული მორფოლოგიური საკითხის სასწავლებლად აკაკი შანიძე გლუტონიზმებს უფრო ხშირად მიმართავს, ვიდრე სხვა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების ერთეულებს, კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგად დისკურსში მათი გამოყენების სიხშირესა და, შესაბამისად, მათი, როგორც მაღალი კომუნიკაციური რელევანტურობის მქონე ლექსემების, საგანგებო კვლევის საჭიროებას.

ჭამის პროცესის აღნიშვნას ენაში სემიოტიკური სიმჭიდროვე ახასიათებს, რაც უნივერსალურ მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგან საკვების მიღების, როგორც ადამიანისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ერთ-ერთი მთავარი ქმედების, გასიტყვებას კომუნიკაციური თვალსაზრისითაც მაღალი სიხშირული ინდექსი ენიჭება. საკმაოდ მრავალრიცხოვანია ჭამის აღმნიშვნელ ქართულ ზმნათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, მრავალფეროვანია ის დიფერენციული სემანტიკური კომპონენტებიც, რომლებიც ამ ლექსემებზე დაკვირვებამ გამოავლინა. „ჭამასთან“ ერთად აღინიშნება **სინარბე**, რომელიც, თავის მხრივ, გამოიხატება **მიღებული საკვების რაოდენობით: ხეთქაქს, (მუცელს /კუჭს) იყორავს, სკდება, აძდება ... ; ლუკმების სიდიდით: იღმურძლება, ხანხლავს, ნოქავს**; იმავე რიგის ლექსემათა სემანტიკური სტრუქტურის შემადგენლებია **სწრაფად, უშნოდ, ხმაურით ჭამა: ხანხლავს, თქვლეფს, იზმუზნება, ილოღნება, ღიჯნის, ათქლაფუნებს** და სხვ. როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე დიალექტებში განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ზმნები, რომლებიც ხმაურით ჭამასთან ერთად **საკვე-**

**ბის რავგარობაზეც** მიგვითითებენ, მაგალითად: *აკნატუნებს, აკრახუნებს, ახრაშუნებს, ახრამუნებს, სვლეს, ხვრეს, სმუნის, ტკვერს* და მისთ. განხილული ჯგუფის გლუტონიმა შორის უარყოფითი კონოტაციის ერთეულები ჭარბობს. დადებითის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ *იგემებს, აგემოვნებს, შეექცევა, ჩაიტკბარუნებს, ჩაიკოკლოზინებს, იამებს* (კუთხ. (ფშ.) პატივც. შეჭამს, მიირთმევს), *ინუკავს* (ძვ. იგემებს, შეჭამს (მას, რაც უნდა, რაც უყვარს). შდრ. სანუკვარი) და სხვ.

თავაზიანი მეტყველება დისკურსის ის სახეობაა, რომელიც შემადგენლებად იმთავითვე დადებით ლექსიკურ ერთეულებს გულისხმობს. აკაკი შანიძე, როდესაც ზმნების ერთ-ერთ თავისებურებაზე – პირში შენაცვლებაზე – საუბრობს, თავაზიანი მეტყველებით შეპირობებულ მაგალითებს იმოწმებს და მათ შორის **ჭამა** ზმნასაც განიხილავს:

„ჭამა“ ზმნას „მიირთმევა“ ენაცვლება სათავისო ქცევის ფორმით: 1. ვჭამე, 2. მიირთვი, 3. ჭამა (მიირთვა). მიირთვი! პირველი პირის ფორმა („მივირთვი“) რომ ვინმეს წამოსცდეს, ღიმილს გამოიწვევს მსმენელში“ (შანიძე 1973: 520).

თანამედროვე მედიატექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჟურნალისტებმა იციან „ჭამა – მიირთმევის“ მონაცვლეობის შესახებ, ისიც იციან, რომ პირველი ნეიტრალური, მხოლოდ კოგნიტიური მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, ხოლო მეორეს მოქმედების აღნიშვნასთან ერთად თავაზიანობის ელფერი ახლავს, თუმცა არ იციან არსებითი – თავაზიანი დისკურსი ძირითადად ადრესატის პატივისცემაზეა აგებული, გრამატიკულად ეს შეიძლება იყოს როგორც მეორე, ასევე მესამე პირიც, მაგრამ ვერასოდეს ვერ იქნება მოსაუბრე ანუ პირველი პირი.

დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

„მათ მითხრეს, რომ შხამი ბრინჯში შეურიეს, რომელიც რესტორანში **მივირთვი** ... , – განაცხადა იუშჩენკომ“ (<https://1tv.ge/news/viqtor-iushchenko-shkhami-sakvebshi-sheuries-romelic-restoranshi-mivirtvi/>).

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სადილზე ხაჭაპური **მივირთვი**, რომელიც მეგობარმა პირდაპირ თბილისიდან ჩამომიტანა“, – წერს ჯეიმს აპატურაი“ (<http://reportiori.ge/old/aww.ge/sputnik-georgia.com?lang=1&menuid=3&id=66508>).

„ისეთი ხაჭაპური **მივირთვი** და ღვინო დავლიე პირველი ვიზიტის დროს, მიკვირს, აქამდე როგორ არ ჩამოვედი საქართველოში“, – განაცხადა ჯონ კერი“ (<http://kvira.ge/266620>).

მართალია, სამივე მედიაკონტექსტი თარგმნილია, მაგრამ ეს არ არის არსებითი, აქ შეცდომის წყაროა მთარგმნელთა ზედაპირული ცოდნით ნაკარნახები განზრახვა, რომელიც სამივე შემთხვევაში ერთია – წინადადებებში დადასტურებული გვარ-სახელები ოფიციალურ პირებს ეკუთვნით: იუშჩენკო უკრაინის ექსპრეზიდენტია, ჯეიმს აპატურაი – ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯონ კერი – აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ამიტომ მთარ-

გმნელ-ჟურნალისტებმა ოფიციალური სამეტყველო რეგისტრის შესაფერი-სად „მივირთვი“ ფორმა მიიხნიეს. ოფიციალური და ყოფითი დისკურსების გარჩევის მცდელობა, რაც „ჭამა – მირთმევა“ ზმნების ალტერნაციით გა-მოიხატა, საკმარისი არ აღმოჩნდა საკომუნიკაციო სიტუაციის ადეკვატური და უშეცდომო კონტექსტის შესაქმნელად. აკაკი შანიძე ცოდნის იმ ნაწილ-ზეც დაწვრილებით საუბრობს, რომელიც განხილული მედიატექსტების ავ-ტორებს დააკლდათ:

„ვჭამეს“ მნიშვნელობით მორიდებულ ლაპარაკში აგრეთვე „გიახელ(ი) იხმარება. მას მარტო პირველი სუბ. პირის ფორმა აქვს (შეიძლება მრავ-ლობითშიც: გიახელით), სხვა პირის ფორმები არ იხმარება. ეს ფორმა სამ-პირიანია წარმოშობით, მაგრამ მეორე პირის გაგება მიღებულია და ორ-პი-რიანად არის ქცეული: „უკვე გიახელი სადილი“. „გიახელი(თ)“ ამას ნიშ-ნავს: ვახლე მე (პირი) შენსას ან თქვენსას (ე. ი. შენს საჭმელს ან თქვენს საჭმელს), შემდეგ საზოგადოდ საჭმელს“ (შანიძე 1973: 520).

აკაკი შანიძე აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ორ საკითხს განიხი-ლავს: 1. „გეახელ“ (= მოვედი) და „გიახელ“ (= ვჭამე) ფორმების აღრევასა და 2. წყვეტილის „გიახელი“ ფორმასთან შეწყობილი ობიექტის ბრუნვის საკითხს („გიახელი სადილი“ თუ „გიახელი სადილს“).

გლუტონიურ დისკურსში გამორჩეული ერთეულია **პური**, როგორც ადა-მიანის უმნიშვნელოვანესი საკვები პროდუქტი. ქართული პურის მრავალსა-ხეობა და მრავალსახელიანობა (პურის სხვადასხვა ნიშნით სახელმდებ-ელი ლექსემები) ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული ენის განმარტე-ბითს ლექსიკონში (ქეგელი 1950-1964):

**ალაო პური** – ნოტიო და ჩახურებული ფქვილის პური (გული არ უცხ-ვება).

**არაგვიცა** – [შემდგარია სიტყვებისაგან არა გვიძს, ე.ი. არაგვიძევეს, არა გვაქვს] ძვ. ეთნ. ახალი წლისთვის სამკითხაოდ გამომცხვარი პური [სოფელში ოჯახის ქალი საახალწლოდ ჩააკრავდა თონეში ორ პურს – „გვიცასა“ და „არაგვიცას“; პირველი მოსაველიანობის მომასწავებლად ჰქონდათ მიხნეული, მეორე – მოუსაველიანობისად; ამის მიხედვით მკითხაობდნენ, როგორი მოსავეალი ექნებოდათ მომავალ წელს].

**ბაბა** – პური ბავშვის ენაზე (ზოგჯერ ხუმრობით დიდებიც იტყვიან პურის სახელად).

**ბალარჯი** – ძვ. „ცომის საფუარი“ (საბა). || ცუდად გამომცხვარი პური (ქერისა).

**ბასილა** – ეთნ. საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახისა.

**ბაღაჭი** – ძვ. „უფუვარი პური“ (დ. ჩუბინ.).

**ბიმპურა** – კუთხ. (რაჭ.) „შემშორებული პური, ნაბოლარი ფქვილისაგან გამომცხვარი“ (ვ. ბერ.).

**ბლითი** – თეთრი ფქვილისაგან გამომცხვარი პატარა რგოლი (პურისა), – ბუბლიკი.

**გულუნა** – კუთხ. (მოსხევ.) ნაცარში გამომცხვარი პატარა კვერი ქერისა.

**დედასპური** – იგივეა, რაც დედას პური (ქეგლი). „პურის სახეობა, რომელიც ძირითადად შიდა და ქვემო ქართლში იყო გავრცელებული. გარეგნულად ნახევარმთვარეს წააგავს, ყუასქელი და პირთხელია. ადრე დედასპურს მახობელას ურევდნენ, რაც პურს სურნელს მატებდა და ოდნავ ფერსაც უცვლიდა. პურის ეს სახეობა ყურადღებას იქცევს თავისი სახელითაც. არსებობს მოსაზრება, რომ დედასპური მას ეწოდა დედოსაგან, ანუ საფუერისაგან. ხალხური გადმოცემით კი, იგი დედის ხელით გამომცხვარია და რადგან დედა პურს გვაჭმევს, სახელწოდებაც მისგან მიიღო. მოცემულ შემთხვევაში ქალური საწყისის, დედის ბუნების გააზრებასთან გვაქვს საქმე. ისე, როგორც დედაბოძი, დედასამშობლო, დედამიწა, დედაენა, დედასპურიც დედის ბუნების მნიშვნელობას გამოკვეთს“ (ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011).

**თაფლაგაშა** – კუთხ. (რაჭ.) „კეცებში გამომცხვარი თხელი პური“ („დიალ.“).

**თაფლაგაში** – კუთხ. (ქართლ.) პატარა ზომის ლავაში.

**თახახა** – კუთხ. (ქიზ.) თხელი და ხმელი ლავაში.

**თაჯა** – კუთხ. (ჯავახ.) „ახალი გამომცხვარი პური“ („დიალ.“).

**თბილთაჯა** – თბილი თაჯა, თბილი ჯავახური პური.

**კაკალა** – პატარა მრგვალი პური გამტკიცული ფქვილისა.

**კვერი** – „პური მრგვალი“ (საბა). პატარა ბრტყელი მრგვალი პური.

**კეყერა** – კუთხ. (ქართლ.) „გამხმარი მაგარი პური“ („დიალ.“).

**კორაწი** – კუთხ. (ქიზ.) ძალიან ხმელი პური.

**კოტორი** – „პურის მონატეხი“ (საბა). || კვერი; (თუშური ქადა; თუშური ხაჭაპური – ს.ო.).

**კუტი; კუტპური** – თონეში ჩავარდნილი (და ნაკვერცხლებზე გამომცხვარი) პური.

**კუტმატი** – კუტი პური და მისი ნატეხები.

**ლავაში** – თხელი და მოგრძო პური, თონეში გამომცხვარი.

**ლიკანი** – „თონეში ჩაყუდებული პური“ (საბა).

**ლოლუა** – „თითივით პური“ (საბა). „ლოლუა მრგვალი და გრძელი პურია, ბავშვებს უცხოზენ“ („დიალ.“).

**მურასა** – კუთხ. (იმერ.) თონეული თეთრი, წმინდა პური.

**მჭადი** – სიმინდის პური. || ძვ. ფეტვის პური.

**მჭადპურა** – ხორბლის და სიმინდის ფქვილის ნარევისაგან გამომცხვარი პური.

**რიგისპური** – რელიგ. ეთნ. მიცვალებულის სახელზე გამომცხვარი პური რიგის (მნიშვ. 9) ჩატარების დროს, – ალაპის პური.

**საკვამლო** – ეთნ. კუთხ. (თუშ.) ღუმელში გამომცხვარი მრგვალი გაფუებული პური, რომელიც თითოეულ კომლს („კვამლს“) მიჰქონდა მიცვალებულის სატირალში.

**ტკბილა** – კუთხ. (მთიულ. მოხევ.) ალაოს ფქვილის პური.

**უნა** – გაულუარი ცომისგან მოხედილი, ცეცხლზე გამხმარი სიფრიფანა პური, – თახახა. || ძვ. და ეთნ. კუთხ. (ქართლ.) სიფრიფანა ხმელი ლავა-

ში, გამომცხვარი დაშაქრულ რძეში ხშიადივით მოზეილილი მაგარი ცომისაგან; შემოქქონდათ ქორწილში და ურიგებდნენ სტუმრებს, რომლებიც სურვილისამებრ იხდიდნენ სასყიდელს; შეკრებილი ფული პურისმცხობლებს ეკუთვნოდა.

**ფათირი** – [არაბ. ფათირ „უფუარი“] კუთხ. (ქიზ.) პატარა ლავაშივით პური უფუარი ცომისა, სახელდახელოდ გამომცხვარი საჯჯე (თუჯის ფილჯე).

**ფაფხაჭელა** – კუთხ. (კახ.) თონეში გამომცხვარი თხელი, ხმელი პური.

**ფესახი** – 1. კუთხ. (ქართლ.) თხელი ხმელი ლავაში, – თახახა, უხა (ქორწილში აცხობდნენ პურისმცხობელთა გასამრჯელოდ – მიართმევდნენ მაყრებს, რომლებიც ამისთვის ფულს აჩუქებდნენ ხოლმე). 2. იგივეა, რაც პასექი; მაცა 1 (ებრაელთა სადღესასწაულო (საპასექო) უმარილო ხშიადი).

**ფორისტკობილა** – კუთხ. (მოხევე) ალას ფქვილის პური („დიად“).

**ფუნთუში** – 1. კეცში ნამცხვარი პური (საბა), – კეცეულა პური. 2. იხ. ფუნთუშა (მნიშვ. 2).

**ფუნთუშა** – 2. ხორბლის თეთრი ფქვილის ნამცხვარი, ერთგვარი პატარა პური.

**ქაბრაწოვანი** – ძვ. „მეტად დიდი პური“ (საბა).

**ქარჯინა** – [ოს. ქარძინ „ქერის პური“; „პური“] ქერის პური; ღაღარში გამომცხვარი პური.

**ქერსვილა** – ქერნარევი ჭვავის პური.

**ქერჭელა** – იგივეა, რაც **ქერჭრელი** (ქერჭრელი – ერთმანეთში არეული ქერი და ხორბალი). [ქერისა და ხორბლის ფქვილის ნარევისაგან გამომცხვარი პური. – ს. ო.].

**ღული** – ეთნ. კუთხ. (ქიზ.) საახალწლოდ ოჯახის მამრობითი სქესის ყველა წევრისათვის გამოცხობილი პური, ფრჩხილ-დაკბილული: ნამგლის სიმბოლო (ს. მენთ).

**ყვერბეული** – საახალწლოდ გამომცხვარი დიდი პური, შუაში ჯვრიანი.

**შოთი** – გრძელი თონის პური.

**ცეცხლაკვერა** – ღაღარში გამომცხვარი პური (ან მჭადი).

**ძირისპური** – თონის ქვემო ნაწილში დაკრული პური (ზედმეტი სიმხურვალე ქერქს უწვავს, ტკრეცს).

**ძირმისხმულა** – კუთხ. (ქართლ.) ნახევარი გუნდის პური, ჩაკრული თონეში მეოთხე რიგად.

**წირიხტა** – „კვერცხში მოზეილილი, ერბოში მოხრაკული პური“ (საბა).

**წმინდა პური** – ხორბლის პური.

**წოწნა** – თითის მსგავსად, ლოლუად გამომცხვარი პური, რომელსაც ძუძუმწოვარ ბავშვს აძლევენ საწოწნად (საწოვარასავით).

**ხშიადი** – უსაფუვროდ გამომცხვარი პური.

**ხუხმელი** – კუთხ. (რაჭ.) „გამომცხვარი პური, ცეცხლზე გამხმარი“ („დიად“).

**ჯვრის პური** – კუთხ. (ქართლ.) ქორწილში მეფე-პატარძლისათვის მირთმეული პური, რომელსაც ჯვრის სახედ გადაკრული აქვს ცომის ზოლები.

**ჯინჯილა** – ქერის პური.

ჩვენ მიერ ამოწერილი სამოცამდე ლექსებიდან ზოგიერთის სტრუქტურაში ნათლად ჩანს სახელდების მოტივაცია, მაგალითად, „**კაკალა**“ პატარა მრგვალი პურია გამტკიცული ფქვილისა; „**ლოლუა**“, საბას მიხედვით, თითოვით გრძელი პურია, ასეთივე ფორმის, „თითის მსგავსად, ლოლუად გამომცხვარი პურია „**წოწნა**“, რომელსაც ძუძუმწოვარ ბავშვს აძლევენ საწუწნად (საწოვარასავით)“, მაგრამ უმეტესი მათგანის ეტიმოლოგიის დადგენას მეცნიერული კვლევა სჭირდება. ამ ერთეულთა შორის არის „**ხმიადი**“, რომელიც ლექსიკონში განმარტებულია, როგორც უსაფუვროდ გამომცხვარი პური, თუმცა თანამედროვე ენის მატარებელს აღნიშნულ ბგერით გასწავლილ დასახელებული დეფინიციური მნიშვნელობის დანახვა არ შეუძლია. აკაკი შანიძე, როდესაც ბრუნვის აფიქსებით წარმოქმნილ სახელებზე მსჯელობს, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის წარმოქმნის აფიქსად გამოყენების მაგალითად ასახელებს „ხმიადს“, დავიმოწმებთ კონტექსტს: „ხმ-ელ-ისაგან ამავე წესით ხმ-ი-ად-ი გვაქვს (ვმელის ანუ ხმელის ერთი მნიშვნელობაა: მტკნარი, უმარილო, пресный; ხმიადი – უფუვრად გამომცხვარი პური)“ (შანიძე 1973: 145).

მოხმობილი მსჯელობა საინტერესოა იმიტაც, რომ ვმელის დასახელებული მნიშვნელობა ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ დასტურდება *გამხმარი, მშრალი, ხმელეთი* (აბულაძე 1973: 569); „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ განმარტებულია, როგორც *ხმელი; მშრალი; ხმელეთი* (სარჯველაძე 2001: 284); სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ მიხედვითაც ვმელი *უნოტიოს* ნიშნავს (ორბელიანი 1928: 464).

174-ე პარაგრაფში, რომელიც ასევე წარმოქმნას ეხება, განხილულია უცხოაფიქსიანი სახელები და აღნიშნულია, რომ უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვებში შემავალი წარმოქმნის აფიქსები ქართული ენის გრამატიკის თვალსაზრისით მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მაწარმოებლად, თუ ნასესხებაფიქსიან სიტყვასთან ერთად მის საპირისპიროდ ძირეულიც მოგვეპოვება. ამის გათვალისწინებით, გამოყოფილია სპარსული **-დან** მაწარმოებელი, რომელიც მნიშვნელობით ქართული **სა – ე** ან **სა – ო** მაწარმოებლების ფარდია და სწორედ აქ არის დამოწმებული **ჩაიდან** და **ყავადანი**, როგორც *საჩაიე* და *საყაეე* ჭურჭელი. იმავე პარაგრაფში განხილულია **ყავახანა** და **ლუდხანა**, რომელთა მეორე კომპონენტი **ხანა** სპარსულად ნიშნავს *სახლს* და იგივეა მნიშვნელობით, რაც ქართული კონფიქსი **სა – ე** ადგილის აღსანიშნავად: *ყავახანა* საყაეე ადგილია.

ხელობის აღმნიშვნელ სახელებზე მსჯელობისას განხილულია უცხო წარმოშობის სახელები ქართული შესატყვისებით – არაბული **ყასაბი** (მეხორცე), **ხაბაზი** (მეპურე), **ბაყალი** (მემწვანილე).

წარმომავლობის სახელებთან დაკავშირებულ ნაწილში განსხვავებული ცნობები იყრის თავს გლუტონიმთა შესახებ. მაგალითად, ის, რომ ეულმაწარმოებელი იფართოებს მოქმედების არეს და აღნიშნავს „ჯიშსაც, რო-

მელიც სხვადასხვა სახის საგნებს აერთიანებს: ხილ-ეულ-ი, თევზ-ეულ-ი, ბოსტნ-ეულ-ი, პურ-ეულ-ი ... ტკბილ-ეულ-ი და სხვ. ამასთან დაკავშირებით შენიშვნაში ვკითხულობთ: „ამჟამად ჩვეულებრივია, რომ ჯიშის აღმნიშვნელ სახელს კიდევ კოლექტიობის გამომხატველი ობა დაერთოს: თევზ-ეულ-ობ-ა ... ტკბილ-ეულ-ობა და სხვ.“ (შანიძე 1973: 129). იმავე პარაგრაფში გვხვდება წინადადება, რომელშიც ჩამოთვლილია საკვებად გამოსაყენებელი თევზის სახეობები: *ორაგული, ზუთხი, ლოქო (ღლავი), ხრამული, გელაქური, ფინხული*. სწორედ ამ ერთეულებს ეძღვნება შენიშვნა, რომელშიც აკაკი შანიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ სიტყვა *ორაგული* არაგვის უნდა უკავშირდებოდეს ანუ იმ მდინარის სახელს, რომელშიც უხვად არის დასახელებული სახეობის თევზი. უფრო ზუსტად, მეცნიერის აზრით, **ორაგული** წარმომდგარი უნდა იყოს **არაგვ-ულ-ისაგან**. იქვე ანალოგიური წარმოების ნიმუშებად მოყვანილია **ხრამის** თევზის სახელი **ხრამული** და **გელაქუნის** ტბის (გოგჩის ანუ სევანის ტბის) კალმახის სახელი **გელაქური**.

თხზულ სახელებში მარტივი გაორკეცების მაგალითად დამოწმებულია ბალახების სახელები **ქონა-ქონა** და **ია-ია**. ქონა-ქონას გურიასა და იმერეთში მხლად ხმარობენ, ხოლო ია-ია მხალი კახეთში იცინან. გაორკეცებულ ფუძეს გვიჩვენებს **პილპილიც**, თუმცა აკაკი შანიძე შენიშვნაში აღნიშნავს, რომ სხვა ენებშიც, სახელდობრ, სომხურში, არაბულსა და სპარსულში მას მოეპოვება პარალელები, მაგალითად, **ფილ-ფილ**. ხმოვნის შენაცვლებით გაორკეცების ნიმუშად დასახელებულია **ხილხული; კუჭმაჭი** განხილულია, როგორც პირველი მარცვლის შენაცვლებით ფუძეგაორკეცებული სახელი, ტოლად შერწყმულ სახელებად მოყვანილია **სასმელ-საჭმელი, დანა-ჩანგალი, პურმარილი, პურდინო, ერბოკვერცხი, დომხალი** და სხვ.

ქართულ გლუტონიურ დისკურსში მონაწილე ჭურჭლის აღმნიშვნელ ლექსიკაში სიმრავლით გამოირჩევა მარცვლეულისა (/ფქვილისა) და რძის ნაწარმის შესანახად განკუთვნილი ნივთების სახელები. საინტერესოა აკაკი შანიძის შემდეგი მსჯელობა ერთ-ერთ მათგანზე: „ტაგანი“ ფშავში აღნიშნავს ფურის საწველელ ხის ვედროს („სეგდა“-ს სვანურად); მისი კნინობითი იქნება: ტაგან-ა. მაგრამ ეგ სიტყვა („ტაგანა“) მთიულეთსა და ხევში ზურგზე წამოსაკიდებელ წყლის საზიდ კასრს აღნიშნავს (სიმაღლით 70-ოდე სანტიმეტრი იქნება; საწველელ ვედროს აქ „ველადა“ ჰქვია); მთიულის ახსნით: „ბატარას ტაგანას ვეძახით და დიდს – ტაგანს“. ხევში კი ტაგანა დიდის სახელია („ჩემო წელის მაკიდეო, ტაგანაი ამკიდეო), აქედან ნაწარმოები კნინობითი კი ტაგანია არის“ (შანიძე 1973: 120).

რადგან ჩვენთვის საყურადღებო ცნობები წიგნის სხვადასხვა პარაგრაფის ძირითად ტექსტებსა თუ შენიშვნებშია გაბნეული, შეიძლება ზოგიერთი გამოგვრჩა კიდევ. თუმცა დამოწმებული მაგალითებიც კმარა იმ დასკვნის მისაღებად, რომ „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, რომელიც ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის აღწერას ეძღვნება, ამავე დროს, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ქართული გლუტონიური დისკურსის კომპონენტთა სტრუქტურის, სემანტიკისა და ფუნქციონირების შესახებ.

## ლიტერატურა:

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)*, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

**ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011** – *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.

**ორბელიანი 1928** – სულხან-საბა ორბელიანი, *ქართული ლექსიკონი (პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით)*, ტფილისი, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 1928.

**სარჯველაძე 2001** – ზ. სარჯველაძე, *ძველი ქართული ენის სიტყვის კონა*, თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

**ქეგლი 1950-1964** – *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

**შანიძე 1973** – აკ. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I*, მორფოლოგია, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1973.



## ილიას ენობრივი მსოფლხედვა და მისი ორატორული ტექსტის სტილისტიკა

ქართული სამწერლობო ენის ხანდაზმულობა და ათასწლეულების სიღრმეში დაბადებული კულტურა ზეპირმეტყველებისა საუკუნეებთან ერთად ქმნიდა იმ სარეზერვო ბაზას, რომელსაც ტექსტის სტილიზების კომპონენტთა ერთობლიობა შეიძლება ეწოდოს. სამწუხაროდ, ხდება ისე, რომ ისტორიის შავი ფურცლები ზოგჯერ არა მხოლოდ გაუმჭვირვალს ხდის ფაქტობრივ მოცემულობებს, არამედ მთელი სისასტიკით ანადგურებს და მტკვრის რამდენიმე ფენით ფარავს მას. რა ვიცი უძველესი კოლხური ორატორული სკოლების შესახებ, გარდა იმისა, რომ IV საუკუნის გამორჩენილ ბერძენ ფილოსოფოსსა და რიტორს – თემისტოქოსს (დაბადების თარიღი 317 წელი) – რიტორული განათლება ფაზისის აკადემიაში მიუღია. „აქვე უსწავლია რიტორიკა მის მამასაც“, ევგენისაც (ყაუხჩიშვილი 1961: 45). თემისტოქოსი გვიამბობს: „*მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფნი მოესწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, ... პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად ... მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორც შეიძლება იყოს მამა ... მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ აქ შეიძინა*“ (თემისტოქოსი 1961: 50-51). ცოდნა ფაზისური სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ დაკარგულია, ამიტომ მცდელობა, დიაქრონიაში სწორად დავინახოთ მიმდინარე პროცესი და ობიექტურობის ზღვრებს არ გავცდეთ, საკმაოდ რთულდება. გაცილებით მეტი შეიძლება ითქვას ქრისტიანულ ქადაგებათა ტექსტებზე. V ს-დან მოყოლებული ჰომილეტიკური ხასიათის ჩანართებს არაერთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ვხვდებით<sup>1</sup>. წერილობით ფორმაში გადატანილი ორატორული სიტყვები თავიანთი არქიტექტონიკით ძალზე საინტერესოა და დამოუკიდებელ სტილისტურ შესწავლა-დამუშავებას მოითხოვს ისევე, როგორც ბერძნულ-ლათინურ თუ გვიანდელ ქართულ წყაროებში დაცული ტექსტები. ნებისმიერი სინქრონული დონე ხომ, უბრალოდ, ერთი საფეხურია ენისა, როგორც ეთნოეროვნული კულტურისა, და მისი ფესვები ღრმა ნიადაგიდან იკვებება. იმისათვის, რომ ორატორული ტექსტების სტილისტიკა საბოლოოდ კომპლექსურად წარმოვისახოთ, ცალკეული ქრონოლოგიური თუ მსოფლმხედველობრივი ეტაპების მეცნიერული დამუშავება აუცილებელი ამოცანაა (თითოეული მათგანის საფეხურებრივ კვლევას სამომავლოდ გადავდებთ).

<sup>1</sup> ქრისტიანული ქადაგების ნიმუშთაგან მოვიყვანო ნაკვეთს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ [VI ს.]: „... ნუ იყოფინ ესე! მზს და მთოვარეზ და ვარსკულაენი არა ღმერთ არიან, არამედ ღმერთმან მზესა განათლებად დღისად უბრძანა და მთოვარესა და ვარსკულაეთა განათლებად ღამისად უბრძანა, ხოლო ღმერთ არა არიან ...“ (ევსტათის მარტვილობა 1946: 53).

ყურადღებას 60-იანელ მწერალზე – ილიაზე – შევაჩერებთ. უმართებულო იქნება, თუკი ორიოდ სიტყვას არ ვიტყვით ქართული ენისადმი იმ მყარ მიდგომაზე, რომელსაც მოაზროვნე იჩენს და რომელიც, როგორც სოციალურ-პოლიტიკური იდეის ძირითადი მდგენელი, თავის აქტუალობას არცერთ ეპოქაში არ კარგავს. „ყოფითობა მნიშვნელოვანი ნიშანია, შესაძლოა, ყველა ნიშანზე არსებითი“, – წერს ზ. კიკნაძე (კიკნაძე 2008: 31), როდესაც ფოლკლორის ჟანრულ სპეციფიკას შეეხება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ნიშანი, როგორც უძირითადესი ინსტრუმენტი, ალბათ, საზოგადოდ ეხება ლიტერატურასა და ენას. ფაქტია, რომ შემოქმედმა ჯერ ყოფიერებაში არსებული წესრიგი ან პრობლემა უნდა შეიმეცნოს, მისი იმპროვიზაცია, ანუ ახალი მსოფლხატებისა თუ იდეების, შექმნა რომ შეძლოს. ცხადია, ამ განცდის სიღრმესა და ხარისხზეა დამოკიდებული, რა დაიდება სათქმელად საქვეყნო სამსჯავროზე; ხოლო ის, თუ როგორი სიტყვიერებით მოიქსოვება ტექსტი – ეს ექსპრესიული ნაწილია და სტილისტიკის კვლევის საგანი.

XIX ს-ის მეორე ნახევრის იდეათა სკას თავისი დამბადებელი „დედა ფუტკარი“ ჰყავს და ეს ეროვნული თვითმყოფადობის მაგისტრალური აზრია, ყველა დარჩენი კი მასზეა დაფუძნებული. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოებადაკარგული ქვეყნის საზოგადო ტრაგიზმი თითოეულის თვითშეგნებამდე უნდა დავიდეს – ეს მყარი პოლიტიკური ამოცანაა, ლიტერატურა და ენა კი – ამ ამოცანის შესრულების უდალბატო მექანიზმები. ქართული ქვეყნის „განწირულობისადმი“ შეუგუებლობა წარმართავს 60-იანელთა თაობის ენისა და ლიტერატურის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, ბმულობას. ავ. არაბული შენიშნავს: „პრაქტიკულად გაუკაფა მან [ილიამ] გზა ენის დემოკრატიზაციას, ასევე თეორიულად მოუმზადა საფუძველი იმ ნორმატიულ პოზიციას, რომლის თანახმადაც ენის განვითარების ბუნებრივი პროცესის შეჩერება შეუძლებელია“ (არაბული 2004: 23). გულუბრყვილონი ვიქნებით, თუკი ენის დემოკრატიზაციის საფუძველად მხოლოდ ლიბერალული ღირებულებების ქადაგებას ან მათ მიმდევრობას გამოვაცხადებთ. აზრი გაცილებით ღრმა ნიადაგშია დაბადებული და სასიცოცხლო ძალების მოკრებას ღამობს. ვინ შეიძლება იცოდეს უკეთ, თუ არა სამართალმცოდნე ილიამ, სახელმწიფოს ოთხ ნიშანთა შორის ენა რომ არის ერთ-ერთი და უძირითადესი ეთნოეროვნული კონცეფტი. მოაზროვნე მაშინ ავითარებს ქართული სახელმწიფოს აღდგენის იდეას, როცა ამის რეალური შანსი, ერთი შეხედვით, უტოპიური მოჩანს და მცირედი სახალხო ლაშქრით (ვგულისხმობთ ახალგაზრდა სამოციანელებს) ბრძოლას იწყებს. რუსეთის იმპერიას დაპირდაპირებული მხედართმთავარი სასიკვდილო იარაღს – ქართულ ენას – მძლავრად შემართავს და საქვეყნოდ იტყვის: „ენა მდიდარი ... ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად“ („პასუხის პასუხი“); ენის საკითხით წამოწყებულ ბრძოლას კი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გენეტიკურ სურვილს ამოაფარებს და საკონტროლო ტყვიებამდე ბრძოლის ველს არ დატოვებს.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართული ენის წერით და საერთოსახალხო, ანუ ზეპირმეტყველებით, ფორმებს შორის ბუნებრივი ეროზია გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ასპარეზზე 60-იანელთა თაობა გამოვიდოდა. ეს პროცესი უკვე საუკუნეებს ითვლიდა. შოთა რუსთველის შემდგომ ახალი ენის განვითარების ბუნებრივი სვლა მოიშალა. არნ. ჩიქობავა ამ მოვლენას ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის მოღვაწეობას უკავშირებდა (ჩიქობავა 1950: 020), თუმცა, ვფიქრობთ, რომ რუსთველის შემდგომ ქართული ენის „ადრევა“ (არასისტემური მიდგომა სამწერლობო ენის მიმართ) ერთგვარ გადაუჭრელ პრობლემად მხოლოდ იმის გამო რჩებოდა, რომ ის პირდაპირ იყო დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ რყევებთან და ქართველთა ერთიანი, მყარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების არარსებობასთან. ამრიგად, ენის „ფილტრაციის“ ილიასეული წამოწყება – ზეპირი და წერილობითი ფორმების ვარიანტული დაახლოება – საკვანძო მნიშვნელობისა იყო, იდეურად გამართული სტრატეგიის ნაწილი და პრაქტიკულად – ტაქტიკური ნაბიჯების შემცველი; ამ უკანასკნელში კი უპირველესად „თაობათა ბრძოლა“ საგულისხმებელი.

ზემოთ ნათქვამი ის ფართო კონტექსტია, რომლის გარეშე ვიწრო ლინგვისტურ საკითხებზე მეცნიერული მსჯელობა, ვფიქრობთ, რომ მსოფლმხედველობითი ტილოს საერთო ხასიათს ვერ შექმნის; და, პირიქით, მისი გათვალისწინებით, ყველაფერი – ლექსიკური, გრამატიკული თუ სტილისტიკური კომპონენტები – გაცილებით ცხადად და მკაფიოდ წაიკითხება.

მსჯელობას ილია ჭავჭავაძის იმ რიტორულ სიტყვაზე ავაგებთ, რომელიც მან გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქვა და რომელიც ოსტატურადაა გაწყობილი ანტიკური ხელოვნებისათვის უკვე კარგად ცნობილი ანაფორა-ეპიფორის მხატვრულ-სტილისტიკური ფიგურებით. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ექსპრესიული ზემოქმედებისთვის გამიზნული ორატორული ტექსტის შინაგანი სტრუქტურა, რომელსაც სხვაგვარად კომპოზიციას უწოდებენ, თავისი ხასიათით რამდენადმე ჩამოჰგავს განწყობა-ემოციის შექმნაზე ორიენტირებულ ლირიკას, რადგან აქ არასდროს ავითარებენ სიუჟეტს, არ გვიყვებიან დასრულებულ ამბავს. გამომდინარე ნათქვამიდან, იმისათვის, რომ მთლიანი ტექსტის, ანუ სიტყვის, აზრობრივი მოზაიკის ერთიანობა შენარჩუნდეს, ის რაღაც მნიშვნელოვან საყრდენებზე დაფუძნებით უნდა აიგოს. სწორედ ასეთ შემთხვევაში აქტიურდება ანაფორა, როგორც სტილისტიკური ხერხი. ის საყოველთაოდ მიღებული დეფინიციით, გამეორების მხატვრული საშუალების ერთ-ერთი აქტიური სახეა, გამეორებით კი „მკითხველს ექმნება ძლიერი შთაბეჭდილება და უმახვილდება ყურადღება“ (ჭილაია 1984: 54-55).

ახლა საკითხს სხვაგვარადაც შევხედოთ – რადგან ორატორულ ტექსტს შემფასებელი სუბიექტი წარმართავს და ობიექტურ განჭვრეტას სუბიექტურ მიდგომასა თუ მხატვრულ იმპროვიზაციას ურევს, მისი შექმნა თავისუფალ შემოქმედებით პროცესს ეყრდნობა; თუმცა ნებისმიერი ადამიანი დროში მოცემული ცოცხალი არსია, ამიტომ ილიაც ჯერ საკუთარ

თანამედროვეობას, ეპოქის მოთხოვნებს ექვემდებარება, შემდეგ კი მართებულად წარმართავს „გონით შუაფენაში“ დაბადებულ აზრებს. როგორც გრ. კიკნაძე შენიშნავს: „ილია ცხოვრებიდან აღებული შინაარსის გამოძერწვის ხელოვანი იყო და სინამდვილიდან არასოდეს ფანტაზიის სამყაროში არ გაქცეულა“ (კიკნაძე 1978: 252). მისი სოციალური თუ მოქალაქეობრივი პოზიციები კიდევ უფრო ააქტიურებდა შემოქმედებით ფორმასა და შინაარსს. და აქაც, მცირე მოცულობის ორატორულ სიტყვაშიც, ის თავის სიმაღლეზე იდგა, საკუთარ ბეჭედს ასვამდა წარმოსათქმელ ტექსტს. მან იცოდა, რომ ორატორს აუდიტორია ყოველთვის უწევს ერთგვარ შეზღუდვას – ეს განჭვრეტილის მართლზომიერი ხედვა უნდა იყოს, უკიდურეს შემთხვევაში, „სიტყვას“ მარცხი არ ასცდება; ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ემოციური „ხაზები“, ჩვენს შემთხვევაში ანაფორული (აკუსტიკური, ლექსიკური თუ სინტაქსური) სიგნალები სტილისტიკურად საგანგებოდაა სელექტირებული და შეფასებითი ხასიათის შუალედურ მიკროტექსტებში განაწილებული.

რამდენადაც ანაფორული „ჩანართების“ ფუნქციური დატვირთვა ერთხელ თქმულის მიმართ „უკან მიბრუნების“, გრადაციული აზრის მასზე დაბმის ენობრივი მცდელობა და საერთო ჯაჭვის შექმნა, ვფიქრობთ, უპირიანი იქნება, თუ მსჯელობას სინტაქსური ანაფორებით დავიწყებთ. ილიას „სიტყვაში“<sup>1</sup> მართლაც გამორჩეული სიციხადით მოჩანს ტექსტის არქიტექტონიკის ეს დედაბოძები. აქ დომინანტური ანაფორა სინტაქსური სტრუქტურის ფორმით მოგვეწოდება, რომელიც თავისი მყარი ფუნდამენტით იმაგრებს „თაღოვან“, ე.წ. შუალედურ აზრებს, მათ შორის ლექსიკურ ანაფორებსა და ეპიფორებს. სტილისტიკურად მარკირებული სტრუქტურა ლინგვისტიკურად მოდელირებული ექსპრესიული კომპონენტია, რომელსაც, სამეტყველო აქტის ორგანიზების მიზნობრიობიდან გამომდინარე, სტილისტიკური მბჯენის ფუნქცია ეკისრება. ის იბამს როგორც წინამავად, ისე შემდგომ განვითარებულ წინადადებებს და იმავე სტრუქტურის ანაფორული გამეორების შემთხვევაში მსმენელს (/მკითხველს) აიძულებს, საწყის პოზიციაში დაბრუნდეს, ანუ შეინარჩუნოს ემოციური ტალღა და ამაღლებული განცდის თამასა ქვემოთ არ დაუშვას. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, ილიას ორატორული სიტყვის ხმის ჩანაწერის არარსებობისადა გამო საშუალება არ გვეძლევა, რომ მისი წარმოთქმის პროცესში ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზეც (ხმის ტემბრი, სიჩქარე, პაუზა, მახვილი და სხვ.) შევძლოთ მეცნიერული დაკვირვება.

*„იგი იყო [„თვითმპყრობელი/ მეუფე/ მწერალი/ მთქმელი/ კაცი, რომელიც“ – ეს სინტაქსური მოცემულობები შინაარსობრივად გრ. ორბელიანს მიემართება და ანაფორის ის მაგალითებია, რომლებიც „სიტყვის“ სტრუქტურაში პოსტკედენტურ პოზიციაში<sup>2</sup> ჩნდება. ისინი მალევე იკავებენ დომი-*

<sup>1</sup> „სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე“ [25 მარტს, 1883 წელს] (ილია 1953).

<sup>2</sup> პოსტკედენტური პოზიცია გულისხმობს ტექსტში ანაფორის სტრუქტურის გაჩენას მაშინ, როცა წინმსწრები აზრი (წინადადება ან წინადადებები) უკვე მოცემულია.

ნანტურ სტილისტიკურ ლოკაციას. აქცენტირებული სინტაქსური ფორმა ძირითადად რთულ წინადადებაში მოდელირდება, ხოლო შემდგომ თავად ქმნის დამოუკიდებელ რთულ ქვეწყობილ წინადადებებს (*მაგ., „იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა...“*). ასეთ შემთხვევაში მთავარია, ანაფორის შემადგენელი სინტაქსურად კოორდინირებული ძირითადი სტრუქტურის სიტყვათგანლაგება შენარჩუნდეს [ქვემდებარე + შემასმენელი = „იგი იყო“...], რომელიც საგნის ან მოვლენის დაწვრილებითი აღწერის ფუნქციით იტვირთება. ჩვენს შემთხვევაში აღწერის ობიექტი გრ. ორბელიანია. წინადადებაში სიტყვათგანლაგების ცვალებადობას (მართვა-მირთვა-შეთანხმების უცილობელი დაცვით), მათ თავისუფალ მიმოქცევას, ცნობილია, რომ სტილისტიკაში ინვერსიას უწოდებენ და ის გადამწყვეტია მხატვრულ-ლიტერატურული ხასიათის ტექსტური ფაქტურის აგების პროცესში. ინვერსიის როლი კიდევ უფრო მკვეთრდება და ერთგვარ ჩარჩოში ექცევა, როცა საქმე პოეტური სტრიქონის რითმისა თუ რიტმიკის ორგანიზებასთან გვაქვს. ამ თვალსაზრისით პროზა გაცილებით თავისუფალია. ილიასეულ „სიტყვაში“ ექსპრესიულად დატვირთული დადებითი სემანტიკური კონოტაციის მქონე ანაფორის სინტაქსურ სტრუქტურაში წინადადების წევრთა გადაადგილება ხშირი არ არის, თუმცა ამის მაგალითი მაინც ფიქსირდება: „ერთი იმათგანი .... იყო იგი, ვისაც დღეს ვსტირით და ამიტომაც მისი სიტყვაც თითონ საქმეა“ (გვ. 248).

ნათქვამის ნათელსაყოფად ნიმუშად მოვიყვანთ პოსტედენტური ანაფორით აგებულ ტექსტის ნაწილს, რომელსაც ილიას ზემოთ დასახელებულ ორატორულ სიტყვაში ვხვდებით:

*„...არა მარტო მისმა ღვაწლმა ... მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და პასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებულის, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ – სასოებით მისი მსმენელნი. იგი იყო –*

*ვის არ შეეხო ზაკის გესლი ძმისა განკითხვად...*

*იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა:*

*მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!*

*იგი იყო კაცი, რომელიც –*

*დაჰნატრდა დროთა, როს აქვნდათ ტრფობა*

*მამულისადმი გულს აღბეჭდილად.*

*იგი იყო კაცი, რომელმაც ღაღადებით წარმოსთქვა:*

*იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც,*

*არის სითმე სიმწართა ცხოვრება.*

*იგი იყო კაცი, რომელსაც სწეუროდა:*

*რომ ჩვენ განვახლდეთ,*

*სულით აგმაღლდეთ –*

*და განქრეს ბნელი უმეცრებისა“ (ილია 1953: 247-248).*

მიუხედავად იმისა, რომ ილიას სიტყვა, წარმოთქმული გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე, გვიანი ეპოქის მცირე მოცულობის ტექსტია და ათასწლეულები აშორებს ანტიკურ ცოდნას, ის მაინც გამორჩეული სიცხადით მისდევს ტრადიციულ ორატორულ ტექნიკას, რომლის ერთ-ერთი უცილობელი სტილისტიკური შემადგენელი ნამდვილად არის ანაფორა. ცხადია, რომ სტილისტიკური ფიგურების მოხმარების თვალსაზრისით ბევრი არაფერია შეცვლილი. ენის „გამარტივება“ ექსპრესიის შემქმნელ ფიგურულ მოდელებს არ ეხება. ისინი ფაქტობრივი უწყვეტობით განაგრძობენ ცხოვრებას. ამ კუთხით არაერთი საინტერესო პარალელის დასახელება შეიძლება, თუნდაც ერეკლე II-ის დაკრძალვაზე წარმოთქმული სოლომონ ლიონიდის (XVIII ს.) ორატორული „სიტყვისა“ (ლიონიძე 1957)<sup>1</sup>.

ვფიქრობთ, ილიასეულ ტექსტში კიდევ ერთი ანაფორის მაგალითი იმსახურებს საგანგებო მსჯელობას. მას, ჩვენი აზრით, ნაკლებ შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ლექსიკური ან გრამატიკული (ის ერთი სიტყვის აქცენტირებით იფარგლება), რადგან სასიგნალო ერთეული „არა მარტო“ (არა'ნაწილაკიანი სიტყვა) „არამედ“ მაპირისპირებულკავშირიან სტრუქტურაში ზის და ზერთულ წინადადებაში რთული თანწყობილი წინადადების პოზიციას იკავებს. აქვე დავძენთ, რომ ქართული სამეცნიერო აზრი არა'ნაწილაკიანი სიტყვების „არამედ“ მაპირისპირებულ კავშირთან სინტაქსურ შეკავშირებებს სხვადასხვა მეტრელების ნაწილის პოზიციიდან განიხილავს. ამის დასტურად „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ დეფინიციაც კმარა, რომელშიც „არამედ“ კავშირის შესახებ ვკითხულობთ: *„არამედ – პირიქით, მოსალოდნელის საპირისპიროდ (იხმარება არ[ა] ნაწილაკიანი სიტყვის ან შესიტყვების სიტყვასთან ან შესიტყვებასთან“* (ქეგელ 1950: სვ. 541).

გ. იმნაიშვილი “ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში” რეკომენდებულ ფორმათა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის შესახებ წერს: „სწორედ ორთოგრაფიულმა ლექსიკონმა უნდა დააკანონოს მათ შორის უმჯობესი, მისაღები, ხოლო უვარგისი უკუაგდოს ... ზოგჯერ გრძნობ, რომ შენ მიერ შემოთავაზებული დაწერილობა მაინცდამაინც დამაჯერებელი არაა, იქნებ, ერთგვარად, მიუღებელიც კია, მაგრამ, რაკი უკეთესი თითქოს არ ჩანს, იძულებული ხარ, ისევე, ასე თუ ისე, არასრულყოფილი რეკომენდაციით დაკმაყოფილდე“ (იმნაიშვილი 2016: 26). ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთ ამგვარ „არადამაჯერებლობას“ არა'ნაწილაკიანი ზმნიზედების მართლწერა ქმნის. რა კრიტერიუმი დაუდეს საფუძვლად „ორთოგრაფიული ლექსიკონის“ შემდგენლებმა, როცა „არა მარტო“ ფორმის ცალ-ცალკე დაწერილობა შემოგვთავაზეს, ამის საპირისპიროდ კი იდენტური წარმოების ზმნიზედები *„არაერთი, არაერთგ ზის, არაერთხელ“* ერთ ლექსიკურ ერთეულად გაიაზრეს (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998: 56-57) და მართლწერის წესიც ამის მიხედვით დააკანონეს?! ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ „არა მარტო“ არ არის გა-

<sup>1</sup> სოლომონ ლიონიძე: *„რად სტირით, ძენო, ობოლნო მამისაგან, ... რად სტირი, სადა-ვითოვ სახლო?! ...“* და მისთ. (ლიონიძე 1957: 36-38).

გებულ თანაბარი ოდენობის ზმნიზედურ წარმოებად და მისი დაცალკევებული დაწერილობა გვაძულებს, „მარტო“ ფუძე ამ შემთხვევაში ზედსართავ სახელად (განსახდვრებად) იყოს აღქმული ისევე, როგორც ეს სხვა სახის შესიტყვებაში გვაქვს, მაგ., „**მარტო კაცი** ჭამაშიაც ცოლოა“ (ანდაზა)<sup>1</sup>.

ფიქრობთ, რომ ამგვარი მიდგომა უპირველესად ორთოგრაფიულ პრობლემას აჩენს და მათი ცალ-ცალკე ან ერთად დაწერილობის ჭრელ, უსისტემო სურათს წარმოგიდგენს. ამასთანავე, ართულებს სინტაქსური სტრუქტურის საკორელაციო სისტემის გააზრებასაც. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: თუკი – „*არა მარტო; არა მხოლოდ; არაერთი, არაერთგზის, არაერთხელ...*“; + *არამედ* – სინტაქსურ ფორმას განვიხილავთ, როგორც დაპირისპირებულ აზრთა თანწყობის მთლიან ერთეულს, მაშინ აღმოჩნდება, რომ საქმე მყარ კორელაციასთან გვაქვს. კერძოდ, არამედ კავშირიანი სტრუქტურულად დაპირისპირებული სინტაქსური სეგმენტი ვერც აზრობრივად იარსებებს და ვერც ფორმოზრივად, ანუ ვერ შედგება, დასახელებული ლექსიკურ-გრამატიკული ოდენობების გარეშე. მაშინ გამოდის, რომ „არა მარტო“-სა და სხვათა შემთხვევაში საქმე კორელატებთან გვაქვს. აქვე დაისმის კითხვაც: რამდენად სწორია მათი მიკუთვნება სიტყვათა სხვადასხვა ჯგუფთან – განსხვავებულ მეტყველების ნაწილებთან თუ წინადადების წევრებთან? ფიქრობთ, რომ საკმარისია, მორფოლოგიურ დონეს სინტაქსურიც შევუწყვილოთ, მორფო-სინტაქსი გავიხადოთ ამოსავლად, რომ ისინი [*არა მარტო..., არა მხოლოდ..., არაერთგზის...*] დაპირისპირებული ორი აზრის, წინადადების, კორელატებად გამოვაცხადოთ და მორფოლოგიურად – ზმნიზედები, ხოლო სინტაქსურად გარემოებები ვუწოდოთ. ასეთი მიდგომის უპირატესობა ის არის, რომ „არამედ“ კავშირს დაპირისპირებული არაწინაწილაკიანი ზმნიზედური ფორმები უგამონაკლისოდ ერთდაც დაიწერება და კონკრეტული სინტაქსური სტრუქტურის უტყუარ კორელატებად გამოცხადდება. ლ. კვაჭაძის განმარტება, რომ ის რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს ცალ-ცალკე იმის გამო განიხილავს, რომ ამ პოზიციას „ზურგს უმაგრებს არა მარტო ტრადიცია, არამედ, რაც მთავარია, ის, რომ ასეთი დაყოფა გამართლებულია გრამატიკულად“ (კვაჭაძე 1966: 325), რამდენადმე სწორი გეზია; თუმცა ისიც ფაქტია, რომ არამედ მაპირისპირებლიან წინადადებებში განსხვავებული სინტაქსური ფორმა ფიქსირდება: რთული თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში ყოველთვის ჩნდება არაწინაწილაკიანი საკორელაციო სიტყვა, ეს კი, ტრადიციული გაგებით, მხოლოდ რთული ქვეწყობილი წინადადებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და არა – რთული თანწყობილებისა.

<sup>1</sup> **შენიშვნა:** ამ საკითხზე მეცნიერულ მსჯელობას დამოუკიდებელ შრომაში შევეცდებით, რადგან ის, ჩვენი აზრით, რამდენადმე სცდება სტილისტიკის სფეროს და თავისი ფორმით პირდაპირაა დაკავშირებული სინტაქსურ სტრუქტურებთან (*არა მხოლოდ..., არამედ ...; ან: არაერთგზის..., არამედ...*); სინქრონიულ-დიაქრონიული ენობრივი დონეების შეჯერება კი მართებული დასკვნის გამოტანას გააადვილებს.

ახლა ილიას „სიტყვას“ დაუბრუნდეთ და ყურადღება კვლავ ანაფორაზე გადავიტანოთ. ვიტყვით, რომ ანტეცედენტი<sup>1</sup> ზმნიზედური ანაფორა მწერლისეულ ტექსტში თავის საპატიო ადგილს იჭერს. ერთ შემთხვევაში ის წინ უსწრებს პოსტცედენტურს და ექსპრესიული განწყობის კიბეზე ზევით მიმართული ვექტორისაკენ, ე.წ. კულმინაციური სიმაღლისაკენ, მიჰყავს მსმენელ-მკითხველი (იხ. ნიმუში „ა“); ხოლო მეორე შემთხვევაში მოსდევს პოსტცედენტურს, „შენ“ ნაცვალსხელზე ორიენტირდება (ქვემდებარის ან უბრალო დამატების ფორმაში დგება) და საფინალო აზრისაკენ ეშვება, ანუ მეორე ანტეცედენტი ანაფორას ექსპრესიის დამართვის ფუნქცია აქვს მინიჭებული (იხ. ნიმუში „ბ“). გასათვალისწინებელია, რომ ამ უკანასკნელს წინ სინტაქსური ანაფორა („იგი იყო...“) მიუძღვის, რომელსაც აზრობრივი კულმინაციის ფუნქცია აქვს და გაჯერებულია ამხსნელ-შეფასებითი ხასიათის წინადადებებით. მოვიყვანოთ შესაბამის ადგილებს ტექსტიდან:

[ა]. **არა მარტო** მისმა ხარისხმა და ნამსახურობამ, **არა მარტო** მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქეობისამ მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ჰასაკისა, **არამედ** იმანაც, რომ **იგი იყო** თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა...“ (გვ. 247).

[ბ]. **შენ** აღარ ხარ და **შენს** საყვარელს საქართველოს გულში ჩასწყდა კიდევ ერთი ძარღვიცა.

ფუჭია იგი სიცოცხლეო, რომელიც ვერა რას არგებსო მამულსაო, – სოქვი **შენ**.

ჩვენ მაგას **შენზედ** ვერ ვიტყვით.

**შენ** განვლე **შენის** ცხოვრების გზა და აღბეჭდეცა ნავალი.

**შენი** ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ **შენს** ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს **შენისთანა** კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდევ, რომ **შენ** ჰყვანდი და აღარ ეყოლები“ (გვ. 249).

მეორე ამონარიდი [ბ], როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავისი ანაფორული განლაგებით ტექსტის ფინალისათვის ემოციურად გვამზადებს, თუმცა ისე, რომ ინარჩუნებს ამაღლებულ განწყობას. აქ „შენ“ ნაცვალსახელი რამდენიმე ფუნქციით იტვირთება:

- უპირველესად, სემანტიკურ ფოკუსში, მეტაფორულად თუ ვიტყვით, თეატრალური სცენის „წრიული განათება“ ადგილს არ იცვლის, მასში გრ. ორბელიანის სულიერ-მატერიალური ობიექტია მოქცეული. აქ მსმენელი თითქოს პარტერში ზის და მეორეხარისხოვან ადგილს იკავებს; სინამდვილეში კი მთელი ეს „სცენა“ მისთვის იდგმება და მისივე ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. ილია მხოლოდ დამდგმელი რეჟისორია, აზრის წარმმართველი და ენობრივი კომბინაციებით განწყობის მოდულატორი.

<sup>1</sup> ანტეცედენტი მომდინარეობს ლათ. სიტყვიდან *Antecedens* – „წინაშეაღი“, „წინმსწრები“.



- მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი აქცენტი ერთი ფუძისაგან წარმოქმნილი წინადადების სხვადასხვა წევრთა აკუსტიკურ-გრამატიკული თამაშია, რომელსაც ლექსიკური „გრადაციაც“ შეიძლება ვუწოდოთ (შენ [პირის ნაცვ.] → შენი/ შენს/ შენის [კუთვნ. ნაცვ.] და სხვ).
- და მესამე სტილისტიკური ნიშანი წინადადების სინტაქსური აგების თავისებურებაში გამოიხატება. მარტივი თუ შერწყმული ფორმები ტექსტის ბოლოს ზერთული წინადადებით ისე სრულდება, რომ „შენ“ ნაცვალსახელი და ამავე ფუძით ნაწარმოები წინადადების წევრები, როგორც უმთავრესი ემოციური სიგნალები და ენობრივი მაკავშირებლები, სინტაქსურ სტრუქტურებშია გაბნეული. ისინი ამთლიანებენ ორატორულ ტექსტს და აზრობრივ სამაგრებს ქმნიან.

დაბოლოს, ილიას ორატორული „სიტყვა“ მცირე მოცულობის აბზაცით დაიხურება, ანაფორას ეპიფორა ჩაენაცვლება, წარმოთქმული ექსპრესიული ტექსტი შეჯამდება, დანასკვის სახეს მიიღებს – ეს ყველაფერი კი დასასრულის, ანუ აზრობრივი წერტილის, ფუნქციის მტვირთველი იქნება. ყოველგვარ პროცესს ლოგიკური შედეგი აქვს და აქაც, ფინალურ აკორდშიც, ყველა ინსტრუმენტი ერთდროულად ამუშავდება: შინაარსობრივიცა (რომელიც შემაჯამებელი ხასიათის მიმართვის ფრაზების გამოყენებაში გამოიხატება) და აკუსტიკურ-ენობრივიც:

*მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულის-შეილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო!*

მცირეოდენს ვიტყვით ეპიფორის შესახებაც. ის, როგორც ანაფორის საპირისპირო ცალი, საკუთარ თავში ანაფორის (გამეორების) ელემენტებსაც მოიცავს. მისი განმასხვავებელი ნიშანი ტექსტის ბოლოს სიტყვათა, ფრაზათა თუ სინტაქსურ სტრუქტურათა მიჯრითი თავმოყრაა. ილიას „სიტყვაში“ ეპიფორის კლასიკურ მაგალითთან გვაქვს საქმე. აზრის დასასრული მიმართვის სტრუქტურაზე გადატანილი. წოდებით ბრუნვაში დასმული და შიდა შეთანხმების სინტაქსური ძალით გამყარებული ფრაზები არა მხოლოდ მწერლის შემოქმედებითი შესაძლებლობების მარტივი მანიფესტაციაა, არამედ მასში ორატორული ტექნიკის უცილობელი ფლობაც იკითხება, ამიტომ სტილისტიკურად სელექცირებული ეპიფორის ეს ენობრივი მოდელი მთლიანი ტექსტის კომპოზიციის ნაწილად უნდა აღვიქვათ.

რასაკვირველია, ჩვენ მიერ განხილული ილიას „სიტყვისეული“ ტექსტის სტილისტიკური რეზერვები მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რაზეც ამ ნაშრომში გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ ეს კვლევაც ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ სიტყვაში შემთხვევით არც არაფერი იწერება და არც წარმოითქმის. საერთო სახალხო ენასთან დაახლოებული სიტყვიერი ფაქტურა, ფსევდოარქაიზებაზე უარის თქმა, ახალი ენობრივი ეტაპის წამოწყება და ნამდვილი სინამდვილის გამოხატვა სრულიად არ უშლის ხელს შემოქმედს ისეთი სტრიქონები შემოგვთავაზოს, რომლებიც, როგორც ორატორული ტექნიკის ნაწილი, ღრმადაა ფესვგადგმული და ეთნოკულტურულ დონეზე ევოლუცირებული.

## ლიტერატურა:

**არაბული 2004** – ავ. არაბული, *ქართული მეტყველების კულტურა*, თბილისი, 2004, გამომც. „უნივერსალი“.

**ეგსტათის მარტილობა 1946** – მარტილობად და მოთმინებად წმიდისა ეგსტათი მცხეთელისად, *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, ტ. I [შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ], გვ. 44-46, თბილისი, 1946, თსუ გამომცემლობა.

**თემისტიოსი 1961** – თემისტიოსი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, კრებულში: *გეორგია*, ტ. I, გვ. 45-58, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

**ილია 1953** – ი. ჭავჭავაძე, *წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე*. პრესა. *ფელეტონები*, თხზ. ტ. III [თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად], თბილისი, 1953, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.

**იმნაიშვილი 2016** – ვ. იმნაიშვილი, *ქართული მართლწერის სადავო საკითხები*, თბილისი, 2016, გამომც. „აგორა“.

**კიკნაძე 1978** – გრ. კიკნაძე, *ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1978, თსუ გამომცემლობა.

**კიკნაძე 2008** – ზ. კიკნაძე, *ქართული ფოლკლორი*, თბილისი, 2008, თსუ გამომცემლობა.

**კვაჭაძე 1966** – ლ. კვაჭაძე, *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*, თბილისი, 1966, გამომც. „განათლება“.

**ლიონიძე 1957** – სოლომონ ლიონიძე, *სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე* (XVIII ს-ის ავტოგრაფიული ხელნაწერის მიხედვით), ტექსტი დაადგინა ნ. კანდელაკმა, თბილისი, 1957, გამომც. „ხელოვნება“.

**ჭილაია 1984** – ა. ჭილაია, რ. ჭილაია, *ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები*, თბილისი, 1984, თსუ გამომცემლობა.

**ქეგელ, 1950** – *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული)*, ტ. I, თბილისი, 1950, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

**ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (მეორე შევსებული გამოცემა)*, თბილისი, 1998, გამომც. „განათლება“.

**ყაუხჩიშვილი 1961** – სიმ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, კრებულში: *გეორგია*, ტ. I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

**ჩიქობავა 1950** – არნ. ჩიქობავა, *ქართული ენის ზოგადი დახასიათება*, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), ტ. I, თბილისი, 1950, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

**ერთი არაბული სიტყვის შესახებ  
ქართულ გვარსახელებში**

ცნობილია, რომ ნასესხები სიტყვები ბევრ ქართულ გვარსახელსა თუ ადგილის სახელში გვხვდება. ამ საკითხს ეხება ჩვენი სტატია, რომელშიც სიტყვა **ხაბარის** შემცველ ქართულ გვარებს განვიხილავთ.

**ხაბარი** არაბული სიტყვაა, *ამბავს* ნიშნავს, ცალკეც გვხვდება და რთული ფუძის მეორე შემადგენელ ნაწილადაც: *ამბავი-ხაბარი* (ქეგელი).

ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით ფართოდაა გავრცელებული ქართულ კილოებშიც, თუმცა მნიშვნელობის მეტ-ნაკლები გადაწვეითაც დასტურდება. კერძოდ, **ხაბარი** *ამბავს* აღნიშნავს მოხეურსა და ინგილოურში (ქაჯაია 1967; როსტიაშვილი 1978; ღამბაშიძე 1988);<sup>1</sup> ჯავახურში *ამბავსაც* ნიშნავს და *ცნობასაც* (მარტიროსოვი 1984); ზემოიმერულში *გონს*, *აზრს* აღნიშნავს, იქვე გვაქვს ამ სიტყვიდან ნაწარმოები ლექსიკური ერთეული **უსაბრო** – *უგონო*, *უაზრო*. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით ზემოიმერულში მ ბგერის ჩართვითაც გვხვდება: **უსამბრო** (ძოწენიძე 1974); *მუსაიფის*, *მეგობრული საუბრის* მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა თუშურში (ცოცანიძე 2012).

1997 წლის სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება ამ სიტყვის შემცველი გვარების მატარებელთა რაოდენობა, კერძოდ, **ხაბარაშვილი** 100 (თბილისი – 19, რუსთავი – 13, საგარეჯო – 8) და **ხაბარელი** 100 (ქარელი – 52, გორი – 30, თბილისი – 14). ფრჩხილებში მოცემულია ამ გვარის მატარებელ ადამიანთა პირველი სამი ყველაზე ხშირი დასახელება (სილაგაძე, თოთაძე 1997).

ამ გვარების სხვა რაოდენობა დასტურდება 2018 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „გვარსახელები საქართველოში“, კერძოდ, **ხაბარაშვილი**, სულ 82: თბილისი – 19, აჭარა – 1, გურია – 2, იმერეთი – 1, კახეთი – 50, ქვემო ქართლი – 8, საზღვარგარეთ – 1; **ხაბარელი**, სულ 121: თბილისი – 24, გურია – 1, მცხეთა-მთიანეთი – 2, ქვემო ქართლი – 5, შიდა ქართლი – 59, ცხინვალი – 30 (გვარსახელები... 2018).<sup>2</sup>

პირთა ანოტირებულ ლექსიკონში გვხვდება გვარი *ხაბარიძე*: „**ხაბარიძე** – რიონს მცხოვრები. იგი მამულითურთ ვახტანგ მეფემ შესწირა გელათს ([1442-46 წწ.] 1448-5023)“ (პირთა... 2015).

<sup>1</sup> რ. ღამბაშიძე ინგილოურში *ხაბარის* არსებობას აზერბაიჯანულის გავლენას მიაწერს და შემდეგ გამოთქმებს ადასტურებს: **ხაბარ არ აქოყ** არაფერი (ამბავი) არ იციან; **ხაბარ ექცევის** ატყობინებს; **ხაბარ მიცემაჲ (ქნაჲ)** შეტყობინება; **ხაბარ უყო** შეატყობინა; **ხაბარ ჩ(ო)მოვარდნაჲ** ხმის გავრცელება, ხმის დარხევა (ღამბაშიძე 1988).

<sup>2</sup> წიგნში მითითებულია, რომ მასში მოცემული მასალები დოკუმენტურად უტყუარია და ეყრდნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს, მაგრამ არ არის რაიმე დამატებითი ცნობა ცხინვალის მონაცემების შესახებ, მით უმეტეს, იქვე ნათქვამია, რომ 2002 და 2014 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერები ცხინვალის რეგიონში არ ჩატარებულა (გვარსახელები 2018: 4-5).

თავისთავად საინტერესოა, თუ როგორ წარმოიშვა ზემომოყვანილი არაბული სიტყვისაგან ქართული გვარები?

სავარაუდოდ **ხაბარი/ხაბარა** ანთროპონიმად უნდა ქცეულიყო და შემდეგ დასაბამი მისცემოდა მისგან მომდინარე გვარებსაც, თუმცა ძნელია იმისი თქმა, ამ სიტყვის რომელი მნიშვნელობა უნდა გამხდარიყო ანთროპონიმის საფუძველი.

ამ საკითხთან მიმართებით საინტერესოა დელის სახელი **ხაბაროულა** და მასთან დაკავშირებული ეტიმოლოგია: „**ხაბაროულა** პატარა დელე სოფ. ოჯოლაში (ტყიბულის საქალ. ს. ჯვარისას სას. ს.). სპეციალისტები სამართლიანად თვლიან, რომ მცირე მოცულობის გეოგრაფიულ ობიექტთა სახელებში გამოვლენილი -ოულ- სუფიქსი ძირითადად დასავლეთქართულია და იგი ობიექტის ვინმესადმი კუთვნილებას აღნიშნავს. ამ შემთხვევაშიც საფიქრებელია, **ხაბარ-** ანთროპონიმული წარმოშობის იყოს. ოღონდ იგი, ვფიქრობთ, **ბ** და **რ** თანხმოვანთა ადგილმონაცვლეობით გვაქვს მიღებული, მაშასადამე, ტოპონიმი **ხაბარ-ოულ-ა** უნდა გავიგოთ, როგორც **ხარაბ-ოულ-ა** და ხარაბადის კუთვნილ ობიექტად ვცნოთ. უფრო ზუსტად: „დელე, რომელიც ვინმე ხარაბადის კუთვნილ ადგილ-მამულს ჩამოუდის“ (ბედოშვილი 2002: 522).

ჩვენთვის ფრიად საინტერესოა თვით ასეთი სახელწოდების დელის არსებობა, მოყვანილი მსჯელობის გარკვეულ მონაკვეთებსაც ვეთანხმებით, კერძოდ იმას, რომ -ოულ სუფიქსი მცირე მოცულობის გეოგრაფიულ ობიექტთა სახელებშია გამოვლენილი. იმაშიც ვეთანხმებით ავტორს, რომ **ხაბარ-** ანთროპონიმული წარმოშობისა შეიძლება იყოს. მაგრამ, ვფიქრობთ, საეჭვოა შემდგომი მსჯელობა, კერძოდ, **ბ** და **რ** თანხმოვანთა ადგილმონაცვლეობა, რაც ამ შემთხვევაში **ხაბარ-ის** თავდაპირველობას გამორიცხავს და მას **ხარაბ-იდან** მომდინარედ წარმოგვიდგენს. შესაბამისად, ავტორის აზრით, ზემონახსენები დელის სახელწოდებაც **ხარაბადის** გვარს უკავშირდება და აღნიშნავს რაიმეს (ამ შემთხვევაში დელეს), რაც ხარაბაძეს ეკუთვნის.

ვფიქრობთ, გაურკვეველია, რა უნდა ყოფილიყო **ბ** და **რ** თანხმოვანთა ადგილმონაცვლეობის ფონეტიკური საფუძველი.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში **ხაბარ** არ მომდინარეობს **ხარაბ-ისაგან**. **ხაბარი** და **ხარაბა** დამოუკიდებლად გვხვდებიან ქართულში. **ხაბარ-ი**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაბული წარმომავლობისაა და *ამბავს* ნიშნავს. თავის მხრივ, **ხარაბაც** არაბული წარმომავლობისაა, *ნანგრევს; გაოხრებულ ადგილს; უპატრონოდ მივდებულს, გავერანებულ-გაჩანაგებულ ადგილ-მამულს; გაკოტრებულს, ბანკროტს* ნიშნავს (ქეგელი).

მაშასადამე, სიტყვა **ხაბარ-ი** ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილების გარეშე შეიძლებოდა გექონოდა **ხაბაროულას** დასახელებაში. ამ სახელის ჩამოსაყალიბებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში დადასტურებული გვარი **ხაბარიძე** (იმისათვის, რომ დასავლეთ საქართველოში ყოფილა ასეთი გვარი, იხ. ზემოთ) და დასავლეთ საქართვე-

ლოშივე გავრცელებული -ოულ სუფიქსი. ამის შესაბამისად, **ხაბაროულას** ეტიმოლოგიასაც ჩვენ სხვაგვარად განვიხილავთ და თუ მასში გვარი უნდა ვეძიოთ, ეს უნდა იყოს **ხაბარიძე** და არა **ხარაბაძე**.

გვხვდება გვარი **ხაბარაძეც**, კერძოდ, გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში დასტურდება გვარი **ხაბარაძე**. კერძოდ, თავად ციციშვილის აზნაურთა შორის მოხსენიებულია აზნაური ხაბარაძე (ელექტრონული რესურსი №1). მართალია, ეს გვარი ამ სიის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება, მაგრამ საყურადღებოა, რომ დასავლეთქართული გვარებისთვის დამახასიათებელი -ძე დაბოლოებითაა გაფორმებული და არ არის გამორიცხული, დასავლეთ საქართველოდან ყოფილიყვნენ გადმოსულები ამ გვარის წარმომადგენლები.<sup>1</sup>

ასეთია წარმომავლობა გვარსახელებისა: **ხაბარაშვილი, ხაბარელი, ხაბარიძე, ხაბარაძე**, რომლებშიც გვხვდება არაბული სიტყვა **ხაბარი**, რაც აგრეთვე დასტურდება ღელის სახელწოდებაშიც: **ხაბაროულა**.

### ლიტერატურა:

**ბედოშვილი 2002** – გ. ბედოშვილი, *ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I*, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2002.

**გვარსახელები... 2018** – გვარსახელები საქართველოში, საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“, „მწიგნობარი“, თბილისი, 2018.

**მარტიროსოვი 1984** – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, „მეცნიერება“, თბილისი, 1984.

**პირთა... 2015** – *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V*, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდლობაძემ,

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ზემოთ განხილული არაბული სიტყვა და მისი შემცველი გვარსახელი **ხაბაროვი** დასტურდება რუსულშიც. ვარაუდობენ, ეს გვარიც ანთროპონიმული წარმომავლობის უნდა იყოს (ელექტრონული რესურსი №2). ამავე გვარიდანაა წარმომდგარი ქალაქის სახელი **ხაბაროვსკი**. ქალაქს ეს სახელი რუსი მოგზაურის, ეროფეი ხაბაროვის (1603-1671) პატივსაცემად ეწოდა.

დალის ლექსიკონის მიხედვით, რუსულში სიტყვა **ხაბარის** მნიშვნელობებია: *მოგება, გამორჩენა, ხეირი, ქრთამი, ბედნიერება, წარმატება, იღბალი, ახალი ამბავი, ცნობა* და სხვ. დალი ამ სიტყვისგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებსაც ასახელებს, რაც, მაგალითად, ქრთამის აღებას ნიშნავს; ასახელებს აგრეთვე ამ სიტყვიდან ნაწარმოებ ისეთ სახელებსაც, როგორცაა: *მექრთამე; მაცნე, შიკრიკი* (Толковый... 1956). მაგრამ არ უთითებს, რომ ეს სიტყვა წარმომავლობით არაბულია. ამის შესახებ რუსული ენის სხვა განმარტებით ლექსიკონშია მინიშნება: «ХАБА'Р, а, мн. нет, м., и ХАБАРА', ы, мн. нет, ж. [от араб. habar – сообщение] (обл.). Взятка, барыш» (Толковый... 1949).

აღსანიშნავია, რომ რუსული გვარებისათვის დამახასიათებელი დაბოლოებებითაც გვხვდება **ხაბარ** სიტყვის შემცველი გვარები საქართველოში: **ხაბაროვ**, სულ 2: სამცხე-ჯავახეთი – 2; **ხაბაროვა**, სულ 6: თბილისი – 2, აჭარა – 1, იმერეთი – 1, სამცხე-ჯავახეთი – 2; **ხაბაროვი**, სულ 3: თბილისი – 3 (გვარსახელები... 2018).

გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015.

**როსტიაშვილი 1978** – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978.

**სილაგაძე, თოთაძე 1997** – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, *გვარ-სახელები საქართველოში*, თბილისი, 1997.

**ქაჯაია 1967** – ო. ქაჯაია, *მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის*, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული წერილები, ჰუმანიტარული დისციპლინების სერია, ტ. XI, ცხინვალი, 1967.

**ქეგელი** – *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. I – VIII, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950-1964.

**ღამბაშიძე 1988** – რ. ღამბაშიძე, *ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი*, აკად. აკაკი შანიძის რედაქციით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988.

**ცოცანიძე 2012** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

**ძოწენიძე 1974** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974.

**Толковый... 1956** – Владимир Даль, *Толковый словарь живого великорусского языка*, Том IV, Государственное издательство иностранных и национальных словарей, Москва, 1956.

**Толковый... 1949** – *Толковый словарь русского языка*, под редакцией проф. Д. Н. Ушакова, Том IV, Государственное издательство иностранных и национальных словарей, Москва, 1949.

### ელექტრონული რესურსები:

ელექტრონული რესურსი №1

<http://umurgulia82.blogspot.com/2017/04/blog-post-13.html>

<http://iheduge.blogspot.com/2017/06/blog-post-197.html#.XHbkq4gzblU>

<http://geogen.ge/ge/treasurege/13/4334/>

ელექტრონული რესურსი №2

<https://www.e-reading.club/bookreader.php/1010455/Fedosyuk--Russkie-familii.->

[Populyarnyy-etimologicheskii-slovar.html](http://Populyarnyy-etimologicheskii-slovar.html)

ელექტრონული რესურსები ინტერნეტიდან ამოღებულია 2019 წლის 27 თებერვალს.

**მოდლობა, დრო,  
ასპექტი და კილო ქართულში<sup>1</sup>**

**1. შესავალი**

ქართულ ენაში ზმნური პარადიგმა მწკრივების სამი ჯგუფით (სერიუბით) არის წარმოდგენილი (მარი 1908, შანიძე 1980). მწკრივი რთული გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც მოიცავს დროის, პირის, ასპექტის, კილოს, პერმანსივის, რეზულტატივის, პერფექტულობის, ვეიდენციალობის მახასიათებლებს. ენის აგლუტინაციური ბუნება ზმნის ერთ ფორმაში რამდენიმე გრამატიკული შინაარსის არსებობას გულისხმობს. ზმნის სემანტიკა სწორედ ამ კატეგორიათა კომბინაციას წარმოადგენს და თითოეულ აფიქსს თავისი სემანტიკა შემოაქვს ზმნის ფორმაში. თუმცა ყველა კატეგორიას არ აქვს სპეციალური ნიშანი ზმნაში. პირისა და რიცხვის ნიშანი ყველა ფორმაში ვლინდება, ასევე, უმეტეს შემთხვევაში ჩანს მწკრივის ნიშანი. კილო მწკრივის ფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და ის მწკრივის სახელწოდებაშიც ვლინდება, თუმცა კავშირებითის ფორმებში გაჩენილი ნიშანი მაინც მწკრივის ნიშნადაა მიჩნეული და არა კილოს მაწარმოებლად (შანიძე 1980, გოგოლაშვილი 2018). რაც შეეხება სხვა კატეგორიებს (დრო, კილო, რეზულტატიურობა, პერფექტულობა, ვეიდენციალობა), ზმნური ფორმის სემანტიკური მახასიათებლებია და ამ კატეგორიებს სპეციალური მაწარმოებელი ნიშანი თანამედროვე ქართულში არ მოეპოვება.

მოდლობის კატეგორიის გამოხატვა ზმნურ ფორმაზე მოდალური ელემენტების დართვით ხდება. ძირითადად ამგვარი მოდალური ელემენტები კავშირებითი კილოს ფორმებს ერთვის, თუმცა მოდალური სემანტიკის გამოსახატავად, მოდალურ ელემენტთან ერთად, თხრობითი კილოს ფორმებზეც გამოიყენება. მოდალური სემანტიკაც კომპლექსურია ქართულში – მოდალური ელემენტი მოდალურ სემანტიკას გამოხატავს, ხოლო ზმნის ფორმაში ვლინდება სხვა გრამატიკული კატეგორიების სემანტიკა. ამდენად, ქართულში მოდალური კონსტრუქცია რამდენიმე გრამატიკული მახასიათებლისა და სემანტიკის კომბინაციას მოიცავს. მოდალური ელემენტი, ჩვეულებრივ, ყველა მწკრივის ფორმასთან არ გვხვდება. მოდალური შინაარსის გამოსახატავად სხვადასხვა მოდალური ელემენტი სხვადასხვა მწკრივის ფორმას ირჩევს. რა განაპირობებს ამ არჩევანს, რატომ გვხვდება ერთი მოდალური ელემენტი გარკვეული მწკრივის ფორმასთან და რატომ არ დასტურდება სხვა მწკრივის ფორმასთან, ეს მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ზოგადად მოდალობის კატეგორიის, ისე თითოეული მოდალური ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისათვის.

<sup>1</sup> განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218 000 „მოდლობის კატეგორია ქართულ ენაში“.

## 2. დრო, ასპექტი და კილო ქართულში

დრო, ასპექტი და კილო მწკრივის ფორმაში შემავალი კატეგორიებია. ზმნის ფორმა პირისა და რიცხვის კატეგორიებთან ერთად გამოხატავს გარკვეულ დროს, კილოსა და ასპექტს.

### 2.1. დროის გამოხატვა ქართულში

დროის კატეგორია მიუთითებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართებას საუბრის მომენტთან. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ გრამატიკული დროის განმარტება სამწვერა სისტემას ეყრდნობა – წარსული, ახლანდელი და მომავალი. მწკრივის ფორმას აქვს სხვა კატეგორიის მახასიათებლებიც, რაც ხშირად გავლენას ახდენს დროის გამოხატვაზე და ფორმაში შეაქვს ისეთი სემანტიკური მახასიათებლები, რაც შესაძლოა დროის გაგებასაც ცვლიდეს<sup>1</sup>. თუმცა ძირითადად გარკვეული მწკრივის ფორმა გარკვეული დროის გამოხატვას ემსახურება. დროის სემანტიკური კატეგორიის გამოხატვა ქართულში ამგვარადაა განაწილებული:

<p><b>წარსული დრო</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li><b>უწვევტილი (Imperfect)</b> – წარსული დრო, უწვევტი მოქმედების პროცესი, დაუსრულებელი, განგრძობითი მოქმედება წარსული დროის გარკვეულ მონაკვეთში (<i>ვწერდი, ვაშენებდი</i>);</li> <li><b>ხლმეობით-შედგობითი / პირობითი (Conditional)</b> – წარსული დრო, მრავალგზისი, განმეორებითი მოქმედება (<i>დავწერდი, ავაშენებდი</i>);</li> <li><b>წვევტილი (Aorist)</b> – წარსული დრო, წარსულის კონკრეტულ მომენტში მიმდინარე და შეწვევტილი მოქმედება, დასრულებული ან დაუსრულებელი მოქმედება (<i>ვწერე / დავწერე, ვაშენე/ავაშენე</i>);</li> <li><b>პირველი თურმეობითი / შედეგობითი (Resultative / Present perfect)</b> – წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი; უნახაობა (<i>დამიწერია, ამიშენებია</i>);</li> <li><b>მეორე თურმეობითი / შედეგობითი (Resultative)</b> – წარსულ დროში მომხდარი უწინარესი მოქმედება (<i>დამეწერა, ამეშენებინა</i>)</li> </ol>
<p><b>ახლანდელი</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li><b>აწმყო (Present indefinite)</b> – ახლანდელი დრო, ზოგადი, განუსაზღვრელი დრო (<i>ვწერ, ვაშენებ</i>);</li> </ol>

<sup>1</sup> ეს ეხება იმგვარ ფორმებს, როცა ძირითადი დროის ნაცვლად ზმნური ფორმა სხვა დროს გამოხატავს: მაგალითად: პირველი თურმეობითის ფორმა, ჩვეულებრივ, რეზულტატივს ან ვეიდენციულობას გამოხატავს, თუმცა შეიძლება ახლანდელი დროის სემანტიკითაც შეგვეხვდეს გარკვეულ გამოთქმებში: მომილოცავს (= გილოცავ)...



დრო	2. <b>აწმყო კავშირებითი (Present Subjunctive)</b> – ზოგადი აწმყო, განუსაზღვრელი ფორმა, განგრძობითი, მრავალგზისი, ჩვეულებითი ( <i>ვწერდე, ვაშენებდე</i> ).
მომავალი დრო	<p>1. <b>მყოფადი (Future)</b> – მომავალი დრო (<i>დავწერ, ავაშენებ</i>).</p> <p>2. <b>მყოფადის კავშირებითი (Future Subjunctive)</b> – მომავალი დრო, სასურველი მოქმედების გამომხატველი (<i>ნეტავ დავწერდე, ნეტავ ავაშენებდე</i>).</p> <p>3. <b>მეორე კავშირებითი (Second Subjunctive)</b> – მომავალი დრო, სასურველი ან აუცილებლად შესასრულებელი მოქმედების გამომხატველი (<i>უნდა დავწერო, უნდა ავაშენო</i>).</p> <p>4. <b>მესამე კავშირებითი (Third Subjunctive)</b> – მომავალი დრო, აუცილებლობის ან ძლიერი სურვილის გამომხატველი (<i>ნეტავ დამეწეროს, ნეტავ ამეშენებინოს</i>).</p>

თუ დროის სემანტიკის შემადგენელ მონაცემებს განვაზოგადებთ, წარსული დრო ქართულში ხასიათდება უწყვეტი, წყვეტილი, განმეორებული, განგრძობითი შედეგით და უწინარესობით; ახლანდელი დროის მთავარი მახასიათებელია ზოგადი, განუსაზღვრელი ან კონკრეტულ მონაკვეთში მიმდინარე პროცესი; ხოლო მომავალი დროის ძირითადი მახასიათებელი საუბრის შემდგომი მოქმედების გამოხატვა და გარკვეული მოდალური მახასიათებლით წარმოდგენილი სემანტიკაა.

დრო ქართულ ენაში მიჩნეულია არა მორფოლოგიურ, არამედ სემანტიკურ კატეგორიად, რადგან მას არ აქვს სპეციალური აფიქსი საპირისპირო ფორმათა საწარმოებლად. თანამედროვე ქართულში ზმნათა უმრავლესობაში მომავალი დრო იწარმოება ახლანდელი დროის ფორმაზე ზმნისწინის დართვით, თუმცა ამგვარი წარმოება ერთადერთი არაა და საკმაოდ პროდუქტიულია მეორე კავშირებითით გამოხატული მომავალი დრო სხვადასხვა მოდალური ელემენტითა და დამატებითი მოდალური სემანტიკით.

## 2.2 ასპექტის გამოხატვა ქართულში

ასპექტი ქართული ზმნის ერთ-ერთი მთავარი კატეგორიაა. მისი გამოხატვა ძველსა და ახალ ქართულში განსხვავებულია. ასპექტი დროის უწინარეს კატეგორიად არის მიჩნეული და თავდაპირველად იგი მომენტობრივ და განგრძობით მოქმედებას ასახავდა. განსხვავებულია ასპექტის წარმოება ძველსა და ახალ ქართულშიც: ძველ ქართულში უღლების კატეგორია იყო, პირველი სერიის ზმნები უსრული ასპექტისა იყო, ხოლო მეორე სერიის ზმნები – სრული ასპექტისა, ზმნისწინი კი მხოლოდ გეზს და მიმართულებას აღნიშნავდა. ახალ ქართულში კი ასპექტი წარმოქმნის კატეგორიას.

რიაა და მისი მაწარმოებელი არის ზმნისწინი: უზმნისწინო ფორმები უსრული ასპექტისაა, ხოლო ზმნისწინიანი ფორმები – სრული ასპექტისა (შანიძე 1980, 262-270), უსრული ასპექტი ზმნით გამოხატული მოქმედების დაუსრულებლობას ასახავს, ხოლო სრული ასპექტის ფორმა, ანუ ზმნისწინიანი ფორმა, დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს. ამიტომ პირველ სერიაში ორი წრე გამოიყო, აწმყოს წრე უსრული ასპექტისაა, ხოლო მეოფადის წრე – სრული ასპექტისა, მეორე და მესამე სერიის ფორმები კი სრული ასპექტისა ც შეიძლება იყოს და უსრულისა ც, ეს დამოკიდებულია იმაზე, ზმნისწინიანია ფორმა თუ უზმნისწინო.

### 2.3. კილოს გამოსატვა ქართულში

კილო არის ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართება სინამდვილისადმი. ქართულში კილო უღლების კატეგორიაა და მწკრივის ფორმის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. მწკრივის სახელწოდება იმთავითვე მიანიშნებს მის კილოურ შინაარსზე. კავშირებითი მწკრივის ფორმა სამივე სერიის შემადგენლობაში შედის, პირველ სერიაში კი ორი კავშირებითის მწკრივია – როგორც აწმყოს წრეში (აწმყოს კავშირებითი), ისე მეოფადის წრეში (მეოფადის კავშირებითი). მეორე და მესამე კავშირებითი კი, შესაბამისად, მეორე და მესამე სერიის ფორმებია. კავშირებითის მწკრივთა მაწარმოებელი სუფიქსებია **ა**, **ე** და **ო**. ქართულში კავშირებითი მწკრივის ფორმები დამოუკიდებლად არ გამოიყენება, ისინი ან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში სხვა ზმნასთან მიმართებით გვხვდება, ან რომელიმე მოდალურ ელემენტთან ერთად და გამოხატავს სხვადასხვა მოდალურ სემანტიკას. თანამედროვე ქართულში მეტად გავრცელებულია ბივერბალური კონსტრუქციები, რომლის პირველი კომპონენტი მოდალური ზმნაა (*მინდა*, *მსურს*, *შეიძლება*, *ვცდილობ*), ხოლო მეორე კომპონენტი კი – კავშირებითი კილოს ფორმა (კოტინოვი 1986).

### 3. უნდა მოდალური ფორმა ქართულში

მოდალური ზმნა „უნდა“ და გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული მოდალური ფორმა „უნდა“ მხოლოდ ზმნის სამი მწკრივის ფორმასთან დასტურდება. KaWac კორპუსის მონაცემებმა ეს მკაფიოდ გამოავლინა. ეს მწკრივებია: აწმყოს კავშირებითი, მეორე კავშირებითი და მეორე თურმეობითი (Sharashenidze 2014). მოცემული კონსტრუქციები ძირითადად დროის მიხედვით ნაწილდება: აწმყოს კავშირებითი გადმოსცემს ზოგად ან ახლანდელ დროსა და უსრულ ასპექტს, მეორე კავშირებითი – მომავალ დროს, ხოლო მეორე თურმეობითი – წარსულ დროს.

The screeve form	Context	Position	Tense / Aspect	Semantics
<b>Present Subjunctive</b>	<i>unda vaqetebde</i>	<i>unda +V</i>	indefinite / present tense / imperfective aspect	Logical necessity, obligation, wish ...
<b>Second Subjunctive</b>	<i>unda gavaqeto</i> <i>unda vaqeto</i>	<i>unda +V</i>	Future tense, perfective aspect (with preverb), imperfective aspect (without preverb)	Logical necessity, obligation, wish ...
<b>Second Resultative</b>	<i>unda gameqetebina</i> <i>unda meqetebina</i>	<i>unda +V</i>	Past tense, perfective aspect (with preverb), imperfective aspect (without preverb)	Logical necessity, obligation, wish ...

რამდენადაც მწკრივი ქართულში რთული და კომპლექსური კატეგორიაა, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა სემანტიკური მახასიათებლები აიღო მოდალურმა კონსტრუქციამ მწკრივის სემანტიკიდან. ამისათვის განვიხილოთ ეს მწკრივები:

#### 4. აწმყოს კავშირებითი

აწმყოს კავშირებითი შედარებით ახლად გაჩენილი მწკრივია. ძველ ქართულში პირველ სერიაში არსებობდა პირველი კავშირებითის მწკრივი, რომელიც ასპექტისა და დროის ახალი სისტემის ჩამოყალიბების შედეგად გაიყო ორ მწკრივად – აწმყოს კავშირებითი აწმყოს წრეში დარჩა, ხოლო ზმნისწინიანი ფორმებით მყოფადის წრე ჩამოყალიბდა და მყოფადის კავშირებითიც ცალკე მწკრივად გამოიყო. საკუთრივ პირველი კავშირებითის ფუნქციები ძირითადად აწმყოს კავშირებითზე გადავიდა (პაპიძე 1984: 82). აწმყოს კავშირებითის ძირითადი სემანტიკა არის დროითი განუსაზღვრელობა, ზოგადი დრო. კავშირებითი კილო ამ მწკრივს ირეალურ სემანტიკას ანიჭებს, ხოლო დრო ახლანდელი ან ზოგადია, განუსაზღვრელი. გარდა ამისა, აწმყოს კავშირებითის მწკრივის სემანტიკაში გამოიკვეთება განგრძობითობა, დიურატიულობა, ასევე, მრავალგზისი (მრავალჯერ განმეორებული) მოქმედება. უფრო კონკრეტულად – „ესაა მრავალგზისობა, რომლის განმეორებითობის გაგრძელება სასურველ-სავარაუდოა“ (პაპიძე 1984: 91). მას ასევე შეიძლება ახლდეს მოქმედების ჩვეულებითობის გაგებაც. ჩვეულებრივი მოქმედება ასევე შეიძლება დაუკავშირდეს ნატვრას ან სურვილს.

აწმყოს კავშირებითს ასევე უკავშირდება რამდენიმე მოდალური სემანტიკა: **პირობა**, (პირობითობა), რომელიც დროში წინ უსწრებს მეორე ზმნით გამოხატულ მოქმედებას; **ნატვრა** (ნატვრითობა), რაც ვლინდება დალოცვის ან წყევლის გამოთქმებში; და **ბრძანება**, რაც ჩანს მუქარის ან

მოწოდების გამოთქმებში. აწმყოს კავშირებითთან ყველაზე ხშირად გამოიყენება **უნდა** და **თითქოს** მოდალური ფორმები (პაპიძე 1984).

ამდენად, აწმყოს კავშირებითის მწკრივისა და უნდა მოდალური ფორმის კომბინაცია წარმოადგენს სემანტიკას, რომელშიც აისახება **უნდა** მოდალური ფორმით გამოხატული სპეციფიკური მოდალობა (უფრო მეტად, დეონტური მოდალობის სხვადასხვა სემანტიკა) და ახლანდელი დროის ან ზოგადი, დროში განუსაზღვრელი სემანტიკა, რომელსაც მოდალური კონსტრუქცია მწკრივის სემანტიკიდან იღებს. ამიტომაც არის **უნდა + აწმყოს კავშირებითი** ხშირად გამოყენებული კანონთა ენაში დეონტური მოდალობის გამოსახატავად, ხშირად ვნებითი გვარის ფორმით: **უნდა შეესაბამებოდეს, უნდა ინახებოდეს, უნდა ესწრებოდეს...** (შარაშენიძე 2017)

## 5. მეორე კავშირებითი

კავშირებითი კილოს (მწკრივის) ფორმებიდან ყველაზე მეტი სიხშირით გამოიყენება მეორე კავშირებით, რომელიც მეორე სერიაში შემავალი მწკრივია. იგი უძველესი მწკრივია და ძველ ქართულში რამდენიმე ფუნქციით გამოიყენებოდა: ა) გამოხატავდა თხრობითი კილოს მომავალ დროს; ბ) გამოხატავდა კავშირებითი კილოს სემანტიკას და გ) გამოიყენებოდა ბრძანებითი კილოს ფუნქციით. მისი ფუნქციური მრავალფეროვნება განაპირობებდა მის ხშირ გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ ამ მწკრივს ეს ფუნქციები თანამედროვე ქართულშიც გადმოჰყვა, თუმცა თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა ამ მწკრივის მთავარ ფუნქციას აღარ წარმოადგენს, რადგან ამისათვის დროის სისტემის გამოხატვის ცვლილებამ ახალი მწკრივი წარმოქმნა – მყოფადი, რომელიც ახლანდელი დროის ფორმებზე ზმნისწინის დართვით ზმნათა უმრავლესობაში თავისუფლად აწარმოებს მომავალ დროს. მომავალი დროის გამოხატვის თვალსაზრისით, მეორე კავშირებითი კვლავ აქტუალურია, მაგრამ იგი მომავალ დროს უკვე მოდალობის კატეგორიის სისტემაში გამოხატავს. **მოდალური ფორმა + მეორე კავშირებითის** კონსტრუქციით გამოიხატება მოდალური სემანტიკით მარკირებული და მომავალში შესასრულებელი მოქმედება. აღსანიშნავია, რომ მეორე კავშირებითის მწკრივში დროის გამოხატვა აჭარბებს კილოს შინაარსს (პაპიძე 1981)

ამდენად, მეორე კავშირებითის უძველესი ფუნქცია – გამოეხატა მომავალი დრო – თანამედროვე ქართულშიც სრულფასოვნად გაგრძელდა. ეს ფუნქცია კიდევ უფრო მეტად გახდა კავშირებით კილოსთან დაკავშირებული და იგი მოდალობის სისტემის ყველაზე პროდუქტიულ გამომხატველად იქცა არა მარტო **უნდა** ფორმასთან დაკავშირებით, არამედ სხვა მოდალურ ფორმებთან მიმართებითაც. ასე რომ, მეორე კავშირებითის ფუნქცია თანამედროვე ქართულისთვის ცალსახად შეიძლება გამოიხატოს ასე – ეს მწკრივი არის მოდალობის კატეგორიის მომავალი დროის გამომხატველი მთავარი ფორმა. გარდა მომავალი დროისა, მის სემანტიკაში შედის მომავალში შესასრულებელი მოქმედების სხვადასხვა მოდალობით დახასიათებული სემანტიკა.

## 6. მესამე კავშირებითი

სრულიად ლოგიკური იყო, რომ მოდალობის ახალი სისტემის გამოხატვის ჩამოყალიბებასთან ერთად მოდალობის გამოხატვის ფუნქცია განაწილებინა მესამე კავშირებითის მწკრივს. ეს მწკრივი მესამე სერიაშია, არის კავშირებითი კილოს ფორმა, რაც მის სახელწოდებაშიც ჩანს. მაგრამ მივიღეთ განსხვავებული სურათი – მესამე კავშირებითმა არათუ განვითარა თავისი არსებობა მოდალური სემანტიკის გამოხატვით, არამედ დასუსტდა და თანამედროვე ქართულისათვის იგი გაქრობის გზაზე დამდგარ მწკრივად მიიჩნევა. ფუნქციები, რაც მას დარჩა, სპეციფიკურია და გარკვეული სემანტიკის გამოხატვას უკავშირდება:

ა) ძირითადად გვხვდება დაქვემდებარებულ წინადადებაში და გამოხატავს სავარაუდო მოქმედებას ან მის უარყოფას წარსულში და სასურველს მომავალში. მთლიანი შინაარსის გაგება შეუძლებელია მეზობელი წინადადების შინაარსის გაუთვალისწინებლად (პაპიძე 1979).

ბ) მესამე კავშირებითი გამოიყენება რამდენიმე ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში – განსაზღვრებით და ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, მაგრამ არასოდეს გვხვდება დროის, ადგილის და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში.

გ) გამოიყენება დალოცვის ფორმულებში: *„მუდამ ასე შეგცვლდეთ ჭირი ლხინით“* – ამ ტიპის წინადადებაში აღდგება სურვილის გამომხატველი ზმნა (გისურვებ, ვისურვებ, მინდა...), რომელიც ხშირად წინადადებაში არაა, დაკარგულია.

დ) ნატვრით წინადადებაში – ეს მესამე კავშირებითის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა – *„ღმერთმა ქნას, რომ სურვილი შეგსრულდეს“*.

ე) მესამე კავშირებითის მწკრივი გამოიყენება **თითქოს**, **ვითომც** და **გინდ** მოდალურ ფორმებთან. **თითქოს** + მესამე კავშირებითი ყველაზე გავრცელებული მოდელია და არარეალურ მოქმედებას, მოქმედის შეხედულებას, დამოკიდებულებას გამოხატავს გამონათქვამის მიმართ. *„ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო“*.

ვ) მესამე კავშირებითი გვხვდება **თუნდაც**, **გინდაც** მოდალურ ფორმებთან ერთად კატეგორიული გამორიცხვის წინადადებაში: – *„იმ ადგილას ვერავინ მივიდოდა, თუნდაც მევის შთამომავალი ყოფილიყო“* (პაპიძე 1979).

მართალია, ფუნქციათა ეს ჩამონათვალი მცირე არაა, მაგრამ მაინც სპეციფიკურ გამონათქვამებს მიეკუთვნება და მათი ჩანაცვლება სხვა ფორმებით შეუძლებელი არაა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: კავშირებითი კილო მოდალობის კატეგორიის ერთ-ერთი მთავარი გამომხატველია, ხოლო მოდალობის კატეგორიას ესაჭიროებოდა სპეციფიკური ფუნქციის მქონე ენობრივი საშუალება, რომელიც მოდალობის გამოხატვის საერთო სისტემას გამართავდა **დროის** გამოხატვის თვალსაზრისით. მართალია, მესამე კავშირებითს შეუძლია სხვადასხვა სემანტიკის გამოხატვა, მაგრამ იგი სპეციფიკური ვერ იქნებოდა წარსული დროის გამოხატვის მხრივ, რადგან კავშირებითი კილოს სემანტიკა თითქოს ხელს უშ-

ლიდა გამოეხატა წარსული დრო და ამით ქცეულიყო სისტემის ნაწილად. დროის სისტემა თითქმის გამართული იყო – **ახლანდელსა და ზოგად, განუსაზღვრელ დროს აწმყოს კავშირებით** გამოეხატავდა, **მომავალ დროს – მეორე კავშირებით** (და ეს სრულიად ბუნებრივი იყო ამ მწკრივის უძველესი ფუნქციის გათვალისწინებით). რჩებოდა **წარსული დროის** გამოეხატვის აუცილებლობა, რომლის სრულფასოვან გამოეხატველად ვერ იქნა მესამე კავშირებითი, სწორედ მისი კავშირებითის სემანტიკისა და სპეციფიკური ფუნქციების გამო. წარსული დროის გამოეხატვა მოდალობის კატეგორიის სრული პარადიგმის შექმნისთვის მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო. ეს ფუნქცია დაეკისრა **მეორე თურმეობითის** მწკრივს, რომელიც, მართალია, ქართულში გვიან ჩამოყალიბებული მწკრივია, მაგრამ ყველაზე მკვეთრად გამოეხატველია წარსული დროისა. მოდალური ფორმის სემანტიკის შეთავსების შემდეგ მეორე თურმეობითი (მიუხედავად მისი თხრობითი კილოს შინაარსისა) გახდა მოდალური სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ამდენად, სწორედ **მოდალობის კატეგორიის წარსული დროის გამოეხატვის ფუნქცია** გახდა განმსაზღვრელი ფაქტორი მეორე თურმეობითის როლის გაზრდისთვის და სწორედ ეს ფაქტორი იქცა მესამე კავშირებითის როლის დასუსტების დასაწყისად.

## 7. მეორე თურმეობითი

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეორე თურმეობითი ძველ ქართულში შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა, მაგრამ მისი როლი ახალ ქართულში შესამჩნევად გაიზარდა (ბაბუნაშვილი 1995). მეორე თურმეობითის ერთადერთი და ძირითადი ფუნქცია იყო და არის „ნამყო პერფექტის“ (ე.წ. პლუსკვამპერფექტის) გამოეხატვა. ამის განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია ის, რომ „წარსული დროის ვნებითი გვარის მიმდევობა მოქმედებას დასრულებულად წარმოგვიდგენს, უკვე მომხდარად, ხოლო მეშველი ზმნა წყვეტილის ფორმით მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედების შედეგი ჩანს არა აწმყოში, როგორც ეს პირველი თურმეობითის შემთხვევაშია, არამედ ნამყოში (წარსულში) (ბაბუნაშვილი 1995): **გაკეთებული + იყო > გაკეთებულიყო**. ცალკე აღებულ მიმდევობიან ფორმას ახალ ქართულშიც აქვს შედეგობითი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც სახელიან (ნომინალურ) ფორმას მხოლოდ აწმყოს მნიშვნელობა აქვს: **დაკარგულია < დაკარგული არის – დიდა < დიდი არის**.

საშუალო ქართულში მეორე თურმეობითის ძირითად მნიშვნელობას – შედეგობითი წარსულის აღნიშვნას – ემატება კიდევ ერთი ფუნქცია, უნახავი, ე. ი. ისეთი მოქმედების გამოეხატვა, რომელიც მოუბარს არ უნახავს და რომლის შესახებაც შედეგის, რეზულტატის მიხედვით მსჯელობს (ბაბუნაშვილი 1995). ამდენად, თურმეობითების მთავარი ფუნქცია სწორედ შედეგის გამოეხატვაა, ხოლო მეორეული – უნახაობისა.

ახალ ქართულში მეორე თურმეობითის როლის გაზრდა და გაცილებით მეტი სიხშირით გამოყენება სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირე-

ბულია მომავალი დროის გამოსატვის სისტემის ცვლასთან და „მცა“ ნაწილაკიანი ფორმების გაქრობასთან.

საერთოდ, მესამე სერიის ფორმები იშვიათად გამოიყენება ძველ ქართულში, რადგან შედარებით ახალი წარმონაქმნია ენაში. პირველი თურმეობითი შედარებით ხშირად გამოიყენებოდა, მეორე თურმეობითიც გარკვეული სიხშირით ვლინდება ძველ ქართულში, მაგრამ მესამე კავშირებითი თითო-ორიოლა მაგალითით ამოიწურება (ნათამე 1995; ბარამიძე 1964; ქურციკიძე 1963; იმნაიშვილი 1971). რადგან მესამე სერიის მწკრივების მთავარი ნიშანი შედეგის გამოსატვაა, მესამე კავშირებითს ძირითადად ჰქონდა **შედგობითი მომავალი დროის სემანტიკა**, მაგრამ ამ მწკრივის ფორმა მაინც მცირე რაოდენობის ნიმუშებში დასტურდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია, რომ რადგან მესამე კავშირებითმა ვერ განივითარა მისი ფუნქციები, ამიტომ **-მცა** ნაწილაკი დაერთო მეორე კავშირებითს და მეორე თურმეობითმაც შეინარჩუნა კავშირებითი კილოს გამოსატვის ფუნქციები გარკვეულ შემთხვევებში (ბაბუნაშვილი 1995). თუმცა საბოლოოდ ამგვარი ნიმუშების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილია ახალ ქართულში. იმ საკითხში, რომ მეორე თურმეობითის მწკრივმა აიღო მესამე კავშირებითის ფუნქციები, ყველა მეცნიერი თანხმდება, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პროცესის ამხსნელი ნათელი და ცალსახა სურათი არ იკვეთება – ანუ პასუხი არაა გაცემული კითხვაზე, რატომ მოხდა ასე?

ამ კითხვის პასუხი მოდალობის ახალი სიტემის ჩამოყალიბებაში უნდა ვეძიოთ. ძველ ქართულში მოდალობის კატეგორიას რამდენიმე სპეციალური ზმნა გამოხატავდა (ძალ-უც, ეგების, ჯერ-არს, ჳამს...). ქართულ ენაში დაახლოებით XIV საუკუნიდან გრამატიკალიზაციის შედეგად იწყება მოდალობის გამოსატვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება – ჩნდება ნაზმნარი მოდალური ელემენტები, რომლებიც დაერთვება ზმნურ ფორმას და აძლევს მას მოდალურ სემანტიკას. ამ სისტემას ესაჭიროებოდა ქართული ენისათვის მნიშვნელოვანი სხვა გრამატიკული კატეგორიები – ასპექტი და დრო. ასპექტის სისტემაში მომხდარი ცვლილება (ზმნისწინიანი ფორმებით სრული ასპექტის გამოსატვის პრინციპი) ადვილად აისახა მოდალობის სისტემაშიც, მაგრამ რაც შეეხება დროის კატეგორიის გამოსატვას, მას აუცილებლად ესაჭიროებოდა გარკვეული ენობრივი საშუალებები სამივე დროისათვის. ახლანდელი და მომავალი დროის სემანტიკა შეითავსა პირველმა კავშირებითმა (რაც გადმოვიდა აწმყოს კავშირებითის სემანტიკაშიც), მომავალი დროის გამოსატვის ფუნქცია დარჩა მეორე კავშირებითს, როგორც მისი უმთავრესი მახასიათებელი, ხოლო მეორე თურმეობითის მწკრივმა ამ სისტემაში ადვილად დაიმკვიდრა ადგილი რამდენიმე საკითხის გათვალისწინებით: მწკრივის **მკვეთრად გამოსატული წარსული დროისა და შედეგობითობის სემანტიკით** და კავშირებითის კილოსთან **ფორმობრივი** მსგავსებით – **გაკეთებულის** (მეორე თურმეობითი) – **გაკეთებულის** (მესამე კავშირებითი). ამის შედეგად მოდალობის გამოსატვისათვის დროული სისტემა გაიმართა და მეორე თურმეობითის ფუნქციებიცა და სიხშირეც მკვეთრად გაიზარდა.

**8. ქართული ენის სწავლება – მოდალობა და დრო**

მოდალური კონსტრუქციების ათვისება ენის სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ისინი მთქმელის დამოკიდებულებას გამოსატყვევებელ გამონათქვამისადმი და ამ თვალსაზრისით ენის სწავლების გარკვეულ ეტაპზე ეს კონსტრუქციები მეტად ხშირი გამოყენებისაა. მნიშვნელოვანია ამ კონსტრუქციების წარმოების დაუფლება. ამ მხრივ რამდენიმე პრინციპის გათვალისწინებაა საჭირო: 1. მოდალური კონსტრუქციების მიმართების გამოკვეთა გრამატიკულ დროსთან, 2. ამ კონსტრუქციებში შემავალი მწკრივების ფორმების წინასწარ მიწოდება ენის შემსწავლელისათვის და 3. სპეციალური საგარჯიშოების შედგენა მოდალური კონსტრუქციების ასათვისებლად (ჩასმა, ტექსტის შევსება, დროში გადაყვანა).

**დრო, ასპექტი, კილო და მოდალობა ქართულში**

	ახლანდელი, ზოგადი / განუსაზღვრელი დრო	მომავალი დრო	წარსული დრო
ასპექტი	უსრული ასპექტი  უნდა კეთდებოდეს -	უსრული ასპექტი უნდა აკეთოს  სრული ასპექტი უნდა გააკეთოს	უსრული ასპექტი უნდა ეკეთებინა  სრული ასპექტი უნდა გაეკეთებინა
მწკრივი	აწმყოს კავშირებითი	მეორე კავშირებითი	მეორე თურმეობითი
მწკრივის წარმოება	ფუძე + დ /ოდ -ე	ფუძე + ე, ო, ა	ერთპირიანი ზმნები: მიმღეობა + მეშველი ზმნა წყვეტილში (იყავი / იყავი / იყო) ორპირიანი გარდაუვალი ზმნები: -ოდ-ი ორპირიანი გარდამავალი ზმნები: -ებინ / -ინ
მოდალური ფორმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• უნდა, უნდოდა, შეიძლება, შეიძლებოდა</li> <li>• იქნებ, ეგებ, ლამის, ვინძლო, თითქოს, თითქმის, ვითომ, ნეტავ, ბარემ, ოღონდ, თუნდა</li> <li>• სურდა, ცდილობდა, ღირდა, საჭირო იყო</li> </ul>		
ნიმუში	უნდა კეთდებოდეს უნდა თბებოდეს უნდა წერდეს უნდა ესალმებოდეს უნდა შენდებოდეს	უნდა გააკეთოს უნდა გათბეს უნდა დაწეროს უნდა მიესალმოს უნდა ააშენოს	უნდა გაკეთებულიყო უნდა გამოთბარიყო უნდა დაეწერა უნდა მისალმებოდა უნდა აეშენებინა



## ლიტერატურა:

- შანიძე 1980** – ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, ტ. III, თბილისი, 1980.
- მელიქიშვილი 2012** – დ. მელიქიშვილი, დროის სამწვერა სისტემის ჩამოყალიბების ისტორიისათვის ქართულში, *თსუ ქართული ენის ინსტიტუტის საენათმეცნიერო შრომების კრებული*, III, 2012.
- პაპიძე 1981** – ა. პაპიძე, კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის გამოსატვისათვის ქართულში, *ქეს V*, თბილისი, 1981.
- კოტინოვი 1986** – ნ. კოტინოვი, *კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში*, თბილისი, 1986.
- პაპიძე 1984** – ა. პაპიძე, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, *ქსკს*, VI, 1984.
- შარაშენიძე 2017** – ნ. შარაშენიძე, უნდა მოდალური ფორმის დეონტური სემანტიკა ქართულში, *ენა და კულტურა*, IV, ქუთაისი, 2017.
- პაპიძე 1981** – ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკვეთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, *ქსკს* IV, 1981.
- პაპიძე 1979** – ა. პაპიძე, მესამე კავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, *ქსკს* II, 1979.
- ბაბუნაშვილი 1995** – ე. ბაბუნაშვილი, II თურმეობითის სემანტიკასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში, *საენათმეცნიერო ძიებანი*, IV, 1995.

**დოქტორანტი და მასტერანტი**



**არაკანონიკურ თანხმომავანთკომპლექსთა  
დაძლევის დინამიკა მებრუნ არსებით სახელებში**

მეგრულში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, სახელები ბოლოვდება **თანხმოვანზე** ან **ხმოვანზე**. ბრუნებისას, ხმოვანფუძიანებისგან განსხვავებით, თანხმოვანფუძიან სახელებში ვლინდება არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსები. კერძოდ, ისინი წარმოიქმნება **მოთხრობით** და **მიცემით** ბრუნვათა ფორმებში და დამახასიათებელია მეგრულის ყველა არეალის (დასავლური, აღმოსავლური და ცენტრალური) მეტყველებისთვის. ეს იმან განაპირობა, რომ მეგრულში აღნიშნულ ბრუნვათა მარკერები C სტრუქტურისაა და **-ქ, -ს** თანხმოვნებით გადმოიცემა. რაც შეეხება დანარჩენ ბრუნვებს, აქ თანხმოვანფუძიან სახელთა ფუძეებს ხმოვნით დაწყებული ანუ VC სტრუქტურის ნიშანი დაერთვის და, შესაბამისად, რთული თანხმოვანთკომპლექსების თავმოყრა პოზიციურად შეპირობებული არ არის. ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის (Кипшидзе 1914; ჩიქობავა 1936; გუდავა, გამყრელიძე 1981; დანელია 1986; ლომთაძე 1987; კარტოზია და სხვები 2010) მიმოხილვიდან ჩანს, რომ მეგრულში არსებით სახელთა უმრავლესობა მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში ქმნის არაკანონიკურ თანხმოვანთკომპლექსებს (იხ. ცხრილი წიგნში: გ. კარტოზია და სხვები, 2010:617-620), რომელთა დასაძლევად ენა იყენებს რამდენიმე საშუალებას:

- ნაწილობრივი ასიმილაცია (\***დუდ-ქ**→ **დუთ-ქ** „თავმა“);
- ფუძის გამარტივება (\***დუდ-ს**→ **დუ-ს** „თავს“);
- სუბსტიტუცია (**ჩილ-ქ**→ **ჩირ-ქ** „ცოლმა“, **ჩილ-ს**→ **ჩირ-ს** „ცოლს“);<sup>1</sup>
- **ი** ხმოვნის გაჩენა ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის (\***დუდ-ქ**→ **დუდ-ი-ქ** „თავმა“, \***დუდ-ს**→ **დუდ-ი-ს** „თავს“).

არაკანონიკურ თანხმოვანთკომპლექსთა დაძლევის ყველა ზემოთ აღნიშნული საშუალება დასტურდება მეგრულში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის **ი** ხმოვნის ჩართვა ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელი, თუმცა ყველაზე პროდუქტიულია და, შესაბამისად, გავრცელებულია სამეგრელოს ყველა არეალში.

რჩება პატარა ჯგუფი სახელებისა, რომლებიც პარალელურ ფორმებს გვიჩვენებენ. პარალელურთაგან „ი“ ხმოვანჩართული ფორმები იკვეთება **გალისა** და **ზუგდიდის** რაიონების მეტყველებაში (**დუდ-ი-ს** „თავს“); **წალენჯიხის** (დასავლური არეალი), **ჩხოროწყუსა** და **ხობის** (ცენტრალური არეალი), **სენაკის** რაიონებში (აღმოსავლური არეალი) ი-ნიანი ფორმები სპორადულად დასტურდება (**კოჩ-ქ** // **კოჩ-ი-ქ** „კაცმა“). **მარტვილისა** და **აბაშის**

<sup>1</sup> მიუხედავად არაკანონიკურობისა, **ლქ, ლს** მიმდევრობები სახელებში გავრცელებულია დასავლურ არეალში; სუბსტიტუციის შედეგად მიღებული ტრანსფორმაცია (**რქ, რს**) დამახასიათებელია მხოლოდ აღმოსავლური არეალისთვის.

არეალებში (აღმოსავლური არეალი) მხოლოდ კოჩ-ქ და კო-ს „კაცმა“, „კაცს“ ტიპის ფორმები გვხვდება და მათ პარალელური ვარიაციები არ მოეპოვებათ (გ. კარტოზია და სხვ. 2010:118). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, პარალელური წარმოების ფორმებში არაკანონიკურ თანხმოვან-ტოკომპლექსთა „ი“ ხმოვნით დაძლევის გზა აირჩია დასავლურმა არეალმა, ხოლო ცენტრალურმა და აღმოსავლურმა – არა. რაკი მეგრულში არაკანონიკური თანხმოვანტოკომპლექსების დაძლევის მრავალფეროვანი საშუალებები ცალკეულ არეალში გაგრძელებისა და მცირე რაოდენობის სახელთა ხარჯზე შენარჩუნებული, სამეცნიერო ლიტერატურაში დაისვა საკითხი, რა გზას აირჩევს მეგრული სამომავლოდ და შეინარჩუნებს თუ არა პარადიგმულ მრავალფეროვნებას? ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებიდან და ლაზურში არსებული ვითარებიდან<sup>1</sup> გამომდინარე, გამოითქვა ვარაუდი, რომ მეგრულმაც მომავალში შესაძლოა აირჩიოს უნიფორმაციის გზა და გააბატონოს „ი“ ხმოვნის ჩართვა (დანელია 1986: 84-110).

რას გვიჩვენებს თანამედროვე მეგრულ მეტყველებაზე დაკვირვება, როგორია თანხმოვანტოკომპლექსების დაძლევის დინამიკა? განსაკუთრებით იმ არეალში, რომელიც პარალელურ ფორმათაგან არ ირჩევს „ი“ ჩართულ ფორმებს. ჩვენი ინტერესის საგანი იყო ის არსებითი სახელები, რომელთაც შეუძლიათ პარალელური ფორმების წარმოება; კერძოდ, ესენია: *ხუჯი* „მხარი“, *დუდი* „თავი“, *ზოთონჯი* „ზამთარი“, *ჭკიდი* „მჭადი“, *პიჯი* „პირი“, *წანჯი* „ბუზი“, *ხოჯი* „ხარი“, *დეჯი* „ლორი“. ემპირიული მასალა შევაგროვეთ მარტვილის რაიონში (აღმოსავლური არეალი), ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვებით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული არსებითი სახელების მოთხრობით ბრუნვაში არაკანონიკური თანხმოვანტოკომპლექსების დაძლევა ხდება ნაწილობრივი ასიმილაციით (Кипшидзе 1914: 022-023; გუდავა, გამყრელიძე 1981: 211): \*ხუჯ-ქ → ხუჩ-ქ „მხარმა“, \*დუდ-ქ → დუთ-ქ „თავმა“, \*ზოთონჯ-ქ → ზოთონჩ-ქ „ზამთარმა“, \*ჭკიდ-ქ → ჭკით-ქ „მჭადმა“, \*პიჯ-ქ → პიჩ-ქ „პირმა“, \*წანჯ-ქ → წანჩ-ქ „ბუზმა“, \*ხოჯ-ქ → ხოჩ-ქ „ხარმა“, \*დეჯ-ქ → დეჩ-ქ „ლორმა“, მიცემითში კი ფუძისეული თანხმოვნის დაკარგვით: \*ხუჯ-ს → ხუ-ს „მხარს“, \*დუდ-ს → დუ-ს „თავს“, \*ზოთონჯ-ს → ზოთონ-ს „ზამთარს“, \*ჭკიდ-ს → ჭკი-ს „მჭადს“, \*პიჯ-ს → პი-ს „პირს“, \*წანჯ-ს → წან-ს „ბუზს“, \*ხოჯ-ს → ხო-ს „ხარს“, \*დეჯ-ს → დე-ს „ლორს“. მოძიებული ემპირიული მასალიდან ჩანს, რომ ენა აღნიშნული ლექსიკური ერთეულებისთვის მოთხრობით ბრუნვაშიც იყენებს მიცემითი ბრუნვისთვის დადასტურებულ წესს, კერძოდ, კარგავს ფუძისეულ თანხმოვანს:

\*ხუჯ-ქ → ხუ-ქ „მხარმა“

(1) ევოჩირთი შარას, *ხუქ* ემართუ „ავცდი გზას, მხარი ამექცა“ (=მხრის შექცევა) (დოდო დარციმელია, 56 წლის);

<sup>1</sup> ლაზურში სახელთა ბრუნების პარადიგმა გასწორებულია „ი“ ხმოვნის ჩართვით.

\***დუღ-ქ** → დუ-ქ „თავმა“

(2) თიმ დღას თისხეი ვიმუშეე, **დუქ** მაწყუნუ „იმ დღეს იმდენი ვიმუშავე, თავი მეტკინა“ (დათო გეგეჭკორი, 49 წლის).

(3) კასრუმ **დუქ** ქოდომიოდუ დო თიფერო დიხარკაფუ, გურქ გემკომიოდუ „ქვების თავი დამივარდა და იმგვარად ახმაურდა, გული გამისკდა“ (ირმა ძაძამია, 47 წლის).

\***ზოთონჯ-ქ** → ზოთონ-ქ „ზამთარმა“

(4) წირ წანას **ზოთონქ** ვეგეთუ „წლეგანდელ წელს ზამთარი არ დამთავრდა“ (ზაზა ქაჯაია, 56 წლის);

\***ჭკიდ-ქ** → ჭკი-ქ „მჭადმა“

(5) მუქ მაღოფუ ამდლა, ჭკი-ქ ვემაჭოფუ კიციშე, ჭკიქ გომიტრიხუ „რა მომივიდა დღეს, მჭადი ვერ ავიღე კეციდან, მჭადი გამიტყდა“ (მზია კაჭარავა, 58 წლის).

\***პიჯ-ქ** → პი-ქ „პირმა“

(6) ბაღანობას **პიქ** დააჭუ ჩქიმ ჯიმას, თიგვარი დუ ბებიშ ნაკეთები აჯიკა „ბავშვობისას პირი/„პირმა“ დაეწვა ჩემ[ს] ძმას, იმგვარი იყო ბებიას გაკეთებული/„განაკეთები“ აჯიკა“ (თალიკო დარჯანია, 87 წლის).

\***წანჯ-ქ** → წან-ქ „ბუზმა“

(7) **წანქ** ოვჭკომუ ამდლა, თემ იჩამინუაფუ, დოჭვინს „ბუზმა შემჭამა დღეს, ისე იკბინება, მოწვიმს“ (მიტუშა ჭითანავა, 90 წლის).

\***ხოჯ-ქ** → ხო-ქ „ხარმა“

(8) **ხოქ** მემიდინუ, ვეკორთუ ჭადეშე „ხარი დამეკარგა, არ მოვიდა ჭალიდან“ (სოსო ჯიქია, 57 წლის);

\***დეჯ-ქ** → დე-ქ „ღორმა“

(9) **დექ** ღობერი გოსოფუ დო ეზოშა გემნოდუ (გონა ჭითანავა, 57 წლის).

**დექ, ხუქ, ზოთონქ, ჭკიქ, პიქ, წანქ, ხოქ, დექ** ფორმები არ დასტურდება გამოცემულ ტექსტებსა და ლექსიკონებში.

ამრიგად, სამეგრელოს აღმოსავლური არეალის, კერძოდ, მარტვილის რაიონის მეტყველებახე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენას აქვს ტენდენცია არა უნიფორმაციისკენ, არამედ მრავალფეროვნებისკენ, რაც გამოიხატება მოთხრობით ბრუნვაშიც ფუძისეული თანხმონის დაკარგვით.

### ლიტერატურა:

**გუდავა, გამყრელიძე 1981** – ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმონვან-თკომპლექსები მეგრულში, *კრებული „თბილისის უნივერსიტეტი აკაკი შანიძეს“*, 1981 [გადაბეჭდილია კრებულში: თ. გამყრელიძე, *რჩეული ქართველოლოგიური შრომები*, თბილისი, 2000].

**დანელია 1986** – კ. დანელია, სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის ფუძესთან შეზღუდვის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში, *თსუ შრომები*, ტ. 267 (*ენათმეცნიერება*), თბილისი, 1986.

**ლომთაძე 1987** – ა. ლომთაძე, *ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში*, თბილისი, 1987.

**კარტოზია და სხვები 2010** – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, თბილისი, 2010.

**ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, *ჭანურის ლინგვისტური ანალიზი*, ტფილისი, 1936.

**Кипшидзе 1914** – И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*, СПб, 1914.

*წარმოადგინა სამეცნიერო  
ხელმძღვანელმა ასოც. პროფესორმა  
მაია ლომიამ*

**ევიდენციალური პერფექტი  
ძველ ქართულ ენაში<sup>1</sup>**

როგორც ცნობილია, ევიდენციალობა ტექსტის კატეგორიაა და გულისხმობს დამოკიდებულებას ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და ინფორმატორს შორის, ანუ მიუთითებს იმაზე, ნათქვამი პირდაპირი აღქმის შედეგია და იდეალურად სანდო ინფორმაციის შემცველი (ევიდენციალური), თუ სხვა წყაროდან მიღებული (არაევიდენციალური). ევიდენციალობის წყაროებია: ვერბალობა და ინფერენცია (მარგიანი-სუბარი, 2012).

აღსანიშნავია, რომ ევიდენციალური მოდალობა (უნახაობის სემანტიკა) ახასიათებს ოთხივე ქართველურ ენას (ქართულს, სვანურს, მეგრულსა და ლაზურს). თუმცა მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა მის გენეზისთან დაკავშირებით. ქართველურ ენებში ევიდენციალობის კატეგორიის ავთენტურობის დასამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული ენის მონაცემებს.

სტატიაში განიხილება ევიდენციალობის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებები: ევიდენციალური პერფექტული ზმნური ფორმები – I თურმეობითი და II თურმეობითი. საანალიზო მასალას წარმოადგენს V-X საუკუნეების ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლები.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში პერფექტული მწკრივების ძირითადი ფუნქცია რეზულტატივის (შედეგობითობის) გამოხატვა იყო. მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, ახასიათებდა თუ არა ევიდენციალობა პერფექტულ ფორმებს ძველ ქართულში. მეცნიერთა ნაწილი (ჩიქობავა 1962; ქავთარაძე 1956; არაბული 1984; ფხაკაძე 1984; ბოდეერი 2000) ფიქრობს, რომ უნახაობა პერფექტული ფორმების გვიან განვითარებული ფუნქციაა და არ გვხვდებოდა ძველ ქართულში, ნაწილი კი (შანიძე 1930; ბერიძე 2009; ტოფაძე 2011; სარჯველაძე, ნინუა 1985) თვლის, რომ უნახაობის გამოხატვის ფუნქცია ძველ ქართულშივე უნდა გასჩენოდა პერფექტულ ფორმებს.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ემპირიული მასალის მიხედვით იკვეთება, რომ ევიდენციალობა ძველ ქართულშივე ახასიათებდა I თურმეობითისა და II თურმეობითის მწკრივთა ფორმებს. უნახაობის გაგება უმეტესად მესამე პირის ფორმებთან რეალიზდება, თუმცა გვხვდება მეორე პირის პერფექტულ ფორმებთანაც.

I თურმეობითი:

- (1) „აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამჯუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი აღგილი დაგიტყვებიეს და სხუად

<sup>1</sup> სტატია მომზადებულია გრანტის („ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ – №217300) ფარგლებში, დონორი: რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.



წარსრულ ხარ“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, 1963: 15, „მარტვლობად შუშანიკისი“);

- (2) „და აწ დაუტყვევებებს შჯული ესე ჩუენი და იტყვს თავსა თვსსა ქრისტეანედ და უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტეანე ყოფად“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1963: 64, „მარტვლობად ჰაბო ტფილელისად“).

II თურმეობითი:

- (3) „და შეყრაცხა თავი თვისი უცოდვილწს ყოველთა კაცთა და ცრემლოვინ იგი ცოდვათა თვსთათვს“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1963: 166, „მარტვლობად კოსტანტი-კახისად“).

- (4) „რამეთუ ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მკეც-თაგან უხილავთა ღტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტწსნი განბნეულ იყვნეს თითოდ ანუ თუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1963: 264, „ცხორებად გრიგოლ ხანცთელისად“);

მაგალითებიდან ჩანს, რომ ევიდენციალური ფორმები დასტურდება როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოებით. აღწერით ფორმებს თურმეობითის კვალიფიკაცია ენიჭება მაშინ, როდესაც აქვს თურმეს გაგება და/ან თურმეობითის გარემოცვა (I და II თურმეობითის შემთხვევაში), ან გამოხატავს უწინარეს მოქმედებას (II თურმეობითის შემთხვევაში).

საანალიზო მასალა გვიჩვენებს, რომ ევიდენციალური პერფექტული ფორმები გვხვდება თხრობითი, კითხვითი და ძახილის შინაარსის მქონე კონსტრუქციებში:

- (5) „და რამეთუ მოქდუანა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი, და ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედ ოდენ გემოდ იხილა და ვჰმადლობდით ღმერთსა“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1963: 23, „მარტვლობად შუშანიკისი“);

- (6) „რად არს რომელი ესე მესმის შენთვს, რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტყვევებეს მამული შჯული და ქრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ? (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1963: 64, „მარტვლობად ჰაბო ტფილელისად“);

- (7) „და მე დამიკვრდა ხილვად იგი და მე ვარქუ: ვითარ განძლიერებულ ხარ უძღურებისაგან, მოძღუარო!“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1963: 286, „ცხორებად გრიგოლ ხანცთელისად“).

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ საანალიზო მასალაში თავს იჩენს I თურმეობითის -ია დაბოლოებიანი წარმოება:

- (8) „*მ* წმიდაო მამაო, რად ჰყავ, რამეთუ მგელი მწყემსად მოგუეც; ეგერა კარაული ჩემი შეუჭამია“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1963: 221, „ცხორებად შიოდსი და ევაგრესი“).
- (9) „ამის მიზეზისათჳს იქმნა მოსლვად ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ჴელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წამოუყვანებია, და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1963: 297, „ცხორებად გრიგოლ ხანცთელისადა“).

მოცემულ ილუსტრაციებში არც ერთი ტექსტის მთქმელი (ავტორი) არ არის თვითმხილველი საანალიზო ზმნებით გადმოცემული მოქმედების პროცესისა, რაც აშკარაა ვრცელი კონტექსტებიდან. ეს ზმნები ერთმნიშვნელოვნად მთქმელის მიერ უნახავ მოქმედებას გახაზავენ, სხვა შემთხვევაში, სავარაუდოდ, მთქმელი წყვეტილის ფორმებს გამოიყენებდა, რისი მაგალითებიც უხვადაა საანალიზო ტექსტებში.

ამრიგად, ემპირიული მასალის შესწავლა და საკითხის განხილვა დიაქრონიულ ჭრილში ადასტურებს იმას, რომ ევიდენცილობა პერფექტულ ფორმებთან ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში ისახება, როგორც ამ მწკრივთა მეორეული ფუნქცია და აქტიურდება მომდევნო საუკუნეებიდან.

### ლიტერატურა:

- არაბული 1984** – ა. არაბული, *მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში*, თბილისი, 1984.
- ბერიძე 2009** – მ. ბერიძე, პერფექტულობის გამოხატვის ზოგი საკითხისათვის ქართულში, *გურამ კარტოზია 75*, თბილისი, 2009.
- ბოედერი 2000** – W. Boeder, Evidentiality in Georgian, *Evidentials: Turkic, Iranian and Neighbouring Language, Empirical Approaches to Language Typology*, 24, Edited by L. Johanson & B. Utahs, Mouton de Gruyter, Berlin / New York, 2000.
- მარგიანი-სუბარი 2012** – ქ. მარგიანი-სუბარი, *ევიდენცილობის კატეგორია სვანურ ენაში*, თბილისი, 2012.
- სარჯველაძე, ნინუა 1985** – ზ. სარჯველაძე, გ. ნინუა, უნახაობის გამოხატვისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1*, თბილისი, 1985.
- ტოფაძე 2011** – M. Topadze Gäuman, The Expression of evidentiality between lexicon and grammar, A case study from Georgian, *Linguistic Discovery* 9, 2, Dartmouth, 2011.
- ფხაკაძე 1984** – დ. ფხაკაძე, *I თურმეობითის ფუნქციები ქართულში*, თბილისი, 1984.
- ქავთარაძე 1956** – ივ. ქავთარაძე, *დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში*, *იკვ, VII*, თბილისი, 1956.
- შანიძე 1930** – ა. შანიძე, *ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია*, თბილისი, 1930.

**ჩიქობავა 1962** – არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების პრინციპისათვის, *იკვ. XIII*, თბილისი, 1962.

**ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1963** – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963.

*წარმოადგინა გრანტის სამეცნიერო  
ხელმძღვანელობა ასოც. პროფესორმა  
ქეთევან მარგიანმა*

**დინამიკური მოდალური სემანტიკის  
გამომხატველი „შეძლება“ ზმნა და  
მასთან დაკავშირებული უკუთქმითი  
ნაწილაკები ქართულ სამწერლო ენაში<sup>1</sup>**

დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ქართულ სალიტერატურო ენაში X საუკუნიდან გვხვდება ობიექტური წყობის **შემიძლია** ორგანული ზმნური ფორმა (სარჯველაძე 1984: 413),<sup>2</sup> საშუალო ქართულიდან კი პარალელურად დასტურდება **ძალ** ძირისაგან ნაწარმოები სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის ორგანული ფორმები.<sup>3</sup> სხვა მოდალური ფორმებისაგან განსხვავებით, **შეძლება** ზმნის არც ობიექტური და არც სუბიექტური წყობის ფორმებს არ განუცდიათ გრამატიკალიზაცია, არ ქცეულან ნაწილაკებად (შდრ.: ეგების>ეგებ, იქნების>იქნებ (შარაშენიძე 1999). როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის პირიანი ფორმები სემანტიკური თვალსაზრისით გამოხატავდნენ და გამოხატავენ „ნეიტრალურ“ (გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა) და „სუბიექტზე ორიენტირებულ“ (შინაგანი ან შექცეული უნარი ან ცოდნა) (პალმერი 1999; ვაიმანი 1996) მოდალურ სემანტიკას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონტრასტით.<sup>4</sup> მოცემულ სტატიაში განვიხილავთ **შეძლება** ზმნის ობიექტური და სუბიექტური წყობის ფორმებისა და უკუთქმით ნაწილაკთა ურთიერთმიმართების საკითხს.<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ უარყოფით კონტექსტებში **შეძლება** ზმნის ობიექტური და სუბიექტური წყობის ფორმებზე დართვისას არ და ვერ უკუთქმით ნაწილაკებსა და მათგან ნაწარმოებ ფორმებს შორის თავისუფალი ვარირება არ არის. უფრო მეტიც, უკუთქმითი ნაწილაკები განასხვავებენ არა მხოლოდ ობიექტურ და სუბიექტურ წყობას, არამედ „ნეიტრალურ“ და „სუბიექტზე ორიენტირებულ“ მოდალურ სემანტიკასაც. რაც შეეხება **ნუ** ნაწილაკს, როგორც წესი, **შეძლება** ზმნა, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, ქართული ენის განვი-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218000 „მოდლობის კატეგორია ქართულ ენაში“. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF), 218000 “The Category of Modality in the Georgian Language”.

<sup>2</sup> IX საუკუნემდე დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენებოდა აღწერითი ფორმები (ველ-ეწიფების, ძალ-უმს>ძალ-უც, შემძლებელ არს, შესაძლო არს), IX საუკუნიდან კი ჩნდება უძლავს ტიპის ორგანული ფორმებიც.

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნას აწმყოს წრის ფორმები არ მოეპოვება და მხოლოდ მყოფადის მწკრივიდან აქვს ფორმები.

<sup>4</sup> მ. ღამბაშიძე, **შეუძლია** მოდალური ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ქართულ სალიტერატურო ენაში, ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218000 „მოდლობის კატეგორია ქართულ ენაში“.

<sup>5</sup> მასალის გასაანალიზებლად კვლევისას გამოყენებულია სუბსტიტუციის მეთოდი.

თარების ვერც ერთ ეტაპზე ვერ შეიწყობდა **ნუ** უკუთქმით ნაწილაკს, რომელიც მოქმედების აკრძალვაზე მიუთითებს (შანიძე 1980:610), რადგან რეალურად წარმოდგენილია ფიზიკური უნარის ან ცოდნისა და სიტუაციით განპირობებული შესაძლებლობის აკრძალვა. თუმცა გასათვალისწინებელია **ნუ** ნაწილაკის გამოყენება ძახილის წინადადებებში, გაბრაზების, ძლიერი უარყოფითი ემოციის გამომხატველ კონტექსტებში, როდესაც ემოციურ ფონზე **ნუ** ნაწილაკს თითქოს უკვე აღარ აქვს აკრძალვის ფუნქცია და მხოლოდ მთქმელის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს მოსაუბრის ნათქვამის მიმართ (არ შეგიძლია და **ნუ შეგიძლია**; ვერ შევძლებ და **ნუ შევძლებ** და ა. შ.). მსგავსი მაგალითები, როგორც წესი, ცოცხალი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, სალიტერატურო ენაში კი ნაკლებად გვხვდება, რამაც განაპირობა ის, რომ კვლევისას ქართული ენის ეროვნულ კორპუსში აღნიშნული ტიპის კონსტრუქციები ვერ დავადასტურეთ.

**შეძლება ზმნა და არ უკუთქმითი ნაწილაკი**

უარყოფითი სემანტიკის გადმოსაცემად ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნის პირიან ფორმებთან ერთად საშუალო ქართულში ყველაზე ხშირად გამოიყენება **არ/არა** უკუთქმითი ნაწილაკი და მისგან ნაწარმოები ფორმები: **არამცა, არცდა, არც(ა), არცადა, არღა, აღარ(ა), აღარც(ა)**.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნაწილაკები მოდალური სემანტიკის მქონე ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან რეალიზდებიან როგორც „სუბიექტზე ორიენტირებული“, ისე „ნეიტრალური“ დინამიკური შინაარსის გამოსატვისას, ასე მაგალითად:

**„სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალობა უარყოფითი კონტრასტით:**

- (1) *შენთან ფრენა არ შემეძლოს, უყაბი არ ხარ, მე ბუზი* (შაჰნ. 3896: 2 Titus).
- (2) *რომე ჩემებრ სნეულსა შენებრისა დაკოდილისა კურნება არა შეეძლოს!* (დილარ. 112:28 Titus).
- (3) *მე შენისა მოშორებისა მოთმინება არღა შემეძლიან* (დილარ. 679: 22 Titus).
- (4) *სრულობით ღონე მოედო, სიბერით ნადირობა აღარ შეეძლო* (ქილ. და დამ. 646:12 Titus).
- (5) *მე ბერი დიაცი ვარ და ვღა აღარა შემეძლია* (ამირან. 8: 363 Titus).
- (6) *არც მე შემძლებია ყოველივე გამეწირა სიყვარულისთვის* (გამს. GNC).

**„ნეიტრალური“ მოდალობა უარყოფითი კონტრასტით:**

- (7) *იგი არ შემეძლია, რომ მისი წიგნი კარში გამოვიტანო და შენ ხელმწიფის ხალვათხანაში ვერ დავსვამო* (რუსუდ. 9: 1 Titus).

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში შესაძლებლობის გამომხატველ **შეუძლია** სუბიექტური წყობის ზმნასთან **არ** არ იქნებოდა.

- (8) მე აქ საჯარო ბაასი არ შემოიძლია, ერთი ხალვათი არის და იქ შევიდეთ და ვილაპარაკოთ და ვნახოთ (ქარამ. 510: 28 Titus).
- (9) და ესრეთ გრილი იყო, რომ მოუბურველად რისამე მუნსლვა არა შეეძლო კაცსა (დილარ. 356: 11 Titus).
- (10) ესეთისა გულსმოდგინებით მიბრძანა, უარის თქმა აღარ შემეძლო (ქილ. და დამ. 199: 19 Titus).
- (11) ციხესიმაგრეები არ ჰფარავდა მათ და არც შეეძლოთ წინასწარ სცოდნოდათ ის აღვილი ან დრო, სადაც ქართველნი ეკვეთებოდნენ (ბარნ. GNC).

საგულისხმოა, რომ უკუთქმით ნაწილაკთა პოზიციისა და წყობის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს, ობიექტური წყობის შეძლება ზმნა „სუბიექტზე ორიენტირებული“ სემანტიკისაა თუ – „ნეიტრალური“. ორივე მნიშვნელობის შემთხვევაში ჭარბობს უკუთქმით ნაწილაკთა პრეპოზიციური გაუთიშავი წყობა (1-11). იგივე ვითარებაა ახალ ქართულშიც:

**„სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალობა უარყოფითი კონტრაცციით:**

- (12) თურმე ლაზების გარეშე არ შესძლებიათ ბიზანტიელებს სპარსების დამარცხება (სანიკ. GNC).
- (13) მაგრამ რა არ შესძლებია კარგად დაწყობილ საქმეს და მხნესა და გულმაგარ კაცსა?! (ჭავჭვ. GNC).

**„ნეიტრალური“ მოდალობა უარყოფითი კონტრაცციით:**

- (14) ასე რომ, ერთ კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა (ჭავჭვ. GNC).
- (15) მართლმადიდებელ ქრისტიანებს გზაზე გაგლაც კი აღარ შეუძლიათ (ჯავ. GNC).

იშვიათად არ და მისგან ნაწარმოები უკუთქმითი ნაწილაკები ობიექტური წყობის შეძლება ზმნას დაერთვიან პოსტპოზიციურადაც, რაც განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ სალექსო საზომის შენარჩუნებით:

- (16) სპანდიატ უთხრა: „დასუსტდი, შეგიძლია არ ომი და?“ (შაჰნ. 5593: 4 Titus).
- (17) დედამ უთხრა: „როსტომისა წყენა შემოიძლია არა“ (შაჰნ. 3449: 1 Titus).

ვფიქრობთ, უკანასკნელ მაგალითში (17) უკუთქმითი ნაწილაკის არა ვარიანტის გამოყენება საჭირო გახდა იმისათვის, რომ არ დარღვეულიყო თექვსმეტმარცვლიანი სალექსო საზომი.

საინტერესოა, რომ ობიექტური წყობის შეძლება ზმნასთან გათიშული წყობა გვაქვს ც(ა) ნაწილაკით შედგენილი უკუთქმითი ნაწილაკების შემთხვევაში, როდესაც ისინი მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციით გამოიყენებიან:

- (18) არცა შენდობისა თხოვა შემოიძლია, არცა უშენოდ ჩემი სიცოცხლე ეგების (ვისრ. 272: 21 Titus).

- (19) ვიდრე მე ცოცხალი ვარ, შენი მორჩენა არც კაცს და არც შენს ღმერთს **შეუძლიან** (ქარამ. 656: 34 Titus).
- (20) მე დაებერებულვარ, აღარცა ომი **შემიძლია** და აღარც ხელმწიფობისა გაგება (რუსუდ. 25:29 Titus).
- (21) ვეზირო ხემო! დღესავე მოვითხრობოდე, მე ამისი არცა სიკვდილი და **არცაღა ტყვეობა შემიძლიან** (რუსუდ. 329: 4 Titus).
- (22) არც მშველელი მოსხანდა და არც გაქცევა **შეეძლოთ** (ჯავ. GNC).
- (23) ვერც თვით იმეტებდნენ საკუთარ ბავშვს და არც თავის გამეტება **შეეძლოთ**, რომ **შებრძოლებოდნენ უხილავ, უცნობ მაჯღაჯუნას** (ლოროქ. GNC).

საინტერესოა, რომ ბოლო მაგალითში (23) შერწყმულ წინადადებაში ერთი და იგივე უკუთქმითი ნაწილაკი კი არ გამოიყენება მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციით, არამედ – სხვადასხვა. ამ შემთხვევაში **ვერც** და **არც** უკუთქმითი ნაწილაკები ფუნქციურად იდენტურია. ასეთ ფაქტს საშუალ ქართულშიც ვადასტურებთ:

- (24) **არცა** გაღმა გასვლა **შემიძლია** და **ვერცა** გაყრისა მოშორებისა **ნაღველი დამითმენიაო** (ქილ. და დამ. 350: 30 Titus).

ორიოდე შემთხვევაში **ც(ა)** ნაწილაკიანი უკუთქმითი ნაწილაკები გაუთიშავადაც ერთვიან ობიექტური წყობის **შედლება** ზმნას:

- (25) თავად შენ ასაკითა სრული ხარო და ხემი ასული ყრმაწვილიაო და **არცა შეუძლია** შენისა სახლისა და საბატონოსა გაგებაო (რუსუდ. 6: 3 Titus).
- (26) რამეთუ არა თუ ნიჭად და სასყიდლად სათნოებისა მიიღო სუფევაჲ და მეუფებაჲ სიტყუამან ღმრთისამან, რამეთუ იგი თვთ ბუნებით დაუსაბამოდ აქუს, რამეთუ უკუეთუმცა არა ესრჳთ იყო, **არამცა შეეძლო** სხუათადა მიცემად (იოვ. გამ. 3: 22 Titus).
- (27) გამოსულები მხოლოდ ნაცნობ სიტყვებს ამბობდნენ და მეტი **არც შეეძლოთ** ეთქვათ (მორჩ. GNC).

აღსანიშნავია, რომ საშუალ ქართულში **არ-ნაწილაკიანი** ობიექტური წყობის **შედლება** ზმნა, როგორც წესი, მიემართება მასდარს (28), (29), ან ზოგიერთი ნასახელარი ზმნისთვის მასდარის მაგიერობის გამწვევ სახელს (30), (31) (შანიძე 1980: 565), იშვიათად კი უკავშირდება დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს (32), (33):

- (28) მზესა ნუ დამიღვევ, მაგისი სმა არ შემიძლია! (შაჰნ. 246: 34 Titus).
- (29) სიტყვის მოსმენის კიდე ჰქონდა იმას შეძლება, მაგრამ სრულებით **არ შეეძლო** აზრის გაგება (ნიზ. 62:220 Titus).
- (30) მე ბერი კაცი ვარ და **არ შემიძლია** დიდად საუბარი (ამირან. 289: 38 Titus).
- (31) მისგან მიხსენ, ვიცი, მისი **არ შემიძლია** ღმბა (შაჰნ. 121: 2 Titus).
- (32) ჯამთა სიმრავლისა და მისისა გონებისაგან ჭკუა დამცლია და ძალისაგანცა გაესრულვარ. მე **არ შემიძლია**, რომე მისკენ წავედუ ძალედ (რუსუდ. 1: 16 Titus).

(33) ამ უკანასკნელს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ასკიდასა და ნეა-ლაავრელებისათვის (მამ. ცხ. 124: 5 Titus) და ა.შ.

ახალ ქართულში კი ობიექტური წყობის შეძლება ზმნის ფორმებთან მასდარული (34), (35), (36) და ჰიპოტაქსური კონსტრუქციების (37), (38) დისტრიბუცია, შეიძლება ითქვას, რომ უკვე თანაბარია:

(34) ზედაც დაგამატებ იმ ჩემ უცნაურ სიყვარულს, რომლის გამოთქმაც არ შემოიძლია (წერ. GNC).

(35) გაუკაცს არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარაანთ ქვრივსა (ჭავჭ. GNC).

(36) „მთელი დღე ასე იჯექი და პურს ღოღნიდი, რადგან წამოდგომაც არ შეეძლო – ფეხებში ძალა არა გქონდა“ (დოჩან. GNC).

(37) „უი, მაგ უბედური, რომ არ შეუძლია გარეშესთან არ მორთოს თავის ტრაბახობა!“ (კლდ. GNC).

(38) არ შეეძლო გულგრილად ეყურებინა, მის დოვლათს როგორ დაეპატრონებოდა ვიღაც (ლორთქ. GNC).

საინტერესოა, არსებობს თუ – არა რაიმე კანონზომიერება უკუთქმით ნაწილაკდართულ ობიექტური წყობის შეძლება ზმნის ფორმებსა და მათთან დაკავშირებულ დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლებს შორის მწკრივთა განაწილების თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ საშუალ ქართულში შეინიშნება შემდეგი ტენდენცია – თუ მოდალური სემანტიკის მქონე ზმნა აწმყოს მწკრივშია, მაშინ დამოკიდებული წინადადების ზმნა--შემასმენელი II კავშირებითის ფორმითაა წარმოდგენილი (32), ხოლო თუ მოდალური სემანტიკის ზმნა წყვეტილშია, მაშინ ის უკავშირდება დამოკიდებული წინადადების II თურმეობითის ფორმას (33). ობიექტური წყობის შეძლება ზმნასა და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს შორის სხვაგვარი კავშირი მწკრივთა შეხამების თვალსაზრისით საშუალ ქართულში არ დასტურდება. ახალ ქართულშიც არსებითად მსგავსი ვითარებაა (37), (38), თუმცა აქ უკვე გვხვდება ერთეული შემთხვევები მწკრივის ფორმათა სხვაგვარი დაკავშირებისა, მაგალითად:

ხოლმეობითი – II თურმეობითი:

(39) სრულიად უცხოს და გაუგებარს არასოდეს არ შეეძლებოდა, მასზე ის გადამწვევეტი გაგლენა მოეხდინა (ქიქ. GNC).

I თურმეობითი – II კავშირებითი:

(40) თუ სწავლა-განათლებას იმოდენაც არ შესძლებია, კაცს ჭაგუნოს, რომ ოინების გასაღება მეცნიერებაში ისე ადვილი არ არის... (ჭავჭ. GNC).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საშუალი და ახალი ქართული ენის წერილობით ძეგლებში ობიექტური წყობის შეძლება ზმნასთან დადასტურდა ორმაგი უარყოფის შემთხვევებიც, რომელთა პირველი კომპონენტი ძირითადად უარყოფითი ნაცვალსახელია, ხოლო მეორე – არ/არა და მისგან ნაწარმოები უკუთქმითი ნაწილაკები, ასე მაგალითად:

(41) მასვე წამსა მობრუნება ჩემი არვის არ შეეძლო (არჩ. 123: 19 Titus).



- (42) *ჩვენ თქვენი წინააღმდეგი არა ვართ და არცა არა შეგვიძლია* (ქარამ. 526: 1 Titus).
- (43) *თეიმურაზმა თითქმის ყველაფერი იცოდა. სამაგიეროდ არაფერი არ შეეძლო* (ჯავ. GNC).
- (44) *კნინა ავად გახდა და დღეს აღარავის მიღება აღარ შეუძლია* (წერ. GNC).

ამრიგად, საანალიზო მასალამ აჩვენა, რომ **არ** ნაწილაკი ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან ძველ ქართულში არ დასტურდება (თავად **შემიძლია, შეგიძლია, შეუძლია** ტიპის ფორმებიც ძველი ქართული ენის ტექსტებში იშვიათი გამოყენებისაა, რადგან თავდაპირველად შესაძლებლობის სემანტიკა აღწერითი ფორმებით გამოიხატებოდა), საშუალო ქართულში კი მისი დისტრიბუცია მეტად ფართოა, ის გამოხატავს არა მარტო, „ნეიტრალურ“ დინამიკურ სემანტიკას, არამედ ის ითავსებს **ვერ** ნაწილაკის ფუნქციასაც, კერძოდ, ეკისრება „სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალობის უარყოფითი კონტრაციის გადმოცემა. ახალ ქართულშიც ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან უარყოფითი სემანტიკის გამოხატვა მხოლოდ **არ** ნაწილაკსა და მისგან ნაწარმოებ ვარიანტებს ეკისრება,<sup>1</sup> რომლებიც, როგორც წესი, პრეპოზიციურად და ძირითადად გაუთიშავად დაერთვიან აღნიშნულ ზმნურ ფორმას, რომელიც წინადადებაში, თავის მხრივ, ხან მასდართანაა დაკავშირებული, ხან კი – დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელთან.

**არ** უკუთქმით ნაწილაკთან მიმართებით განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნა. აღსანიშნავია, რომ, ჩვეულებრივ, „ნეიტრალური“ და „სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალური სემანტიკის გამოხატვისას **შეძლება** ზმნის სუბიექტური წყობის ფორმები ქართული სამწერლობო ენის განვითარების არც ერთ საფეხურზე არ დაირთავს **არ(ა)** უკუთქმით ნაწილაკსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებს. თუმცა თანამედროვე ქართულში გვაქვს ისეთი კონტექსტებიც, რომლებშიც ვხვდებით **არ-ნაწილაკდართულ** სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის მაგალითებსაც.

თანამედროვე ქართული პრესის ენაში სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის მესამე პირის ფორმა დასტურდება **არ** ნაწილაკთან ერთადაც. კერძოდ, ვგულისხმობთ **არ** ნაწილაკის გამოყენებას **შეძლება** ზმნის მეორე კავშირებითის მწკრივის ფორმებთან მოქმედების აკრძალვის შინაარსის გადმოცემისას (შანიძე 1980: 610):

- (45) *ეს გააკეთონ ისე, რომ არ ჰქონდეთ აშკარა დარღვევები და დაცვის მხარემ არ შეძლოს მტკიცებულებების გამოვლენა* (ახ. თაობა GNC).
- (46) *ჩანერგო ადამიანთა შემეცნებაში ისეთი ქალსი, რომ ხალხმა არ შეძლოს მისი გონივრულად მოწესრიგება* (საქ. რესპ. GNC).

<sup>1</sup> არ ვგულისხმობთ რამდენიმე შემთხვევას, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო გამოიყენება **ვერ** ნაწილაკი (კომენტარი იხ. ქვემოთ).

(47) *რათა დაინტერესებულმა პირებმა მათი ხმებით მანიპულირება არ შეძლოს* (დილ. გაზ. GNC).

არ უკუთქმითი ნაწილაკი სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან ერთად გამოიყენება არა მხოლოდ აკრძალვის შინაარსის გადმოსაცემად, არამედ კატეგორიულობის, დარწმუნებულობის სემანტიკის გამოსახატავადაც, ასე მაგალითად:

(48) *ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან, ხანამ ჩვენ ამას არ შევძლებთ, შედეგები კიდევ და კიდევ უარესი იქნება* (ახ. თაობა GNC).

(49) *თუ პარალელურად არ ვაწარმოეთ დიალოგი რუსეთთან და არ შევძელით რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება* (ახ. თაობა GNC).<sup>1</sup>

სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნა თანამედროვე ქართულში არ ნაწილაკს დაირთავს ასევე იმ კონტექსტებში, რომლებშიც მოქმედების შეუძლებლობას განაპირობებს სურვილის არქონა. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში იგულისხმება, რომ სუბიექტს არ უნდოდა და სწორედ ამიტომ არ შეძლო ამა თუ იმ საქმის გაკეთება, მას ხელს არ უშლიდა არც გარემო პირობები, არც ფიზიკური უუნარობა:

(50) *მან ორი ავტობიოგრაფიის დაწერა მოასწრო, მაგრამ ვერ თუ არ შეძლო თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი კანონის ან რეფორმის ავტორი გამხდარიყო* (რამიშ. GNC).

(51) *საქართველოს ხელისუფლებამ ეს ვერ შეძლო ან არ შეძლო* (ახ. თაობა GNC).

(52) *საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს არ შეძლეს, რადგან რუსეთთან ურთიერთობის გართულება მათ არ სურდათ* (რეზონ. GNC).

დაბოლოს, უნდა შევეხოთ **არ-ნაწილაკდართული** სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის გამოყენების კიდევ ერთ საინტერესო კონტექსტს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, არ ზოგიერთ შემთხვევაში განცვიფრების გამომხატველი ნაწილაკია და არა – უარყოფითი (შანიძე, კვაჭაძე 1987:16), სწორედ ამას ადასტურებს ჩვენი მაგალითებიც:

(53) *ვახ, ოპერაში? – თუკი შევძლებ, ოპერაში. შენ რას არ შეძლებ, შენ რას არ შეძლებ?! – გერონტი წელში გაიშალა* (ინან. GNC).

(54) *მე რაღას არ შევძლებდი, რაღა არ მეცოდინებოდა, ბავშვობიდანვე ასეთი ხვედრი რომ არ მრგებოდა* (საგურ. GNC).

ამრიგად, სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნა, ჩვეულებრივ, ფიზიკური უნარის ან ცოდნის არქონისა და სიტუაციით განპირობებული შეუძლებლობის გამოსატვისას არ დაირთავს არ უკუთქმით ნაწილაკს, მაგრამ თანამედროვე ქართულში გვაქვს სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსით გამოსატული კონტექსტი, რომელშიც არ ნაწილაკის გამოყენება სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან სრულიად ბუნებრივია.

<sup>1</sup> ჩვენ მიერ მოპოვებული მაგალითების მიხედვით, ასეთი შემთხვევები მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებებში დასტურდება.

**შეძლება** ზმნა და **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკი

მოქმედების შესაძლებლობის უარსაყოფად ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან ძველსა და საშუალო ქართულში ფუნქციონირებს **ვერ/ვერა** უკუთქმითი ნაწილაკიც თავისი ვარიანტებით: **ვერღარა, ვეღარა, ვერცა**:

- (55) **ვერ შეუძლიან** დამკობად მის ნაშენებისა (მამ. სწ. 160: 5 Titus).
- (56) **ვერ შემიძლია** წინა-აღდგომად ბრძოლისა ამის (სწ. წმ. მამ. 15: 68 Titus).
- (57) **თუ ესე ვერ შეგიძლია**, რადთა-მცა ეკლესიასა-ცა იღუპებდი და სენაკსა-ცა ძილითა გაძღებოდე (ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძველ. II 82: 25 Titus).
- (58) **უბადლო, ნუ-თუ** გასწილდე და **ვერა შეგეძლოს** ნაკრავისა ჩემისა დადგომა და მოგკლა, მებრალეებით (ამირან. 404: 19 Titus).
- (59) და რაჟამს მოიწიის ღუარი ძლიერი და ქარი სასტიკი, **ვერღარა შეუძლიან** თავს-დებად მტერისა იგი ბრძოლად (მამ. ცხ. 127: 18 Titus).
- (60) მიკვნი მისთა კელთაგან მე მუქაჟა სხვა **ველა-რა შემიძლია** ამისგან კიდე, რომელ ვზისა, რომლისადა დაგიმართებია, დია გამსახურო (ამირან. 295: 25 Titus).
- (61) ხოლო რომელთა **ვერცა** ესე შეეძლოს, მესამედი კანონისაჲ მის დაიმარხონ (მც. სჯ. 112:25 Titus).

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი მასალის თანახმად, ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან ყოველთვის გვაქვს **ვერ** და მისგან ნაწარმოები უკუთქმითი ნაწილაკების **პრეპოზიცია**. წყობაც, როგორც წესი, გაუთიშავია, თუმცა ამ მხრივ გამოწვევისა **ვერცა** ნაწილაკი, რომელიც **შეუძლია** ზმნასთან გათიშული წყობით დასტურდება:

- (62) **უკუეთუ ვერცა** ესე შეგიძლია, ნუ მიაგებთ ნაცვალსა (სწ. წმ. მამ. 10: 78 Titus).
- (63) **უკუეთუ** კულა **ვერცა** ესე შეეძლოს, ასისა წონსა ლიტრასა სუმიდენ დღითი-დღე (მც. სჯ. 3:11 Titus).

გაძლიერებითი ც(ა) ნაწილაკდართული უკუთქმითი ნაწილაკები შერწყმულ წინადადებაში გვხვდება მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციით (შანიძე 1980: 611), ამ ფუნქციითაც უკუთქმითი ნაწილაკი ზმნის პირიან ფორმასთან გვაძლევს გათიშულ წყობას:

- (64) **ვერცა** ოთხისა ბიჯისა წარბენა შემიძლია, არცა ჩემისა მშეილდისა მოზიდვა (ვისრ. 235: 2 Titus).<sup>1</sup>

საგულისხმოა, რომ **არ** ნაწილაკისა და მისგან ნაწარმოები ფორმებისაგან განსხვავებით, **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკი თავისი ვარიანტებით ძველსა და საშუალო ქართულში განარჩევედა „სუბიექტზე ორიენტირებულსა“ და „ნეიტრალურ“ დინამიკურ მოდალურ სემანტიკას. კერძოდ, **ვერ** ნაწილაკი ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან რეალიზდებოდა მხოლოდ უარყო-

<sup>1</sup> ამ შემთხვევაშიც შერწყმულ წინადადებაში სხვადასხვა მაჯგუფებელი კავშირია გამოყენებული.

ფითი კონოტაციის „სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალობის გადმოცემისას. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ **ვერ-ნაწილაკიანი** ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნის მაგალითებს, რომლებიც „სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალური სემანტიკის გამომხატველია:

- (65) **ვერღარა შემიძლია წინა-აღდგომად ბრძოლისა მის, არამედ განმიტევე** (სწ. წმ. მამ. 4: 67 Titus).
- (66) **მონაგებნი სოფლისანი ტკივილ თუალთა არიან და მისგან დაბრეყლდიან და ვერ შეუძლიან ხილვად სიმდიდრე იგი ზეცისა წარუვალი** (მამ. სწ. 193: 34 Titus).
- (67) **რაჟამს ცხადთაგან მწიკულეგანთა გულისსიტყუათაგან ვერ შეუძლიან ცთუნებად გულსა სხუად სახედ** (მამ. ცხ. 21: 35 Titus).
- (68) **რამეთუ ბუნებად შენი ღბილ არს და ვერ შეგიძლია ძმისა გარე-შექცევაჲ, არამედ, უკუეთუ გნებავს დაჟუდებჲჲ, წარვედ უდაბნოსა** (სწ. წმ. მამ. 3: 18 Titus).
- (69) **მცირედი ვაჩუენე მე სახიერებაჲ მოყუასსა მას, რამეთუ უმეტესი ვერ შემეძლო** (კომ. მათ. სახ. 24: 23 Titus).

წარმოდგენილ კონტექსტებში **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკი ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნასთან ერთად გამოხატავს შინაგანი უნარის, ძალის არქონას, ამა თუ იმ მოქმედების შესაძლებლობის უარყოფას.

გაანალიზებული მასალა გვიჩვენებს, რომ **ვერ-უკუთქმითნაწილაკიანი** ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნა არ უკავშირდება დამოკიდებული წინა-დადების ზმნა-შემასმენელს. წერილობით ძეგლებში ვერ ვადასტურებთ **ვერ შეუძლია ჭამოს / ვერ შეუძლია, რომ ჭამოს** ტიპის კონსტრუქციებს. **ვერ-ნაწილაკიანი** კონტექსტებში უარსაყოფი, შეუძლებელი მოქმედება გადმოიცემა მასდართ (**ვერ შეუძლიან დამკობად** (55), **ვერღარა შემიძლია წინა-აღდგომად** (56), **ვერ შეგიძლია ძმისა გარე-შექცევაჲ** (58), **ვერ შეუძლიან ხილვად** (66), **ვერ შეუძლიან ცთუნებად** (67)). ამრიგად, გვაქვს ასეთი კონსტრუქცია: **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკი + ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნის პირიანი ფორმა + **მასდარი** სახელობითი (58) ან ვითარებითი (55), (56), (66), (67) ბრუნვის ფორმით. იშვიათად მასდარს ენაცვლება სხვა მეტყველების ნაწილები, მაგალითად: არსებითი სახელი (60), პირის ნაცვალსახელი (57), (61), (62), (63), ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმა (69)...

საშუალო ქართულში თანდათან „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობის უარსაყოფად **ვერ** ნაწილაკი ჩაანაცვლა **არ** ნაწილაკმა, რომლის ფუნქციაც მარტივად უარყოფაა (შანიძე 1980: 610). ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნის პირიანი ფორმასთან **ვერ** ნაწილაკის **არ** ნაწილაკით ჩანაცვლების პროცესი კარგად ჩანს ლუკას სახარების ერთ-ერთ მონაკვეთში ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქციის მონაცემთა გათვალისწინებით:

- (70ა) დაღათუ **ვერ ძალ-უც** აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი (ლ. 11:8 C Titus).

(70ბ) დაღათუ ვერ ეძლოს აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი (ღ. 11:8 DE Titus).

(70გ) დაღათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი (ღ. 11:8 FG HIK Titus).

როგორც ვხედავთ, სახარების ეფთვიმესეულ (XI ს. I ნახ.) და გიორგი მთაწმიდლისეულ (XII-XIII სს.) რედაქციებში „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობის უარსაყოფად უკვე არა ნაწილაკი გამოიყენება (70გ), რომელმაც თანდათან სრულად ჩაანაცვლა შესაძლებლობის უარყოფის გამოჩნატველი ვერ ნაწილაკი. ამგვარად, საშუალი ქართულიდან დღემდე ობიექტური წყობის შექმნა ზმნით გამოხატული „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობის უარყოფა ეკისრება არ უკუთქმით ნაწილაკს, ასე მაგალითად:

(71) რომ სენისგან ფეხთა ძალი არა ჰქონებია და ფეხზე დგომა და ცხენზე ჯდომა არ შესძლებია (რუსულ. 277: 35 Titus).

(72) თუ რომ ერთს ცამდე ასვლა მართლა არ შემეძლოს, აქაც ხომ ვერ ამოვიდოდით?! (ქარამ. 497: 10 Titus).

(73) მეტი დაჯერება მე არ შემეძლია და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! (კლდ. GNC).

(74) ნოდარ შუბიძეს კი აღარ შეუძლია უთავბოლო მოცდა (ჯავ. GNC) და ა.შ.

გაანალიზებული მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ვერ უკუთქმითი ნაწილაკი ობიექტური წყობის შექმნა ზმნასთან ერთად ენის განვითარების ვერცერთ ეტაპზე ვერ გამოხატავდა „ნეიტრალური“ დინამიკური სემანტიკის უარყოფას. აღნიშნულ ზმნასთან ვერ ნაწილაკის გამოყენება „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობის უარსაყოფად საშუალი ქართულიდან შეიზღუდა, ახალ ქართულში კი აღნიშნული ფუნქციით ვერ ნაწილაკი აღარ რეალიზდება, თუმცა ახალი ქართული ენის მასალის კვლევისას გამოვლინდა რამდენიმე ვერ-ნაწილაკიანი მაგალითი. ჩვენი აზრით, მათი არსებობა აიხსნება, ერთი მხრივ, სტილიზაციითა და არქაიზაციისკენ მიდრეკილებით, მეორე მხრივ კი, ექსპრესიული ფუნქციით, კერძოდ, ვერ ნაწილაკი ხაზს უსვამს, რომ სუბიექტს საერთოდ არ გააჩნია ესა თუ ის კონკრეტული უნარი და წარმოუდგენელია მის მიერ ამ უნარის შესაბამისი ქმედების განხორციელება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ კონტექსტებში, როგორც ჩანს, ვერ ნაწილაკი აღარ განასხვავებს „სუბიექტზე ორიენტირებულსა“ და „ნეიტრალურ“ დინამიკურ სემანტიკას, ასე მაგალითად:

**„სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალობა:**

(75) ვაჰ, რომ ჭრილობას ღონისგან დაეცალნა ძლიერი და ვეღარ შეეძლო თვისებურად აეტაცნა ქალი, ჰაერშივე გადაეკოცნა (ბარნ. GNC).

**„ნეიტრალური“ მოდალობა:**

(76) რომ ძალიანაც უნდოდეთ ცალკე ყოფნა, ვერ შეეძლებათ, რადგანაც წესდება ვალად სდებს იყოლიონ მოხელენი (ჭავჭ. GNC).

(77) *პაროდია მინიშნების მძლე ქარაფია, რომლის დანგრევა თვით უმაღლესსაც ვერ შესძლებია წუთისოფლის უსწორმასწორო სასწორზე* (ცისკ. GNC).

მსგავსი შემთხვევები იშვიათია და ამიტომ **ვერ** ნაწილაკის ფუნქციონირება ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნის ფორმებთან საშუალო ქართულიდან დღემდე მაინც შეზღუდულია.

უარყოფითი სემანტიკის გადმოცემისას განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს **შეძლება** ზმნის სუბიექტური წყობის ფორმები. როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის პირიანი ფორმები ძველ ქართულში არ დასტურდება. საშუალოსა და ახალ ქართულში კი სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის შემთხვევაში უარყოფითი სემანტიკის გამოსატვა ხდება **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკის საშუალებით. საგულისხმოა, რომ, ობიექტური წყობისაგან განსხვავებით, სუბიექტური წყობის დროს **ვერ** ნაწილაკი არ განარჩევს „სუბიექტზე ორიენტირებულ“ და „ნეიტრალურ“ დინამიკურ სემანტიკას.

**„სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალობა უარყოფითი კონტაქტით:**

(78) ერთი მეორეს ეუბნებოდნენ, ფალავანმა **ველარ შეიძლო** მუხლს ზევით აწევალ და სირცხვილით ველარ გაუშვია და ვერც ზევით აუწევიაო (ქარამ. 362: 18 Titus).

(79) რა ლომმა ნადირობა **ველარ შეიძლო**, ტურამ ჩქარად დონისძიება დაიწყო. ერთსა დღესა მომყარმა და შიმშილით შეწუხებულმა, ლომს რჩევა და წვრთნა დაუწყო (ქილ. და დამ. 689:9 Titus).

(80) ცოლს ნუ სცემ, მაგრამ თუ შეატყო რამ ეშმაკობა, ისე გალახე, **ვერ შეიძლოს** ფეხზე ადგომა (ნიზ. 285: 11 Titus).

(81) ჰქენი წყალობა, მცირე ჭკუა მაგ მონაგრისა, **ვერ შეძლებს** თვითონ აიტანოს რისხვა მამისა (ნიზ. 71: 2 Titus).

(82) მალე სიარულსაც **ველარ შევძლებ** და სადღაც, ღობის ძირას, ამომხდება სული! (ლეონ. GNC).

(83) ვერცერთი მხატვარი **ვერ შეძლებდა** მისი შინასახე სრულად გამოეხმო და პორტრეტში გაეცოცხლებინა (რობ. GNC).<sup>1</sup>

(84) იფეთქა!!! მეონი, ათასმა მზემ! მთვარე ამას **ვერ შეძლებდა...** სამხრეთისკენ ცა ნარინჯისფერი შეიქნა (მორჩ. GNC).

**„ნეიტრალური“ მოდალობა უარყოფითი კონტაქტით:**

(85) ახლა ამ ძროხის პირში უნდა შევიდე და კუდთან უნდა გაგძვრე და ისე უნდა განვთავისუფლდე. თუ რომ ეს ასე **ვერ შევიძელ**, სულ საუკუნოდ აქვე დავრჩებიო (ქარამ. 479:23 Titus).

(86) თუ რომ იმათ **ვერ შეძლეს**, მე უშველი და მე გავიყვანო (ქარამ. 482: 22 Titus).

<sup>1</sup> ამ შემთხვევაშიც ორმაგი უარყოფის შემადგენელი პირველი კომპონენტი უარყოფითი ნაცვალსახელია, ხოლო მეორე – **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკი.

- (87) თუ ეს არ იქმნას და **ვერ შეიძლო**, რომელიც მე გამომირჩევია, სხვა რიგად ნუღარას ვეცდებითო და არა გაეწყობა რა (ქარამ. 216: 32 Titus).
- (88) მრავალი კაცია, თავისი საქმე გაუშვას და ერთი საქმე, რომ მისი წესი არ იყოს, ის დაიუიწოს და ვერც გაუშვას და **ვერც** გათავება **შეიძლოს** (ქილ. და დამ. 233: 23 Titus).
- (89) ტვილისის დაჩემებას **ვერ შეეძლებდი** მაშინ, რადგან მტერს ჯერ ისევ ეჭირა ციხეები (ბარნ. GNC).
- (90) პლატონმა **ველარ შეძლო** დაეფარა თავისი საიდუმლო ამ უცნაურად ჩაცხვებულ კაცისთვის (კლდ. GNC).
- (91) რაც დასავლეთის ჯვაროსნებმა **ვერ შეძლეს**, ქართველებმა უნდა აღასრულონ (აბაშ. GNC).
- (92) თქვა ბატონმა ვახტანგმა რაღაც და, სიმართლე მოგახსენოთ, **ვერ შეეძელი**, ხუმრობად მიმელო, ვერ მოვერიე თავს (ამირეჯ. GNC).
- (93) ეს ერთადერთი გზა არის ალბათ, რომლის გავლასაც **ვერ შეეძლებ** (ჭილ. GNC).

წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ საშუალო ქართულში **შეძლება** ზმნის სუბიექტური წყობის **ვერ-ნაწილაკდართულ** ფორმებს ისევე უჭირთ დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელთან დაკავშირება, როგორც ობიექტური წყობის ფორმებს (81). განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ახალ ქართულში, აქ სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელთან (რომელიც ყველა შემთხვევაში მეორე თურმეობითის მწკრივითაა წარმოდგენილი) დაკავშირების შემთხვევები მეტია (83), (90), (92). როგორც საშუალო, ისე ახალ ქართულში ხშირია **ვერ-ნაწილაკდართული შეეძლებ** ტიპის ფორმების დაკავშირება მასდართან (78), (79), (80), (82), (88), (89), (93). იშვიათად **ვერ** ნაწილაკიანი სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნა კავშირს ამყარებს სხვა მეტყველების ნაწილებთან, მაგალითად, პირის ნაცვალსახელთან (84), (85), (87), მიმართებით ნაცვალსახელთან (91).

რაც შეეხება **ვერ** ნაწილაკის პოზიციას **შეძლება** ზმნის სუბიექტური წყობის ფორმებთან მიმართებით, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც უმეტესად გვაქვს პრეპოზიციური გაუთიშავი წყობა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის უარყოფითი კონტექსტები, რომლებშიც **ვერ** ნაწილაკი გაფორმებულია **-ც** ნაწილაკით და გათიშული წყობაც ამითაა გამოწვეული (88).

ამრიგად, დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამომხატველი **შეძლება** ზმნის ობიექტური და სუბიექტური წყობის ფორმებისა და მათთან გამოყენებული უკუთქმითი ნაწილაკების კვლევისას გამოვლინდა, რომ: 1) **შეძლება** ზმნასთან სემანტიკური შეუთავსებლობის გამო **ნუ** ნაწილაკი არ დასტურდება უარყოფითი კონტრაცის მქონე კონტექსტებში, გარდა ძახილის წინადადებებისა, რომლებშიც **შეძლება** ზმნაზე დართული **ნუ** ნაწილაკი მხოლოდ მთქმელის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს მოსაუბრის ნათქვამის მიმართ და არა ამა თუ იმ ქმედების აკრძალ-

ვას. 2) საგულისხმოა, რომ **შედლება** ზმნასთან **არ** და **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკების გამოყენებას განსაზღვრავს როგორც ზმნის ობიექტური და სუბიექტური წყობა, ისე „სუბიექტზე ორიენტირებული“ და „ნეიტრალური“ მოდალური სემანტიკა. შესაბამისად, **ვერ** და **არ** ნაწილაკებს შორის არ გვაქვს თავისუფალი ვარიანტი. 3) **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკი ძველ ქართულში მხოლოდ ობიექტური წყობის „სუბიექტზე ორიენტირებული“ სემანტიკის მქონე **შეუძლია** ზმნას დაერთვოდა. საშუალ ქართულში კი მისი ეს ფუნქციაც თანდათან **არ** ნაწილაკმა შეითავსა, რომელიც დღემდე თანაბრად ფუნქციონირებს ობიექტური წყობის „სუბიექტზე ორიენტირებული“ და „ნეიტრალური“ დინამიკური სემანტიკის **შედლება** ზმნასთან. ამდენად, ობიექტური წყობის **შედლება** ზმნის ფორმებთან ახალ ქართულში **ვერ** ნაწილაკი აღარ დასტურდება, გარდა ექსპრესიული შემთხვევებისა, რომლებიც იშვიათია სალიტერატურო ენაში. 4) რაც შეეხება სუბიექტური წყობის ფორმებისა და **ვერ** ნაწილაკის ურთიერთმიმართებას, უნდა ითქვას, რომ აქ განსხვავება არ გვაქვს, **შედლება** ზმნის სუბიექტური წყობის ფორმებთან **ვერ** ნაწილაკი საშუალი ქართულიდან თანაბრად გამოიყენება როგორც „სუბიექტზე ორიენტირებული“, ისე „ნეიტრალური“ სემანტიკის გამოხატვისას. 5) **შედლება** ზმნის სუბიექტური წყობის ფორმებთან **არ** ნაწილაკი საშუალ ქართულში საერთოდ არ დასტურდება. როგორც წესი, ის არც ახალ ქართულში დაერთვის **შეუძლებ** ტიპის ფორმებს, თუმცა გვაქვს სხვადასხვა სემანტიკური ასპექტით დატვირთული კონტექსტები, რომლებშიც სუბიექტური წყობის ფორმებთან **არ** ნაწილაკის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. 6) გაანალიზებული უკუთქმითი ნაწილაკები, როგორც წესი, ჩვენთვის საინტერესო მოდალური სემანტიკის მქონე ზმნებს დაერთვიან პრეპოზიციურად და გაუთიშავად, თუმცა დასტურდება გამონაკლისი შემთხვევებიც. 7) საშუალ ქართულში ობიექტური წყობის **არ-ნაწილაკიანი შედლება** ზმნა, როგორც წესი, მიემართება მასდარს, იშვიათად კი უკავშირდება დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს. ახალ ქართულში კი **შემიძლია** ტიპის ფორმებთან მასდარული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციების დისტრიბუცია, შეიძლება ითქვას, რომ უკვე თანაბარია. 8) საშუალი ქართულის მონაცემების მიხედვით, **ვერ-უკუთქმითნაწილაკიანი** სუბიექტური წყობის **შედლება** ზმნა მხოლოდ ერთხელ ავლენს ჰიპოტაქსურ კონსტრუქციასთან კავშირს, დანარჩენ შემთხვევებში **ვერ-ნაწილაკიანი** სუბიექტური წყობის ფორმა უკავშირდება მასდარს ან მის შემცვლელ სხვა სახელს. ახალ ქართულში კი აღნიშნული კონსტრუქციები თითქმის თანაბრად უკავშირდებიან შესაძლებლობის გამომხატველ სუბიექტური წყობის ფორმებს. რაც შეეხება **ვერ-ნაწილაკდართულ** ობიექტური წყობის **შედლება** ზმნას, რომელიც მხოლოდ ძველსა და საშუალ ქართულში დასტურდებოდა, ის უგამონაკლისოდ ქმნიდა ასეთ კონსტრუქციას: **ვერ** უკუთქმითი ნაწილაკი + ობიექტური წყობის **შედლება** მოდალური სემანტიკის ზმნა + **მასდარი** სახელობითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმით. 9) აღსანიშნავია, რომ საშუალი და ახალი ქართული ენის წერილობით ძეგლებში **შედლება** ზმნის ობიექტური წყობის ფორმებთან და ახალ ქართულში ერთ



შემთხვევაში სუბიექტური წყობის ფორმასთან დადასტურდა ორმაგი უარყოფის შემთხვევებიც, რომელთა პირველი კომპონენტი, ძირითადად, უარყოფითი ნაცვალსახელია, ხოლო მეორე – უკუთქმითი ნაწილაკი. 10) დაბოლოს, საინტერესო სურათს გვაძლევს **შედლება** მოდალური სემანტიკის მქონე ზმნის შეხამება დამოკიდებული წინადადების ზმნის მწკრივებთან. იკვეთება შემდეგი ტენდენცია: თუ ობიექტური წყობის **შედლება** ზმნა აწმყოს მწკრივის ფორმითაა, მაშინ მას დამოკიდებული წინადადების ზმნა--შემასმენელი შეეწება მეორე კავშირებითის ფორმით, ხოლო თუ მოდალური სემანტიკის მქონე ზმნა წყვეტილის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ ის დამოკიდებული წინადადების ზმნური ფორმისგან მოითხოვს მეორე თურმეობითის მწკრივს. მეორე მხრივ კი, სხვადასხვა მწკრივში მდგარ სუბიექტური წყობის **შედლება** ზმნასთან დაკავშირებული დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი ყოველთვის მეორე თურმეობითის მწკრივის ფორმითაა მოცემული.

### ლიტერატურა:

**ბაბუნაშვილი 1957** – ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 67, 1957.

**გეგუჩაძე 2010** – ლ. გეგუჩაძე, *ქართული ენა, სინტაქსის საკითხები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

**დანელია 1998** – კ. დანელია, *ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1998.

**სარჯველაძე 1984** – ზ. სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის საკითხები*, თბილისი, 1984.

**შანიძე 1976** – ა. შანიძე, *ძველი ქართული ენის გრამატიკა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1976.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თსუ-ლებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980.

**შანიძე, კვაჭაძე 1987** – ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, *ქართული ენა*, VII კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1987.

**შარაშენიძე 1999** – ნ. შარაშენიძე, ეგებ ნაწილაკის ისტორიისათვის, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. XXX, თბილისი, 1999.

**შარაშენიძე 1999** – ნ. შარაშენიძე, იქნებ ნაწილაკის ისტორიისათვის, *ენათმეცნიერების საკითხები*, 2, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1999.

**ვაიმანი 1996** – A. Th. Wymann, *The Expression of Modality in Korean*, Bern, 1996.

**პალმერი 1999** – F. R. Palmer, *Modality and the English Modals*, Longman, 1999.

**ჰაანი 2002** – Ferdinand de Haan, Strong Modality and Negation in Russian, University of new Mexico, 2002.

## მონაცემთა ელექტრონული ბაზები:

„ტიტუსის“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა (titus.uni-frankfurt.de):

C – ადიშის ოთხთავი.

DE – ჯრუჭისა და პარსლის ოთხთავები.

FG – ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქცია.

HIK – ქართული ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია.

ამირან. – ამირანდარეჯანიანი.

არჩ. – არჩილიანი.

დილარ. – დილარიანი.

ვისრ. – ვისრამიანი.

იოგ. გამ. – იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება.

კლარჯ. მრ. – კლარჯული მრავალთავი.

კომ. მათ. სახ. – კომენტარები მათეს სახარებაზე.

მამ. სწ. – მამათა სწავლანი.

მამ. ცხ. – მამათა ცხორებანი.

მც. სჯ. – მცირე სჯულისკანონი.

ნიხ. – ნიხამი.

რუსუდ. – რუსუდანიანი.

სწ. წმ. მამ. – სწავლანი წმიდათა მამათანი.

ქარამ. – ქარამანიანი.

ქილ. და დამ. – ქილილა და დამანა.

შაჰნ. – შაჰნამე.

ცისკ. – ცისკარი.

ბე. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., II – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი (GNC) (gnc.gov.ge):

აბაშ. – გრიგოლ აბაშიძე

ამირეჯ. – ჭაბუა ამირეჯიბი

ახ. თაობა – ახალი თაობა

ბარნ. – ვასილ ბარნოვი

გამს. – კონსტანტინე გამსახურდია

დოჩან. – გურამ დოჩანაშვილი

ინან. – რევაზ ინანიშვილი

კლდ. – დავით კლდიაშვილი

ლეონ. – გიორგი ლეონიძე

ლორთქ. – ნიკო ლორთქიფანიძე

მორჩ. – აკა მორჩილაძე

რამიშ. – ლევან რამიშვილი

რეზონ. – რეზონანსი

რობ. – გრიგოლ რობაქიძე

საგურ. – საგურამო  
სანიკ. – ლევან სანიკიძე  
საქ. რესპ. – საქართველოს რესპუბლიკა  
წერ. – აკაკი წერეთელი  
ჭავჭ. – ილია ჭავჭავაძე  
ჯავ. – მიხეილ ჯავახიშვილი

*წარმოადგინეს სამეცნიერო ხელმძღვანელებმა:  
ასოც. პროფესორმა ლელა ციხელაშვილმა  
და ასოც. პროფესორმა ნინო შარაშენიძემ*

**შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი  
ნაცვალსახელების სტრუქტურულ-სემანტიკური  
ანალიზი სვანურ ენაში**

ნაცვალსახელთა სისტემა და მისი ისტორია ყველა ენაში საინტერესო პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც მასში შემონახულია თავისებური ენობრივი ნიშან-თვისებები და ენის ისტორიის უძველესი ფაქტები. ამ მხრივ გამონაკლისი არც სვანური ენაა, სადაც ნაცვალსახელთა სისტემა საინტერესო სურათს გვიჩვენებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია უარყოფითი ნაცვალსახელები, რომელთა მრავალფეროვნებით ხასიათდება სვანური ენა. ეს მრავალფეროვნება გულისხმობს როგორც სტრუქტურულად გასხვავებული ფორმების სიმრავლეს, ასევე მათ სემანტიკურ ნიუანსებს, რომელთა ზუსტი შესატყვისობის მიღწევა ქართულად ხშირად აღწერითადაც კი რთულია. წინამდებარე ნაშრომი შეეხება მოქმედების შესაძლებლობის გამომხატველ უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს სვანური ენის ყველა დიალექტის მონაცემთა მიხედვით. ეს ნაცვალსახელები (ასევე ზმნიზედები), ქართულისგან განსხვავებით (ვერ'ნაწილაკიანი ფორმები), არ გულისხმობენ უსათუოდ შეზღუდვა-შეუძლებლობას, არამედ, ზოგი მათგანი აფიქსირებს ეჭვს/ვარაუდს შესაძლებლობის ქონა-არქონის, არსებობა-არარსებობის შესახებ.

უარყოფის ნაცვალსახელები ქართულში „გაკეთებულია „ვინ“ და „რა“-საგან წინ უარყოფითი ნაწილაკების დართვით. „რა“-ს მაკვირობას „ვერიც“ ეწევა. მათი დანიშნულებაა უარყოფა: არავინ, ვერავინ (ვერვინ), ნუვინ (ნურავინ), არაფერი, ვერაფერი, არა (ეს „არა“ მიღებულია აქედან: არ-რა, არა-რა), ვერა (ვერ-რა, ვერა-რა), ნურა, ნურაფერი.“ (შანიძე 1980: 44).

ქართულში უარყოფითი ნაწილაკების სამი ძირითადი სახე არსებობს: არ-//არა, ვერ//ვერა, ნუ//ნურა. როცა ამათ -ც(ა) და -ღარა ნაწილაკები ემატება, ვიღებთ პარალელურ ფორმებს: არცა//არც, ვერცა//ვერც, ნუცა... არღარა//აღარა, ვერღარა//ვეღარა, ნუღარა. ნუ-ს გარდა, ყველა უარყოფითი ნაწილაკი წარმოშობით რთულია. არა: ა+რა, ვერ//ვერა: ვე+რა, ნურა: ნუ+რა, აღარა: ა+ღა+რა, ვეღარა: ვე+ღა+რა... ამ ნაწილაკებს მეორე შემადგენელ კომპონენტად რა ნაცვალსახელი მოუდის, რომელსაც დროთა ვითარებაში დაუკარგავს დამოუკიდებლობა და ნაწილაკს შეზრდია (მარტიროსოვი 1964: 247).

ქართულ არ, ვერ და ნუ უარყოფით ნაწილაკებს სვანურში უპირისპირდება უარყოფით ნაწილაკთა მრავალრიცხოვანი ვარიანტები (მაგ.: მჰ (ღშხ.), მამა (ბქ.), მამ(ა) (ღნტ.), მჰმ(ა) (ბზ., ღშხ., ჩოლ.), მად(ე) (ბქ.), მჰდ(ე) (ღნტ.), მჰდ(ე) (ბზ., ღშხ., ჩოლ.), მადმა (ზს.), მჰდმ(ა) (ღნტ.), მრ (ღშხ.), მრმ(ა) (ბზ., ღშხ., ჩოლ.), მოდ(ე) (ბქ.), მრდ(ე) (ბზ., ღშხ., ჩოლ.), მოდმა (ბქ.), მრდმა (ჩოლ.), დემ (ბქ.), დემა (ღნტ.), დემე (ბქ.), დემეგ (ბქ.), დესა/ცა (ღნტ.), დჲს(ა) (ბზ., ქს.), დჲმ(ა) (ბზ., ღშხ.), დჲმამ (ბზ., ღშხ.),

დემის( ბქ), დემის (ბზ.), ბაი/ბაი (ლხმ), „არ, არა“...; მდმ-მწ/მაჩ (ლნტ), მდჩ/მწთშ (ლნტ.), მწჩ/მწიჩ (ლნტ.), მწჩშ (ლნტ.), დემ (ზს., ქს.), დემსა (ლშს.), დემმა (ლშს.), მეშამ (ლშს.), დომ (ბზ., ქს.), „ვერ“...; ნო (ზს., ლნტ.), ნოსა (ლნტ.), ნოს(ა) (ზს., ლშს.), ნომ(ა) (ბქ., ლნტ.), ნომ(ა) (ბზ., ლშს.)/ნუმ(ა) (ბზ., ლნტ.)/ნემ(ლნტ.)/ნემ(ა) (ბზ.), ნომმა (ზს.), ნომის (ლნტ.), ნომის (ლშს.), ნომეგ (ბქ.), ნოს(ა) (ბზ.), ნე (ბქ.), ნემ (ლხმ), ნემეგ (ბქ., ლხმ.) „ნუ“...), რომელთა სიმრავლეს, ძირითადად, დიალექტური ნაირსახეობები განაპირობებს. აღნიშნული ნაწილაკები, როგორც წესი, გარკვეული კანონზომიერებით არიან განაწილებული და სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა სვანურშიც წინადადების უკუთქმითობა (საღლიანი 2013: 46).

**არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა)** ნაწილაკებს გააჩნიათ განსხვავებული ფუნქციები. კერძოდ, უკუთქმითი ნაწილაკი „ვერ“ ზმნასთან ერთად გამოხატავს: (1) მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრის სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. ნაწილაკს „ვერ“ შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენლის უარყოფა; (2) იგი იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგიერობას სწევს. „ვერ“ ნაწილაკის რთული ვარიანტებია: **ველარ, ვერც, ველარც.** „ველარ“ გამოხატავს ზღვრული მოქმედების შესაძლებლობას; ნაწილაკი „ვერც“ ახდენს იმ სიტყვის აქცენტირებას, რომელთანაც დგას; ნაწილაკი „ველარც“ გვიჩვენებს შეუძლებლობის ზღვარს და, ამასთანავე, აქცენტირებას ახდენს იმ სიტყვაზე, რომელსაც მიეკუთვნება (ადვაძე 2013: 48).

უარყოფითი ნაწილაკები მსვანურში დაწვრილებით აქვს გამოკვლეული თინათინ შარაძენიძეს ნაშრომში „*უარყოფითი ნაწილაკები სვანურში*“: ის აღნიშნავს, რომ საკუთრივ უარყოფით ნაწილაკებს წარმოადგენენ: **მწ/მწ, დე/დო, ნე/ნო.** მკვლევრის აზრით, თვით ისეთი უარყოფითი ნაწილაკები, როგორიცაა **დემა, დრმა, მამა, მრმა (ნემა), ნრმა** რთული შედგენილობისაა: **დემ, დრ, მწ, მრ** მარტივი უარყოფითი ნაწილაკებია და ქართულ „არ“-ს შეესაბამება. **-მა** ელემენტი, რომელიც მათ მეორე მარცვლად მოუდის, წარმოშობით ნაცვალსახელია; იგი დროთა ვითარებაში მნიშვნელობისაგან დაცლილა და ნაწილაკად ქცეული შერწყმია **დემ, დრ, მწ, მრ**-ს (შარაძენიძე 1946: 315).

რადგან რთული ნაწილაკების მეორე კომპონენტს ისტორიულად ნაცვალსახელი წარმოადგენს, ალბათ ამის გამოა, რომ ხშირად ეს ნაწილაკები დამოუკიდებლადაც ნაცვალსახელის როლში გვევლინებიან. მაგალითად, **მამა** ნაწილაკი ზოგჯერ ნიშნავს „არაფერს“-ს. ჩვეულებრივ ამავე მნიშვნელობისაა ლაშხურში **დემამ//დემამ** („არ“) ნაწილაკი. უარყოფით ნაცვალსახელებადაც გვევლინება აგრეთვე რთული ნაწილაკები: **დემის** („არაფერს“), **დემმა** („ვერაფერი“), **მოდმა** („არაფერი“) (მარტიროსოვი 1964: 260).

*„დემმა=ვერ, ვერაფერი. პირველი მნიშვნელობით ლაშხურში იხმარება, მეორე მნიშვნელობით კი სხვაგანაც გვხვდება. მაგ: ლეხპარ ხოშა უდილ ზითუნახავ ი დემმა ახვილ გულჩონჩხ, ლეხპარ მერმე უდილ ზითუნახავ ი*

*დეშმა* ახგილ ეჯნემ, ლეხპარ მესმე, მარა ეჯნემი *დეშმა* ახგილ ჩუ. ლეხპარ ათხე სერ გარდატყუად, *დეშმა* ჩომინ – „შეახტა უფროსი და მზე-თუნახავი და ვერ მოაგლიჯა გულ-ღვიძლი, შეახტა მეორე და მზეთუნახავი და ვერ მოაგლიჯა იმანაც, შეახტა მესამე, მაგრამ იმანაც ვერ ჩამოაგლიჯა. შეახტა ახლა გარდატყუა, *ვერაფერი* ქნა“ (შარაძენიძე 1946: 298).

რადგან სვანურში, ქართულთან შედარებით, უკუთქმითი ნაწილაკები ბევრად მეტია, შესაბამისად, მეტია უარყოფითი ნაცვალსახელებიც, ვინაიდან მათ სტრუქტურაში სწორედ ეს ნაწილაკები შედიან.

ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც *ვერ* ნაწილაკის შესაბამისი ერთეულები წარმოადგენენ, თუმცა, ნეიტრალური, არა ნაწილაკის სემანტიკურ შესატყვისებთან შედარებით, მათი რაოდენობა ნაკლებია.

სვანურში *ვერ* ნაწილაკის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება როგორც ერთსა და იმავე დიალექტში, ასევე კილოების მიხედვით, მათ შორის ძირითადი და ყველაზე გავრცელებული ოთხივე დიალექტში არის *დეშ*.

მაგ.: *გზავრობ ხონა დეშ დალ გვერა* – „გზავრობა კარგი *ვერ* გვექნება“. <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D210D610D010D510E010DD10D110&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

*ქხვეკმ ი მწხ ნთვეიდ* – „გავეკიდე და *ვერ* დავეწიე“. <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

*შუკვს მდშ ათალაკახ აჯახ* – „გზა *ვერ* მოუძებნიათ ისევ“. <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

დ. იმნაიშვილის მოსაზრებით, არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენას, გარდა ბაცურისა, უარყოფითი ნაცვალსახელები ამჟამად არ აქვს. ქართული და სვანური უარყოფითი ნაცვალსახელების წარმოების საკითხში დაუპირისპირდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებსა და მეგრულ-ჭანურს (იმნაიშვილი 1953: 68). როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველ უარყოფით ნაცვალსახელთა აგების პრინციპი, მსგავსად სხვა უარყოფითი ნაცვალსახელებისა, ქართულსა და სვანურში ნაწილობრივ მსგავსია: უარყოფითი ნაწილაკები დაერთვის სათანადო კითხვით ფორმებს.

➤ *ვერაინ=ვერ(ა)ჟინ*

- *დეშარ||დეშჩ(ბზ); დეშერ||დეშერ (ლშხ)=დეშ „ვერ“ + ძარ „ვინ“:*

მაგ.: *პნდრადლომიშდ დეშძან* ოთგა ისგა ჭიშხ კუბთედსგა – „პნდრადლომისთვის *ვერაინ* ჩაუდებინებია ფეხი კუბოში“ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810F210D0100803E110&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=1023>

აღას ისგვაძუეშ სერ დეშწრ იხლდა – „ამას მამაშენის გარდა ვერავინ გააკეთებდა“.<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D010E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

➤ ვერაფერი=ვე(რა) + ფერი:

- დეშსამა(ღშს.)=დეშ(სა) „ვერ“+ მა „რა“
- დეშმა=დეშ „ვერ“+ მა „რა“
- დეშმაგვეშ (ბქ) = დეშ „ვერ“+ მა „რა“+გვეშ “საქმე”

მაგ.: მერმა ლადლიშვდ დერუ ედხუმ ჯარ ადხზე, მარა ეშნ დეშსამა ხაყერხ – „მეორე დღეს ორი იმდენი ჯარი გაგზავნა, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლო („უქნა“)“.

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810E110D010DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

თუ ქართულში შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველი უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია უარყოფითი ნაწილაკი ვერ, სვანურში მისი შესატყვისი დეშ ერთადერთი ნაწილაკი არაა, რომელიც ამ ტიპის უარყოფით ნაცვალსახელთა შემადგენლობაში შედის. იგი აღნიშნული ტიპის ნაცვალსახელთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის შემადგენლობაში დასტურდება (ხს. დეშწარ „ვერავინ“, დეშმა, დეშმაგვეშ „ვერაფერი“)... ენაში საანალიზო სემანტიკისთვის არსებობს სტრუქტურა: ნეიტრალური უარყოფითი ნაცვალსახელი+ნაწილაკი „მოშ“:

- ვერავინ – ღწრმოშ < ღწრ (“არავინ”)+მოშ (შესაძლებლობის ნაწილაკი);

მაგ: ქორისვა კელთხი პერს ღწრმოშ იკედ – „სახლში ვერავინ იღებს მაღალ ხმას“;

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D0100803E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

სვა ღწრმოშ ესერ დერი ეშთედსვა – „ვერავინ შედისო შიგნით („იმაში“)“;

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D0100803E010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

- ვერაფერი – დესმამოშ < დესა (“არა”)+ მოშ (შესაძლებლობის ნაწილაკი); მამგუეშმოშ/მამგუეშმოშ < მამა (“არა”) + მოშ;

მაგ: აი, კომუნისტრადი დესმამოშ შეგუეცუაღეს – „აი, კომუნისტებმაც ვერაფერი შეგვიცვალეს“.

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&-LXWORD=D310D410E110DB10D010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&L=26623>

- ვერც ერთი=დებდამოშ (ბზ., ბქ., ლშს)=დე „არა“ + ხელა „რომელი“+მოშ;

მაგ.: ამეხენქა ლიზი **დებდადმოშ** ანმეკერეს – აქედან გასვლა ვერც ერთმა ვერ მოიფიქრა“.

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&-LXWORD=D310D410EE10D410D310D010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

ჩუ **დებდადმოშ** იდესკის უშხჷრ – ვერც ერთი ვერ აქცევს ერთმანეთს“.

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023-&LXWORD=D310D410EE10D310D010DB10DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=61439>

„**მოშ**“ ნაწილაკის შესატყვისი ქართულ ენაში არ დასტურდება. აღნიშნული ნაწილაკის ფუნქცია არ არის მაინცდამაინც უარყოფა, იგი შესაძლებლობის ქონა-არქონის სემანტიკას განაპირობებს და ხშირად ახლავს ზმნას:

**ხიხი-მოშ?** „გააკეთებ?“ = „გააკეთებ თუ ვერა?/შეძლებ გააკეთებას?“ (შდრ. **ხიხიმა?** „გააკეთებ?“ = „გააკეთებ თუ არა?“); **ხითჷრი-მოშ** „ისწავლი?“ = „ისწავლი თუ ვერა?/შეძლებ სწავლას?“); ასევე, ის შეიძლება შედიოდეს რთული ნაწილაკის სტრუქტურაში, რომელიც იმავე მნიშვნელობას განაპირობებს წინადადებაში: **ჰემოშ** „თუკი“ (შდრ. **ჰე** „თუ“)...

ამრიგად, სვანურში შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაცვალსახელების ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სტრუქტურული მოდელი არსებობს: I – ქართულისებური: **დეშ** („ვერ“) ნაწილაკის შემცველი და II – ნეიტრალური უარყოფის ნაცვალსახელი+ **მოშ** ნაწილაკი. **დეშ**ნაწილაკიანი ნაცვალსახელები დადასტურებულად აღნიშნავენ მოქმედების თუ მდგომარეობის შეზღუდულობას, შეუძლებლობას, „**მოშ**“ ნაწილაკიანი ფორმები კი კონსტრუქციაში განაპირობებენ არა მხოლოდ შესაძლებლობის შეზღუდულობის სემანტიკას, არამედ მის ქონა-არქონას, უფრო ზუსტად, შესაძლებლობის საეჭვობას. ზოგიერთ კონტექსტში შესაძლებელია მათი პარალელური გამოყენება, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ უმეტესად საკუთრივ სვანური ტიპი, „**მოშ**“ ნაწილაკიანი უარყოფითი ნაცვალსახელები უფრო ბუნებრივი ჩანს.



## ლიტერატურა:

**ადვაძე 2013** – მ. ადვაძე, უარყოფის სისტემა ქართულ ენაში, *ენათმეცნიერების საკითხები*, თბილისი, 2013, 48-53.

**იმნაიშივილი 1953** – დ. იმნაიშივილი, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში, *იკვ. ტ. IV*, თბილისი, 1953.

**მარგიანი-სუბარი 1978** – ქ. მარგიანი-სუბარი, *უარყოფითი ფორმების წარმოება ქართველურ ენებში* (სადიპლომო ნაშრომი, ხელნაწერი), თბილისი, 1978.

**მარტიროსოვი 1964** – ა. მარტიროსოვი, *ნაცვალსახელი ქართველურ ენებში*, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.

**საღლიანი 2013** – ნეგაციისათვის სვანურ ენაში, *XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*, თბილისი, 2013, 45-47.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, ტ. III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1980.

**შარაძენიძე 1946** – თ. შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, *იკვ. ტ. I*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1946, 289-328.

**ელრესურსი:** „TITUS“-ის ელექტრონული ბაზა.

<http://titus.uni-frankfurt.de> (ბოლო წვდომა 12.03.2019)

*წარმოადგინა სამეცნიერო  
ხელმძღვანელმა ასოც. პროფესორმა  
ქეთევან მარგიანმა*

## უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ლაზურ ანდაზებში ქართულ-მეგრულ მონაცემებთან შედარებით<sup>1</sup>

### შესავალი

უარყოფა (resp. ნეგაცია) ლინგვისტიკაში უნივერსალურ კატეგორიადაა განხილული, რადგან იგი ყველა ენაში დასტურდება, მაგრამ მისი რეალიზება როგორც არამონათესავე, ისე მონათესავე ენებში განსხვავებული ენობრივი მონაცემების მიხედვით ხდება (ლოლაძე 2008; Alnawaisheh 2015; ქურდაძე და სხვ., 2016; Miestamo 2017). უარყოფა, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, ენაში გამოიხატება სხვადასხვა დონეზე (მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური) განსხვავებული ენობრივი საშუალებების გამოყენებით. მატერიალურად იგი შეიძლება გამოიხატოს უარყოფის ნაწილაკებით, ნაცვალსახელებით, ზმნისართებით, აფიქსებით და ა.შ. ცნობილია, რომ ქართველური ენები (ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური) მონათესავე ენათა ოჯახს განეკუთვნებიან, თუმცა შესაბამისი ემპირიული მასალის ანალიზი მიუთითებს, რომ, მიუხედავად მათი ერთიანი გენეტიკური წარმომავლობისა, მსგავსებასთან ერთად, განსხვავებასაც გვიჩვენებენ უარყოფის გამოხატვასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, საყურადღებოა ლაზურ ანდაზებში უარყოფის გამოხატვის ენობრივ საშუალებებზე დაკვირვება და მიღებული შედეგების შედარება ქართულსა და მეგრულთან. აღნიშნული საკითხი ლაზურში ჯერჯერობით სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა და, ცხადია, არც შედარებითი ანალიზი ჩატარებულა.

ანდაზა უძველესი კოლური ინფორმაციის მატარებელი ენობრივი ფენომენია, თუმცა სინქრონიულ ეტაპზე მასზე გავლენაც არ გამოირიცხება, მით უფრო ლაზურ ანდაზაზე. შედარებითი კვლევა მონათესავე ენებს შორის ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა. ლაზურ ანდაზებში ნეგაციის გადმოცემის მექანიზმზე დაკვირვების შედეგად შესაძლებელი ხდება რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა, რაც საბოლოო ჯამში წარმოდგენას შეგვიქმნის საანალიზო ენის ანდაზურ ფონდში არსებულ უარყოფის გადმოცემის გრამატიკულ მოდელებზე. საბოლოო დასკვნებისთვის საინტერესოა სხვა ქართველური ენების – ქართულისა და მეგრულის ვითარებაც.

<sup>1</sup> წარმოდგენილი ნაშრომი სათაურით „უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ლაზურ ანდაზებში“ წაკითხულია მოხსენებად ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე, თსუ, 12-13 დეკემბერი, 2017. სიმპოზიუმის პროგრამა და თეზისები იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://sites.google.com/site/iliachavchavadze2017ge/home>. სტატია იბეჭდება გადამუშავებული და შევსებული სახით.

## I. უარყოფის გადმოცემა ნაცვალსახელით

ლაზურში საკუთრივ უარყოფითი ნაცვალსახელები არ დასტურდება,<sup>1</sup> რის გამოც უარყოფის სემანტიკა მთლიანად განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებით გადმოიცემა უარყოფის ნაწილაკთან ერთად.<sup>2</sup> ლაზურში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მითი „ვინმე“ და მუთუ „რამე“ ლექსემებთაა წარმოდგენილი. ამ ფორმების ამოსავალი სახეობა ასეთია: **მითი:** მითი რენ > მითიენ + ვა (სიტყვასიტყვით „ვინც არის არ“ = არავინ); **მუთუ:** მუთუ რენ > მუთუენ + ვა (სიტყვასიტყვით „რაც არის არ“ = არავინ).

აღნიშნულ ლაზურ ფორმებს მეგრულში შესაბამისი სტრუქტურულ-სემანტიკური პარალელი მოეპოვებათ. კერძოდ, ეს არის ი. ყიფშიძის დაყოფით I ჯგუფში მოთავსებული **მითინი/მითინე** „ვინმე“ და **მუთუნი** „რამე“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, რომლებიც გამარტივებულ ვარიანტებს წარმოადგენენ;<sup>3</sup> კერძოდ, ამოსავალ სახეობებად უნდა ვივარაუდოთ **მით იცი-ნი** „ვინც იქნება რომ“ > **მითინი** „ვინც [იქნება] რომ“ = ქართ. ვინმე (ამგვარი ვითარება გვაქვს **მუთუნი** „რამე“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის შემთხვევაშიც). უარყოფის სემანტიკის გადმოსაცემად ლაზურში ზემოხსენებულ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს მოსდევთ უარყოფის **ვარ** „არა“ ნაწილაკი და ზმნა:

- (1) ემ დუნდაშენ **მითი ვარ**<sup>4</sup> გუიქთერენ. „იმ ქვეყნიდან არავინ დაბრუნებულა“ (შეროზია, მემიშიში 1994: 213);
- (2) ვაქითიქ **მითი ვარ** ჩუმერს. „დრო არავის მოუცდის“ (იქვე, 215);
- (3) თიში თომა **მითის ვარ** უკოროცხუნ. „თავზე<sup>5</sup> თმა არავის დაუთვლია“ (იქვე, 217);

<sup>1</sup> მეგრულში საკუთრივ უარყოფით ნაცვალსახელებად დასახელებულია **მითა** „არავინ“ და **მუთა** „არაფერი“ ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ზმნა ყოველთვის დადებითი ფორმით შეეწყობა (**მითა მურს** „არავინ „მოღის“/მოვა“, **მუთა უჭირს** „არაფერი უშავს“). ერთი შეხედვით, **მითა**-სა და **მუთა**-ს სტრუქტურაში უარყოფითობის მაწარმოებელი ერთეული არ ჩანს, მაგრამ ამ ნაცვალსახელთა ეტიმოლოგია საშუალებას იძლევა, **მითა**-ს და **მუთა**-ს ბოლოკიდური ა ხმოვანი უარყოფითი **ვა** ნაწილაკისგან მომდინარედ მივიჩნიოთ. სწორედ ეს განაპირობებს **მითა** და **მუთა** ლექსემებთან ზმნის შეხამებას დადებითი ფორმით. მეგრულში უარყოფით ნაცვალსახელთა ეტიმოლოგიისა და სეგმენტაციის შესახებ იხ. ა. მარტიროსოვი, *ნაცვალსახელი ქართველურ ენებში*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1964.

<sup>2</sup> შდრ. ქართულის ვითარება, სადაც უარყოფის ნაცვალსახელები ორი ნაწილისგან შედგება: 1) უარყოფის ნაწილაკი + კითხვითი სიტყვა: არა+ვინ, ვერა+ვინ, ნურა+ვინ; 2) უარყოფის ნაწილაკი + ლექსიკური ერთეული „ფერი“ ან „ვითარი“, რომლებიც დამოუკიდებლად არ გამოიყენება: არა+ფერი, ვერა+ფერი, ნურა+ფერი; არა+ვითარი, ვერა+ვითარი, ნურა+ვითარი; 3) -ც ნაწილაკიანი უარყოფითი ნაწილაკები + ლექსიკური ერთეული „ერთი“: არ-ც+ერთი, ვერ-ც+ერთი, ნურ-ც+ერთი (შანიძე 1980: 44).

<sup>3</sup> იხ. იოსებ ყიფშიძე, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*, СПб, 1914.

<sup>4</sup> „ვინც არა“ = არავინ.

<sup>5</sup> სიტყვასიტყვით: თავის.

- (4) თემბელი ბერეფეს **მუთუ ვარ** აგურენან. „ზარმაცი ბავშვები ვერაფერს ისწავლიან“ (იქვე, 216);
- (5) მთუგიშა **მუთუ ვარ** ახვენერენან დო კატუს ბელა უგორუფტურენან. „თავეს ვერაფერი უყვეს და კატას ერჩოდნენ“ (იქვე, 233);
- (6) ღურელიშენი და კაი ზოპონან, დადა **მუთუ ვარ** ზოპონან. „მკვდარზე ან კარგს იტყვიან, ანდა არაფერს არ იტყვიან“ (იქვე, 257).

მოხმობილ მაგალითებში მოსალოდნელი იყო, რომ კონსტრუქციაში უარყოფის ნაწილაკი გამარტივებული სახით ანლაუტის პოზიციაში მიერთებოდა ზმნურ ფორმას, როგორც ეს გვაქვს მეგრულში (გეულისხმობთ ამგვარ მოდელს: **განუსახდვრელობითი ნაცვალსახელი + უარყოფისნაწილაკიანი ზმნა**. მაგ., მითინი **ვამურს** „არავინ [არ] მოდის“, მუთუნი **ვაუძირუ** „არაფერი [არ] უნახავს“ და ა.შ.), მაგრამ ვფიქრობთ, ზემოგანხილული ლაზური ანდაზები ასახავენ პროცესის შუალედურ ეტაპს<sup>1</sup> და, სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში, უარყოფის ნაწილაკი რედუცირებული სახით მიუერთდება ზმნურ ფორმას (შდრ.: მეგრულის ვითარებას).

ამდენად, უარყოფის ნაცვალსახელების სემანტიკის გადმოცემა ლაზურში ხდება შემდეგი გრამატიკული მოდელის საშუალებით: **განუსახდვრელობითი ნაცვალსახელის გამარტივებული ფორმა + უარყოფის ვა(რ) არა** ნაწილაკი, რომელსაც კონსტრუქციაში უშუალოდ მოსდევს ზმნური ფორმა. ანდაზებში ვერ დავადასტურეთ საპირისპირო (resp. შებრუნებული) წყობის მაგალითები, ხოლო ძალზე იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როდესაც უარყოფის ნაწილაკი და ნაცვალსახელი გათიშულია:

- (7) **მითიშა** მეჩამუ ვარ გინტაში,<sup>2</sup> ხალადისთი კუმი ნიფინენ. „როცა მიცემა არ გინდა, თოკზეც ქვიშა გაიფინება“ (შეროზია, მეშიშიში 1994: 234);
- (8) **მითხანის** თი მუშიში კიმეთი ვარ უჩქინ,<sup>3</sup> ჩქვაში კიმეთითი ვარ აჩქინენ. „ვინც თავისი თავის ფასი არ იცის, სხვისი ფასიც არ ეცოდინება“ (იქვე, 234).

ანდაზებზე დაკვირვება განუსახდვრელობითი ნაცვალსახელის, უარყოფის ნაწილაკისა და ზმნური ფორმის კონტექსტში განაწილების თვალსაზრისით გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: მიუხედავად თითო-ორიოდა შემთხვევისა, როგორც უარყოფის ნაწილაკი, ისე ზმნური ერთეუ-

<sup>1</sup> ასეთი ვითარებაა არა მხოლოდ ანდაზებში, არამედ სხვა ლაზურ ტექსტებშიც, სადაც **ვარ/ვა** უარყოფის ნაწილაკი უმეტესად ზმნურ ფორმასთან უშუალო სიახლოვეს იჩენს, მაგრამ წარმოდგენილია მისგან დამოუკიდებლად, შეურწყმელად. მაგალითისთვის იხ. გ. კარტოზია, *ლაზური ტექსტები II*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1993: 328 (10.2; 15.2); 329 (10.4); ი. ასათიანი, *ჭანური (ლაზური) ტექსტები*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974: 78 (39), 79 (68) და სხვ. ჩვენი აზრით, ის, რაც გამოცემულ ტექსტებში დასტურდება, ზეპირმეტყველებისას ნაკლებადაა მოსალოდნელი, ე.ი. უარყოფის ნაწილაკისა და ზმნის ერთმანეთისგან გათიშვა და, ამდენად, კონსტრუქციაში მათი ცალ-ცალკე წარმოთქმა ლაზური ყოველდღიური მეტყველებისთვის უცხო უნდა იყოს, თუმცა ხსენებული საკითხი დამატებითი მასალების მოძიებასა და კვლევას მოითხოვს.

<sup>2</sup> სიტყვასიტყვით: *ვინმესთვის მიცემა [თუ] არ გინდა*.

<sup>3</sup> სიტყვასიტყვით: *ვინმემ [თუ] საკუთარი თავის ფასი არ იცის*.

ლი ცდილობს, არ დაშორდეს განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს, რადგან მათ ინტონაციურ ერთიანობას შემოაქვს უარყოფის სემანტიკა და სწორედ მათი კონტექსტუალური სიახლოვე აძლიერებს ნეგაციის შინაარსს.

აღსანიშნავია, რომ გარდა ვარ/ვა „არ“ ნაწილაკისა, ლაზურში მოცემულია მით//მო „ნუ“ ნაწილაკიც. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ჭანურის თავისებურება ამ მით(თ)- ნაწილაკის ხმარებაშია. ეს ნაწილაკი იგივეა, რასაც სვანურშიც ვხვდებით, თუმცა სვანურშიაც იგი აფხაზურიდან (ან იმავე წრის სხვა ენიდან) უნდა მომდინარეობდეს“ (ჩიქობავა 2008: 128):

- (9) თოლი-უძღუში მუთუ მო იკვან. „თვალ-უძღებისაგან ნურაფერს ნუ მოითხოვ“ (შეროზია, მეშიშიში 1994: 218);
- (10) ინნადი კონიში მუთუ მო გინტას. „ჯიუტი კაცისა არაფერი გინდოდეს“ (იქვე, 219);
- (11) უბერელი კონიში მუთუ მო გინტას. „უშვილო კაცის არაფერი გინდოდეს“ (იქვე, 252).

## II. უარყოფის გადმოცემა ზმნისართით

ლაზურ ენაში, განსხვავებით ქართულისა და მეგრულისგან, არც უარყოფითი ზმნისართი დასტურდება,<sup>1</sup> თუმცა, ნაცვალსახელებთან აღწერილი ვითარების მსგავსად, განუსაზღვრელობითი ზმნისართის საშუალებით ხდება უარყოფითობის სემანტიკის გადმოცემა; კერძოდ, დასტურდება შემდეგი მოდელი: განუსაზღვრელობით ზმნისართს + უარყოფის ვა(რ) „არა“ ნაწილაკი, რომელსაც კონსტრუქციაში უშუალოდ მოსდევს ზმნური ფორმა ლაზურში სოთინი ფორმა გამარტივებული – სოთი სახითაც გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ აქაც არსებითად ისეთივე მდგომარეობაა, როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების შემთხვევაში გვქონდა, თუმცა ანდაზებში ვერ დავადასტურეთ უარყოფითობის გადმოცემა განუსაზღ-

<sup>1</sup> ქართულში უარყოფითი ზმნისართები იწარმოება უარყოფის არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა) ნაწილაკთა თავიკიდურ პოზიციაში დართვით „-სად“ (კითხვითი ზმნიზედა), „-ოდეს“ (არქაული შედარებითი ზმნიზედა), „-დროს“ („დრო“ არსებითი სახელის მიცემითი ბრუნვა) და „-გზით“ („გზა“ არსებითი სახელის ინსტრუმენტული ბრუნვა) დაბოლოებებთან. ამ კომბინაციებით მიიღება შემდეგი უარყოფითი ზმნიზედები: არსად, არაოდეს, არასდროს, არასგზის; ვერსად, ვერასოდეს, ვერასდროს, ვერასგზით; ნურსად, ნურასოდეს, ნურასდროს, ნურასგზით. რაც შეეხება მეგრულს, მეგრულში საკუთრივ უარყოფის ზმნისართი არის სოთ-ა (სიტყვასიტყვით: „სადაც არ(ა)“), რომელსაც ზმნა ყოველთვის დადებითი ფორმით შეეწყობა (სოთა ურს „არსად წავა“), მსგავსად მითა და მუთა უარყოფითი ნაცვალსახელებისა, (მითა, მუთა და სოთა ფორმები იდენტურ სტრუქტურასაც ავლენენ და მსგავს კონსტრუქციებსაც ქმნიან (შდრ. ქართული არ(ა)-სად(ა), ვერ-სად(ა), ნურ-სად(ა) და ა.შ.). განუსაზღვრელობითი ზმნისართების საშუალებით უარყოფითი სემანტიკის გამოსატყა ისეთივე გრამატიკული მოდელით ხდება, როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების შემთხვევაში გვქონდა. კერძოდ, მეგრულში უარყოფის სემანტიკის გადმოსაცემად სოთინი განუსაზღვრელობით ზმნისართს ემატება უარყოფის ნაწილაკი ვარ „არა“ (შდრ. უარყოფით ნაცვალსახელთა წარმოება), ხოლო კონსტრუქციაში განუსაზღვრელობით ზმნისართს მოსდევს უარყოფისნაწილაკიანი ზმნა (შებრუნებული წყობა აქაც შედარებით ნაკლებპროდუქტიულია).

ვრელობითი ზმნისართები ვერც სრული და ვერც გამარტივებული ფორმით.<sup>1</sup>

**შენიშვნა 1:** გამოცემულ ლაზურ ანდაზებში აგრეთვე ვერ დავადასტურეთ უარყოფის გადმოცემა შემდეგი გრამატიკული მოდელებით: განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი + განუსაზღვრელობითი ზმნისართი + უარყოფის ვა(რ) „არა“ ნაწილაკი + ზმნა.<sup>2</sup>

